

**ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს განჩინებათა და
გადაწყვეტილებათა კრებული
საქართველოს საქმეებზე**

2014 წელი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2015

**EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
JUDGMENTS AND DECISIONS v. GEORGIA
2014**

**The Supreme Court Of Georgia
Human Rights Centre**

Tbilisi
2015



კრებული შეადგინა და დაამუშავა

თინათინ ბაჟაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი



The Collection was compiled and elaborated in the
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

TINATIN BEZHASHVILI

Style Editor

TINATIN KOKRASHVILI

Graphics Editor

MARIKA MAGHALASHVILI

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	7
ნაცვლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ	9
აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ	21
ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ	31
სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (მხარეთა მორიგება)	36
საქართველო რუსეთის წინააღმდეგ	44

TABLE OF CONTENTS

Preface	7
Case of Natsvlishvili vs. Georgia (N9043/05)	9
Case of Ashlarba vs. Georgia (N45554/08)	21
Case of Begheluri and Others v. Georgia (N28490/02)	31
Sulkhan MOLASHVILI v. Georgia (N39728/04)	36
Georgia v. Russia (N13255/07)	44

წი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი ტრადიციულად განაგრძობს საქართველოს საქმეებზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების ყოველწლიური კრებულის გამოცემას. მასში შესულია 2014 წელს განხილული საქმეები. ჩვენი მიზანია, ყველა დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, გაეცნოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

ევროპის საბჭოს ერთ-ერთი პრიორიტეტია ეფექტიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემების არსებობა. მინისტრთა კომიტეტმა მიიღო მრავალი სამართლებრივი ინსტრუმენტი სასამართლო სისტემების სამართლიანობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით. ევროპის საბჭოს პოლიტიკა ამ სფეროში მოიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების ზომებს, საქმეთა გასაჩივრების პროცედურების გასაუმჯობესებლად უფრო სრულყოფილ მექანიზმებს, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების, პროცედურების გამარტივებისა და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის სფეროებში. ამას გარდა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მხარს უჭერს, აგრეთვე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სისტემის ეფექტიანობა და ხარისხი.

ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია საქართველოსთან მიმართებით, უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის და საჭიროა ჯეროვანი ყურადღების გამახვილება, რადგან ეროვნული სასამართლოებისათვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება.

P R E F A C E

Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia published the fourth annual edition of European Court of Human Rights judgments concerning Georgia. This publication contains the judgments delivered in 2014.

An efficient independent judicial system is one of the Council of Europe's first priorities and its Committee of Ministers has adopted many instruments to make them fair and effective. Its policy includes measures to reinforce judicial independence and impartiality, improved appeal procedures, better mechanisms for executing court decisions, simplifying procedure and extending legal aid. It also encourages the use of new information technologies to ensure speed effectiveness and quality of the judicial system.

All these judgments about Georgia are to the utmost important for our country and each of them must be treated with due attention by national courts, for it is not only expedient, but necessary to exercise the European Court's Case Law together with the Convention.

ნაცვლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

Case of Natsvlishvili vs. Georgia (N9043/05)

2005 წლის 9 მარტს ამირან ნაცვლიშვილმა და რუსუდან ტოგონიძემ განაცხადით მიმართეს სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2014 წლის 3 აპრილს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საჩივარი (№9043/05) და:

1. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.
2. ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.
3. ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.
4. დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივნები მეუღლეები არიან და ამჟამად ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში. პირველი მიმჩივანი 1993-1995 წლებში ქუთაისის მერის მოადგილე იყო და ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ხელმძღვანელობდა. ამავდროულად, იგი ქარხნის უმსხვილესი აქციონერი იყო სახელმწიფოს შემდეგ.

2004 წლის 12 მარტს პირველ მომჩივანს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. მას ბრალად ედებოდა კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ ფიქტიური ნასყიდობისა და გადარიცხვების განხორციელება. 2004 წლის 15 მარტს პოლიციამ და პროკურატურამ პირველი მომჩივანი თავის სამუშაო ადგილას დააკავეს. აღნიშნული ფაქტი იმავე ღამით ადგილობრივ ტელევიზიაში გაშუქდა. ამირან ნაცვლიშვილი ხელბორკილით აჩვენეს ტელევიზიით. მას გარს პოლიციელები და ჟურნალისტები ეხვივნენ. პროკურატურის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი მომჩივნის ოფისიდან ამოიღეს დოკუმენტები, რომლებიც მიმდინარე საქმეს უკავშირდება და ისინი გაანალიზდება და შეფასდება. პირველი მომჩივნისათვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 12 წლის ვადით.

ამის თაობაზე მხარის გუბერნატორმა, პირველი მომჩივნის იდენტიფიცირების გარეშე, განმარტა, რომ „ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ უნდა გადაეხვიათ არჩეული გზისთვის, რათა გამოვლენილიყვნენ და დასჯილიყვნენ ის პირები, რომლებმაც სახელმწიფო სახსრები მიითვისეს. სწორედ მათ გამო ვერ ხდებოდა პენსიებისა და ხელფასების გაცემა“.

2004 წლის 17 მარტს დაკითხეს პირველი მომჩივანი ადვოკატის თანდასწრებით. ამირან ნაცვლიშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დუმილის უფლებას იყენებდა. იმავე დღეს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა განუსაზღვრა. 2004 წლის 25 მარტს პირველმა მომჩივანმა პროკუ-

რატურას მიმართა წერილით და გამოთქვა მზადყოფნა, აენაზღაურებინა ქუთაისის საავტომობილო ქარხნისთვის მიყენებული ზიანი.

აღსანიშნავია, რომ პატიმრობის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ამირან ნაცვლიშვილთან ერთად საკანში ისხდნენ მკვლელობისთვის ბრალდებული პირი და ასევე ის პირიც, რომელმაც 2002 წელს ამირან ნაცვლიშვილი გამოსასყიდის მიღების მიზნით გაიტაცა. სახალხო დამცველის მიმართვის შემდეგ იგი სხვა საკანში გადაიყვანეს.

2004 წლის 1 აგვისტოს პირველ მომჩივანსა და მის ადვოკატს საქმის მასალები გადაეცათ. თავისი ინტერესების დასაცავად მან მეორე ადვოკატიც მიიწვია. 2004 წლის 6 სექტემბერს გამოძიება დასრულდა. ამირან ნაცვლიშვილმა, რომელიც თავის უდანაშაულობაზე მიუთითებდა, გამოთქვა სურვილი, ეთანამშრომლა გამოძიებასთან. ამასთან, მას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო სათანადო კონსულტაცია თავისი დამცველებისგან და გასცნობოდა საქმის მასალებს. იმავე დღეს პირველმა მომჩივანმა აანაზღაურა ქარხნისთვის მიყენებული ზიანი და თავის საკუთრებაში არსებული აქციები დააბრუნა.

საქმეში წარმოდგენილია მომჩივნის დის განაცხადი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურამ მის ოჯახს მოსთხოვა განვითარების ფონდისთვის 50000 ლარის გადახდა, თუმცა პროკურატურა მოითხოვდა, რომ თანხის გადახდა პირველი მომჩივნის სახელით არ განხორციელებულიყო, რის გამოც მომჩივნის დამ გადარიცხვები თავისი სახელით შეასრულა.

2004 წლის 9 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა განცხადებით მიმართა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა გამოთქვამდა მზადყოფნას, დაედო შეთანხმება ზიანის ანაზღაურებისა და 35000 ლარის სახით ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ. იგი მიუთითებდა, რომ სრულად აცნობიერებდა საპროცესო შეთანხმების არსს. იმავე დღეს განმცხადებელსა და პროკურატურას შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება მოთხოვნილ სასჯელზე გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობისა და ზიანის სახით 4 201 663 ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ. პროკურორმა მომჩივანს განუმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების გარეშე აღნიშნული ქმედებისთვის სასჯელის სახედ 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა იყო გათვალისწინებული. ასევე, შეიძლება დაჰკისრებოდა ზიანის სრულად ანაზღაურება და დაჰპირდა, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, არსებითი განხილვის გარეშე სასჯელის სახედ განესაზღვრებოდა ჯარიმა. ამასთან, განუმარტა, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებდა სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან. საპროცესო შეთანხმებას ხელი მოაწერეს პროკურორმა, პირველმა მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა. იმავე დღეს პროკურატურამ სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რასაც ერთვოდა თავად შეთანხმება და საქმის მასალები 12 ტომად. 35000 ლარი იმავე დღეს გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

2004 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განიხილა პროკურატურის შუამდგომლობა. სასამართლო სხდომას ესწრებოდნენ საპროცესო შეთანხმებაზე ხელმომწერი ადვოკატები. მოსამართლემ განუმარტა მომჩივანს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული უფლებები. პასუხად მომჩივანმა განმარტა, რომ იგი სრულად აცნობიერებდა თავის უფლებებს და საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობას ნებაყოფლობით აცხადებდა. საპროცესო შეთანხმება არ ყოფილა რაიმე ძალადობის, ან უკანონო ქმედების შედეგი. აღნიშნულს ადვოკატებიც დაეთანხმნენ და განმარტეს, რომ შეთანხმების დადებაზე პირველ მომჩივანს გაუწიეს სრულყოფილი იურიდიული კონ-

სულტაცია. პირველმა მომჩივანმა ითხოვა, რომ სასამართლოს დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება და იგი სრულად აცნობიერებდა მის შედეგებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო ბრალდების დასასაბუთებლად და დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება გამოძიებასთან აქტიური თანამშრომლობისა და ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი თავს დამნაშავედ არ ცნობდა და დუმილის უფლებას იყენებდა. ამასთან, მიუთითა, რომ საპროცესო შეთანხმება არ არის მიღწეული კანონის მოთხოვნათა დარღვევით და მომჩივანი სრულად იცნობდა საქმის მასალებს. მომჩივანი მაშინვე გაათავისუფლეს, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოო გახდა და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მისი გაუქმება დასაშვები იყო მხოლოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

2007 წლის 12 ნოემბერს ამირან ნაცვლიშვილმა მიუთითა, რომ მთავრობის წარმომადგენლები მასზე ახორციელებდნენ ზენოლას, რათა მას უარი ეთქვა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოებაზე. ამის დასადასტურებლად მომჩივანმა წარმოადგინა მისი ქალიშვილის განცხადება, რომლის მიხედვითაც, მან (მომჩივნის ქალიშვილმა) მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიციის გასარკვევად მიმართა თავის ნაცნობს, რომელიც იმ დროისათვის პროკურატურაში მუშაობდა. მათ წერილობით დაამყარეს კავშირი. ამ წერილებში მომჩივნის შვილი და მისი ნაცნობი ერთმანეთს მეგობრულად და ფამილარულად მიმართავდნენ. ერთ-ერთ წერილში, პროკურატურის წარმომადგენელი მიუთითებს, რომ იცნობდა ამირან ნაცვლიშვილის საქმეს, რომელიც შეიძლებოდა პროკურატურას თავიდან გამოეძიებინა და ჯარიმის სახით გადახდილი თანხა უკან დაჰბრუნებოდათ. იგი ამტკიცებდა, რომ პროკურატურისთვის უნდა მიემართათ ხელახალი გამოძიების მოთხოვნით, რასაც შეიძლება მომჩივნის რეაბილიტაცია მოჰყოლოდა და ჯარიმის სახით გადახდილი თანხა, ისევე როგორც ქარხნის აქციების ნაწილი, უკან დაუბრუნდებოდათ. აქციების ნაწილის დაბრუნება შეუძლებელი იყო მესამე პირთა საკუთრებაში არსებობის გამო. ასევე, გაუნია კონსულტაცია მეგობრული მორიგების პროცედურასთან დაკავშირებით.

მხარეთა არგუმენტები

ა. მთავრობის არგუმენტები

მთავრობამ მიუთითა, რომ საპროცესო შეთანხმება, როგორც მხარეთა თანხმობის საფუძველზე მიღწეული სწრაფი მართლმსაჯულების საშუალება, ფართოდ არის გავრცელებული და სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სამართალი წარმატებით იყენებს. იგი შეესაბამება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საპროცესო შეთანხმების წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია საპროცესო ეკონომიის მზარდ ინტერესთან. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ 1987 წელს ევროპის საბჭოს მიწინსვრთა კომიტეტის წევრებმა საქართველოს ურჩიეს, ჩამოეყალიბებინათ სასამართლო განხილვის გამარტივებული და დაჩქარებული პროცედურა, რომელიც მოიცავს შემაჯამებელი გადაწყვეტილების, სასამართლოს გარეშე მხარეთა მოლაპარაკებების წარმოებისა და დანაშაულის აღიარების ეტაპებს. ისინი მიუთითებდნენ, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი წარმომადგენს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ და წარმატებულ საშუალებას. 2004 წელს, საქართველოში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოღებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყანაში არსებულ დანაშაულთა ხასიათი და იმ პერიოდში გავრცელებული კორუფციის დონე. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გამოიყენებოდა, როგორც აუცილებელი რეაქცია არსებული სისტემური პრობლემის მიმართ.

მთავრობამ მიუთითა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი გულისხმობს სწრაფი მართლმსაჯულებისა და შემწყნარებელი (მსუბუქი) სასჯელის სანაცვლოდ სხვადასხვა საპროცესო უფლებაზე უარის თქმას. აღნიშნულის მიუხედავად, შიდა კანონმდებლობით სამართლიანი სასამართლოს ძირითადი გარანტიები უზრუნველყოფილია, რაც პირველი მომჩივნის საქმეში ჯეროვნად იყო დაცული. უპირველეს ყოვლისა, პირველი მომჩივანი წარმოდგენილი იყო კვალიფიციური დამცველით, რომელიც საქმეში საპროცესო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების დაწყებამდე ჩაერთო. მის ადვოკატს ევალეზობდა, ხელმოწერით დაედასტურებინა მიღწეული შეთანხმება. მოგვიანებით, სასამართლომ სხდომაზე გამოიკვლია საპროცესო შეთანხმების პირობები. სასამართლომ გამოიძია, იყო თუ არა საპროცესო შეთანხმება მიღწეული ნებაყოფლობით, იძულების ან რაიმე სხვა უკანონო ქმედების გარეშე და აცნობიერებდა თუ არა პირველი მომჩივანი ბრალდების არსს და შესაძლო სასჯელის სიმძიმეს. მთავრობამ, როგორც დამატებით გარანტიაზე, მიუთითა იმ ფაქტზე, რომ არა მხოლოდ პირველი მომჩივანი იყო უფლებამოსილი, განეცხადებინა უარი საპროცესო შეთანხმებაზე, არამედ მოსამართლეს ბრალდების საფუძვლიანობის გათვალისწინებით ჰქონდა შესაძლებლობა, უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

მთავრობამ საქმის გარემოებებზე მითითებისას, აღნიშნა, რომ პირველ მომჩივანს შეგნებული ჰქონდა საპროცესო შეთანხმების მნიშვნელობა და მასზე თანხმობა ნებაყოფლობით განაცხადა. მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პირველი მომჩივნის დაცვას ახორციელებდა თავად მის მიერ არჩეული დამცველი, რომელიც საქმეში ჩაერთო მისი დაკავებისთანავე, 2004 წლის 16 მარტს. 2004 წლის 25 მარტს მომჩივანმა წერილით მიმართა პროკურატურას, რათა შეთანხმების მიღწევის მიზნით ეთანამშრომლა გამოძიებასთან. 2004 წლის 1 აგვისტოს პირველ მომჩივანს გადაეცა საქმის მასალები და იმავე წლის 6 აგვისტოს მეორე დამცველიც აიყვანა. 2004 წლის 6 სექტემბერს გამოძიება დასრულდა და საბრალდებო დასკვნის მიხედვით, პირველ მომჩივანს ბრალი წარედგინა სახელმწიფო თანხების დიდი ოდენობით უკანონო მითვისებაში. პირველმა მომჩივანმა საბრალდებო დასკვნისა და შეგროვებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, ორივე ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ, საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით კვლავ გამოთქვა მზადყოფნა, ეთანამშრომლა გამოძიებასთან და იმავე დღეს, 2004 წლის 6 სექტემბერს აანაზღაურა ქარხნისთვის მიყენებული ზიანი.

2004 წლის 9 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა ისევ მიმართა პროკურატურას 35 000 ლარი ჯარიმის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმების დადების თხოვნით. განცხადებაში იგი ნათლად ადასტურებდა, რომ შეგნებული ჰქონდა საპროცესო შეთანხმების მნიშვნელობა. იმავე დღეს პროკურორმა პირველი მომჩივანი ციხეში მოინახულა და მისი ორი ადვოკატის თანდასწრებით ხელი მოაწერინა საპროცესო შეთანხმების პირობებზე. ამავე პირობებზე ხელი მოაწერეს ადვოკატებმაც, ხოლო მოგვიანებით სასამართლომ სათანადოდ გამოიკვლია აღნიშნული შეთანხმება.

პირველ მომჩივანსა და პროკურატურას შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმების სასამართლოს რევიზიასთან დაკავშირებით მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ 2004 წლის 10 სექტემბრის, სასამართლო სხდომაზე მოსამართლემ გამოიკვლია პირველი მომჩივნის ნება. ამის დასადასტურებლად მთავრობამ სასამართლო სხდომის ჩანაწერები წარმოადგინა. მთავრობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდა შეემოწმებინა, იყო თუ არა დაცული სამართლიანი სასამართლოს ძირითადი გარანტიები საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების დროს და სრულად გადაეცა თუ არა მომჩივანს საქმის მასალები. სასამართლო სხდომაზე გამოიკვლიეს პირველი მომჩივნის 2004 წლის 9 სექტემბრის განცხადება, თავად შეთანხმება და პროკურორის შუამდგომლობა საპროცესო შე-

თანხმების დამტკიცების თაობაზე.

უფრო მეტიც, საქალაქო სასამართლომ გამოჰკითხა პირველი მომჩივანი, რომელიც ცალსახად ადასტურებდა, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საქმის დასრულება მის ინტერესებში იყო. იგივე დაადასტურეს მომჩივნის ადვოკატებმაც. ეს ყველაფერი დასტურდება სასამართლო სხდომის ჩანაწერებით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საქალაქო სასამართლომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მომჩივანს თავისუფლად გამოეხატა ნება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს შეეძლო უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე. მთავრობამ მიუთითა, რომ საჭიროების შემთხვევაში შეიძლება კონფიდენციალურობის მუხლი გამოეყენებინათ (სსსკ-ის 679-ე მუხლის მე-4 ნაწილი). 2004 წლის 10 სექტემბრის სასამართლო სხდომა საჯარო იყო. აღნიშნულის დასადასტურებლად მთავრობამ წარმოადგინა სასამართლოს დამსწრე პირველი მომჩივნის ადვოკატის, პროკურორისა და სასამართლოს თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება, რომლითაც ისინი ადასტურებდნენ, რომ ჩატარდა ღია სასამართლო სხდომა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო დასწრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ პირველმა მომჩივანმა საპროცესო შეთანხმებით ცალსახად უარი განაცხადა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებებზე, მათ შორის – გასაჩივრების უფლებაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობა მიუთითებდა, რომ არსებითი განხილვის გარეშე პირველი განმცხადებლის დამნაშავედ ცნობა არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლისა და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.

ბ. პირველი მომჩივნის არგუმენტები

პირველი მომჩივანი მიუთითებდა, რომ მის მიმართ საპროცესო შეთანხმების გამოყენებამ არსებითად დაარღვია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი, რადგან მას შესაძლებლობა არ ჰქონდა, ესარგებლა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით და ვერ შეძლო გადაწყვეტილების გასაჩივრება. საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობით მან უარი განაცხადა საპროცესო უფლებებზე, თუმცა იგი დაცული არ იყო პროკურატურის მხრიდან დაშვებული დარღვევებისგან. ქართული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ნაკლოვანების საჩვენებლად პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ევროპულ ქვეყნებში (კერძოდ: გერმანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, იტალიაში, საფრანგეთსა და რუსეთში). ამ შედარებითი ანალიზის საფუძველზე პირველი მომჩივანი მიუთითებდა, რომ ზემოაღნიშნული ქვეყნებისგან განსხვავებით ქართული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ბრალდებულს არ აძლევს შესაძლებლობას, მოლაპარაკების დაწყებამდე წარმოდგინილი იყოს ადვოკატით და ასევე, მოსამართლეს არა აქვს სათანადო უფლებამოსილება, ჯეროვანი ზედამხედველობა განახორციელოს საპროცესო შეთანხმების პირობებზე.

ქართული საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებულ ფაქტებზე მითითებით პირველი მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ასეთი პროცესების 99% არ შეიძლება სამართლიანად ჩაითვალოს. იგი ასევე მიუთითებდა კვლევაზე, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართლის საქმეებში გამართლებულთა რიცხვი მხოლოდ 15-20% შეადგენდა. ამასთან, ხშირი იყო უდანაშაულო პირთა მიერ დანაშაულის აღიარების შემ-

თხვევა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთ სისტემაში შეუძლებელია საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობა ნებაყოფლობითად ჩაითვალოს. საპროცესო შეთანხმების დადება მისთვის ერთადერთი შესაძლებლობა იყო, რათა თავიდან აეცილებინა ხანგრძლივი დროით პატიმრობა. პირველმა მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საპროცესო შეთანხმების დადების დროისათვის იგი წინასწარ პატიმრობაში იყო, აუტანელ და სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან მისი თანამოსაკენი იყვნენ მკვლელობაში მსჯავრდებული და ასევე ის პირიც, რომელმაც 2002 წლის დეკემბერში მის მიმართ არასათანადო მოპყრობა განახორციელა. იგი მიუთითებდა იმ დროისათვის საქართველოს საპატიმრო ადგილებში შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობაზეც.

პირველი მომჩივანი დაობდა, რომ საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის შესაბამისად, პროკურატურას შეუზღუდავი უფლებები და პრივილეგიები ენიჭებოდა. არსებობდა სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც გამორიცხავდა საპროცესო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკების დროს მხარეთათვის თანაბარი შესაძლებლობის არსებობას. აღნიშნულის დასადასტურებლად პირველი მომჩივანი მიუთითებდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ შედგენილ დასკვნაზე. იგი აღნიშნავდა, რომ შიდა კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ პროკურორი იყო უფლებამოსილი, მიემართა სასამართლოსთვის საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მოთხოვნით და განესაზღვრა სასჯელი. პირველი მომჩივანი აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ ტერმინის – „გამოძიებასთან თანამშრომლობა“ – ზუსტი დეფინიცია კანონმდებლობაში არ არსებობდა და საკანონმდებლო ხარვეზის გამო იზრდებოდა საპროცესო უფლებების დარღვევის რისკი.

პირველი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საპროცესო შეთანხმების შედეგები მხოლოდ პროკურორმა განუმარტა. იგი მიუთითებდა, რომ შიდა სასამართლოებს არ ჰქონდათ საკმარისი შესაძლებლობა, ჯეროვნად შეემოწმებინათ საპროცესო შეთანხმების პირობები და გამოერიცხათ პროკურატურის მხრიდან შესაძლო დარღვევები. სასამართლოს ჰქონდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დოკუმენტის გადახედვის უფლება, თუმცა არ შეეძლო გამოეძიებინა მოლაპარაკების დროს დაშვებული შესაძლო დარღვევები, რადგან არ არსებობდა ამ მოლაპარაკების ამსახველი დოკუმენტური თუ აუდიო მტკიცებულება. 2004 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თუნდაც ფორმალურად რომ ეკითხა მომჩივნისათვის მის მიმართ განხორციელებული შესაძლო დარღვევების შესახებ, აღნიშნული გამოკითხვა არ იქნებოდა ეფექტიანი, რადგან მომჩივანი, რომელიც იმ დროისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა, ვერ გაბედავდა განეცხადებინა მის მიმართ განხორციელებული იძულების თაობაზე. უფრო მეტიც, შიდა სასამართლოს არც კი უცდია, რომ მას, როგორც პატიმრობაში მყოფ პირს, სრულად გაეგო ბრალდებასთან დაკავშირებული ფაქტები.

პირველი მომჩივანი მიუთითებდა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ერთ დღეში გადაამოწმა საპროცესო შეთანხმება, თუმცა ეს შეუძლებელი იყო საქმის მოცულობიდან გამომდინარე. მისი ბრალეულობა და სასჯელი პროკურატურამ განსაზღვრა და სასამართლომ მხოლოდ ფორმალურად დაამოწმა პროკურორის დასკვნები. უფრო მეტიც, ის მიუთითებდა, რომ ზიანის ანაზღაურება საპროცესო შეთანხმების დადებამდე განხორციელდა და ამტკიცებდა, რომ საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის შემთხვევაში მისი პატიმრობა გაგრძელდებოდა. აღნიშნულის გამო მან თანხა წინასწარ გადაიხადა. პირველმა მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ უცვნია. ამასთან, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებაში იძულებითი მონაწილეობის გამო არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება.

გ. სასამართლოს შეფასება

უპირველეს ყოვლისა, სასამართლო შენიშნავს, რომ მან ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენება შეაფასა, მომჩივნის საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპული სისხლისსამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია, რომ ბრალდებულმა მიიღოს მსუბუქი სასჯელი ან სასჯელისაგან გათავისუფლდეს დანაშაულის აღიარების ან გამოძიებასთან თანამშრომლობის საწინააღმდეგ¹. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამო არ არის². აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საპროცესო შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს სწრაფი მართლმსაჯულება, გამოყენებულ იქნეს მსუბუქი სასჯელები და შემცირდეს პატიმართა რაოდენობა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე უარის თქმით, სისხლის სამართალწარმოება მცირდება. აღნიშნული არ შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად³. სასამართლო შენიშნავს, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის წარმომადგენლებმა მოუწოდეს ნევრ სახელმწიფოებს, დაენერგათ გამარტივებული სამართალწარმოება. თუმცა, იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანი იყოს, აუცილებელია, იგი განხორციელდეს აშკარა ფორმით და ასევე, უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური დაცვის გარანტიები. დამატებით, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს⁴.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სასჯელზე შეთანხმებით პირველმა მომჩივანმა უარი განაცხადა საქმის არსებითად განხილვის უფლებაზე. თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: (1) მომჩივანს საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობა ნებაყოფლობით უნდა განეცხადებინა და სრულად გასცნობოდა საქმის მასალებს და (2) სასამართლოს ჯეროვნად უნდა შეემონებინა მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების და მოლაპარაკების სამართლიანობა.

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ პირველმა მომჩივანმა თავად მიმართა პროკურატურას საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ინიციატივა პირადად მისგან მოდიოდა და პროკურატურას არ გამოუჩენია ძალდატანება. განმცხადებელმა ნათლად გამოხატა სურვილი, აენაზღაურებინა მის მიერ მიყენებული ზიანი. საქმის მასალები ბევრად ადრე, 2004 წლის 1 აგვისტოს, გადაეცა. სასამართლო შენიშნავს, რომ პირველ მომჩივანს წარმოადგენდა ორი – მის მიერ არჩეული დამცველი. ერთ-ერთი მათგანი მომჩივნის დაცვას სისხლის სამართლის საქმის დასაწყისიდანვე ახორციელებდა და მონაწილეობდა მის დაკითხვაში. ორივე დამცველმა უზრუნველყო მომჩივანი სათანადო კონსულტაციით საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით და ასევე, ორივე მონაწილეობდა სასამართლო განხილვაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2004 წლის 10 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მომჩივანსა და მის ად-

¹ Slavcho Kostov v. Bulgaria, no. 28674/03, §17, 27 November 2008; Rucieski v. Poland, no. 33198/04, §12, 20 February 2007.

² Babar Ahmad and Others v. the United Kingdom (dec.), nos. 24027/07, 11949/08 and 36742/08, ECHR 6 July 2010.

³ Scoppola v. Italy (no. 2) [GC], no. 10249/03, §135, 17 September 2009.

⁴ სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, §135-136; Poitrimol v. France, §31, 23 November 1993, Series A no. 277-A; Hermi v. Italy [GC], §73, no. 18114/02, ECHR 2006 XII.

ვოკატებს გამოჰკითხა, ხომ არ დაექვემდებარა განმცხადებელი იძულებას ან სხვა უკანონო ქმედებას. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა ნათლად დააფიქსირა თავისი პოზიცია. კერძოდ, იგი აცნობიერებდა საპროცესო შეთანხმების პირობებს, მის მნიშვნელობასა და სამართლებრივ შედეგებს; აღნიშნული საპროცესო შეთანხმება იძულების ან სხვა რაიმე უკანონო ქმედების შედეგად არ ყოფილა დადებული.

სასამართლო შენიშნავს, რომ პირველ მომჩივანსა და პროკურატურას შორის მიღწეული შეთანხმება დოკუმენტურად დაფიქსირდა, მასზე ხელი პროკურორმა, მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა მოაწერეს და გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს გადაეცა. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მნიშვნელოვანი ფაქტორია იმდენად, რამდენადაც მიღწეული შეთანხმების ყველა პირობა სასამართლო გადასინჯვას დაექვემდებარა.

საპროცესო შეთანხმების ჯეროვანი სასამართლო კონტროლის მიზნით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს, რომ შიდა კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო არ იყო შეზღუდული საპროცესო შეთანხმების პირობებით. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სასამართლოს შეეძლო უარი ეთქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუკი მიიჩნევდა, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები ან მისი დადების პროცედურა კანონის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა (ან უსამართლო იყო). სასამართლოს უფლება ჰქონდა, არა მხოლოდ შეეფასებინა პროკურატურის მიერ შემოთავაზებული სასჯელი, არამედ შეემცირებინა კიდევ. სასამართლო შენიშნავს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საპროცესო შეთანხმებაში პროკურატურის როლის ჯეროვანი შეფასებისათვის, სასამართლო კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიძია, იყო თუ არა მომჩივნის მიმართ წარდგენილი ბრალდება მტკიცებულებებით გამყარებული. ის ფაქტი, რომ აღნიშნული გარემოებები ღია სასამართლო სხდომაზე იქნა გამოკვლეული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯეროვანი, ეფექტიანი სასამართლო შემოწმების თვალსაზრისით.

და ბოლოს, პირველი მომჩივნის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე მე-7 დამატებითი ოქმის მეორე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმალურია, გასაჩივრების უფლება შეიზღუდოს საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე, რადგან ბრალდებული უარს ამბობს საქმის არსებითად განხილვაზე⁵. სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო შეთანხმების დადებაზე თანხმობის განცხადებით პირველმა მომჩივანმა დათმო თავისი უფლებები საქმის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გადასინჯვის თაობაზე. ეს საპროცესო შეთანხმების ჩვეული შედეგია, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული კანონმდებლობაში. აღნიშნული მომჩივანს განუმარტეს მისმა ადვოკატებმა, ან უნდა განემარტათ მისთვის. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევასთან დაკავშირებით, სასამართლოს მსჯელობის ანალოგიის გამოყენებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრების უფლების შეზღუდვა თვითნებური არ ყოფილა და არ ეწინააღმდეგება მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს⁶.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების დადებით მომჩივანმა უარი თქვა საქმის არსებითად განხილვასა და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე, რაც გაცნობიერებული და ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო. საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადობის ან სხვა რაიმე უკანონო ქმედების შედეგი არ ყოფილა. არ დგინდება ის, რომ უფლებაზე უარის თქმა საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება

⁶ Galstyan v. Armenia, §125, no. 26986/03, 15 November 2007

აღნიშნულის გათვალისწინებით, არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის სავარაუდო დარღვევაზე

ა. მხარეთა არგუმენტები

მთავრობა ამტკიცებდა, რომ გუბერნატორს ინტერვიუში არ მიუთითებია მომჩივნის დამნაშავეობაზე. მას არ გაუკეთებია რაიმე სპეციალური მითითება, რომ სისხლის სამართლის საქმე პირველი მომჩივნის მიმართ მიმდინარეობდა და მხოლოდ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით გამოხატა სახელმწიფოს პოზიცია და ისე, რომ პირველი მომჩივნის სახელი არც კი უხსენებია. პირველი მომჩივნის დაკავებით პრესა იყო დაინტერესებული. გუბერნატორმა მხოლოდ მიუთითა, რომ მომჩივანს შეეძლო, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები გაექარნყლებინა.

პირველი მომჩივანი არ დაეთანხმა წარმოდგენილ პოზიციას და მიუთითა, რომ იგი დააკავეს პროკურატურის მიერ მონვეული ყურნალისტების თვალწინ. აღნიშნული, გუბერნატორის განცხადებასთან ერთად, მიზნად ისახავდა საზოგადოების დარწმუნებას მის დამნაშავეობაში. პირველი მომჩივანი დაობს, რომ პროკურატურამ და გუბერნატორმა მის მიმართ აქტიური მედია კამპანია აწარმოეს, რითაც მის მიმართ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია და უარყოფითად აისახა სასამართლო პროცესზე.

ბ. სასამართლოს შეფასება

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც სამართლიანი სასამართლო უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია. უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუკი საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადება პირის დანაშაულში მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოხატავს აზრს ამ პირის დამნაშავეობაზე. ეს განცხადება სასამართლოს მიერ დანაშაულის დამტკიცებას წინ უნდა უძლოდეს. აღნიშნულისათვის საკმარისია ვარაუდი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევენ⁷. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვების მნიშვნელობაზე⁸. უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაარღვიონ არა მხოლოდ სასამართლომ და მოსამართლეებმა, არამედ, ასევე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა, მათ შორის – პროკურატურამ⁹. არღვევს თუ არა ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადება უდანაშაულობის პრეზუმფციას, უნდა შეფასდეს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც განცხადების გაკეთებასთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გუბერნატორის განცხადებაში არ იყო მითითებული პირველი მომჩივნის დამნაშავეობაზე. უფრო მეტიც, არ იყო მითითებული, რომ პირველ მომჩივანს კავშირი ჰქონდა სისხლის სამართლის საქმესთან. გუბერნატორმა დააფიქსირა მხოლოდ სახელმწიფოს პოზიცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინ-

⁷ Allenet de Ribemont v. France, §35, 10 February 1995, Series A no. 308; Minelli v. Switzerland, §37, 25 March 1983, Series A no. 62

⁸ Dakaras v. Lithuania, §41, no.42095/98, ECHR 2000 X

⁹ Kuzmin v. Russia, no. 58939/00, §§51-63, 18 March 2010; Konstas v. Greece, §32, no. 53466/07, 24 May 2011

ტერვიუს შეფასებით სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ გუბერნატორმა პირდაპირ ან არაპირდაპირ მიუთითა პირველ მომჩივანზე.

პირველი მომჩივნის მითითებასთან დაკავშირებით პროკურატურისა და გუბერნატორის მიერ წარმოებულ მედიაკამპანიასთან მიმართებით სასამართლო აღნიშნავს, რომ აგრესიულმა მედიაკამპანიამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართლიან სასამართლო განხილვაზე. ეს შეიძლება ხდებოდეს როგორც სასამართლოს მიუკერძოებლობის, ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის თვალსაზრისით¹⁰. თუმცა, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ პირველი მომჩივნის დაკავება ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენელთა თანდასწრებით აგრესიულ მედიაკამპანიას წარმოადგენდა, რასაც შეიძლება დაერღვია სამართლიან სასამართლოზე უფლება, ან მედიის ინტერესს სახელმწიფო განაპირობებდა. იმის გამო, რომ პირველი მომჩივნის საქმის მიმართ პრესის ინტერესი არ გაგრძელებულა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მედია მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის დირექტორის დაკავებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გამო არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევაზე

ორივე მომჩივანი დაობს, რომ ზიანის ძალდატანებით ანაზღაურებითა და ჯარიმის სანაცვლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტით მათ მიმართ დაირღვა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

ა. მხარეთა არგუმენტები

მთავრობა ამტკიცებს, რომ არ დარღვეულა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რადგან ზიანის ანაზღაურებისა და ჯარიმის სახით ფულადი თანხის გადახდას არ მომხდარა საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან მისი სარგებლობით სხვაგვარი ხელის შეშლა. ზიანის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო, რომელიც გამოიწვია წარსულში პირველი მომჩივნის დანაშაულებრივმა ქმედებებმა და აღნიშნული საპროცესო შეთანხმების დადების კანონიერ და პროპორციულ საშუალებას წარმოადგენდა.

მომჩივანი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება და ჯარიმის გადახდა იძულებითი ქმედება იყო, რაც პროკურატურის მხრიდან საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით ზენოლის შედეგი იყო.

ბ. სასამართლოს შეფასება

სასამართლო იმეორებს, რომ საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებასა და სხვა ფულად გადასახდელს პირველი მომჩივნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განაპირობებდა¹¹. ამ ფულადი გადასახდელის კანონიერება არ შეიძლება გაიმიჯნოს საპროცესო შეთანხმების სამართლიანობისგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

¹⁰ Shuvalov v. Estonia, no. 39820/08 and 14942/09, §82, 29 May 2012; Ninn-Hansen v. Denmark (dec.), no. 28972/95, ECHR 1999 V; Anguelov v. Bulgaria (dec.), no. 45963/99, 14 December 2004

¹¹ Natsvlishvili and Togonidze v. Georgia (dec.), §84, no. 9043/05, 25 June 2013

კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე ინდივიდუალური განაცხადის გამოყენებაზე სავარაუდო ხელშეშლა

ორივე მომჩივანი დაობს, რომ მთავარმა პროკურატურამ მათზე განახორციელა ზე-წოლა, რათა კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილ განაცხადზე უარი ეთქვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება განახლდებოდა.

ა. მხარეთა არგუმენტები

მთავრობა მიუთითებდა, რომ მთავარი პროკურატურა ცდილობდა მომჩივნებთან მეგობრული მორიგების მიღწევას. მომჩივნებისგან არაეთიკურად უნდა ჩაითვალოს მოლაპარაკების პირობების გამჟღავნება, რაც სასამართლოს რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონფიდენციალურია. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია უშვებს სასამართლოს გარეთ და სასამართლოში შეთანხმების მიღწევას, რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მომჩივნის ქალიშვილსა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენელს შორის წარმოებული მიმოწერა სასამართლოს გარეთ მოლაპარაკებად უნდა ჩაითვალოს.

მთავრობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მომჩივნის ქალიშვილმა პირველმა მიმართა პროკურატურას მეგობრული შეთანხმების პროცედურაზე კონსულტაციის მისაღებად. პროკურატურის წარმომადგენელმა მომჩივნის ქალიშვილს ელექტრონული ფოსტით მიაწოდა ინფორმაცია შესაბამისი პროცედურის შესახებ და ასევე მისცა რჩევა, თუმცა განაცხადის გამოთხოვა არასდროს მოუთხოვია. იგი ცდილობდა, რომ შეთანხმება მისაღები ყოფილიყო ორივე მხარისათვის.

მომჩივნებმა მიუთითეს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოლაპარაკების კონფიდენციალურობის პრინციპი ვერ იქნებოდა დაცული, რადგან მომჩივნის ქალიშვილსა და პროკურატურას შორის მოლაპარაკება სასამართლოს გარეთ შეთანხმების ჩარჩოებს სცდებოდა: პროკურატურის წარმომადგენელმა 2006 წლის 11 დეკემბრის წერილით განმცხადებლის ქალიშვილი გააფრთხილა, რომ მამამისის მიმართ შეიძლება ახალი სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაწყებულიყო, თუკი შეთანხმება არ იქნებოდა მიღწეული და ევროსასამართლოში საქმის წარმოება გაგრძელდებოდა.

ბ. სასამართლოს შეფასება

სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მეგობრული მორიგება არის კონფიდენციალური. უფრო მეტიც, რეგლამენტის 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით არ უნდა გამჟღავნდეს მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებული ნებისმიერი, წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე გადაცემული ინფორმაცია. აღნიშნული პრინციპის მიუხედავად, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს კონფიდენციალურობის დარღვევას იმ შემთხვევაში, თუკი პირს განაცხადის შეტანაზე ხელს შეუშლიან¹².

თუმცა, სასამართლო მისაღებად არ მიიჩნევს მოცემულ საქმეში მოლაპარაკების კონფიდენციალურობის პრინციპის გამოყენებას. აღნიშნული მოლაპარაკება მომჩივნის ქალიშვილსა და პროკურატურის წარმომადგენელს შორის მიმდინარეობდა სასამარ-

¹² Mironubovs and Others v. Latvia, no.798/05, §68, 15 September 2009; Balenovič v. Croatia (dec.), no.28369/07, 30 September 2010

თლოს მონაწილეობის გარეშე. მხარეთა მეგობრული შეთანხმების წინადადება ან ამასთან დაკავშირებული მათი პოზიცია სასამართლოს რეგისტრატურაში წარმოდგენილი არ ყოფილა. სასამართლოს აზრით, კონფიდენციალურობის პრინციპი არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ეს ქმედებები პროცედურების გარეშე ხდებოდა. აღნიშნულის გამო მთავრობის შეპასუხება უარყოფილია.

მომჩივნის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ მასზე განხორციელდა ზენოლა განაცხადის გამოთხოვნის მიზნით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ინდივიდუალური განაცხადით სარგებლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მიუთითებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, მომჩივანს ან პოტენციურ მომჩივანს სასამართლოსთან თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს და იგი დაცული უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან ზენოლისაგან¹³. აღნიშნული მიზნებისთვის „ზენოლა“ მოიცავს არა მხოლოდ პირდაპირ იძულების ან დაშინების შემადრწუნებელ აქტს, არამედ, ასევე არაპირდაპირ, შეუსაბამო ქმედებებს, გადაარწმუნოს მომჩივანი კონვენციით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებისგან¹⁴.

აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ელექტრონული წერილის გაგზავნა მომჩივნის ქალიშვილისათვის, რომლის ინიციატორიც თავად მომჩივნის ქალიშვილი იყო და რომელიც მოცემულ საქმეში მომჩივნის მტკიცებულებას წარმოადგენს, არ იყო შეუთავსებელი კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნებთან. მთავარი პროკურატურის წარმომადგენლის წერილი არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის გამოთხოვნის მიზნით განხორციელებულ ქმედებად¹⁵.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს წარმომადგენლებს არ შეეძლოთ, ხელი შეეშალათ მომჩივნისათვის თავისი უფლებების განხორციელებაში და შესაბამისად, არც კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნები დარღვეულა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო

1. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი;
2. ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი;
3. ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი;
4. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის 34-ე მუხლი.

¹³ Akdivar and Others v. Turkey, 16 September 1996, §105, Reports of Judgments and Decisions 1996- IV; Aksoy v. Turkey, 18 December 1996, §105, Reports 1996-VI

¹⁴ Kurt v. Turkey, 25 May 1998, §159, Reports, 1998 III

¹⁵ Konstantin Markin v. Russia[GC], no. 30078/06, §§ 162-163, ECHR 2012

აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ Case of Ashlarba vs. Georgia (N45554/08)

2008 წლის 22 აპრილს იზეტ აშლარბამ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2014 წლის 15 ივლისს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საჩივარი (№45554/08) და დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს აჭარის ა/რ-ში მდებარე სოფელ ანგისაში.

2006 წლის 15 თებერვალს აჭარის ა/რ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ა.კ.-ს მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლით, მისი ქურდულ სამყაროსთან სავარაუდო კავშირის გამო. ა.კ.-ზე არსებობდა ეჭვი, რომ ის იყო „კანონიერი ქურდი“, რომელიც უძღვებოდა კრიმინალურ დაჯგუფებებს და არამართლზომიერად მონაწილეობდა სხვადასხვა კერძო გარჩევაში. გამოძიებისას დაიკითხა რამდენიმე მოწმე – კერძოდ, იმ ციხის თანამშრომლები, სადაც ა.კ. წარსულში იხდიდა სასჯელს, მისი ოჯახის წევრები და მასთან დაახლოებული სხვა პირები. ყველა მათგანმა დაადასტურა რომ ა.კ.-მ კრიმინალური რიტუალის – „ნათლობის“ შედეგად 1999 წელს მოიპოვა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი. ამის შემდეგ ის ქურდული სამყაროს მართვაში მონაწილეობდა კრიმინალური სამყაროს წევრებისთვის დადგენილი სპეციალური წესების მიხედვით.

2006 წლის 5 მარტს ძეზნის ორდერი გაიცა ა.კ.-ზე, რომელიც იმ დროისთვის ცხოვრობდა უკრაინაში ან რუსეთში. გამოძიებამ დაადგინდა, რომ ძეზნილ ეჭვმიტანილს რეგულარული სატელეფონო კონტაქტი ჰქონდა სხვა, სავარაუდო კრიმინალურ ავტორიტეტებთან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და აძლევდა მათ დავალებას რეგიონში სხვადასხვა კერძო გარჩევის გადაწყვეტის მიზნით. შესაბამისმა სასამართლო ორგანომ გამოძიებას მისცა ა.კ.-ს სატელეფონო საუბრებისთვის მოსმენა-მეყურადების უფლება, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ერთ-ერთი პირი, რომელიც კანონიერი ქურდისგან იღებდა ინსტრუქციებს, იყო განმცხადებელი. შესაბამისად, გამოძიება გაფართოვდა და მოიცვა ამ უკანასკნელის აქტივობები.

2006 წლის 31 ივლისს მომჩივანი და მეორე პირი – ი.ა. დააკავეს ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, რაც სსკ-ის 223¹-ე მუხლის პირველი პუნქტით წარმოადგენდა დასჯად ქმედებას. იმავე დღეს, დაკითხვისას, მომჩივანმა დაადასტურა, რომ ის იცნობდა ა.კ.-ს 30 წლის განმავლობაში და იცოდა, რომ ის ფლობდა „კანონიერი ქურდის“ სტატუსს. ამასთან ერთად, მომჩივნის აზრით, „კანონიერი ქურდი“ იყო „კაი კაცი“.

2006 წლის 29 სექტემბერს გამოძიება შეწყდა ა.კ.-სა და ი.ა.-ს მიმართ და საქმე პროკურატურამ გადასცა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 მარტის განჩინებით მომჩივანი და ი.ა. მსჯავრდებულ იქნენ ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით (სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1 პუნქტი) და შესაბამისად, მათ მიესაჯათ 7 და 5 წლით თავისუფლების აღკვე-

თა. ხოლო ა.კ. მსჯავრდებულ იქნა იმავე მუხლის მე-2 პუნქტით – კანონიერი ქურდობა – და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მომჩივანს ბრალდებოდა შემდეგი ქმედება: „აღიარებდა და ცნობდა რა ქურდულ სამყაროს, [მომჩივანი] საჯაროდ გამოხატავდა მათდამი მხარდაჭერას თავისი ცხოვრების წესით და აქტიურად იყო ჩართული ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელების პროცესში... მისი წევრებისა და სხვა პირებისთვის სარგებლის მოპოვებით და დაკავებული იყო რიგითი ინდივიდების ტერორიზებითა და იძულებით; [მომჩივანი] ავრცელებდა ქურდული სამყაროს წესებს საკუთარი მოქმედებით და კანონიერ ქურდებს ხელს უწყობდა ქურდული სამყაროს მართვაში.

უფრო კონკრეტულად, მომჩივნის ბრალეულობა ეფუძნებოდა სამ ეპიზოდს, რომლის ავთენტურობა დამტკიცებულია მრავალი მონმის ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც დაკითხა გამოძიებამ და მონმედ გამოცხადდნენ სასამართლოზე. ამასვე მიუთითებდა მომჩივნის, სხვა მსჯავრდებულთა და რელიევანტურ პირთა სატელეფონო მოსმენისას მიღებული მტკიცებულებები.

პირველ რიგში, სასამართლომ დაადგინა, რომ ა.კ.-მ, რომელიც, ზოგადად, მიჩნეული იყო კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ ხელმძღვანელად რეგიონში, დაავალა მომჩივანს, გაერჩია ბინასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ეხებოდა ა.კ.-ს სიდედრს და სხვა პირს. სასამართლომ დაადანაშაულა მომჩივანი ამ დავალების მიღებასა და 2006 წლის 24 ივნისს, ა.კ.-ს კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, საქმის არაოფიციალურ გარჩევაში მონაწილეობის გამო. საპასუხოდ, მომჩივანი წარუმატებლად დაობდა, რომ მას მხოლოდ სურდა დახმარებოდა ახლობელ ქალბატონს, რათა მეგობრული შეთანხმებით გადაეწყვიტა დავა, რაც ასევე ურჩიეს მათ სამოქალაქო საქმის განხილვისას. მისი თქმით, მომჩივანმა არ იცოდა, რომ ჩვეულებრივ მსგავსი ქცევა იყო სისხლის სამართლის დანაშაული. მისივე თქმით, მისმა ძველმა მეგობარმა ა.კ.-მ სთხოვა, ამ დავაში ჩართულიყო.

ამას გარდა, საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ თანაბრადებულმა, „კანონიერმა ქურდმა“ ა.კ.-მ 2006 წლის 24 ივლისს განმცხადებელს მოსთხოვა, რომ დაედგინა ორი, 20-დან 25-წლამდე ადამიანის ადგილსამყოფელი, რომელთაც უარი თქვეს ტაქსის მძღოლისთვის გადაეხადათ მომსახურების საფასური. მომჩივანს ეთხოვა, მისი და ა.კ.-ს ავტორიტეტის გამოყენებით, დაერწმუნებინა ორი ახალგაზრდა, რომ გადაეხადათ ვალი მძღოლისთვის. მომჩივანმა მიანიშნა, რომ ა.კ.-მ სთხოვა ასეთი დავის განხილვაში მონაწილეობა, თუმცა განაცხადა, რომ პრაქტიკულად მას არანაირი ქმედება არ განუხორციელებია და არ შეეძლო გაეგო, თუ რატომ უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი იმაზე, რაც არ ჩაუდენია.

საბოლოოდ, საქალაქო სასამართლო დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ 2006 წლის 8 ივნისს მომჩივანი სტუმრობდა თავისუფლებადკვეთილ ახლობელს, რომელსაც ქურდული სამყარო მიიჩნევდა თავის „მომავლად“, რაც ნიშნავს ადამიანს, რომელიც მომავალში იქნება „კანონიერი ქურდი“. გარდა ე.წ „ობშიაკის“ განხილვისა, რომელიც წარმოადგენს ქურდული სამყაროს საერთო ფონდს, განმცხადებელმა მიაწოდა ინფორმაცია მსჯავრდებულს იმის შესახებ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს შესაძლოა, მალე დაეკარგა თანამდებობა, რაც საშუალებას მისცემდა ქურდულ სამყაროს, აღედგინა საკუთარი ავტორიტეტი და სხვა შესაბამისი წესები. მესამე ეპიზოდის შესახებ მომჩივანმა წარუმატებლად იდავა სასამართლოს წინაშე, რომ მან უბრალოდ გამოხატა თავისი აზრი შინაგან საქმეთა მინისტრის პიროვნების მიმართ და რომ ის ამისთვის არ უნდა დაისაჯოს.

2007 წლის 10 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა მომჩივნის სა-

ჩივარი და მის მიმართ 2007 წლის 27 მარტს გამოტანილი განაჩენი სრულად დატოვა ძალაში. 2008 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საკასაციო საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად და მის მიმართ დასრულდა სისხლისსამართლებრივი ნარმოება.

შესაბამისი შიდა სამართალი და შედარებითი კვლევა

ა. კანონმდებლობა „ქურდული სამყაროს“ ინსტიტუტის შესახებ

სისხლის სამართლის კოდექსში 223¹ მუხლი საქართველოს პარლამენტმა შეიტანა 2005 წლის 20 დეკემბერს. მუხლი ასე იკითხება:

„მუხლი 223(1): ქურდული სამყაროს წევრობა. კანონიერი ქურდობა“

1. ქურდული სამყაროს წევრობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.
2. კანონიერი ქურდობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

2005 წლის 20 დეკემბრის შესწორებას, რომელიც წარადგინა საქართველოს პრეზიდენტმა, თან ახლდა ოფიციალური ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც მოიცავდა ორი ზემოთ ხსენებული ქმედების კრიმინალიზაციის დასაბუთებას შემდეგი სახით:

„არსებული კანონმდებლობა უკვე მოიცავს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმებს. თუმცა, ეს მექანიზმები არ არის საკმარისი, რომ სპეციფიკურად მოიცავს კრიმინალური დაჯგუფებების, ქურდული სამყაროს აქტივობები და რეკეტი.“

ამჟამად... სახელმწიფოში ისევ არსებობს სხვადასხვა კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებენ სპეციალური წესებით. ამ ჯგუფების მიზნებისა და ფუნქციის მეთოდების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეს ჯგუფები თავს უწოდებენ „ქურდულ სამყაროს“, რომლის არსებობაც კონფლიქტშია საზოგადოების ინტერესებთან.“

გარდა სისხლის სამართლის 223¹ მუხლისა, 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეორე კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. ამ კანონის მე-3 მუხლი ხსნის „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან მცნებას:

მუხლი 3. ქურდული სამყარო, ქურდული სამყაროს წევრი, კანონიერი ქურდი

1. **ქურდული სამყარო** – პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ ნაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.
2. **ქურდული სამყაროს წევრი** – ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

3. **ქურდული გარჩევა** – ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან ორზე მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.
4. **კანონიერი ქურდი** – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

ბ. „ქურდული სამყაროს“ ინსტიტუტი

რამდენიმე სოციალურ-სამართლებრივმა კვლევამ შეისწავლა „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ ფენომენი, რამდენიმე მათგანზე მიუთითა მთავრობამ თავის წარდგინებაში. ყველაზე რელევანტური აღმოჩენები ამ კვლევებიდან გვაძლევს შემდეგ ზოგად სურათს.

ე.წ. „ქურდული სამყარო“ საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიიჩნევა თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურის ხერხემლად. ამ პროფესიონალ კრიმინალურ სამყაროს ჰყავს თავისი ცნობადი ლიდერები, აქვს წინასწარ შემუშავებული ინიცირების რიტუალები და ქცევის წესები. ამ სამყაროს გააჩნია კარგად ორგანიზებული მართვის სტრუქტურა, სუბორდინაციისა და მისი წევრების კონტროლის მკაცრი სისტემა, ხოლო მისი გავლენა ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა სექტორზე. ამ საბჭოური ეპოქის ინსტიტუტის ისტორია იწყება იმპრიული რუსეთიდან. საბჭოური კრიმინალური დაჯგუფების ტრადიციული სტრუქტურა 1917 წლის რევოლუციიდან მოყოლებული, ეფუძნებოდა იერარქიასა და „ქურდული კანონისადმი“ (სპეციალური წესები, რომლებიც არეგულირებს ქურდული სამყაროს წევრების ქცევას) მკაცრ მორჩილებას. ამ კრიმინალური ორგანიზაციების წევრები იმ დროს იყვნენ ანტიკომუნისტურად განწყობილნი და ძირითადად ევალუბოდათ, ჰქონოდათ მოკრძალებული ცხოვრება. საბჭოთა ეპოქის პროგრესთან ერთად ახალი ტიპის კრიმინალები ჩამოყალიბდნენ და ახლებური კრიმინალური სტრუქტურები შეიქმნა, რომელთა საზრუნავს წარმოადგენდა მატერიალური სიმდიდრისა და ძალაუფლების მოხვეჭა. ეს ინდივიდები გაემიჯნენ „ქურდული სამყაროს“ ტრადიციულ ხედვას და ჩამოაყალიბეს მატერიალისტური ინტერესების მქონე ახალი დაჯგუფებები. მეცნიერების აზრით, საბჭოთა კავშირმა თავისი წვლილი შეიტანა ტრადიციული სტრუქტურის რღვევაში, რამაც გამოიწვია „კანონიერი ქურდის“ სტატუსის გამითიურება¹.

„კანონიერი ქურდები“ არიან ყველაზე პოპულარული კრიმინალები, რომლებსაც ემორჩილებიან სხვა სამართალდამრღვევები. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების კრიმინალურ წრეებში ისინი სარგებლობენ უდავო ავტორიტეტითა და მაღალი სტატუსით. „კანონიერი ქურდები“ წარმოადგენენ ორგანიზებული კრიმინალური სამყაროს ელიტას, რომელიც რანგით იტალიური „ნათლის“ ეკვივალენტურია. „კანონიერი ქურდის“ ტიტული სამართალდამრღვევს ჩვეულებრივ გადაეცემა „ნათლობის“ რიტუალით, შედარებით უფროსი „კანონიერი ქურდისგან“. ამ ტიტულის მფლობელები მიიჩნევიან „ქურდული კანონის“ დამცველებად. „კანონიერი ქურდი“ იშვიათად სჩადის დანაშაულს პირადად. „კანონიერი ქურდის“ მიერ განხორციელებული კონტრო-

¹ ბიბლიოგრაფია: L.D. Newman, Rico and the Russian Mafia: Toward a New Universal Principle Under International Law, 9 Ind. Int'l & Comp. L. Rev. 225, 1998-199, at p. 231, with further relevant bibliography cited therein; Y. Glazov, "Thieves" in the USSR – A Social Phenomenon, Survey, in M. Galeotti (Ed.), Russian and Post-Soviet Organised Crime (2002); F. Varese, The Society of the Vory-v-Zakone, 1930s-1950s, Cahiers du monde russe, in M. Galeotti (Ed.), Russian and Post-Soviet Organised Crime (2002), at p. 515).

ლის ერთ-ერთი თავისებურებაა მისი ავტორიტეტი კრიმინალურ რგოლებში, რომელიც რეპუტაციაზეა დაფუძნებული. ამრიგად, მოცემულ ტერიტორიაზე ფიზიკურად ყოფნა ერთმნიშვნელოვნად არ არის კრიმინალური ხელმძღვანელების ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განმსაზღვრელი ფაქტორი. ამის სანაცვლოდ, კრიმინალურ ხელმძღვანელებს შორის კომუნიკაციისა და პოზიტიური საზოგადოებრივი განწყობის კარგად განვითარებული ქსელი უზრუნველყოფს მათ გავლენას კრიმინალურ სამყაროზე. ზოგადად, კრიმინალური სამყაროს ეფექტური ხელმძღვანელობის შესანარჩუნებლად „კანონიერმა ქურდებმა“ უნდა შეასრულონ ორი ძირითადი ფუნქცია: (1) ინფორმაციული ფუნქცია (ეს მოიცავს კონკრეტულ ინდივიდებსა და მოვლენებზე ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზსა და შეფასებას); (2) ორგანიზაციული ფუნქცია (სხვადასხვა სპეციფიკური აქტივობის დაგეგმვა და პასუხისმგებლობის დელეგირება კრიმინალურ სამყაროს სხვა წევრებზე); (3) ნორმატიულ-რეგულაციური ფუნქცია (იგულისხმება კრიმინალური იდეოლოგიის გავრცელება, კრიმინალური ცხოვრების რომანტიზირება, ახალგაზრდების გამოზრდა, კრიმინალურ წრეებში „ქურდული კანონის“ დაცვა); (4) გადაწვეტილების მიღების ფუნქცია – (სხვა კავშირში მყოფი კრიმინალური ჯგუფების საქმიანობის კოორდინირება და მართვა, მათ შორის: სახლების მძარცველების, რეკეტიორების, ყაჩაღების, ჯიბის ქურდების, მანქანის გამტაცებლების, ადამიანების გამტაცებლების). ამას გარდა, „კანონიერი ქურდის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა კრიმინალური სამყაროს ერთიანი მონეტარული ფონდის „საერთოს“, ანუ ე.წ. „ობშიაკის“ ადმინისტრირება. უნდა აღინიშნოს, რომ „კანონიერი ქურდებს“ არა მარტო კრიმინალურ წრეებში ჰქონდათ ავტორიტეტი და ახორციელებდნენ კონტროლს, არამედ საზოგადოების სხვადასხვა სექტორზეც, ზოგადად. წარსულში ისინი მიჩნეული იყვნენ პატივსაცემ, სოციალურ ავტორიტეტებად და მათ ხშირად იყენებდნენ დავების გადაწყვეტის მიზნით. სიმდიდრისა და ავტორიტეტის გამო, ისინი ახალგაზრდებისთვის იქცნენ მისაბამ ადამიანებად. სოციალურ და კრიმინალურ ელიტებს შორის გადაკვეთა და კავშირი ხშირად სახელდება „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ერთ-ერთი თვალსაჩინო თავისებურებად².

ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოყოლებული, ყველა ამ მოვლენამ სიღრმისეული გავლენა მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში კრიმინალური ძალების სტრუქტურის ფორმირებასა და ციხის სამყაროზე. ამას გარდა, ქართველი „კანონიერი ქურდები“ ითვლებოდნენ ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გავლენიან ეთნიკურ ჯგუფად საბჭოთა კავშირის მთლიან კრიმინალურ ელიტაში (სტატისტიკური თვალსაზრისით, ქართველი „კანონიერი ქურდები“ შეადგენდნენ მთლიანად კრიმინალური ბოსების 31.6%-ს და იყვნენ პირველნი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფის – რუსი „კანონიერი ქურდების“ შემდეგ). ქართველი „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს ტრადიციულად განსაკუთრებული წონა ჰქონდა იმავე დონის, ან უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი კრიმინალებისთვის. 1985 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამართალდამცავ ორგანოებს დაავალა, დაეწყოს სადამსჯელო ღონისძიებები „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ. ცენტრალურმა კომიტეტმა, ხაზი რომ გაესვა ამ მისიის მნიშვნელობისთვის, ნათელი გახადა, რომ ის ოფიციალური პირები, ვინც ვერ შეასრულებდნენ მათზე დაკისრებულ დავალებას, მიიჩნეოდნენ სამართალდამრღვევებად და მათ მიმართ გატარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები. 1986 წლისთვის დააკავეს 52 ქართველი „კანონიერი ქურდი“. თუმცა, ეროვნულმა სასამართლობამ დაადგინეს ყველაზე მსუბუქი სასჯელები, რაც კი შესაძლებელი იყო. ეს ნაწილობრივ აიხსნა ორგანიზებული დანაშაულის ეფექ-

² ბიბლიოგრაფია: Joseph D. Serio and V. S. Razinkin, Thieves Professing the Code: The Traditional Role of “Vory v Zakone” in Russia’s Criminal World and Adaptations to a New Social Reality, *Low Intensity Conflict & Law Enforcement*; L. Shelley, Post-Soviet Organised Crime and the Rule of Law, 28 *J. Marshall L. Rev.* 827 1994-1995, at p. 827; Sharon A. Melzer, *Russian and Post-Soviet Organised Crime*, by Mark Galeotti (Ed.), Book Review, *International Criminal Justice Review*.

ტური სისხლისსამართლებრივი დევნისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძვლების არარსებობით (იმ დროისთვის არ არსებობდა კანონი, რომელიც კრძალავდა კრიმინალურ ავტორიტეტად ყოფნის ფაქტს). შესაბამისად, 4 „კანონიერ ქურდს“ ალექვეთა თავისუფლება პრობაციის წესების დარღვევისთვის, 9 – მანანალობისა და „პარაზიტული ცხოვრების სტილის“ სხვა ფორმებისთვის, 14 – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის არალეგალური მფლობელობისა და შენახვისთვის, 19 – ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის და დანარჩენი 6 „კანონიერი ქურდი“ დააპატიმრეს სხვადასხვა მსუბუქი ხასიათის დანაშაულისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში მაინც რთული იყო დაპატიმრებული „კანონიერი ქურდების“ საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რადგან მათ ადვილად შეეძლოთ გაეგრძელებინათ კრიმინალური სამყაროს მართვა საკნებიდან³.

სასამართლოს შეფასება კონვენციის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე

მომჩივანი დაობდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლი არ იყო ზუსტი და საკმარისად ნათელი იმისთვის, რათა შეეფასებინა, რა სახის ქმედება შეიძლება ჩაითვალოს კრიმინალური სამყაროს ნევრობასთან კავშირად და შესაბამისად, დასჯადად. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-7 მუხლს, რომელიც შესაბამის ნაწილში შემდეგნაირად იკითხება:

„1. არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს.“

ხელისუფლებამ, მიმართა რა რელევანტური სოციოსამართლებრივი კვლევების ვრცელ ბიბლიოგრაფიას, მოიწვია სასამართლო, რათა მხედველობაში მიეღო „ქურდული სამყაროს“ სოციალური ფენომენი, რომელსაც მართავენ მაფიის ტიტულოვანი ბოსები. ისინი საქართველოში ცნობილი იყვნენ როგორც „კანონიერი ქურდები“. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ამგვარი კრიმინალური ბოსების არაფორმალური ავტორიტეტი ფართოდ გასცდა დანაშაულებრივ სამყაროს და ასევე აბინძურებდა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს. შესაბამისად, ახალგაზრდები ცდილობდნენ დამსგავსებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს. „ქურდული სამყაროს“ ზოგიერთი წარმომადგენელი მაღალი თანამდებობის მქონე საჯარო მოხელეზეც კი ცნობილი იყო. ისინი თანამშრომლობდნენ და მხარს უჭერდნენ ამ ავტორიტეტებს და ამის სანაცვლოდ ფინანსურ მხარდაჭერას იღებდნენ ბიზნეს წრეებიდან „შემონირულობის“ სახით. ამ გაუმართლებელმა გავლენამ, სხვა საკითხებთან ერთად, გამოიწვია „კანონიერი ქურდების“ მიერ ციხეების ტოტალური კონტროლი. დაშინებებით, იძულებითა და კოოპერირებით კრიმინალურ ავტორიტეტებს ჰქონდათ უსაზღვრო გავლენა სხვა პატიმრებსა და ციხის ოფიციალურ პერსონალიზე, ხოლო მათ მიერ დადგენილი წესებისადმი დაუმორჩილებლობას, მათ შორის ე.წ. „ობშიაკში“ წვლილის შეუტანლობას, შეეძლო გამოეწვია მეტად სასტიკი სასჯელი, სიკვდილიც კი.

ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მრავალი წლის განმავლობაში არ მიმდინარეობდა რეალური ბრძოლა „კანონიერი ქურდების“ ნორმებსა და მათ დანაშაულებრივ სინდიკატებთან, ვინაიდან არ არსებობდა საერთო პოლიტიკური ნება. მხოლოდ 2003 წლის

³ ბიბლიოგრაფია: ვ. დევის ნორდინი და გ. ლლონტი, კანონიერი ქურდები და კანონის უზენაესობა საქართველოში, საერთაშორისო ურთიერთობების კავკასიური მიმოხილვა, Vol.1 (1) – 2006; ლ.ი. შელი, პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული, პრობლემა და რეაქცია, ევროპული ჟურნალი სისხლისსამართლებრივ პოლიტიკასა და კვლევაზე, Vol.3-4, გვ.8.

ნოემბერში ხელისუფლების ცვლილების შემდგომ დაიწყო სახელმწიფომ სამართლებრივი და სხვა ხასიათის ზომების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავდა კრიმინალური ავტორიტეტების ძალაუფლებასთან ბრძოლას. კერძოდ, 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 223¹-ე მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებდა ორ განსხვავებულ სისხლისსამართლებრივ დანაშაულს – (i) „ქურდული სამყაროს“ წევრობა და (ii) „კანონიერ ქურდად“ ყოფნა. ამ დანაშაულების კრიმინალიზაცია დაფუძნებული იყო სახელმწიფო ორგანოების საფუძვლიან ცოდნაზე „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სპეციფიკური მახასიათებლებისა და „ქურდული სამყაროს“ სხვადასხვა ქცევის წესების შესახებ. მაგალითად, 223¹-ე მუხლი მიზნად ისახავდა გამოეგლინა საზოგადოდ აღიარებული ფენომენი, რომლის მიხედვითაც „კანონიერ ქურდებს“ პირადად თვითონ არ ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი, მაგრამ ორგანიზებას უწევდნენ სხვადასხვა დანაშაულებრივ ქმედებას კრიმინალური სინდიკატების საშუალებით, რომლებიც მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სუბორდინაციის ქვეშ მოქმედებდნენ. „ქურდების“ ძალაუფლების ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი მახასიათებელი იყო მათ რეპუტაციაზე დაფუძნებული ავტორიტეტი დანაშაულებრივ წრეებში, რაც გულისხმობდა იმას, რომ მაშინაც კი, როდესაც ისინი ფიზიკურად არ იმყოფებოდნენ ქვეყანაში, მაინც შეეძლოთ ერთგული კრიმინალების ქსელის მეშვეობით საფრთხე შეექმნათ საჯარო წესრიგისთვის.

ხელისუფლებამ ასევე განაცხადა, რომ 2005 წლის 20 დეკემბრის ცვლილებას სისხლის სამართლის კოდექსში თან ახლდა ოფიციალური განმარტებითი მემორანდუმი, რომელიც სამართლებრივი ცვლილების დასაბუთებასთან ერთად წარადგენდა ამ დანაშაულების შემადგენელ ნაწილებსაც (შემადგენლობას).

ამას გარდა, ცვლილება წარმოადგენდა უფრო ფართო საკანონმდებლო პაკეტის მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს, რომელიც მიზნად ისახავდა კრიმინალური სინდიკატების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. კანონმდებლობის სხვა ნაწილი, რომელიც მიღებულ იქნა იმავე დღეს, იყო კანონი ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტზე, რომლის მე-3 თავი სრულყოფილად განუმარტავდა საზოგადოებას იმგვარი ტერმინების მნიშვნელობას, როგორცაა: „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრობა“, „დავების გადაწყვეტა კანონიერი ქურდის ავტორიტეტის გამოყენებით“, „კანონიერი ქურდობა“ და ა.შ. 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო პაკეტით, საქართველოს სახელმწიფოს შეეძლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაეწყო და ბრალი წაეყენებინა 180-ზე მეტი კრიმინალური ავტორიტეტისთვის, რომელთაგან 20 მსჯავრდებულ იქნა „კანონიერი ქურდობისთვის“. ამას გარდა, ზოგიერთმა ყველაზე ძლიერმა „კანონიერმა ქურდმა“ შეძლო საქართველოდან გაქცევა. მათ თავშესაფარი ჰპოვეს ან რუსეთის ფედერაციაში და უკრაინაში, ან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც ამ ანტიკრიმინალურ კამპანიას მოჰყვა, იყო პროგრესი კრიმინალური ავტორიტეტების საზოგადოებაზე ფართო სოციალური გავლენის აღმოფხვრასა და მათი პრივილეგიური სოციალური მდგომარეობის განადგურებაში.

შესაბამისად, ხელისუფლება დაობდა, რომ ზემოხსენებული 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო პაკეტი იყო საკმარისზე მეტი, რათა მომჩივანს ნათელი წარმოედგინა ჰქონოდა, რომ მისი „ქურდულ სამყაროსთან“ სიახლოვე აუცილებლად გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას 223¹-ე მუხლის საფუძველზე და აქედან გამომდინარე, თავისი ქმედებები შესაბამისად უნდა დაერეგულირებინა.

პასუხად მომჩივანმა ახალი არგუმენტების წარდგენის გარეშე გამოთქვა უკმაყოფილება ხელისუფლების პოზიციის მიმართ და გაიმეორა, რომ მას არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა, თუ მისი რომელი ქმედება გამოიწვევდა პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 223(1) მუხლის ფარგლებში. იგი დაობდა, რომ არ იცოდა, თუ

რას ნიშნავდა მცნებები „ქურდული სამყარო“ ან „დავების გადაწყვეტა კანონიერი ქურდის ავტორიტეტის გამოყენებით“.

კონვენციის მე-7 მუხლის §1 სცდება სისხლის სამართლის ბრალდებულის საზიანოდ რეტროსპექტიულად გამოყენების აკრძალვას. იგი ასევე უფრო ზოგადად ადგენს პრინციპს, რომ მხოლოდ კანონი განსაზღვრავს დანაშაულს და აწესებს სასჯელს. როდესაც იგი კრძალავს არსებული დანაშაულების ფარგლების იმ ქმედებებზე გავრცელებას, რომლებიც ადრე არ იყო სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, ამავე დროს ადგენს იმ პრინციპს, რომ სისხლის სამართალი არ უნდა განიმარტოს ფართოდ, ბრალდებულის საზიანოდ, მაგალითად, ანალოგიით. აქედან გამომდინარე, დანაშაულები და შესაბამისი სასჯელები კანონით ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული. ეს მოთხოვნა შესრულებულია მაშინ, როდესაც პირს შესაბამისი დებულების ტექსტიდან შეუძლია იცოდეს, ან თუ საჭიროა სასამართლომ განუმარტოს, რა ქმედებები და უმოქმედობები გამოიწვევენ მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. როდესაც საუბარია „სამართალზე“, მე-7 მუხლი გულისხმობს ზუსტად იმ მნიშვნელობას, რომელსაც კონვენცია სხვადასხვა შემთხვევაზე იყენებს. ეს არის მნიშვნელობა/კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც ნორმატიულ, ისე პრეცედენტულ სამართალს და გულისხმობს თვისებრივ მოთხოვნებს, მათ შორის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას⁴.

იმ პრინციპით, რომ სამართალი უნდა იყოს ზოგადი გამოყენების, საკანონმდებლო აქტები ყოველთვის ზუსტი არ არის. ეს ნიშნავს, რომ ბევრი კანონი ფორმულირებულია ისეთი ტერმინებით, რომლებიც უმეტესად ბუნდოვანია და მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება დამოკიდებულია პრაქტიკაზე. შესაბამისად, ნებისმიერი სამართლის სისტემაში რამდენადაც ნათლად არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული სამართლებრივი დებულება, მათ შორის – სისხლისსამართლებრივი ნორმები, შესაძლოა, გარდუვალად არსებობდეს სასამართლო განმარტების ელემენტის აუცილებლობა, სადავო საკითხების განმარტებისა და შეცვლილ გარემოებებთან ადაპტაციის საჭიროება. მაშინ, როცა სამართლებრივი განსაზღვრულობა უაღრესად სასურველია, მას შეიძლება მოჰყვეს გადაჭარბებული სიხისტე და სამართალმა უნდა შეძლოს ფეხი აუწყოს ცვალებად გარემოებებს. კანონმა შესაძლოა, მაინც დააკმაყოფილოს „განჭვრეტადობის“ მოთხოვნა იქ, სადაც პირმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი სამართლებრივი დახმარება, რათა ის შედეგები, რაც შესაძლოა, განხორციელებულ ქმედებას მოჰყვეს, შეაფასოს იმ ხარისხით, რაც გონივრულია არსებულ გარემოებებში⁵.

წინამდებარე საქმეს რომ დავუბრუნდეთ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს ბრალი ედებოდა „ქურდული სამყაროს“ წევრობაში სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის საფუძველზე. ამგვარად, მხარეთა შორის დავის არსი მდგომარეობს იმაში, იყო თუ არა ამ კონკრეტული დანაშაულის მნიშვნელობა ნათელი და საკმარისად განჭვრეტადი, რათა მომჩივანს შესძლებოდა თავისი ქმედებების წინასწარ დარეგულირება.

სასამართლო მიუთითებს, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობა, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლით, მჭიდროდ არის დაკავშირებული „კანონიერ ქურდად“ ყოფნის დანაშაულთან. ეს უკანასკნელი სისხლისსამართლებრივად იდევენება იმავე მუხლის მე-2 პარაგრაფით. ორივე ასახავს

⁴ იხ.: *Cantoni v. France*, 15 November 1996, §29, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიში 1996 V; *Colme and Others v. Belgium*, nos. 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 და 33210/96, §145, ECHR 2000 VII; და *Sud Fond S.r.l. and Others v. Italy*, no. 75909/01, §§107 და 108, 2009 წლის 20 იანვარი)

⁵ *Achour v. France* [GC], no. 67335/01, § 54, ECHR 2006 IV, *Huhtamäki v. Finland*, no. 54468/09, § 44, 6 March 2012

კარგად ცნობილ ორგანიზებულ დანაშაულს, რომლის მიმართაც საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 20 დეკემბერს მიიღო ფართო საკანონმდებლო პაკეტი, რათა გაძლიერებულიყო ბრძოლა ამგვარი დანაშაულებრივი სინდიკატების წინააღმდეგ. სასამართლოს ყურადღება მანამდე ექცეოდა ამ საშიში კრიმინალური საზოგადოების ფუნქციონირებას და მის შურისმაძიებელ კანონებს საქართველოს ციხის სექტორის კონტექსტში⁶. ახლა, წინამდებარე საქმის კონტექსტში, სასამართლოს წინაშე დეტალურად იქნა ახსნილი მრავალი სოციოსამართლებრივი კვლევის შედეგები, რომლებიც „ქურდული სამყაროს“ დანაშაულებრივი ინსტიტუტის ქართულ საზოგადოებაზე გავლენას ეხებოდა. შედეგად, გაავლო რა პარალელი სხვა, აღიარებულ სოციალურ პარაზიტებთან, რომლებსაც წარმოადგენენ მაფიის ტიპის ორგანიზაციები⁷, სასამართლო მიუთითებს იმ ლოგიკაზე, რომელიც არსებობდა მოპასუხე სახელმწიფოს 2005 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, რომ შეექმნა სამართლებრივი საფუძველი, რათა უფრო ეფექტურად ებრძოლა დანაშაულებრივ ქმედებებთან.

მართლაც, შესაბამისი კვლევები აჩვენებდა, რომ „ქურდული სამყაროს“ არსებობა და ფუნქციონირება 2005 წლის 20 დეკემბრის ანტიკრიმინალური საკანონმდებლო პაკეტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე აბინძურებდა არა მარტო ციხის სექტორს, არამედ ასევე მთლიანად საზოგადოებას საქართველოში, მათ შორის, მის ყველაზე მონყვლად წევრებს, კერძოდ, ახალგაზრდებს. ამ კვლევებისა და ხელისუფლების განცხადებების მხედველობაში მიღებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს დანაშაულებრივი ფენომენი იმდენად ღრმად იყო საზოგადოებაში გამჯდარი და „კანონიერი ქურდების“ სოციალური ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრებისთვის მცნებები – „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“, „დავების გადაწყვეტა კანონიერი ქურდის ავტორიტეტის გამოყენებით“, „ობშიაკი“ და ა.შ. იყო საყოველთაოდ ცნობილი და გასაგები იყო.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ 2005 წლის 20 დეკემბერს ორი ახალი დანაშაულის წარდგინებით („ქურდული სამყაროს წევრობა“ და „კანონიერი ქურდობა“), საქართველოს კანონმდებლობამ მოახდინა მხოლოდ ამ ცნებების და დანაშაულებრივ („ქურდულ“) სუბკულტურასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცია, რომელთა ზუსტი მნიშვნელობა უკვე ისედაც კარგად იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. საინტერესოა ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობამ გადაწყვიტა სასაუბრო ენის შენარჩუნება ამ დანაშაულების სამართლებრივი აღწერისას. სასამართლოს აზრით, ეს მიზნად ისახავდა იმის უზრუნველყოფას, რომ ახლად კრიმინალიზებული დანაშაულების არსი საზოგადოებას უფრო ადვილად გაეგო. ამდენად, სასამართლო ვერ დაარწმუნა მომჩივნის მცდელობებმა, რომ თავი წარმოედგინა იმ პირად, რომლისთვისაც კრიმინალურ სუბკულტურასთან დაკავშირებული მცნებები სრულიად უცხო იყო, განსაკუთრებით იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი აშკარად საპირისპიროს ვარაუდობდა შიდასამართლებრივი გამოძიების წინაშე მიცემულ ჩვენებებში. ამგვარად, მომჩივანმა აღნიშნა, რომ მან იცოდა, რომ ა.კ. იყო „კანონიერი ქურდის“ განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი და რომ, ზოგადად, მისი აზრით, „კანონიერი ქურდი“ იყო „ალალ-მართალი ადამიანი“. ამას გარდა, როდესაც იგი სტუმრობდა თავის დაპატიმრებულ ნაცნობს, „კანონიერ ქურდად“ „მონათვლის“ კანდიდატს, მომჩივანმა, ფინანსური საკითხების განხილვასთან ერთად, რომლებიც ქურდული სამყაროს „ობშიაკის“ მართვას ეხებოდა, ასევე გამოხატა მოსაზრებები, რომლებიც აშკარად ადასტურებდნენ მის ინტერესს შესაბამისი კრიმინალური სუბკულტურისა და „ქურდული სამყაროს“ მიმართ და მის მიერ იმ სპეციფიკური კანონების გაგებას, რომლებიც ამ სამყაროში მოქმედებდნენ. ამას გარდა, როდესაც საკუთარი

⁶ იხ.: ცინცაძე საქართველოს წინააღმდეგ, no. 35403/06, §§61, 66-69 და 87-92, 2011 წლის 15 თებერვალი

⁷ იხ.: მაგალითისთვის Raimondo v. Italy, 1994 წლის 22 თებერვალი, §30, seria A no. 281-A

ნებასურვილით ჩაერთო ორი პირადული დავის გადაწყვეტაში, მომჩივანს არ უყოყმანია გამოეყენებინა საკუთარი, როგორც ქურდული სამყაროს უფროსი წევრის, ავტორიტეტი და თავისი უფროსის, ტიტულოვანი „კანონიერი ქურდის“ ა.კ.-ს ავტორიტეტი, როგორც დამაჯერებელი საშუალება.

რაც მთავარია, სასამართლო ადგენს, რომ 223¹-ე მუხლის სისხლის სამართლის კოდექსისთვის დამატება, რომელიც აშკარად უკანონოდ აცხადებდა ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ ორ დამოუკიდებელ დანაშაულს, იყო 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებული უფრო ფართო საკანონმდებლო პაკეტის მხოლოდ ნაწილი, რომლის მიზანი იყო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერება. კანონმდებლობის მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული, იყო კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, რომლის მე-3 სექცია გასაგებად უხსნიდა საზოგადოებას ამგვარი, უკვე სასაუბრო ენაში დამკვიდრებული, ტერმინების მნიშვნელობას. ეს ტერმინებია: „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრი“, „საქმის გარჩევა კანონიერი ქურდის ავტორიტეტის გამოყენებით“, „კანონიერი ქურდობა“ და ა.შ. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ 223¹-ე მუხლი, ზემოხსენებული ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 სექციასთან ერთად აღებული, მოიცავდა ორი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ყველა შემადგენელ ელემენტს, რომელიც კავშირში იყო „ქურდული სამყაროს“ ფუნქციონირებასთან.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ 2005 წლის 20 დეკემბრის შემდეგ „ქურდული სამყაროს“ წევრობის დანაშაულის კრიმინალიზებით, მომჩივანს ათწლეულების განმავლობაში „ქურდული სამყაროს“ სუბკულტურაზე საყოველთაო ცოდნის საფუძველზე თუ არა, ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 სექციაზე ან შესაბამისი სამართლებრივი დახმარების შედეგად ადვილად შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებინა, თუ მისი რომელი ქმედება გამოიწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 223¹ §1 მუხლიდან გამომდინარე.

ამდენად, კონვენციის მე-7 მუხლი არ დარღვეულა.

მომჩივანი მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის §1 და 3, ასევე მე-8 და მე-10 მუხლებზე და ასევე დაობს მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის შედეგებზე, და აცხადებს, რომ იგი არის უდანაშაულო.

არსებული ყველა მასალის გათვალისწინებითა და იმდენად, რამდენადაც ეს საჩივრები ექცევა უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლო ადგენს, რომ ვერ აღმოაჩინა კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე სახით დარღვევა. ამდენად, საჩივრის ეს ნაწილი არ უნდა იქნეს განხილული, რადგან აშკარად დაუსაბუთებელია, კონვენციის 35-ე მუხლის §3 და 4-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს კონვენციის მე-7 მუხლის ფარგლებში საჩივარს – დასაშვებად და განცხადების დანარჩენ ნაწილს – დაუშვებლად;
2. ადგენს, რომ კონვენციის მე-7 მუხლი არ დარღვეულა.

ბედელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

Case of Begheluri and Others v. Georgia (N28490/02)

2002 წლის 22 ივლისს საქართველოს 99-მა მოქალაქემ განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2014 წლის 7 ოქტომბერს სტრასბურგის სასამართლომ განიხილა საჩივარი (№28490/02) და დაადგინა:

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 32 მომჩივნის მიმართ, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო;
2. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 46 მომჩივნის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მომჩივნების მიმართ არაეფექტური გამოძიების ჩატარების გამო;
3. დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 88 მომჩივნის მიმართ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართა საქართველოს 99-მა მოქალაქემ, რომელთაგან ყველა, გარდა ერთი მომჩივნისა, არის იელოვას მიმდევარი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ 2000-2001 წლებში მათ მიმართ განხორციელდა ფართომასშტაბიანი რელიგიური დევნა და ძალადობა.

სავარაუდო დევნა და ძალადობა მოიცავდა იელოვას მონმეთა მიმართ ფიზიკური და ვერბალური ძალადობის 30-მდე ეპიზოდს. კერძოდ, 2000 წლის სექტემბერში, იელოვას 700-მდე მონმის შეხვედრა, რომელიც გაიმართა დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში, ორი მომჩივნის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ჩაშალა პოლიციამ. მომჩივნების თქმით, პოლიციის ოფიცრებმა გახსნეს ცეცხლი, დაანგრიეს სახლი და სცემეს რამდენიმე მომჩივანს. სხვა მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანთა გარკვეულმა ჯგუფებმა, როდესაც ისინი ზეიმოდნენ თავიანთ რელიგიურ დღესასწაულს ერთ-ერთ კერძო სახლში, სტუმრობდნენ კონგრეგაციას (შეკრებებს), ანდა ავრცელებდნენ რელიგიური შინაარსის ლიტერატურას ქუჩებში. რაც შეეხება 2000 წლის სექტემბერში გამართულ შეხვედრას, ისინი, ვინც მიემგზავრებოდნენ დასასწრებად, გააჩერა პოლიციამ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე და ხელი შეუშალა მათ შეხვედრაზე ჩამოსვლას. ამავე დროს, პოლიციამ ნება დართო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლს, ავტობუსით განეგრძო გზა იმ ქალაქის მიმართულებით, სადაც აღნიშნული შეხვედრა უნდა გამართულიყო. მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის ამ ჯგუფმა შემდგომში ჩაშალა იელოვას მონმეთა შეხვედრა, დაარბია რელიგიური კუთხე და სცემა დამსწრეებს.

იელოვას მონმეებზე მრავალი თავდასხმა ჩაიდინა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ყოფილი მღვდლის – მამა ბასილის მრევლმა. განსაკუთრებით, 2000 წლის 16 და 17 აგვისტოს მართლმადიდებელი მრევლის დიდმა ჯგუფმა შეაღწია თბილისის სასამართლო დარბაზში, სადაც იელოვას ორი მონმის წინააღმდეგ იხილებოდა სისხლის სამართლის საქმე. ისინი თავს დაესხნენ როგორც მომჩივნებს (რამდენიმე მათ-

განს), ასევე ჟურნალისტებს და სასამართლო სხდომის დამკვირვებლებს, ხოლო ძალადობის იარაღად გამოიყენეს ხის გრძელი ჯვრები. აღსანიშნავია, რომ ისინი არც მოსამართლემ და არც უსაფრთხოების პერსონალმა არ გააჩერეს. თავდასხმა გადაიღო და გაამუქა ორმა სატელევიზიო არხმა.

მომჩივნებმა 160-მდე საჩივარი შეიტანეს საგამოძიებო ორგანოებში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ზოგიერთი თავდასხმა მიმდინარეობდა ან პოლიციელებისა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა უშუალო მონაწილეობით, ანდა მათი ნამკეზებლობითა და ხელშეწყობით, თუმცა მათი ჩივილი უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ რამდენიმე საქმეზე მიიღეს მომჩივნებმა წერილობითი პასუხი. უმრავლეს შემთხვევაში მომჩივნები ასჩივრებდნენ გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლების უმოქმედობას, რასაც არ მოჰყოლია რაიმე ადეკვატური შედეგი. სამ საქმეში მომჩივნებმა შეძლეს საკითხის უზენაეს სასამართლომდე მიტანა, მაგრამ მათი საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციამ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა და საერთაშორისო ამნისტიამ, არაერთხელ განაცხადეს, რომ 2000-2001 წლებში იელოვას მოწმეებს საქართველოში სდევნიდნენ კონკრეტული ადამიანები და მართლმადიდებლები, რომელთა უმრავლესობა იყო მამა ბასილის მრევლი, ხოლო სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლები ვერ უზრუნველყოფდნენ ძალადობის აღეკვეთას.

კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით მომჩივნები ჩიოდნენ, რომ მათ მიმართ ხორციელდებოდა ფართომასშტაბიანი, რელიგიურად მოტივირებული ძალადობა, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ ვერ შეძლო აღეკვეთა ეს აგრესია, შეეჩერებინა ან გამოესწორებინა, ვინაიდან უარი თქვა მომჩივნების საჩივრებზე ჩაეტარებინა ჯეროვანი და ეფექტური გამოძიება.

ამას გარდა, კონვენციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს მათი დაცვა ძალადობისგან, ვერ უზრუნველყვეს ასევე დაესაჯათ ის პირები, რომლებიც პასუხს აგებდნენ მათი რელიგიური მსახურების უსაფრთხოდ და თავისუფლად ჩატარებაზე და ის პირებიც, რომლებიც ამ საქმიანობაში იელოვას მოწმეებს ხელს უშლიდნენ.

და ბოლოს, კონვენციის მე-14 მუხლზე დაყრდნობით, მე-3 და მე-9 მუხლებთან ერთობლივად, მომჩივნები ჩიოდნენ, რომ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა, ისევე როგორც ხელისუფლების მიერ დამნაშავეთა ხელშეწყობა, გამოწვეული იყო მათი რელიგიური მრწამსით.

სასამართლოს შეფასება

სასამართლომ 11 მომჩივნის განაცხადი დაუშვებლად ცნო იმ მოტივით, რომ მათ ვერ წარმოადგინეს რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტს; არ იყო მათი ვინაობა ნათლად გარკვეული; ან მათ ვერ დაიცვეს სასამართლოში საჩივრის შეტანის ექვსთვიანი ვადა, როგორც ამას კონვენციის 35-ე მუხლი ითვალისწინებს.

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე

სასამართლომ შენიშნა, რომ ის ინციდენტები, რომელთა თაობაზეც მომჩივნები ჩი-

ოდნენ, არსებითად განსხვავდება ძალადობის მასშტაბებითა და სახელმწიფო მოხელეთა სავარაუდო მონაწილეობით. ყველა ინციდენტი ერთმანეთის მსგავსი იყო, თუმცა ამ ყველაფერს თან სდევდა შიშის შეგრძნება, ტანჯვა და დამცირება, რასაც მომჩივნები სავარაუდოდ განიცდიდნენ.

სასამართლომ 32 მომჩივნის მიმართ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, მათ მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის გამო. ამ მომჩივნებმა წარმოადგინეს კონკრეტული მტკიცებულებები (ზოგიერთ საქმეს ვიდეოფირიც ერთვოდა), თუ როგორი სასტიკი ფორმებით ხორციელდებოდა მათზე თავდასხმა, რაც საქართველოს მთავრობას არ გაუსაჩივრებია. აღნიშნულ საქმეებზე სასამართლომ დაასკვნა: გონივრულ ეჭვს მიღმა დადგინდა, რომ მომჩივნების მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა ან/და უხეში მოპყრობა და დამცირება, ძალადობრივი თავდასხმების კონტექსტში.

ყველა ამ საქმეში, პოლიციამ არაფერი მოიმოქმედა ძალადობის აღსაკვეთად. ზოგიერთ საქმეში სახელმწიფო მოხელეები უშუალოდ იყვნენ ძალადობის მონაწილენი. კერძოდ, მომჩივნებმა წარმოადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხარეო ოფისის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომლითაც გამოაშკარავდა 2000 წლის სექტემბერში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში იელოვას მონმეთა კრების ჩატარების ჩაშლის გეგმა. საქართველოს მთავრობას არ გაუპროტესტებია და ეჭვქვეშ არ დაუყენებია ამ დოკუმენტის ვალიდურობა და ხანდაზმულობა. უფრო მეტიც, რაც შეეხება სხვადასხვა მომჩივანზე თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდასხმას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო სასამართლო განხილვები ეხებოდა იელოვას ორი მონმის მიმართ აღძრულ, კარგად ცნობილ სისხლის სამართლის საქმეს. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი საქმის სენსიტიურობა და ძალადობრივი კონფრონტაციის შესაძლებლობა, მაინც არ მიიღო უსაფრთხოების შესაბამისი ზომები. თავის მხრივ, ინციდენტის დროს, მოსამართლე და უსაფრთხოების პერსონალი არც კი ჩარეულან, რომ შეეჩერებინათ დაპირისპირება.

რაც შეეხება 29 მომჩივანთან დაკავშირებულ საქმეებს, რომლებშიც წარმოდგენილი იყო მათ მიმართ განხორციელებული დევნისა და შეურაცხყოფის ფაქტები, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სასამართლომ შენიშნა: მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი განსაკუთრებით აშკარა რელიგიური დევნის ნიშნებით ნუხლის საფუძველს იძლეოდა, მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდა მათ მიმართ იმ ხარისხის ფიზიკურ თუ ემოციურ ძალადობას, რაც კონვენციის მე-3 მუხლის დაცულობის ფარგლებში ხვდება.

ამას გარდა, სასამართლომ მრავალ საქმეში დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი იმ მომჩივნებთან მიმართებით, რომლებიც გადარჩნენ ინციდენტების დროს და არ მიიღეს რაიმე დაზიანება, რადგან რელიგიური შეკრებების დროს ისინი დაცულნი იყვნენ ბლოკ-პოსტებით. და ბოლოს, სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იმ მომჩივნების მიმართ, რომლებსაც, მათი თქმით, კერძო პირებმა მიაყენეს შეურაცხყოფა, მაგრამ ვერ წარმოადგინეს იმის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული მტკიცებულებები, რომ შესაბამისმა სახელმწიფო მოხელეებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ აღნიშნული თავდასხმების შესახებ.

კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე (სასტიკად მოპყრობა)

სასამართლომ აღნიშნა, და მთავრობამ ეს არც გააპროტესტა, რომ მომჩივნებმა ძალადობის ამსახველ სავარაუდო ქმედებებზე მოითხოვეს შესაბამისი რეაგირება სახელმწიფო მოხელეებისგან. ეს უკანასკნელი ვალდებული იყო, ოპერატიულად შეე-

მონმებინა ინფორმაცია და გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები ნებისმიერი სამართალდარღვევის აღსაკვეთად. თუმცა, ზოგიერთ საქმეზე საერთოდ არანაირი გამოძიებაც კი არ დაწყებულა, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში იგი ხარვეზებით მიმდინარეობდა. კერძოდ: იყო მნიშვნელოვანი შეფერხებები, რამდენიმე კვირისა და თვეების დაგვიანებით ხდებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა; საკვანძო საგამოძიებო მოქმედება, ისეთი, როგორცაა სავარაუდო მსხვერპლების დაკითხვა, ხორციელდებოდა არსებითი შეფერხებით; არ ჩატარებულა იმ მომჩივანთა სამედიცინო ექსპერტიზა, რომელთა მიმართაც განხორციელდა ფიზიკური ძალადობა; არც სავარაუდო დამნაშავეები დაუკითხავთ. მაშინაც კი, როცა არსებობდა საკმარისი მტკიცებულება სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ძალადობაში მონაწილეობის თაობაზე, არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი მათი იდენტიფიცირებისა და დაკითხვის მიზნით. ამას გარდა, მომჩივნები არ იყვნენ ჯეროვნად ჩართულნი სისხლისსამართლებრივ განხილვებში. მათ უმეტესობას უარი ეთქვა მსხვერპლის სტატუსის ოფიციალურად მიანიჭებაზე; ხოლო ისინი, ვისაც მიენიჭა მსხვერპლის სტატუსი, არ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის მსვლელობის თაობაზე. და ბოლოს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს დაენახათ მომჩივნების მიმართ განხორციელებული ძალადობის უკან არსებული შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელმისაწვდომი მასალების გათვალისწინებით – საერთაშორისო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებების ჩათვლით – თავდამსხმელების მხრიდან ასეთი დისკრიმინაციული მოტივი, კერძო პირები არიან ისინი თუ სახელმწიფო მოხელეები, აშკარად მომდინარეობდა იმ დროისათვის იელოვას მონმეთა მიმართ საქართველოში არსებული ფართოდ გავრცელებული ცრურწმენებისა და ძალადობის მასშტაბებისგან. ეს ნაკლოვანებები საკმარისი აღმოჩნდა სასამართლოსთვის, რომ დაესკვნა: საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან იელოვას მონმეთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტების ადეკვატურ და ეფექტურ გამოძიებაზე უარი ატარებდა სისტემატურ ხასიათს. შესაბამისად, ამ კუთხით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

კონვენციის მე-3 მუხლის თაობაზე სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება მომჩივნების მიმართ მოპყრობასა და მათი საჩივრების განხილვას, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს დაუსჯელობის ატმოსფერო, რამაც საბოლოოდ წაახალისა იელოვას მონმეთა მიმართ თავდასხმები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევაზე (რელიგიის თავისუფლება)

საქართველოს მთავრობას არ გაუპროტესტებია მომჩივნების განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ მიმართ განხორციელდა თავდასხმები და დამამცირებელი მოპყრობა, ხოლო ზოგიერთ მათგანს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ, მათი რელიგიური მრწამსის გამო. შესაბამისად, ყველა სადავო ინციდენტი აშკარად წარმოადგენდა იელოვას მონმეთა მიმართ რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას. მთავრობამ ვერ წარმოადგინა მომჩივნების უფლებებში ჩარევის ფაქტებზე რაიმე გამამართლებელი არგუმენტაცია. ამას გარდა, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ზოგიერთი თავდამსხმელი უშუალოდ მუშაობდა სახელმწიფო მოხელის თანამდებობაზე. თუმცა რისკის ქვეშ არ დგებოდა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებისა თუ მესამე მხარის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ უფრო მეტად არ არსებობდა ადეკვატური რეაგირება სახელმწიფო მოხელეების მხრიდან იელოვას მონმეთა რელიგიური აღმსარებლობის უფლებებში მრავალჯერად და ფართომასშტაბიან ძალადობრივ ჩარევაზე.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ პასუხისმგებელმა მოხელეებმა ვერ განა-

ხორციელეს თავიანთი მოვალეობები, რათა უზრუნველყოს იელოვას მონმეთა კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების დაცვა, რის გამოც დაადგინა აღნიშნული მუხლის დარღვევა.

კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 და მე-9 მუხლებთან ერთად

ამას გარდა, სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა მე-3 და მე-9 მუხლებთან მიმართებით. მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია: ძალადობის სხვადასხვა ფორმა, რომლებსაც მიმართავდნენ სახელმწიფო მოხელეები თუ კერძო პირები, მოტივირებული იყო იელოვას მონმეთა გაერთიანებების მიმართ შეუწყნარებელი დამოკიდებულებით; სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მსგავსი დისკრიმინაციული მიდგომების გამო, ეფექტურად ვერ განხორციელდა რელიგიურად მოტივირებული ძალადობის ფაქტების გამოძიება.

სამართლიანი დაკმაყოფილება (41-ე მუხლი)

სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს მთავრობამ თითოეულ მომჩივანს კონვენციის შესაბამისი მუხლების დარღვევის შემთხვევაში უნდა გადაუხადოს 350 ევრო – არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 15000 ევრო ერთობლივად – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა:

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 32 მომჩივნის მიმართ, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის გამო;
2. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 46 მომჩივნის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მომჩივნების მიმართ არაეფექტური გამოძიების ჩატარების გამო;
3. დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი როგორც ცალკე, ასევე მე-14 მუხლთან ერთობლივად 88 მომჩივნის მიმართ.

სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები არაეფექტურნი იყვნენ რელიგიურად მოტივირებული ძალადობის აღკვეთისას. სახელმწიფო მოხელეები ან უშუალოდ მონაწილეობდნენ იელოვას მონმეთა მიმართ განხორციელებულ თავდასხმებში, ან ახალისებდნენ კერძო პირებს რელიგიური ერთობის ნევრთა მიმართ ძალადობაში. ამგვარად, ხელისუფლების წარმომადგენლებმა შექმნეს დაუსჯელობის კლიმატი, რამაც წაახალისა ძალადობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამას გარდა, მათ ვერ უზრუნველყვეს პასუხისმგებელი პირების მიმართ ჯეროვანი და სამართლიანი განხილვები.

მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ Sulkhan MOLASHVILI v. Georgia (N39728/04)

2004 წლის 27 ოქტომბერს სულხან მოლაშვილმა განაცხადით მიმართა სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად.

2014 წლის 11 მარტს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა სტრასბურგის სასამართლოს მიმართა აღნიშნული საჩივრის განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხვის თაობაზე.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მომჩივანი სულხან მოლაშვილი საქართველოს მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს და ამჟამად ცხოვრობს თბილისში.

2000 წლის 30 მაისიდან 2004 წლის 4 იანვრამდე მომჩივანი იყო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე¹, რომლის დაქვემდებარებაში მყოფ უწყებასაც ევალებოდა სხვადასხვა თანამდებობის პირთა და სამთავრობო უწყებების ფინანსური აქტივობების კონტროლი. ამ თანამდებობამდე იგი მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში თავმჯდომარის მრჩეველად, შემდეგ კი საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის პოსტი ეკავა.

2002 წელს კონტროლის პალატამ განახორციელა იუსტიციის სამინისტროს და მათ შორის პენიტენციური სისტემის 2000-2001 წლების ანგარიშების კონტროლი, რომლის დროსაც ბ-მ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი. შემონშების შედეგად დადგინდა გაფლანგვისა და კანონდარღვევის ფაქტები².

2003 წლისთვის თბილისის საკრებულოს ანგარიშების კომპლექსური რევიზიის შედეგად გამოვლინდა კანონდარღვევის ფაქტები. ამ საკრებულოს იმ დროისათვის ხელმძღვანელობდა ბ-ნი სააკაშვილი.

ე.წ. “ვარდების“ რევოლუციის შედეგად, რომელიც საქართველოში მოხდა 2003 წლის ნოემბერში, თანამდებობიდან გადადგა ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი და ბატონი სააკაშვილი 2004 წლის 4 იანვარს აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

იმავე დღეს მომჩივანმა საქართველოს პარლამენტს მიმართა კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის თაობაზე³. 2004 წლის 22 აპრილს პარლამენტმა დაამტკიცა მომჩივნის განცხადება. იგი იმავე დღეს გამოიძახეს გენერალურ პროკურატურაში, სადაც ეს უკანასკნელი საკუთარი ნებით გამოცხადდა. მომჩივანი ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

¹ მომჩივანი აღნიშნულ თანამდებობაზე ხუთი წლით აირჩია საქართველოს პარლამენტმა.

² კომპლექსური რევიზიის შედეგები 2002 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „სახელმწიფო და კონტროლი“. 2002 წლის 13 თებერვალს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში მომჩივანმა აღნიშნა, რომ კონტროლის პალატამ იუსტიციის სამინისტროში გამოავლინა 105 ათასი ლარის გაფლანგვის ფაქტი, ოფიციალურ მისიებთან დაკავშირებული 9 ათასი ლარის არალეგალური ხარჯები, 28 ათასი ლარით სამუშაოების ღირებულების არაკანონიერი გაზრდის ფაქტები და კანონდარღვევები ტენდერთან დაკავშირებით.

³ 2004 წლის 30 იანვრიდან სულხან მოლაშვილი დაუბრუნდა საადვოკატო საქმიანობას.

იმავე დღეს მომჩივანი გადაიყვანეს თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში, ხოლო შემდეგ – თბილისის №1 საპყრობილეში⁴. მომჩივნის მტკიცებით, 2004 წლის 22-23 აპრილს, ღამით, როდესაც იგი იმყოფებოდა თბილისის პოლიციის იზოლატორში, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული სამი თუ ოთხი დაუდგენელი პირი შევიდა მასთან საკანში, შეუკრეს ხელები და სკამს მიაბეს. შემდეგ ანთებული სიგარეტის ღერებით დაუწვეს ზურგი და გულ-მკერდი. საქმეში არსებული მასალებით დასტურდება მომჩივნის სხეულზე არსებული ნამების კვალი.

2004 წლის 23 აპრილს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ სულხან მოლაშვილს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელა. შემდგომში მომჩივანის წინასწარი პატიმრობა კიდევ გაგრძელდა სხვადასხვა საფუძვლით.

წინასწარი პატიმრობის მისჯის შემდეგ მომჩივანი ჯერ გადაიყვანეს თბილისის №1 საპყრობილეში, ხოლო 2004 წლის 2 ივლისს – თბილისის №7 საპყრობილეში.

2004 წლის 11 ივნისსა და 2004 წლის 2 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა, ორი საჯარო გამოსვლისას, რომელიც გადაიცემოდა ეროვნული სატელევიზიო არხების საშუალებით, მომჩივანი დაადანაშაულა კორუფციასა და მექრთამეობაში.

2004 წლის 5 ივლისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მომჩივნის მიმართ სასტიკი მოპყრობის თაობაზე, თუმცა გამოძიება უშედეგოდ დასრულდა. 2004 წლის 13 ივლისს პროკურორმა, რომელიც იძიებდა ამ საკითხს, სატელევიზიო ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მომჩივანმა, სავარაუდოდ, თავად მიიყენა დაზიანებები და სიგარეტის დამწვრობები, რათა შეექმნა სკანდალი, „მოეხდინა საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება და მიემართა საჩივრით სტრასბურგის სასამართლოსათვის“.

2004 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მას დაენიშნა შესაბამისი სამედიცინო მკურნალობა, რომლის ეფექტურობა მხარეთა შორის ხანგრძლივი დავის საგანი გახდა. მომჩივნის პატიმრობის განმავლობაში ის და მისი ადვოკატები გამუდმებულად ჩიოდნენ არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების გამო, მაგრამ – უშედეგოდ.

2004 წლის 12 ივლისს ბატონი მათიას იორში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელი საქართველოში, ქ-ნი ელენე თევდორაძის თანხლებით (საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში) შეხვდა მომჩივანს თბილისის №7 საპყრობილეში. ამ შეხვედრის თაობაზე ჟურნალისტებთან საუბრის დროს იორშმა განაცხადა:

„... აღშფოთებული ვარ იმ პირობებით, რაშიც განმცხადებელი იმყოფება. ეს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. ჩემი აღშფოთების თაობაზე მოვასხენე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს. დაუშვებელია ადამიანის ყოფნა ასეთ პირობებში, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა...“.

2005 წლის 18 იანვარს დასრულდა გამოძიება და 2005 წლის 21 ივლისს დაინყო მომჩივნის სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვები. ამასობაში, 2005 წლის 4 ივლისს, დამოუკიდებელმა ექსპერტმა საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ, რომელიც კონტროლის პალატის საქმიანობას ეხებოდა, გამოსცა დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საერთოდ არ არსებობდა რაიმე ფინანსური გადაცდო-

⁴ 2004 წლის 23 აპრილს განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა სამი თვის ვადით შეუფარდა ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ, რომელიც მიიჩნევდა, რომ კანონდარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირი თუ თავისუფალი იქნებოდა, იგი ხელს შეუშლიდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. გარდა ამისა, მოსამართლის აზრით, არსებობდა მიმალვის საშიშროებაც.

მა. მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე, ანგარიში დაერთო მის სისხლის სამართლის საქმეს.

სასამართლო განხილვების შემდეგ, რომელთა სამართლიანობა მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა ეჭვქვეშ დააყენეს სასამართლო ძიების მიმდინარეობის ფორმის გამო (კერძოდ, მომჩივანს არ შეეძლო გასცნობოდა კონკრეტული მოწმეებისა და ექსპერტების დასკვნებს და არ მიეცა უფლება, თავისი სურვილის მიხედვით შეერჩია ადვოკატი ზოგიერთი მოსმენისას), 2005 წლის 7 სექტემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენებაში, სხვათა კრიმინალური ქმედებების დაფარვასა და სახელმწიფო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში. განაჩენი ეფუძნებოდა კონტროლის პალატის მიერ უკანონო საქმიანობის თაობაზე მოპოვებულ ფაქტებს. განაჩენში საერთოდ არ იყო მსჯელობა აუდიტის მიერ მომზადებული 2005 წლის 4 ივლისის დასკვნის შესახებ. სულხან მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

2005 წლის 21 სექტემბერს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტთან ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ იგი უკვე გაეცნო მომჩივნის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს და შეუძლია დარწმუნებით დაადასტუროს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 2004 წლის 7 სექტემბერს გამოტანილი განაჩენი არის კარგად დასაბუთებული.

განაჩენი მომჩივანმა გაასაჩივრა და 2006 წლის 6 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, მაგრამ ნაწილობრივ შეიტანა ცვლილებები – მომჩივანი ზოგიერთ ეპიზოდში გაამართლა. საბოლოოდ სულხან მოლაშვილს საპატიმრო ვადა 8 წლამდე შეუმცირდა.

მომჩივანმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს და მიუთითა სერიოზულ პროცედურულ დარღვევებზე როგორც პირველ, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში. უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებზე დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, იგი ასევე ჩიოდა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ნაწილში არსებულ აშკარა სამართლებრივ შეცდომებზე.

2006 წლის 18 მაისს მომჩივანმა განაცხადა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები – რ.ნ. და ნ.კ., რომელთა წარმომებაშიც იყო მისი საქმე, იყვნენ სამოქალაქო საქმეთა პალატის წევრები და არ ჰქონდათ სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მონაწილეობის უფლება. აცილების თაობაზე დაყენებული შუამდგომლობა უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

2006 წლის 23 ივნისს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი, ისევე როგორც პროცედურულ საკითხებზე წარდგენილი შუამდგომლობები, მათი უსაფუძვლობის მოტივით და ძალაში დატოვა 2006 წლის 6 მარტის განაჩენი. მოსამართლე ნ.კ.-მ დაწერა განსხვავებული აზრი, რომლის თანახმადაც, განმცხადებლის ქმედება არ ქმნიდა სსკ-ს 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნაწილში ბრალდება იყო უსაფუძვლო და ექსპერტის დაკითხვის შესახებ უარი ეწინააღმდეგებოდა სსკ-ს 374-ე და 483-ე მუხლებს; ამას გარდა, მოსამართლემ ამხილა ის ფაქტი, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ განიხილეს დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, რაც ეწინააღმდეგებოდა სსსკ-ს მე-18 მუხლს (საქმის გარემოებათა ობიექტური და სრული გამოკვლევა). მისი აზრით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა გაუქმებულიყო, რადგან დარღვეული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითადი მოთხოვნები (სსსკ-ს 563-ე მუხლი).

შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე (ე) მუხლი, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის პირველ იანვარს, შემდეგი შინაარსისაა:

„განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ ... (ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება“.

სსსკ-ის 311-ე მუხლის თანახმად, 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასინჯვის მოთხოვნით მიმართვის ვადაა ერთი წელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან.

სტრასბურგის სასამართლოს განჩინების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი განხილვების განახლებაზე არსებული სამართლებრივი პრაქტიკა – თაქთაქიშვილის საქმე

მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე 2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა თაქთაქიშვილის საქმე⁵. აღნიშნული დეკლარაცია შეიცავს კონვენციის მე-6 §1 მუხლის დარღვევის აღიარებას მომჩივნის მიმართ არასამართლიანი სისხლისსამართლებრივი განხილვების გამო და სთავაზობს ფულადი კომპენსაციის გადახდას, ასევე მიუთითებს მომჩივნის უფლებების აღიარებაზე, მოითხოვოს შესაბამისი შიდასამართლებრივი განხილვების დაწყება. თავის დასაბუთებაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე („ე“) მუხლის განმარტების ჯეროვანი გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ შიდა საკანონმდებლო ნორმა მართლაც შეიცავს შესაბამისი სისხლისსამართლებრივი საქმის ხელახალი განხილვის პროცედურულ შესაძლებლობას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებისა თუ განჩინების საფუძველზე, რომელიც შეიცავს მითითებას კონვენციის ნორმის დარღვევაზე⁶.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით, გაითვალისწინა რა სტრასბურგის სასამართლოს 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინება თაქთაქიშვილის საქმეზე, განაახლა ქალბატონი თაქთაქიშვილის წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი განხილვების შესწავლა მისი ხელახალი გასამართლების მიზნით. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იყო სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლის საფუძველზე. შედეგად, ქალბატონ თაქთაქიშვილს მოეხსნა წარდგენილი ბრალდება, რომელიც მას თავიდან ჰქონდა წაყენებული.

მომჩივნის მიერ წარდგენილი პრეტენზიები

1. 2004 წლის 20 სექტემბერს შემოსული პრეტენზიები:

კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად, მომჩივანი ასაჩივრებდა მისი დაკავების შემდგომ წამების ფაქტს. ამასთან, მიუთითებს ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიების არაეფექტურობაზე.

⁵ Taktakishvili v. Georgia (dec), no. 46055/06, §§ 13-28, 16 October 2012

⁶ Taktakishvili, the decision cited above, § 22

მომჩივანი ასაჩივრებდა ასევე თბილისის №1 და №7 საპყრობილებებში (2004 წლის 4 ივნისიდან 16 ივლისამდე პერიოდში) მისი მოთავსების შეუსაბამობას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. სწორედ აქ მოინახულეს იგი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებმა 2004 წლის 12 ივლისს. სულხან მოლაშვილმა აღნიშნა, რომ მისი ასეთ პირობებში მოთავსების დროს ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც, მას ჰქონდა გულის იშემიური დაავადება, ანგინა, არტერიული ჰიპერტენზია და ა.შ.

კონვენციის მე-13 და მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით, სულხან მოლაშვილი ასაჩივრებდა იმასაც, რომ იგი დააკავეს და დააპატიმრეს სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, თუმცა ვერ შეძლო გათავისუფლება. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით, მან წამოსწია ის არგუმენტები, რაც შიდა ინსტანციის სასამართლოების წინაშეც დააყენა იმის დასასაბუთებლად, რომ 2004 წლის აპრილისა და ივლისის გადაწყვეტილებები არ იყო სათანადოდ მოტივირებული. ის ასაბუთებს ასევე სსსკ-ს 151-ე მუხლის მესამე ნაწილის კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტთან შეუსაბამობას იმის გათვალისწინებით, რომ იგი იძლეოდა პირის დაპატიმრების შესაძლებლობას დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე.

კონვენციის მე-5 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მას უარი ეთქვა სსსკ-ს მე-12 მუხლის მესამე ნაწილითა და 159-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლებების განხორციელებისათვის ხელშემშლელი გარემოებების აღმოფხვრაზე. ამასთან, იგი ასაჩივრებს უზენაესი სასამართლოს უარს მისი დაკავების არაკანონიერებასთან დაკავშირებული პრეტენზიების კომპეტენტური სასამართლოს მიერ განხილვაზე. ის მიიჩნევს, რომ მისი საკითხი, **ალიევის საქმესთან** შედარებით, განსხვავებულად გადაწყდა. ამ უკანასკნელის საქმეზე უზენაესი სასამართლო მონოდეტული იყო გადაწყვეიტა პროცედურული საკითხი, მიუხედავად საკანონმდებლო ხარვეზის არსებობისა, რათა დაინტერესებულ პირს ესარგებლა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით⁷.

კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, მომჩივანი ასაჩივრებს საქართველოს პრეზიდენტის ორივე ზემოხსენებულ განცხადებას, რამაც, მისი აზრით, გავლენა მოახდინა სასამართლოზე.

2. 2005 წლის 22 აპრილს შემოსული პრეტენზიები:

კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებს სათანადო მტკიცებულების გარეშე მისი დაპატიმრების ფაქტს. კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად, მან მოიყვანა იგივე არგუმენტები, რაც წარადგინა შიდა ინსტანციის სასამართლოებში იმის დასასაბუთებლად, რომ 2004 წლის 22 ოქტომბრისა და 29 ნოემბრის გადაწყვეტილებები არ იყო საკმარისად დასაბუთებული. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით ის აცხადებს, რომ 2004 წლის 22 ოქტომბერსა და 29 ნოემბერს მოსამართლეებს არ ჰქონდათ საქმის მასალები სრულად, რათა სათანადოდ გადაეწყვიტათ წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების საკითხი. ის ასაჩივრებს ასევე სხდომის დარბაზში სათვალთვალ კამერის არსებობას, რომელიც ხელისუფლებას სხდომის მსვლელობის გარედან დაკვირვების შესაძლებლობას აძლევდა. მომჩივანი მიიჩნევს, რომ 2004 წლის 22 ოქტომბრისა და 29 ნოემბრის გადაწყვეტილებების გასაჩივრების დაუშვებლობა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტსა და მე-13 მუხლს.

⁷ Aliev c. Gïorgie, n° 522/04, §§ 10-12, 13 janvier 2009; Chamanev et autres c. Gïorgie et Russie, n° 36378/02, §§ 258 et 356, CEDH 2005 III.

3. 2006 წლის 18 დეკემბერს შემოსული პრეტენზიები:

კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებზე დაყრდნობით, განმცხადებელი საუბრობს კონვენციის დარღვევაზე იმის გათვალისწინებით, რომ იგი ციხეში დააავადდა C ჰეპატიტით და 2006 წლის ნოემბრამდე არ უსარგებლია სათანადო სამედიცინო დახმარებით.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მომჩივანი ასაჩივრებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მის მსჯავრდებამდე მისი დაკავების არაკანონიერების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობები სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

კონვენციის მეექვსე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომჩივანი უთითებს, რომ შიდა ინსტანციის სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც მათ გამოიტანეს არამოტივირებული გადაწყვეტილებები; ამასთან, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა შიდა ინსტანციის სასამართლოებს არ შეუფასებიათ; საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტის დასკვნაზე დაყრდნობით სასამართლოებს არ განუმარტავთ, თუ რაში მდგომარეობდა მისი დანაშაულებრიობა; სასამართლოს არ განუმარტავს ის მოტივები, რის გამოც მხედველობაში არ იქნა მიღებული კონტროლის პალატის მის შემდგომ მომუშავე თავმჯდომარის მიერ გამოცემული აქტები და ა.შ; ამასთან, მომჩივანი ასაჩივრებს იმასაც, რომ 2005 წლის 22 ივლისს სხდომის დარბაზში მოთავსებული იყო სათვალთვალო კამერა, რომელიც ხელისუფლებას სხდომის მსვლელობის გარედან დაკვირვების შესაძლებლობას აძლევდა. განმცხადებელი ასევე მიიჩნევს, რომ უზენაეს სასამართლოში მისი საქმე არ გინიხილა „კანონის საფუძველზე შექმნილმა სასამართლომ“.

კონვენციის მე-14 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიტიკური მოტივებით. კონვენციის მეექვსე მუხლის მეორე პუნქტზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 2005 წლის 21 სექტემბრის ინტერვიუს. კერძოდ, ის მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელს მაშინ, როდესაც არ იხილავდა მოცემულ საქმეს, არ შეეძლო ეხსენებინა იგი, რადგან მისი სიტყვები მიმართულებას აძლევდა საქმის განმხილველ მოსამართლეებს.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლითაც 2005 წლის აგვისტოში მის მიერ მოწვეულ დამცველს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე, მისთვის ოცდაათდღიანი ვადის მიცემის შესახებ საქმის მასალების გასაცნობად, ეწინააღმდეგება კონვენციის მეექვსე მუხლის მესამე პუნქტის „b“ და „c“ ქვეპუნქტებს. მით უმეტეს, რომ ამან აიძულა იგი უარი ეთქვა მომჩივნის დაცვაზე. ამასთან, ის ფაქტი, რომ სავალდებულო წესით დანიშნული დამცველი ეწინააღმდეგებოდა მის პოზიციას და მისი შუამდგომლობები დამცველის აცილებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა, მომჩივნის აზრით, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „c“ ქვეპუნქტს. მომჩივნის აზრით, შიდა ინსტანციის სასამართლოების უარი ორი ექსპერტისა და მოწმეების დაკითხვაზე წარდგენილ შუამდგომლობაზე, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „d“ ქვეპუნქტს.

სასამართლოს დასაბუთება

2011 წლის 9 ნოემბერს აღნიშნული საჩივარი სრულად გადაეგზავნა საქართველოს მთავრობას. 2010 წლის 27 მაისს დაიწყო საქმის მორიგებით დასრულების მოლაპარაკება.

კებათა სერია, რომელიც უშედეგოდ სრულდებოდა. 2014 წლის 11 მარტს მთავრობამ აცნობა სასამართლოს, რომ საჩივარში წამოჭრილი საკითხების მოწესრიგების მიზნით, შესაბამისი დეკლარაციით მიმართა მომჩივანს. შესაბამისად, მთავრობამ მოითხოვა საჩივრის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება.

წარდგენილი დეკლარაციის ტექსტი ასეთია:

„საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების განხილვისას დაირღვა კონვენციის მე-3, მე-5 §§1 (c), 3 და 4, მე-6 §§ 1,2,3 (b), (c) და (d) და მე-14 მუხლები მომჩივნის მიმართ.

წარდგენილი დეკლარაციის ფარგლებში მთავრობა იღებს ვალდებულებას, სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება მომჩივნის საჩივარზე მის მიმართ სასტიკი მოპყრობის თაობაზე;

მთავრობა ჯეროვნად აცნობიერებს, რომ მომჩივანს, ბატონ მოლაშვილს უფლება აქვს, თუკი ის ამას მოისურვებს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310 (ე) მუხლის თანახმად, მოითხოვოს პირველადი სისხლის სამართლის დევნის ხელახალი დაწყება, რათა მის წინააღმდეგ წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდება ხელახლა განისაზღვროს.

მომჩივნის საქმეზე არსებული ზემოხსენებული და კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით, მთავრობა აცხადებს, რომ ის მზადაა ბატონ მოლაშვილს გადაუხადოს 20 000 ევრო მატერიალური და არამატერიალური ზიანისა და ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად. თანხა კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღის არსებული კურსით და გათავისუფლებული იქნება ყოველგვარი გადასახადებისგან. თანხა გადაიხდება სასამართლოს გადაწყვეტილების შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში. თუ ანგარიშსწორება არ განხორციელდა ზემოხსენებულ ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი“.

მთავრობამ ივალდებულა მომჩივნის უფლების უზრუნველყოფა თავდაპირველი სისხლის სამართლის საქმის განხილვის განახლების მოთხოვნაზე და როგორც დამატებით არგუმენტზე თავისი ცალმხრივი დეკლარაციის მხარდასაჭერად, სტრასბურგის სასამართლოს მიუთითა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებაზე ქალბატონი **ლონდა თაქთაქიშვილის საქმეზე**. აღნიშნულ მაგალითზე დაყრდნობით, მთავრობამ ხაზი გაუსვა იმას, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი პროცედურული მექანიზმი, რომელიც შეიცავს კონვენციის ნორმის დარღვევაზე მითითებას ხელახალი სასამართლო განხილვების დაწყების უფლების მოპოვების შესახებ, სრულად ფუნქციონირებს.

2014 წლის 4 აპრილის წერილით მომჩივანმა, რომელიც მიწვეული იყო მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის კომენტარებისთვის, სასამართლოს აცნობა, რომ იგი თანახმაა, მისი საჩივარი ამოირიცხოს განსახილველ საქმეთა სიიდან დეკლარაციის ტექსტში არსებული პირობების საფუძველზე. მომჩივანმა სასამართლოს შესთავაზა უზრუნველყოს, რომ მორიგების პირობები, განსაკუთრებით ის, რაც შეეხება ეფექტურ გამოძიებას მის მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ და სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვის მოთხოვნაზე, განხორციელდეს ჯეროვნად და დროულად.

სასამართლო ადგენს, რომ მთავრობის მიერ მომზადებულ დეკლარაციაზე მომჩივნის თანხმობის შემდეგ საქმე უნდა განვიხილოთ როგორც მხარეთა შორის მეგობრული მორიგება. შესაბამისად, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობის მიერ მომჩივნის უფლების აღიარებას სსსკ-ის 310-ე („ე“) მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვების მოთხოვნის შესახებ, ისევე როგორც იღებს ვალდებულებას ეფექტურად გამოიძიოს 2004 წლის 22-23 აპრილს მომხდარი ინციდენტი და შეახსენებს მომჩივანს, მისი შენიშვნების საპასუხოდ კონკრეტული ვალდებულებების ჯერონად განხორციელების თაობაზე, რომ მეგობრული მორიგების პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის პრეროგატივა აქვს მინისტრათა კომიტეტს (კონვენციის 39 §4 მუხლი). იღებს რა შეტყობინებას აღნიშნული მეგობრული მორიგების შესახებ, სასამართლო კმაყოფილია, რომ მორიგება ეფუძნება კონვენციისა და მისი ოქმებით განსაზღვრულ ადამიანის უფლებათა პატივისცემას, რის გამოც უსაფძვლოდ მიიჩნევს მომჩივნის საქმის შემდგომ განხილვას.

ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, კონვენციის 39-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ ერთსულოვნად გადაწყვიტა აღნიშნული საჩივრის განსახილველ საქმეთა სიიდან ამოღება.

საქართველო რუსეთის წინააღმდეგ¹

Georgia vs. Russia (N13255/07)

საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№.13255/07), რომელიც წარმოდგენილ იქნა სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 33-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მიერ 2007 წლის 26 მარტს.

2014 წლის 3 ივლისს სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა საჩივარი (№13255/07) და გამოტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

21. საქმის ფაქტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად.

A. მიმოხილვა

22. სასამართლოსადმი წარდგენილი ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით, ჩანს, რომ 2006 წლის ზაფხულის ბოლოს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის პოლიტიკური დაძაბულობა 2006 წლის 27 სექტემბერს თბილისში ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებითა და 2006 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან ყოველგვარი საჰაერო, საგზაო, საზღვაო, სარკინიგზო, საფოსტო და ფინანსური კავშირების განწყვეტით, აღწევს კულმინაციას. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების გაძევება 2006 წლის სექტემბრის ბოლოსთვის უკვე გადაიცემოდა საერთაშორისო მედიაში, რომელიც იმ დროს ეყრდნობოდა სხვადასხვა საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს (იხილეთ, *inter alia*, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის (PACE) 2007 წლის 22 იანვრის მოხსენება „საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე დაძაბულობები“ („Current tensions between Georgia and Russia“, AS/Mon(2006)40 რევ.); Human Rights Watch-ის (HRW) 2007 წლის ოქტომბრის მოხსენება „შერჩეული. რუსეთის მიერ ქართველების დაკავება და გაძევება“ („Singled Out. Russia’s detention and expulsion of Georgians“, Volume 19 No. 5(D)); და 2007 წლის აპრილის მოხსენება, შედგენილი „საერთაშორისო ფედერაცია ადამიანის უფლებებისთვის“ (FIDH) მიერ, „მიგრანტები რუსეთში“ („Migrants in Russia“, no. 472).
23. დადგინდა, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, (2006 წლის სექტემბრის ბოლოდან 2007 წლის იანვრის ბოლომდე), საქართველოს მოქალაქეები დააკავეს, დააპატიმრეს და შემდგომ გააძევეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან.
24. მომჩივანი მთავრობის მიხედვით, ეს იყო რეპრესიები, რომელიც მოჰყვა თბილისში რუსი ოფიცრების დაკავებას და საქართველოს მოქალაქეები გამოაძევეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ, მიუხედავად იმისა, კანონიერად ცხოვრობდნენ თუ არა რუსეთის ფედერაციაში.

¹ დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ შესაბამისი საავტორო უფლების მითითებით.

25. მოპასუხე მთავრობის მიხედვით, ის შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებული იყო თბილისში ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებასთან სრულიად არარელევანტური იყო იმ ფაქტებთან, რომელიც მოცემული იყო მომჩივანი მთავრობის მიერ მათ საჩივარში. რუსეთის მთავრობას არ განუხორციელებია რეპრესიები საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, არამედ, უბრალოდ, განაგრძობდა კანონით გათვალისწინებული დებულებების გამოყენებას, რათა მოეხდინა არალეგალური იმიგრაციის პრევენცია კონვენციის მოთხოვნებისა და რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.
26. მხარეებმა წარმოადგინეს წინააღმდეგობრივი სტატისტიკური მტკიცებულებები, რომელიც ეხებოდა იმ პერიოდში საქართველოს გაძევებული მოქალაქეების რაოდენობას.
27. კერძოდ, მომჩივანმა მთავრობამ, წარადგინა, რომ 2006 წლის სექტემბრის ბოლოსა და 2007 წლის იანვრის ბოლოს შორის, 4,634 გაძევების ორდერი გამოიცა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელთა შორის 2,380 დააკავეს და ძალის გამოყენებით გამოაძევეს, და დანარჩენმა 2,254 პირმა საკუთარი საშუალებებით დატოვა ქვეყანა. ისინი უთითებდნენ, რომ 2006 წლის ოქტომბერსა და 2007 წლის იანვარს შორის იყო საქართველოს მოქალაქეების გაძევების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რომელიც 2006 წლის ივლისსა და სექტემბერს შორის თვიურად დაახლოებით 80-დან 100 ადამიანამდე გაიზარდა 2006 წლის ოქტომბერსა და 2007 წლის იანვარს შორის თვიურად დაახლოებით 700-დან 800 ადამიანამდე. მონმეთა ზეპირი მოსმენის დროს, ბ-ნმა პატარიძემ, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულმა არსებულ დროს, განაცხადა, რომ 2006 წლის სექტემბრის ბოლოდან მოსკოვში საქართველოს საკონსულო გადაივსო სატელეფონო ზარებითა და დაკავებულ პირთა ნათესავების მხრიდან დახმარებების თხოვნებით, და რომ ყოველდღიურად საკონსულოში მიდიოდა 200-დან 300-მდე საქართველოს მოქალაქე. მან ასევე თქვა, რომ გაიზარდა სამოგზაურო დოკუმენტების (რომელიც საჭირო იყო საქართველოს მოქალაქეების გასაძევებლად) რაოდენობა, რომელიც გამოიცა იმ პერიოდის განმავლობაში; ყოველდღიური რაოდენობა საშუალოდ 10-15 დოკუმენტიდან გაიზარდა დღეში 150 დოკუმენტამდე (იხილეთ დანართი, § 13).
28. მოპასუხე მთავრობამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ მათ ჰქონდათ მხოლოდ წლიური ან ნახევარი წლის სტატისტიკა, განაცხადა, რომ 2006 წელს 4,022 ადმინისტრაციული გაძევების ორდერი გამოიცა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ, რაც იყო 39,7%-იანი ზრდა 2005 წელთან შედარებით. ამის მიუხედავად, იმ წლის განმავლობაში ადმინისტრაციული გაძევების ორდერების ყველაზე დიდი რაოდენობა გამოიცა უზბეკეთის მოქალაქეების წინააღმდეგ (6,089), რომელსაც მოყვებოდა ტაჯიკეთის მოქალაქეები (4,960) და საქართველოს მოქალაქეები (4,022), რომლებიც, რეალურად, იყვნენ მესამე ადგილზე. 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 აპრილამდე, 2,862 საქართველოს მოქალაქე გახდა გაძევების ორდერის ობიექტი. მათ ასევე მიუთითეს, რომ 2006 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციის მიერ დაქირავებულმა ოთხმა თვითმფრინავმა მთლიანობაში საქართველოს 445 მოქალაქე გადააფრინა მოსკოვიდან თბილისში, და რომ 2006 წლის ოქტომბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში, საქართველოს მიერ დაქირავებულმა ორმა თვითმფრინავმა გადააფრინა საქართველოს 220 მოქალაქე მოსკოვიდან თბილისში. მონმეთა ზეპირ მოსმენაზე ბ-ნმა შევჩენკომ, რომელიც არსებულ დროს იყო მიგრაციის ფედერალური სამსახურის საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტის (the Department of Immigration Control of the Federal Migration Service) უფროსის მოადგილე, თქვა, რომ 2006 წლის 6 ოქტომბერს ფრენა გან-

ხორციელდა გადაუდებელი სიტუაციების სამინისტროს (Ministry of Emergency Situations) სატვირთო თვითმფრინავის მიერ (IL 76); 2006 წლის 10, 11 და 17 ოქტომბერს – რუსული სამგზავრო თვითმფრინავის მიერ (IL 62 M), და 2006 წლის 28 ოქტომბერსა და 6 დეკემბერს – საქართველოს სამგზავრო თვითმფრინავებით (იხილეთ დანართი, § 23).

29. საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, მათ ნაწილობრივ აღადგინეს ის მონაცემები, რომელიც წარმოდგენილ იქნა მომჩივანი მთავრობის მიერ (იხილეთ, inter alia, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის მოხსენება – PACE report, § 56). Human Rights Watch-მა (HRW), ასევე მოიხსენია თავის ანგარიშში რუსეთის ფედერაციის მიგრაციის ფედერალური სამსახურის 2006 წლის 1 ნოემბრის საინფორმაციო ჩანაწერი (HRW report, p. 37). HRW-ის მიხედვით, ეს ჩანაწერი აჩვენებდა, რომ 2006 წლის 29 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე, საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიცა 2,681 ადმინისტრაციული გადაწყვეტის ორდერი და საქართველოს 1,194 მოქალაქე გადაქვეს. საერთაშორისო ფედერაციამ ადამიანის უფლებებისთვის (FIDH) თავის ანგარიშში მოიხსენია „(საქართველოს მოქალაქეთა) ათასობით დაკავება, ასობით დაპატიმრება და საქართველოში გადაქვეება“ 2006 წლის 27 სექტემბრის ინციდენტის შემდეგ (FIDH report, p.23).

B. საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ მიზანმიმართული გადაწყვეტის პოლიტიკის სავარაუდო არსებობა

1. ინსტრუქციები და ბრძანებები

30. თავიანთი განცხადებების მხარდასაჭერად მომჩივანმა მთავრობამ წარადგინა დოკუმენტები, რომლებიც გამოცემული იყო სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოსა (GUVD) და რუსეთის ფედერაციის მიგრაციის ფედერალური სამსახურის მიერ. ეს ეხებოდა ორ ბრძანებას: სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ 2006 წლის 30 სექტემბერს გამოცემულ ბრძანებას – [REDACTED]-no. 0215 და რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2006 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ ბრძანებას – [REDACTED]-no. 849.

31. ეს დოკუმენტები იყო:

i. სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2006 წლის 2 და 3 ოქტომბერს გამოცემული სამი ინსტრუქცია:

(ა) 2006 წლის 2 ოქტომბრის პირველი ინსტრუქცია (no. 122721/08), რომელიც ბ-ნმა ვ. ჟ. პიოტროვსკიმ, რომელიც მოქმედებდა, როგორც სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, პოლიციის მაიორ-გენერალი არსებულ დროს, გაუგზავნა სამმართველოს განყოფილებების უფროსებს, დასათაურებული იყო, როგორც „GUVD-ის 30.09.2006 ბრძანება no. 0215-ის იმპლემენტაციის ეფექტურობის გაზრდა (§§ 6.1, 6.2 და 7)“ და მოითხოვა, რომ:

„1. 2006 წლის 2 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრამდე სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის მიგრაციის ფედერალურ სამსახურთან თანამშრომლობით, მისი ყველა ქვედანაყოფის თანამშრომელთან ერთად, მიღებულ იქნეს ფართომას-

შტაბიანი ღონისძიებები, რათა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკის რაც შეიძლება ბევრი მოქალაქის იდენტიფიცირება, რომლებიც არაკანონიერად ცხოვრობენ რუსეთის ტერიტორიაზე და მოხდეს მათი გაძევება“;

- „2. მოხდეს სასამართლოს წინაშე გადაწყვეტილებების „ინიცირება“ იმ საქმეებში, რომელიც ეხება უცხოეთის მოქალაქეების ბინადრობის მარეგულირებელ ნესებს, რომელიც გამოიწვევს მხოლოდ მოქალაქეთა ზემოთ ნახსენები კატეგორიის დეპორტაციას, მათი ციხეში და შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს (GUVD) დაკავების ცენტრში მოთავსებით. ამ ღონისძიებების იმპლემენტაცია დაადასტურა სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის მიგრაციის ფედერალური სამსახურის სამმართველომ (UFMS) და გადაწყვეტილებების მიღებას კოორდინირებას უწევს სანკტ-პეტერბურგის საქალაქო სასამართლოსა და ლენინგრადის რეგიონალურ სასამართლოსთან ერთად“; (ინსტრუქცია, რომელსაც საკითხი ეხება, ასევე ჩნდება PACE-ს მოხსენების დანართში და HRW-ის მოხსენებაში და ნახსენებია FIDH-ს მოხსენებაში, გვ. 26 (b) *in fine*).
- (ბ) 2006 წლის 2 ოქტომბრის (no. 122721/13) მეორე ინსტრუქცია და 2006 წლის 3 ოქტომბრის (no. 122721/17) მესამე ინსტრუქცია ავსებენ პირველ ინსტრუქციას. პირველი ინსტრუქცია, რომელიც არსებულ დროს საკნტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ქვედანაყოფის უფროსმა, ბ-ნმა ს. ნ. სტოროჟენკომ გაუგზავნა პოლიციის ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის რაიონული დეპარტამენტებისა და სანკტ-პეტერბურგის სატრანსპორტო დეპარტამენტის უფროსებს, ასევე შეეხებოდა ბრძანებას no. 0215. მესამე ინსტრუქცია, რომელიც ბ-ნმა ვ. დ. კუდრიავცევმა, რომელიც მოქმედებდა როგორც სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის პოლიციის უფროსი არსებულ დროს, გაუგზავნა პოლიციის რაიონული დეპარტამენტების უფროსებს, მითითებას აძლევს შესაბამის ორგანოებს, რომ წარმოადგინონ ყოველდღიური მოხსენებები „ადმინისტრაციული დანაშაულებისთვის ... და საცხოვრებელი მისამართის რეგისტრაციის მარეგულირებელი წესების დარღვევისთვის“ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ.
- ii. ბ-ნი კუდრიავცევის, რომელიც მოქმედებდა როგორც სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის პოლიციის უფროსი არსებულ დროს, 2006 წლის 2 ოქტომბრის ბრძანება (no. 122721/11) ეხებოდა ბრძანება no. 0215-ის მე-3 პარაგრაფის იმპლემენტაციას.
- iii. მიგრაციის ფედერალური სამსახურის მიერ გამოქვეყნებული 2006 წლის 18 ოქტომბრის საინფორმაციო ჩანაწერი მიემართებოდა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2006 წლის 29 სექტემბრის no. 849 ბრძანებას, რომელიც მიუთითებდა იმ ღონისძიებებზე, რომელიც უნდა განხორციელებულიყო, რათა გაძლიერებულიყო რუსეთის ფედერაციაში საქართველოს მოქალაქეთა ცხოვრების კანონიერების მეთვალყურეობა: დამსაქმებლების შემოწმება, რომლებიც ასაქმებენ საქართველოს მოქალაქეებს; ადმინისტრაციულ დანაშაულთა კოდექსის (Code of Administrative Offences) მე-18(8) – მე-18(11) მუხლებში მოცემული დანაშაულების ჩამდენი საქართველოს მოქალაქეების შემოწმება; საქართველოს მოქალაქეებზე გარკვეული დოკუმენტების გაცემის შეწყვეტა (რუსეთის მოქალაქეობის მიღება, სარეგისტრაციო დოკუმენტები, დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვები) და ამგვარი დოკუმენტების გადაცემის კანონიერების შემოწმება (საინფორმაციო ბარათი ასევე მოცემულია HRW-ის მოხსენების დანართში).

32. მოპასუხე მთავრობამ განაცხადა, რომ ყველა ეს დოკუმენტი, ბრძანება და საინფორმაციო ბარათი იყო ფალსიფიცირებული და ედავებოდა მომჩივანი მთავრობის მიერ ორი ბრძანების (nos. 0215 და 849) შემადგენლობაზე მტკიცებას, რომელსაც ეს დოკუმენტები მიემართებოდა. ამის მიუხედავად, მათ დაადასტურეს ამ ორი ბრძანების არსებობა, მაგრამ განაცხადეს, რომ არ შეეძლოთ მათი წარმოდგენა სასამართლოსთვის, რადგან ისინი კლასიფიცირებული იყო როგორც „სახელმწიფო საიდუმლოება“. მოწმეთა ზეპირ მოსმენაზე ბ-ნმა ნიკიშკინმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ (მოსკოვი), ზეპირი მოსმენის დროს დაადასტურა, რომ 2006 წლის 2 ოქტომბერს (no. 122721/08) (იხილეთ პარაგრაფი 31 ზემოთ) სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქცია იყო გაყალბებული დოკუმენტი და რომ ორი ბრძანება, nos. 0215 და 849 (უკანასკნელი ფაქტობრივად იყო ტელეგრამა) იყო კლასიფიცირებული, როგორც „სახელმწიფო საიდუმლოება“ და რომ ისინი ეხებოდა სხვადასხვა ეროვნულ კრიმინალურ ჯგუფებთან მიმართებას, მაგრამ არა საქართველოს მოქალაქეების გადარჩევით მიდგომას. ის არ შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო, რადგან ეს აკრძალული იყო რუსული სამართლის მიხედვით (იხილეთ დანართი § 21).
33. 2006 წლის თავის ყოველწლიურ მოხსენებაში ბ-ნმა ვ. პ. ლუკინმა, რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარმა (რუსი ომბუდსმენი) არსებულ დროს, გამოაქვეყნა 2006 წლის 2 ოქტომბრის ინსტრუქციის (no. 122721/08) სრული ტექსტი, რომელზეც ბ-ნი ვ. ჟ. პიოტროვსკის სახელი და გვარი იყო ხელმოწერილი. კომისარი ამბობდა, რომ ინსტრუქცია მას გაუგზავნეს სანკტ-პეტერბურგის ადამიანის უფლებათა აქტივისტებმა და რომ ის გამოქვეყნებული იყო ადგილობრივი პრესის მეშვეობით. მან განაცხადა შემდეგნაირად: „თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, ეს უპრეცედენტო დოკუმენტი, არის მტკიცებულება, რომ პოლიციის უფროსი თანამდებობის პირები შეუთანხმდნენ სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ მიზნით, რომ მიეღოთ გაუმართლებელი სასამართლო დადგენილებები, რომელიც შეეხებოდა ჯერ კიდევ არაიდენტიფიცირებულ პირებს, რომლებიც არღვევდნენ დროებითი ბინადრობის პროცედურებს, იგნორირება მოეხდინათ თითოეული მათგანის სპეციფიურ გარემოებებზე და მხოლოდ იმ საფუძლით, რომ ისინი იყვნენ საქართველოს მოქალაქეები“. ის ამბობდა, რომ მან თხოვა რუსეთის ფედერაციის მთავარ პროკურორს, რომ შეემოწმებინა, იყო თუ არა ეს დოკუმენტები ნამდვილი, და თუ ასე აღმოჩნდებოდა, „მიეღო შესაფერისი ზომები, რომ დამნაშავე წარედგინა მართლმსაჯულების წინაშე და გაეუქმებინა მათი შემცველი აშკარად უკანანო ინსტრუქციები“ (რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისრის 2006 წლის ყოველწლიური მოხსენება, პუნქტი 7, „ეთნიკური ურთიერთობები და ადამიანის უფლებები“).
34. რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურორის მოადგილე არსებულ დროს, ბ-ნი ა. ე. ბუკსმანი, თავის 2006 წლის 8 დეკემბრის საპასუხო წერილში ამბობდა, რომ „საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის სამართალდამცავი ორგანოები რეგულარულად ახორციელებდნენ იმგვარ ღონისძიებებს, რათა გამოეყვინათ სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონში არაკანონიერად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები. ეს ღონისძიებები ხორციელდება რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონების, რუსეთის „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობების შესახებ“ აქტის („Operational-Search Activities“ Act ([www.fedresour.gov.ru](#)) და სახელმწიფო საიდუმლოების მარეგულირებელი უწყებრივი რეგულაციების შესაბამისად. მიმდინარე წელს უცხო ქვეყნის 1,069 მოქალაქე სანკტ-პე-

ტერბურგიდან გაიგზავნა უკან თავიანთ ქვეყნებში; მათ შორის 131-ს ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა. არ ყოფილა შემთხვევები, რომ მილიციის დეპარტამენტის მხრიდან გამომჟღავნებულიყო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება“.

35. კომისარი თავის მოხსენებაში მთავარი პროკურორის მოადგილის პასუხს აღწერდა შემდეგნაირად: „საუკეთესო ბიუროკრატიულ ტრადიციებში დოკუმენტი არ პასუხობდა კომისრის მიერ დასმულ შეკითხვებს. ამის მაგივრად, მთავარი პროკურორის მოადგილის „პასუხი“ შეიცავდა სანკტ-პეტერბურგის სამართალდამცავი ორგანოების წარმატების შესახებ მოკლე მოხსენებას და უწყებრივ რეგულაციებთან მიმართებით, რომელიც კლასიფიცირებული იყო როგორც „საიდუმლო“, ადასტურებდა, რომ არ იყო მტკიცებულება, რომ დამსაქმებლები აჭარბებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. ეს ნიშნავს თუ არა, რომ სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს ქვეგანყოფილებებმა, შედეგად, არ განახორციელეს მათი უფროსების აშკარად უკანონო მითითებები, რჩება გაურკვეველი“.

2. სხვადასხვა სკოლებისთვის გაგზავნილი შეკითხვები და პასუხები რუსეთის ხელისუფლებიდან

36. მომჩივანმა მთავრობამ წარადგინა მოსკოვის ორი ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოების – ტაგანსკისა (უფროსი არსებულ დროს: ბ-ნი გ.ს. ზახაროვი) და ზაპადნის (უფროსის მოადგილე არსებულ დროს: ბ-ნი ა.ვ. კომაროვი) ორი წერილი – რომელიც 2006 წლის 2 და 3 ოქტომბერს გაეგზავნა სკოლებს იმ განზრახვით, რომ მომხდარიყო ქართველ მოსწავლეთა იდენტიფიცირება იმ მიზნით, რომ სხვა საკითხებს შორის „უზრუნველყოფილიყო საჯარო წესრიგი და კანონის პატივისცემა, აღკვეთილიყო ტერორისტული აქტები და დაძაბულობები მოსკოვში მცხოვრებ ბავშვებსა და ეროვნებით ქართველ (██████████████████) ბავშვებს შორის“ (წერილი ბ-ნი ზახაროვისგან). 2006 წლის 4 ოქტომბრის საპასუხო წერილში, ერთ-ერთი ამ დაწესებულების დირექტორმა (ბ-ნი ენგელსი) თქვა, რომ არ არსებობდა ნუსხა, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებდა მოსწავლეებს მათი ეროვნულობის საფუძველზე (ბ-ნი ზახაროვისა და ბ-ნი ენგელსის წერილები ასევე არის PACE-სა და HRW-ის მოხსენებების დანართებში). ამ საინფორმაციო მოთხოვნების გაგზავნა ფართოდ განიხილებოდა რუსულ მედიაში.

37. მოპასუხე მთავრობა არ დაობდა ამ წერილების არსებობის შესახებ და აღიარებდა კიდევ, რომ იმავე ტიპის სხვა მოთხოვნები 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში გაიგზავნა სხვადასხვა სკოლებში მოსკოვის ბუტურკის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მიერ (ქ-ნი ნ.ვ. მარკოვა არსებულ დროს), იმ საფუძლით, რომ მას უნდოდა სკოლისთვის არალეგალი იმიგრანტების მიერ გადახდილი ქრთამების შემთხვევების იდენტიფიცირება და მოთხოვნები ასევე გაიგზავნა სამარას რეგიონში ტოლიატიის ოლქის არასრულწლოვანთა დეპარტამენტის მიერ (ქ-ნი ს.ვ. ვოლკოვა არსებულ დროს), იმ საფუძლით, რომ მას სურდა იმ ბავშვთა საქმეების იდენტიფიცირება, რომლებიც ცხოვრობდნენ არაჯანსაღ პირობებში. მოპასუხე მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომდევნო გამოძიებებმა აჩვენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ გამოცემულა ამგვარი ოფიციალური ინსტრუქციები. თუმცაღა, იქ, სადაც – ცალკეულ შემთხვევებში – თანამდებობის პირები იყვნენ ზედმეტად მონდომებული, ისინი შემდგომ დაისაჯნენ თავიანთი უკანონო ქმედებებისთვის. მოპასუხე მთავრობის მიერ წარდგენილი დოკუმენტები აჩვენებდა, რომ თანამდებობის პირები, რომელთა შესახებაც კით-

ხვეები ისმებოდა და შესაბამისად, გამოეცხადათ საყვედური (□□□□□□), ნაკლებ-კვალიფიციურ სამუშაოზე გადაიყვანეს და დისციპლინური სახდელი დააკისრეს. მოწმეთა ზეპირი მოსმენისას ქ-ნმა კულაგინამ, ინსპექტორმა, ოლქის პოლიციის ოფიცერთა და ოლქის სამეთვალყურეო ოფიცერთა (დაკავშირებული არასრულწლოვნებთან) საქმიანობების ორგანიზების დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა მთავარი განყოფილება, სამარას რეგიონი, არსებულ დროს, და ბ-ნმა შაბასმა, შინაგან საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ადმინისტრაციული ოლქი, მოსკოვი, არსებულ დროს, დაადასტურეს ინფორმაცია და ახსნეს, თუ როგორ ჩატარდა ოფიციალური გამოძიებები და როგორ დაეკისრათ ჯარიმები ქ-ნ ვოლკოვასა და ქ-ნ მარკოვას, სხვებს შორის (იხილეთ დანართი № 19 და 22).

38. მოპასუხე მთავრობამ ასევე წარმოადგინა რუსეთის ფედერაციის მთავარი პროკურორის მოადგილის 2006 წლის 5 დეკემბრის წერილი, რომელიც გაეგზავნა ყველა პროკურორს, რომელიც აჩვენებდა, რომ შინაგან საქმეთა სხვადასხვა სამმართველოები მოქმედებდნენ არაკანონიერად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, ის ეხებოდა, გაუმართლებელ მოთხოვნებს, რომელიც გაიგზავნა სკოლებში იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ქართული ეროვნების მოსწავლეთა იდენტიფიცირება და წერილი მთავრდებოდა პროკურორებისადმი მოწოდებით, რომ გაეძლიერებინათ მათ მეთვალყურეობა ამ განყოფილებების საქმიანობებზე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო დსთ-ს (CIS) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა.

3. სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა პოზიცია

39. საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, თავის მხრივ, მოიხსენიებდნენ ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის კოორდინირებულ მოქმედებას, სანკტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს 2006 წლის 2 ოქტომბრის ინსტრუქციასა (no. 122721/08) და no. 0215 ბრძანებაზე მითითებით (PACE-ის მოხსენება, § 55 და 71, HRW-ის მოხსენება, § 37, და FIDH-ის მოხსენება, გვ. 26 და 27). მოწმეთა ზეპირი მოსმენისას, ბ-ნმა იორშიმ, PACE-ის მონიტორინგის კომიტეტის მომხსენებელმა არსებულ დროს, განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეთა ასეთი დიდი რაოდენობის გაძევება დროის ასეთ მოკლე პერიოდში არ შეიძლება განხორციელებულიყო რუსეთის ხელისუფლების საკმაოდ მაღალი რანგის პირებს შორის ცოდნისა და ინსტრუქციების გარეშე.

40. გარდა ამისა, FIDH-ი მიუთითებდა, რომ „ადამიანის უფლებათა და ლტოლვილთა დაცვის ორგანიზაციები, რომელიც წარმოდგენილი იყო რუსეთში, მიიჩნევდნენ, რომ კამპანია, განხორციელებული ასეთი საჩვენებელი მანერით რუსეთის ტერიტორიაზე, შეიძლება ინიცირებულიყო მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს იერარქიიდან წამოსული წერილობითი ბრძანებით. და მანამ, სანამ, მიგრაციის ფედერალური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები უარყოფდნენ ქართველების წინააღმდეგ ამკარა რეპრესიული ბრძანებების გაცემას, „მიგრაციისა და სამართლის“ ბევრი წევრმა, „მემორიალის“ (ადამიანის უფლებათა რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია) ქსელის წევრებმა რეგიონალურ დეპარტამენტებში ან პოლიციის განყოფილებებში ნახეს წე-

რილობითი ინსტრუქციები, რომელიც შეიცავდა ყველა ელემენტს, რომელიც წარმოდგენილი იყო კამპანიაში. [საკნტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული საიდუმლო ბრძანების] საქმე და მოსკოვის სკოლებში გაგზავნილი წერილები (იხილეთ პარაგრაფები 36-37 ზემოთ) არ შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც ცალკეული საქმეები“ (FIDH-ის მოხსენება, გვ. 28-29; საინფორმაციო მოთხოვნებისთვის გაგზავნილი სკოლებში, იხილეთ ასევე PACE-ის მოხსენება, დანართი V, და HRW-ის მოხსენება, გვ.37).

C. მოწმეთა ჩვენებების მიხედვით სადავო შემთხვევები

1. რუსეთის ფედერაციაში საიმიგრაციო წესების მიხედვით საქართველოს მოქალაქეთა სიტუაცია.

41. მხარეთა შორის სადავო, იცავდნენ თუ არა საიმიგრაციო წესებს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს გამოძევებული მოქალაქეები იმ პერიოდში, რა პერიოდთან დაკავშირებითაც ისმება კითხვები. ბევრი საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია ხაზს უსვამს ამ წესების კომპლექსურობას (იხილეთ §76 ქვემოთ).
42. ქართველ მოწმეებთან დაკავშირებით, რომლებმაც მისცეს ჩვენებები მოწმეთა ზეპირი მოსმენის დროს, იმის მიუხედავად, რომ მათი სამართლებრივი სიტუაცია რუსეთის ფედერაციაში ხშირად იყო დამაბნეველი, სასამართლომ შენიშნა, რომ მათი უმრავლესობა იყო ოფიციალურად არაკანონიერად მცხოვრები რუსეთის ფედერაციაში – ზოგიერთი წლობით – სხვადასხვა მიზეზების გამო (მაგალითად, არ ჰქონდათ კანონიერი მუშაობის ნებართვა, ვიზა, ან სარეგისტრაციო სერტიფიკატი, ხშირად გაცემული თაღლითურად – ისე, რომ მათ არ იცოდნენ – ბევრი კერძო სააგენტოს მიერ, რომელიც ფართოდ ახორციელებდა საქმიანობას რუსეთის ფედერაციაში). ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი დოკუმენტები წარსულშიც შეუმონებიათ სხვადასხვა შემთხვევის დროს, რომელსაც ზოგჯერ მოყვებოდა გარკვეული თანხის გადახდა, მაგრამ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ისინი დააკავეს და იძულებით გააძევეს რუსეთის ტერიტორიიდან.
43. ბ-ნი პატარიძე, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსული არსებულ დროს, ამბობდა, რომ პრაქტიკაში რთული იყო ოფიციალური პროცედურების განხორციელება და რომ ბევრი უცხო ქვეყნის მოქალაქეს, მათ შორის ქართველებსაც, ატყუებდნენ კერძო კომპანიები, რომელთა უმეტესობა მოქმედებდა უკანონოდ და გამოსცემდა გაყალბებულ სარეგისტრაციო სერტიფიკატებს. ის ამატებდა, რომ რუსეთის ფედერაციაში ამგვარ კერძო სააგენტოებს მფარველობდნენ, რომელთა რეკლამირება ხდებოდა დიდ ქალაქებში საჯარო ადგილებში (იხილეთ დანართი, §13).
44. ბ-ნი აზაროვი, საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მიგრაციის ფედერალური სამსახური, მოსკოვი, არსებულ დროს, და ბ-ნი კონდრატევი, ინსპექტორი კონტროლის ლონისძიებების №2 განყოფილებიდან იმავე დეპარტამენტში არსებულ დროს, მიუთითებდნენ, რომ მხოლოდ ოფიციალურ პირებს ჰქონდათ უფლებამოსილება, გაეცათ ამგვარი დოკუმენტები და რომ ისინი რეგულარულად აქვეყნებდნენ შესაბამის ინფორმაციას უცხო ქვეყნის მოქალაქეების საყურადღებოდ. მათ დაადასტურეს ასეთი კერძო სააგენტოების არსებობა, მაგრამ ხაზი გაუსვეს, რომ მათი საქმიანობა ხშირად იყო არალეგალური და

სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ობიექტს წარმოადგენდნენ, თუმცა სპეციფიკური მაგალითების მოყვანის გარეშე (იხილეთ დანართი, გვ. 15 და 17).

2. საქართველოს მოქალაქეების დაკავება, დაპატიმრება და გაძევება

45. მონმეთა ზეპირი მოსმენის შემდგომ, სადავო შემთხვევები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: საქართველოს მოქალაქეების პირადობების შემოწმება ხორციელდებოდა ქუჩებში, მარკეტებში და სხვა სამუშაო ადგილებში და მათ სახლებში, და შემდგომ მათ აკავებდნენ და გადაჰყავდათ პოლიციის განყოფილებებში. პოლიციის განყოფილებების დაკავების იზოლაციაში ყოფნის გარკვეული პერიოდის შემდეგ (რამდენიმე საათიდან ერთ ან ორ დღემდე, მონმეთა ჩვენებების მიხედვით), მათ ერთად აჯგუფებდნენ და ავტობუსით მიჰყავდათ სასამართლოებში, რომელიც საბოლოოდ მათ აკისრებდა ადმინისტრაციულ სასჯელებს და გამოჰქონდა გადანაცვლებები, რომელიც ბრძანებდა მათ ადმინისტრაციულ გაძევებას რუსეთის ტერიტორიიდან. შემდგომ, ზოგჯერ სამედიცინო ვიზიტისა და სისხლის ტესტის გავლის შემდეგ, ისინი გადაჰყავდათ უცხოელთა დაკავების ცენტრებში, სადაც მათ აკავებდნენ დროის სხვადასხვა პერიოდით (ორი დღიდან თოთხმეტ დღემდე, მონმეთა ჩვენებების მიხედვით), და შემდეგ მიჰყავდათ ავტობუსით მოსკოვის სხვადასხვა აეროპორტებში, და აძევებდნენ საქართველოში თვითმფრინავით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთმა მოქალაქემ, რომელთა წინააღმდეგაც გამოიცა გაძევების ორდერი, დატოვა რუსეთის ფედერაცია თავიანთი საშუალებებით.

a. დაკავების პირობები

46. ქართველი მონმეები ამბობდნენ, რომ ისინი დააკავეს რუსმა პოლიციის ოფიცრებმა იმ საფუძვლით, რომ მათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები არ ჰქონდათ წესრიგში. ხშირად მათ არ შეეძლოთ თავიანთი პირადი ნივთების წაღება ან წათესავების ინფორმირება. როცა მათ ჰკითხეს, თუ რატომ იყვნენ დაკავებულნი, მათ უპასუხეს, რომ ეს მოხდა იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ქართველები და რომ არსებობდა ბრძანება ზემოდან, გაეძევებინათ საქართველოს მოქალაქეები (მონმეთა ჩვენებები ნოს. 1, 2 და 3 – იხილეთ დანართი, გვ. 5, 6 და 7).

47. ბ-ნი აზაროვი, საიმეგრაციო კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მიგრაციის ფედერალური სამსახური, მოსკოვი, არსებულ დროს, და ბ-ნი კონდრატიევი, ინსპექტორი კონტროლის ღონისძიებების №2 განყოფილებიდან იმავე დეპარტამენტში არსებულ დროს, მიუთითებდნენ, რომ იმათმა დეპარტამენტებმა აიღეს თავის თავზე, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა პირადობებისა და დამსაქმებლების, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ რუსეთის ფედერაციაში საიმეგრაციო წესების დარღვევაში, შემოწმება.

b. სამართალწარმოება სასამართლოების წინაშე

48. ქართველი მონმეები, ყველანი ამბობდნენ, რომ ძალიან მოკლე ხანგრძლივობის სამართალწარმოება ჰქონდათ სასამართლოებში. ხშირად ისინი ვერც ანალიზებდნენ, რომ მათ სასამართლოს წინაშე წარადგენდნენ (მონმეთა ჩვენებები ნოს. 4, 5 და 6 – იხილეთ დანართი, გვ. 8, 9 და 10). მანამ, სანამ ზოგიერთი მათგანი იხსენებდა, რომ მოსამართლესთან გასაუბრება გრძელდებოდა საშუალოდ ხუთ წუთს საქმის ფაქტების რეალური განხილვის გარეშე (მონმეთა ჩვენებები nos. 1

და 3 – იხილეთ დანართი, §55 და 7), სხვები ამბობდნენ, რომ ისინი არ დაუშვეს სასამართლო დარბაზებში და იცდიდნენ კორიდორებში, ან ავტობუსებში, რომლებითაც მიიყვანეს სასამართლოში (მონმეთა ჩვენებები №2 და 7 – იხილეთ დანართი, §56 და 11), საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად (მათი რაოდენობა მერყეობდა 15–სა და 150–ს შორის). მათ თქვეს, რომ მათ უბრძანეს, მოენერათ ხელი სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის, ისე, რომ არ მისცეს შესაძლებლობა, წაეკითხათ ის, ან მიეღოთ გადაწყვეტილების ასლი. მათ არ ჰქონდათ ნვდომა თარჯიმანთან ან ადვოკატთან (მონმეთა ჩვენებები nos. 1, 2 და 4 – იხილეთ დანართი, §55, 6 და 8). როგორც ხდებოდა, მოსამართლეებმა და პოლიციის ოფიცრებმა გადაათქმევინეს მათ გასაჩივრება, რადგან განუცხადეს, რომ არსებობდა საქართველოს მოქალაქეების გაძევების ბრძანება, და ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი იყვნენ ისეთ სტრესულ მდგომარეობაში, რომ შეიძლება უფრო დიდხანს დარჩენილიყვნენ პატიმრობაში და იმდენად უნდოდათ საქართველოში დაბრუნება, რომ ისინი ხელს მოაწერდნენ „ნებისმიერ რამეს“. როდესაც მათ იკითხეს, თუ რატომ აძევებდნენ, მათ უპასუხეს, რომ ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ქართველები და მიზეზი მათ უნდა ეკითხათ თავიანთი პრეზიდენტისთვის, ბ-ნი სააკაშვილისთვის.

49. ბ-ნმა პატარიძემ, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულმა არსებულ დროს, განაცხადა, რომ რუსმა თანამდებობის პირებმა მას პირადად უთხრეს, რომ ამგვარ გასაჩივრებებს არ ჰქონდა აზრი, ვინაიდან რუსეთის ფედერაციიდან ქართველების გაძევება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება (იხილეთ დანართი, § 13).
50. და ბ-ნი კონდრატიევი, ინსპექტორი კონტროლის ღონისძიებების №2 განყოფილებიდან, საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტი, მიგრაციის ფედერალური სამსახური, მოსკოვი, არსებულ დროს, სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებას აღწერდა შემდეგნაირად: მოპასუხე მიჰყავდათ მოსამართლესთან, რომელიც აცნობდა მას მის უფლებებსა და ვალდებულებებს, ეკითხებოდა, ხომ არ სურდა მას ჰყოლოდა თარჯიმანი ან ადვოკატი, და თუ სურვილს გამოთქვამდა, მისი მოთხოვნა მხედველობაში მიიღებოდა; შემდეგ მოსამართლე მოპასუხეს უსვამდა კითხვებს მის კერძო სიტუაციაზე, ტოვებდა დარბაზს და ბრუნდებოდა ორდერით. თუ ეს იყო გაძევების ორდერი, მოპასუხე იღებდა მის ასლს და გადაჰყავდათ ის უცხოელებისთვის განკუთვნილ დაკავების ცენტრში მისი გაძევების მიზნით. მას ჰქონდა ათი დღე გასაჩივრებისთვის, რომლის შემდეგ გაძევდებოდა რუსეთის ფედერაციიდან, და რომ ეს ვადა შეიძლება გაზრდილიყო (იხილეთ დანართი §17).
51. ბ-ნმა მანერკინმა, ფედერალური კანონმდებლობის აღსრულებაზე სამეთვალყურეო განყოფილების უფროსმა, მოსკოვის პროკურატურიდან, განსახილველ დროს, ახსნა, რომ შესაბამის პერიოდში მისი განყოფილება ახდენდა პროცედურული შეუსაბამობების იდენტიფიცირებას, რომელიც შეეხებოდა მიგრაციის ფედერალური სამსახურის მიერ სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეებზე მოხსენებების შედგენის მანერას. 22 საქმეში აღნიშნულმა დასკვნებმა განაპირობა გაძევების ბრძანებების გადადება. მან დაამატა, რომ მთავარმა პროკურორმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოსკოვის რეგიონზე, მოსთხოვა მის ყველა განყოფილებას, უზრუნველყოთ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების სათანადოდ პატივისცემა. მან თქვა, რომ არასოდეს ყოფილა ინსტრუქციები, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს შეუზღუდავდა უფლებებს, რადგან ეს იქნებოდა კანონის საწინააღმდეგო, და დანაშაულიც კი, რუსული სამართლის მიხედვით.

c. დაკავების პირობები

52. ქართველი მონმეები საუბრობდნენ „გადატვირთულობაზე“, „აუტანელ“ და „არა-ადამიანურ“ დაკავების პირობებზე და შემადრწუნებელი ჰიგიენის პირობებზე, და ამბობდნენ, რომ მათი თანაპატიმრები ძირითადად იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, თუმცა ზოგჯერ, ერთი ან ორი სხვა ეროვნების დაკავებულიც იმყოფებოდა.
53. ისინი ამბობდნენ, რომ მათი პოლიციის განყოფილებაში დაკავებისას, საკნები, რომლებსაც „მაიმუნების გალიას“ ეძახდნენ, იყო მეტად პატარა და გადატვირთული, რომ ქალები და კაცები ხშირად ერთად იყვნენ დაპატიმრებული და არ ჰქონდათ დაჯდომის საშუალება (მონმეთა ჩვენებები №1 და 6 – იხ. დანართი, §55 და 10).
54. მათი თქმით, უცხოელთა დაკავების ცენტრებში საკნები ასევე იყო გადატვირთული: საკნების ზომის აღწერილობა მერყეობდა 40-დან 50კვ.მ-მდე 100 პატიმრისთვის, 22-დან 25 კვ.მ-მდე 23 პატიმრისთვის 10 სანოლით (მონმეთა ჩვენება №3), 6X8 ფეხის ნაბიჯი 30 პატიმრისთვის 6 სანოლით (მონმეთა ჩვენება no:4), და 25 კვ.მ. 40 პატიმრისთვის 15 სანოლით (მონმეთა ჩვენება №7). სხვა მონმეები საუბრობდნენ პატარა საკნებზე 7 ან 8 პატიმრით (მონმეთა ჩვენებები №1 და 6) ან 45 პატიმრით და 6 სანოლით (მონმეთა ჩვენება №5 – იხ. დანართი, §57, 8, 11, 5, 10 და 9). სანოლები შედგებოდა მხოლოდ რკინისგან, ძალიან თხელი მატრასითა და საბნის გარეშე; დაკავებულებს მორიგეობით ეძინათ მასზე; კალათა გამოიყენებოდა როგორც ტუალეტი და არ იყო განცალკევებული საკნისგან; არ არსებობდა ვარგისი წყალი თუ საჭმელი.
55. ბ-ნმა პატარიძემ, იმ დროისთვის საქართველოს კონსული რუსეთის ფედერაციაში, განაცხადა, რომ ის და მისი ჯგუფი არაერთ დაკავების დაწესებულებას ესტუმრნენ რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის პეტერბურგსა და მოსკოვში. იგი ადასტურებდა, რომ თითქმის ყველა ცენტრში უმეტესად საქართველოს მოქალაქეები იყვნენ დაკავებული, რომ საკნები იყო გადატვირთული, პირობები მეტად რთული, შემადრწუნებელი ჰიგიენა, და ძალიან ცოტა ლოგინები და მატრასები. მხოლოდ მოსკოვის დაკავების no.1 ცენტრი (სანიმუშო ცენტრი, რომელიც ჟურნალისტებს ანახეს) სთავაზობდა დაკავების უკეთეს პირობებს, თუმცა, ისიც ასევე გადატვირთული იყო (იხ. დანართი §13).
56. ბ-ნმა აზაროვმა, იმ დროისთვის საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტის უფროსი მოადგილე (ფედერალური საიმიგრაციო მომსახურება, მოსკოვი), განაცხადა, რომ იგი ხელმძღვანელობდა რვა დაკავების დაწესებულებას მოსკოვში და რომ ყველა მათგანს ესტუმრა: დაკავების პირობები იყო საერთო ყველა უცხოელისთვის, კერძოდ, დიდი საკნები დაახლოებით 50კვ.მ, სანოლებით, ცალკე საპირფარეოთი, წყლით და სამჯერადი ცხელი კვებით (იხ. დანართი §15). სხვა რუსმა მონმეებმა განაცხადეს, რომ არასდროს ყოფილა რაიმე სახის საჩივარი წარდგენილი დაკავების პირობებთან დაკავშირებით საქართველოს კონსულის ან საქართველოს მოქალაქეების მხრიდან.

d. გაძევების პირობები

57. ქართველი მონმეები აცხადებდნენ, რომ ისინი და საქართველოს სხვა მოქალაქეები წაიყვანეს ავტობუსით, რომელსაც თან ახლდა რუსეთის სპეციალური პოლიციის (□ □ □ □) ოფიცრები, მოსკოვის სხვადასხვა აეროპორტში, საიდანაც მოხდა მათი თვითმფრინავით დეპორტაცია თბილისში. მათ განაცხადეს, რომ

□ □ □ □-ის ოფიცრები ამცირებდნენ, მაგალითად, იძულებული იყვნენ ავტობუსში ფული გადაეხადათ, რათა გაათავისუფლებულიყვნენ ან მოენიათ ან მიეღოთ პირადი ნივთები (მონმეთა ჩვენებები №3, 4, 5 და 7 - იხ, დანართი №7,8,9 და 11), და შესაბამისად, უნდა ევლოთ ან ერბინათ თვითმფრინავამდე უკან შეკრული ხელლებით □ □ □ □-ის ოფიცრებისგან შემდგარი ცოცხალი კორიდორის გავლით. საქართველოს მოქალაქეების პირველმა გაძევებულმა ნაკადმა სატვირთო თვითმფრინავებით იმგზავრა (2006 წლის 6 ოქტომბერს), ხოლო შემდეგმა ნაკადმა სამგზავრო თვითმფრინავებით (2006 წლის 10, 11 და 17 ოქტომბერი). მართლაც, სამგზავრო თვითმფრინავში ტრანსპორტირების პირობები მისაღები იყო, სატვირთო თვითმფრინავის კი - მეტად პრიმიტიულს წარმოადგენდა: ქართველი მონმეთები ამბობდნენ, რომ სკამების ორი რიგი არსებობდა, რომლებზეც ქალები და ბავშვები ისხდნენ (ოცი ან მეტი), მამაკაცები კი ან იატაკზე ისხდნენ ან ფეხზე იდგნენ, ხოლო კასრის მსგავსი ნივთი გამოყენებოდა, როგორც ტუალეტი და ტრიალებდა რიგებს შორის. მიახლოებითი რაოდენობა ქართველი მგზავრებისა თვითმფრინავში მერყეობდა 80-დან 150-მდე.

58. ბ-ნმა კონდრატიევმა, იმ დროისთვის კონტროლის №2 განყოფილების ინსპექტორი (იმიგრაციის კონტროლის დეპარტამენტი, ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების სააგენტო, მოსკოვი) განაცხადა, რომ სატვირთო თვითმფრინავები იყო სამგზავრო თვითმფრინავის მსგავსი, მცირედი განსხვავებით კომფორტში, ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი აღჭურვილი იყო დასაჯდომი ადგილებით ან სკამებით და უსაფრთხოების ქამრებით, წყლით, საკვებით და იატაკზე დამაგრებული ტუალეტებით. იგი თავადვე ახლდა თან სარტვირთო თვითმფრინავს 2006 წლის 6 ოქტომბრის ფრენისას და განმარტა, რომ ფრენა გაგრძელდა დაახლოებით 3 საათი, რომ ბორტზე იმყოფებოდა დაახლოებით 150 მგზავრი და მათ არ გაუსაჩივრებიათ ტრანსპორტირების პირობები, არამედ პირიქით, მაღლობას უხდიდნენ მისი დეპარტამენტის წევრებს თბილისში ჩასვლისას. უკანა გზაზე, იმავე თვითმფრინავმა რუსეთის მოქალაქეები წაიყვანა საქართველოდან რუსეთში.
59. ბ-ნი აზაროვი, იმ დროისთვის საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, მოადგილე (ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების სააგენტო, მოსკოვი), იმყოფებოდა ჟუკოვსკოეს და დომოდედოვოს აეროპორტებში და ორ თვითმფრინავში მოათავსეს საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გააძვეს საქართველოში. მან განაცხადა, რომ თვითმფრინავები აღჭურვილი იყო დასაჯდომი ადგილებით და სკამებით, ასევე, წყლითა და მშრალი ორცხობილებით.
60. ბ-ნმა შევჩენკომ, იმ დროისთვის ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების საიმიგრაციო კონტროლის დეპარტამენტის უფროსი მოადგილე, განაცხადა, რომ იგი იმყოფებოდა აეროპორტში, როდესაც საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია მიმდინარეობდა და აღნიშნა, რომ არ არსებობდა შეზღუდვები ბარგზე; პირიქით, პირადი ნივთები მათ თან ჰქონდათ და მედიაც იქ იმყოფებოდა. შესაბამისად, მაღლობის წერილში, რომელიც საქართველოს კონსულმა გაუგზავნა დაბა დერბენტის (დაღესტანი) ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების უფროსს, იგი მაღლობას უხდიდა რუს ოფიციალურ პირებს თანამშრომლობისთვის გაძევების პროცედურების მსვლელობისას და არ წარუდგენია არანაირი საჩივარი.

სიტუაცია საქართველოში გაძევების შემდგომ

61. ქართველი მოწმეები აღნიშნავენ, რომ ისინი გათავისუფლდნენ, რათა დაბრუნებულიყვნენ საქართველოში და არ გაუსაჩივრებიათ გაძევების ბრძანებები თბილისში რუსეთის არც საკონსულოსა და არც საელჩოში. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციაში სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ორივე მოსამართლემ და პოლიციის ოფიცრებმა უთხრეს მათ არაერთხელ, რომ გასაჩივრება აზრს იყო მოკლებული, რადგანაც ზემოდან არსებობდა ბრძანება ქართველების გაძევებაზე. ზოგიერთი ასევე მიუთითებდა პრაქტიკულ დაბრკოლებებზე, როგორცაა მაგალითად რუსეთის საკონსულოს დახურვა თბილისში, საკონსულოსთან დიდი რიგები და სხვ.
62. ბ-ნმა ვასილევმა, იმ დროისთვის რუსეთის ფედერაციის კონსული საქართველოში, გაანცხადა, რომ თბილისის საელჩოს და საკონსულოს დიპლომატიური პერსონალის ნაწილის რუსეთის ფედერაციაში 2006 წლის სექტემბრის ბოლოს რეპატრიაციის შემდგომ, საელჩომ განაგრძო ჩვეულებრივად ფუნქციონირება, სამუშაო საათების განმავლობაში (9:00-16:00), შემცირებული 15 თანამშრომლის დახმარებით საელჩოში (დიპლომატები და ადმინისტრაციული პერსონალი) და სამი დოპლომატით საკონსულოში. შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ წარედგინათ სარჩელები ან პრეტენზიები – პირადად, ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით – რაც შემდგომ გადაეგზავნებოდა შესაბამის ოფიციალურ ორგანოებს რუსეთის ფედერაციაში, მაგრამ არც ერთი საჩივარი ან პრეტენზია არ იქნა წარდგენილი. მას შემდეგ, რაც ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა, 2009 წლის მარტიდან, რუსეთის ფედერაციას გახსნილი ჰქონდა ოფისი შვეიცარიის საელჩოში საქართველოში და საქართველოს ასევე ჰქონდა გახსნილი ერთი ოფისი რუსეთში შვეიცარიის საელჩოში. შესაბამის დიპლომატებს ერთმანეთთან დაკავშირება სწორედ აქ შეეძლოთ (იხ. დანართი §24). 2011 წლის 15 აპრილის წერილში მოპასუხე მთავრობა ადასტურებდა, რომ მისი დიპლომატიური პერსონალის ნაწილის ევაკუაციის შემდგომ, რომელიც 2006 წლის სექტემბრის ბოლოს განხორციელდა, დიპლომატიური პერსონალის ათი წევრი განაგრძობდა მუშაობას თბილისში არსებულ რუსეთის საელჩოში და სამ სხვა საკონსულოში.

D. სადაო მოვლენები სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების თანახმად

1. ზოგადი მიმოხილვა

63. PACE-ს მონიტორინგის კომიტეტი მიუთითებდა „სელექტიურ და გამიზნული დევნის კამპანიაზე ეთნიკურ საფუძველზე, რაც ნათლად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის მე-14 მუხლის არსს..., რომელშიც ჯგუფი ნათლად არის ქცეული სპეციალური მილიციის ოპერაციების სამიზნედ, რომელიც მოიცავს მოსახლეობის დევნას ქუჩებში, მაღაზიებში თუ სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში (საქართველოს საკონსულო მოსკოვში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია)...“ (PACE ანგარიში, §52-53).
64. არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ „მასიური კონტროლის ოპერაციებზე და რეპრესიებზე, რომლებიც მიმართული იყო მოსკოვში და სხვა რუსულ ქალაქებში მცხოვრებ ქართველებზე“ (FIDH ანგარიში, მე-2 პუნქტი „2006 წლის შემოდგომის ანტიქართული კამპანია“ გვ.20). საქართველოს მოქალაქეები და „ეთნიკური ქართველები“, შესაბამისად, იყვნენ დაკავების და გაძევების წინას-

წარგანზრახული პოლიტიკის მსხვერპლი (HRW ანგარიში, გვ.1).

65. HRW-მ მოახდინა ქ-ნი ელა პამფილოვას კომენტარების ციტირება – რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი (სახელმწიფო ორგანო, რომელიც კონსულტაციებს უწევს პრეზიდენტს ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე) – რომელმაც განაცხადა, რომ „გამოყენებული ადმინისტრაციული და სამართლებრივი ზომები [ქართველების წინააღმდეგ] არის უსაფუძვლო: ქართველების კუთვნილი ბიზნესები დაიხურა, ქართველების მიერ კანონიერად მოპოვებული ვიზები და სარეგისტრაციო დოკუმენტები გაუქმდა, ადამიანები უკანონოდ დააკავეს და [გააძევეს] რუსეთიდან“ (2006 წლის 8 ნოემბრის განცხადება, ანგარიშის გვ.30).
66. ქ-ნმა სვეტლანა განუშკინამ – იმავე საკონსულტაციო საბჭოს წევრი და „მიგრაციისა და კანონმდებლობის“ ქსელის ხელმძღვანელი და სამოქალაქო დახმარების კომიტეტის თავმჯდომარე, ასევე, იმ დროისთვის „მემორიალის“ ადამიანის უფლებათა ცენტრის საბჭოს წევრი – 2006 წელს განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა „საქართველოს მოქალაქეების ორგანიზებულ დევნას“. მან მიიჩნია, რომ „ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფის ამგვარი შევიწროება, წარმოადგენდა დაუშვებელი დისკრიმინაციის ფორმას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა განხილულიყო, როგორც არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის სამართლებრივი მეთოდი“ (სიტყვით გამოსვლა ევროპის პარლამენტში 2006 წლის 21 ნოემბერს).
67. სხვა ევროპულმა ინსტიტუტებმა ასევე გამოხატეს შეშფოთება ქართველების დიდი რაოდენობით გაძევებასთან დაკავშირებით და თხოვნით მიმართეს რუსეთის ოფიციალურ ორგანოებს გაეუქმებინათ ყველა ღონისძიება, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელდა მათ ტერიტორიაზე (ქ-ნი ფერერო-ვალდერის – ევროკომისიის წევრი საგარეო ურთიერთობებსა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დარგში – სიტყვით გამოსვლა 2006 წლის 25 ოქტომბერს; ევროპარლამენტის 2007 წლის 6 მარტის ერთობლივი რეზოლუცია სამხრეთ ოსეთის მდგომარეობასთან დაკავშირებით, 1-ლი, მე-11 და მე-12 პუნქტები; რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროკომისიის 2006 წლის 15 დეკემბრის განცხადება (ECRI)).

2. საქართველოს მოქალაქეების დაკავება, პატიმრობა და გაძევება

a. დაკავების პირობები და სასამართლოს წინაშე პროცესი

68. PACE-ს მონიტორინგის კომიტეტმა განაცხადა, რომ „გაძევების რუტინა“ მოჰყვა პერიოდულ ქმედებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით: „ქართველებს, რომლებსაც აჩერებდნენ ქუჩაში მათი დოკუმენტების შემოწმების მიზეზით, აკავებდნენ იმის მიუხედავად, იმყოფებოდა თუ არა მათი დოკუმენტები ნესრიგში და გადაყავდათ მილიციის განყოფილებაში, სადაც მათ დიდ ჯგუფებად წარუდგენდნენ სასამართლოს. გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ სასჯელზე, რუსეთის ტერიტორიიდან გაძევების შესახებ, მიიღებოდა სასამართლოსთან წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ადვოკატების და სასამართლოს მიერ ინდივიდუალური გარემოებების განხილვის გარეშე, მთლიანი პროცედურა გრძელდებოდა ორიდან ათ წუთამდე. ხშირად, ადამიანები, რომლებიც ამ ღონისძიებებს დაექვემდებარენ, არც კი იყვნენ წარდგენილი სასამართლო დარბაზში; დაკავებულები იმ-

ყოფებოდნენ კორიდორებში ან მანქანებში, რომლითაც ისინი იქ მიიყვანეს“ (PACE ანგარიში, §59).

69. ეს აღწერილობა თანხვედრაშია FIDH და HRW-ს ანგარიშებთან (FIDH ანგარიში, გვ.23-26 II-2 „კრიზისის განვითარება და დევნის სახეები“ ა) „კონტროლისა და დაკავების ოპერაციები“, ბ) „სამართლიანობის აშკარა უარყოფა და პროცედურებისთვის გვერდის ავლა“, და HRW ანგარიში, გვ. 40-53 „ქართველების თვითნებური და უკანონო დაკავება და გაძევება“).
70. HRW-ს თანახმად, „მაშინ, როცა საქართველოს ზოგიერთ მოქალაქეს ტექნიკურად შესაძლოა ჰქონდა სასამართლოს გადაწყვეტილება მათი გაძევების შესახებ, ის, თუ როგორ მოხდა ამ გადაწყვეტილებების აღსრულება (ზოგიერთი ჯგუფური სასამართლო განხილვის სახით), წარმომადგენლობის გაძევების წინააღმდეგ სათანადო საქმისწარმოების შესაძლებლობის არარსებობა და ის ფაქტი, რომ ბევრს უარი ეთქვა გასაჩივრებაზე, მიუთითებს რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების დარღვევაზე (HRW ანგარიში, გვ.13).
71. FIDH-მა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ „დაკავებული პირები ჯგუფურად იქნენ წარდგენილი სასამართლოს წინაშე, რომელმაც რამდენიმე წუთში გამოსცა მათი რუსეთიდან გაძევების განჩინება, რასაც წინ უძღოდა დაკავების პერიოდი უცხოელი მოქალაქეების დროებითი დაკავების დანესებულებაში (TsVSIg), პირის ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე (FIDH-ის ანგარიში, გვ.25).

ასევე, დაამატა, რომ „სამოქალაქო დახმარების“ (რუსული ასოციაციაცია) იურისტი „კამპანიის განმავლობაში არაერთ გარემოებებში შეესწრო მართლმსაჯულების შეცდომებს: დაკავებულებს არა მარტო არ ჰქონდათ უფლება ადვოკატზე, არამედ, ისინი ხშირად პოლიციის თანამშრომლების მიერ ჯგუფურად წარედგინებოდნენ სასამართლოს. მოსამართლეები კი საქმეებს განიხილავდნენ როგორც საწარმოო ხაზზე, გაძევების ბრძანებას დაქვემდებარებული პირების დასწრების და თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინების გარეშე. ეს გაძევების განცხადებები წარედგინებოდა დაკავებულებს; ბევრი ხელს აწერდა, ფიქრობდა რა, რომ იყო ჯარიმა, როგორც ერთ-ერთი ნაწილი ადმინისტრაციული სახდელებისა საიმიგრაციო წესების დარღვევისთვის. უამრავ შემთხვევაში განსახილველ პირებს წინასწარვე ათქმევინეს უარი გასაჩივრებაზე იმ მიზეზით, რომ „ეს საქმეს კიდევ უფრო გაართულებდა“. ზოგიერთ შემთხვევაში „შეთანხმებებს“ მოეწერა ხელი დეპორტაციის ადგილას (FIDH-ის ანგარიში, გვ.26).

ასევე, აცხადებდა, რომ „რიგი ფაქტორები მიუთითებდა პოლიციასა და მართლმსაჯულების ორგანოებს შორის შეთქმულებაზე, რაც ამტიკიცებდა წინასწარშემუშავებულ პოლიტიკას: მოსკოვში, პოლიციასა და სასამართლოებს შორის შეთქმულება მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ამ უკანასკნელს სიაში არ შეუტანია არცერთი საქმე იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ქართველები წარედგინებოდნენ სასამართლოს. ისინი დააკავეს დილის 9 საათზე და ჯგუფურად წარუდგინეს სასამართლოს 10:00 საათზე. მოსამართლეებმა დიდი რაოდენობით გადაწყვეტილებები გამოიტანეს რამდენიმე დღეში, როცა ჩვეულებრივ ექვსი თვე სჭირდებოდათ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისთვის“ (FIDH-ის ანგარიში, გვ.26).

b. დაკავების და გაძევების პირობები

72. პატიმრობის პირობებთან და გაძევებასთან დაკავშირებით, PACE მონიტორინგის კომიტეტმა მიუთითა იმ მოწმეებზე, რომელთაც მან თანარეპორტიორების მისიის დროს მოუსმინა და რომლებიც საუბრობდნენ „გადატვირთულობაზე“ „აუ-

ტანელ“ და „არაადამიანურ“ პატიმრობის პირობებზე. მათ არამარტო სამედიცინო დახმარების მიღების უფლება ჩამოართვეს, არამედ, ნებისმიერი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობაც.

ამ გარემოებების შედეგად გარდაიცვალა 48 წლის საქართველოს მოქალაქე, თენგიზ ტოგონიძე, რომელიც მოწმეთა თანახმად, ასთმით იყო დაავადებული. მას შემდეგ, რაც დაკავებული იყვნენ ორი კვირა სამედიცინო დახმარების და სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობის გარეშე, იგი გარდაიცვალა რამდენიმე საათიანი მოგზაურობის შემდგომ, რომელიც სანკტ-პეტერბურგის დაკავების იზოლატორის და მოსკოვის დომოდედოვის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით ხორციელდებოდა 2006 წლის 17 ოქტომბერს. იმ დროისთვის ფედერალური საიმისგრაციო მომსახურების უფროსმა მოადგილემ, ბ-ნმა ტურკინმა განაცხადა, რომ განსახილველი დაკავების დაწესებულება დაიკეტა.

მონიტორინგის კომიტეტი ასევე მიუთითებდა საქართველოს მეორე მოქალაქეზე, 52 წლის მანანა ჯაბელიაზე, რომელიც 2006 წლის 2 დეკემბერს გარდაიცვალა მოსკოვის დაკავების №2 დაწესებულებაში, ორთვიანი არაადეკვატური სამედიცინო დახმარების და სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე უარის შედეგად (PACE-ს ანგარიში, § 60).

და ბოლოს, მონიტორინგის კომიტეტი მიუთითებდა იმ პირობებზე, რომელშიც საქართველოს მოქალაქეების გადაყვანა ხდებოდა სატვირთო თვითმფრინავებით 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში. ეს განხორციელდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ნორმების დარღვევით, რამდენადაც მგზავრთა გადაყვანა იყო სიცოცხლისთვის საშიში (PACE ანგარიში, §57).

73. FIDH-მა დააზუსტა, რომ არსებობდა „რვა დროებითი დაკავების დაწესებულება უცხოელი მოქალაქეებისთვის მოსკოვში და მის შემოგარენში, რომელიც კონვერტირებული იყო ყოფილი გამოსაფხიზლებელი საკნებისგან. დაწესებულებებს №1 (ნოვოსლობოდსკაიას რაიონი), №2 (პერედელკინოში) და №8 (მნევიკში) სტუმრობდა „სამოქალაქო დახმარების“ კომიტეტის პერსონალი. ერთ-ერთ, დიმიტროვსკოეს ქუჩის წინ, იყო პოლიციის მანქანების 2 კილომეტრამდე რიგი, რათა გადაეყვანა დაკავებული პირები იზოლატორში, რომლის სივრცე 320 პირისთვის იყო განკუთვნილი. დაკავებულები აცხადებდნენ, რომ რვის მაგივრად 16 პირი იმყოფებოდა საკანში და საკვების რაციონი არ გაზრდილა. ამას გარდა, იქ იმდენად ბევრი ადამიანი იმყოფებოდა, რომ TsVSiG არც კი ჰქონდა დრო შეედეგინა პატიმართა განთავისუფლების დოკუმენტები“. FIDH-ი ასევე მიუთითებდა დაკავების დაწესებულებაში ან გაძევებამდე მგზავრობის დროს სიკვდილის ოთხ შემთხვევაზე (FIDH ანგარიში, გვ.26-27 (ვ) „პატიმრობის პირობები და სიკვდილიანობა პატიმრობაში“).

74. HRW-ი იუნყებოდა მსგავს ფაქტებს და ასევე მიუთითებდა დაკავების განმავლობაში დაფიქსირებულ ოთხ სიკვდილზე (HRW ანგარიში, გვ.53-57 „ქართველების სიკვდილი პატიმრობაში“ და გვ.57-63 „არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა“).

პირველ საკითხზე HRW-მ ასევე მიუთითა ბ-ნი ტოგონიძის და ქ-ნი ჰაბელიას საქმეებზე, რომლებიც დაექვემდებარნენ დაკავების მეტად მკაცრ პირობებს და არ მიეწოდათ საჭირო სამედიცინო დახმარება, რამაც მათი სიკვდილი გამოიწვია. საქართველოს ორი სხვა მოქალაქის საქმე, რომლებიც პატიმრობისას გარდაიცვალნენ ასევე აღინიშნა. ამას გარდა, რუსეთის ოფიციალურმა ორგანოებმა არ განახორციელეს არსებითი გამოძიება ხსენებულ გარდაცვალებაზე, მიუხედავ-

ვად მათი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებისა.

მეორე საკითხზე HRW-მ აღნიშნა, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მათი დაკავების და გაძევების მძიმე პირობების გათვალისწინებით (გადატვირთული საკნები, წყლის და საკვების სიმცირე, საქართველოს ასზე მეტი მოქალაქის სატვირთო თვითმფრინავებით გადაყვანა).

II. შესაბამისი შიდა სამართალი და პრაქტიკა

A. საიმიგრაციო კანონმდებლობა და საქართველოს მოქალაქეების მდგომარეობა

75. ემიგრანტების შესვლა და ბინადრობა რეგულირდება ორი კანონით: 2002 წლის 25 ივლისის ფედერალური კანონი №115-FZ, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციაში უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივ სტატუსს და 2006 წლის 18 ივლისის №109-FZ ფედერალური კანონი რუსეთის ფედერაციაში იმ ემიგრანტების რეგისტრაციაზე, რომლებიც არიან სხვა ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები.

2002 წლის 29 ოქტომბრიდან უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდგომ CIS-ის ყველა მოქალაქეს – მათ შორის საქართველოს მოქალაქეები – მოეთხოვება მათი მდგომარეობის რეგულირება ბინადრობის ნებართვის მიღებაზე მიმართვის წარდგენით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ადრე კანონიერად იმყოფებოდნენ რუსეთის ტერიტორიაზე. ამ კანონის მე-20 და 21-ე სექციების თანახმად, მათ ასევე უნდა წარადგინონ განცხადება რეგისტრაციაზე რუსეთის ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების ადგილობრივ ოფისში, რათა მიიღონ რეგისტრაციის სერტიფიკატი, რომელიც მიუთითებს მათ ბინადრობის ადგილზე. თუ სურთ, განახორციელონ პროფესიული საქმიანობა, მათ მოეთხოვებათ სამუშაო ნებართვის და ემიგრანტი დასაქმებულის ბარათის მიღება მე-13 სექციის შესაბამისად. ცვლადი ხანგრძლივობის საქმიანი (ბიზნეს) ვიზა გაიცემა უცხოელ მოქალაქეებზე, რომლებიც ელოდებიან სემინარში მონაწილეობას, ან რუსეთის ფედერაციაში ბიზნეს კონტაქტების დამყარებას, მაგრამ იგი არ აძლევს მათ ლეგალურად მუშაობის უფლებას.

დამატებით, 2000 წლის 5 დეკემბრიდან, ბიშკეკის შეთანხმების დენონსაციის შემდგომ 1992 წლის 9 ოქტომბერს, რომელიც ეხებოდა CIS-ის უამრავი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა უვიზო გადაადგილებას, მათ შორის საქართველოს, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა შეიტანოს განცხადება, რათა შეძლოს რუსეთის ტერიტორიაზე შესვლა.

B. სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია

76. PACE-ს მონიტორინგის კომიტეტმა, FIDH-ის და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) ხაზი გაუსვეს 2002 წლის 25 ივლისის უცხოელი მოქალაქეების სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონის გარდამავალი დებულებების არარსებობას და ბინადრობის ნებართვის, რეგისტრაციის სერტიფიკატის ან მუშაობის ნებართვის მიღების პროცედურების კომპლექ-

სურობას, რაც ემიგრანტებს დაუცველ მდგომარეობაში აყენებდა (იხ. PACE ანგარიში, §54, FIDH ანგარიში გვ.12-13, რომელიც ასევე მიუთითებს 2003 წლის 2 ივნისის გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CERD) დასკვნებზე, CERD/C/62C0/7, და ECRI-ს მესამე 2005 წლის 16 დეკემბრის ანგარიშზე რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით ECRI (2006) 21).

C. ადმინისტრაციული გაძევების პროცედურა

77. ნებისმიერი უცხოელი მოქალაქე, რომელიც დაარღვევს რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო დებულებებს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები 18.8, 18.10 და 18.11), პასუხს აგებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და ემუქრება გაძევება (მუხლი 3.2). ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ადმინისტრაციული ხასიათის ბრალდებას, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს რუსეთის ფედერაციიდან გაძევება, უნდა მიიღოს საერთო სასამართლოს მოსამართლემ (მუხლი 23.1 §3). გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში ან სააპელაციო სასამართლოში ათი დღის განმავლობაში (მუხლი 30.1 §1, 30.2 §2 და 30.3 §1). ვადა შეიძლება გადაინიოს მოსარჩელის მოთხოვნით (მუხლი 30.3 §2). სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციული გაძევების ბრძანების მიმართ უნდა განხილულ იქნეს სააპელაციო დოკუმენტების წარდგენიდან ერთი დღის განმავლობაში (მუხლი 30.5 §3), იგი გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისგან და შემაჩერებელი ხასიათისაა (მუხლები 31.1, 31.2 §2, და 31.3 §1,2 და 3). და ბოლოს, უცხოელმა მოქალაქემ, ასევე, შეიძლება აღძრას სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციული გაძევების ბრძანების წინააღმდეგ, რომელიც გახდა განხორციელებადი (საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 22 აპრილის და 2005 წლის 12 აპრილის განჩინებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 30.11 §1,2 და 3 მუხლების კონსტიტუციურობაზე).

III. მხარეთა მოთხოვნები

A. მომჩივანი მთავრობა

78. მომჩივანმა მთავრობამ მიმართა სასამართლოს დაედგინა,

„I. დასაშვებობასთან დაკავშირებით:

ა. მომჩივნების საჩივარი დასაშვებია, რადგანაც შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვის წესი არ ვრცელდება ამ პროცესზე. ვინაიდან, სავარაუდოდ დარღვევები არის განმეორებადი მაგალითი კონვენციასთან შეუსაბამო ქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ რუსეთის ხელისუფლების ორგანოების ოფიციალური შემწყნარებლობის საგანს და შესაბამისად, შეეხება ადმინისტრაციულ პრაქტიკას.

ბ. ალტერნატიულად, რომ მომჩივანის საჩივარი დასაშვებია, რადგან შიდასამართლებრივი საშუალებების ამონურვის მოთხოვნა არ გამოიყენება წინამდებარე საქმეში, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის შიდასამართლებრივი საშუალებები არ იყო ეფექტური და ხელმისაწვდომი კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში და არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ათავისუფლებდა საქართველოს მოქალაქეებს და ქართული წარმოშობის პირებს მათი ამონურვისგან.

გ. რომ საჩივარი წარდგენილ იქნა ექვსი თვის ვადაში.

-
- II. საქმის არსებითი გარემოებები: რომ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლები, 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლები, მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი და მე-7 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.
- III. სამართლებრივი დაცვის საშუალება: რომ მომჩივან სახელმწიფოს ეკუთვნის სამართლიანი დაკმაყოფილება ამ დარღვევებისთვის, რაც მოითხოვს სასამართლოს დაცვის ზომებს და კომპენსაციას დაზარალებული მხარისთვის.“
79. უკანასკნელ საკითხზე მათ მიმართეს სასამართლოს, რომ „მიენიჭებინა სამართლიანი დაკმაყოფილება 41-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, კომპენსაცია, რეპარაცია, *restitution in integrum*, ხარჯები, დანახარჯები და სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებები, რომლებიც განკუთვნილია დაზარალებულ მხარეთა მიერ განცდილი მატერიალური და არამატერიალური ზარალისთვის“.
80. დასაშვებობის მოსმენაზე, მომჩივანმა მთავრობამ ნათლად აღნიშნა, რომ ინდივიდუალური გარემოებები, რომლებიც აღწერილია მათ საჩივარში და მოხსნიებული ქართველი მოწმეების მიერ მათი მოსმენის დროს, იყო ერთადერთი, რომელიც ახდენდა ადმინისტრაციული პრაქტიკის ილუსტრირებას. ამას გარდა, 23 ქართველმა მომჩივანმა (მათ შორის სამი დაიკითხა მოწმეთა მოსმენის დროს) ასევე შეიტანეს ინდივიდუალური სარჩელები სასამართლოში.

B. მოპასუხე მთავრობა

81. მოპასუხე მთავრობამ, თავის მხრივ წარადგინა, რომ

„სასამართლოს დიდი პალატის მოსამართლეთა დელეგაციის მიერ მოწმეთა მოსმენა სრულიად უჭერს მხარს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოების პოზიციას, რომ სარჩელი საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (1), რომლის თანახმადაც დაირღვა კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-13, მე-14 და მე-18 მუხლები, ასევე 1-ლი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლები, მე-4 ოქმის მე-4 მუხლი და მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი, უსაფუძვლოა. მოწმეთა მოსმენის მსვლელობისას, არანაირი მტკიცებულება არ იქნა წარმოდგენილი, რომელიც მიუთითებდა, რომ განსახილველ დროს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოები აწარმოებდნენ ადმინისტრაციულ პრაქტიკას და საქართველოს მოქალაქეების კოლექტიურ გაძევებას.

მოწმეთა მოსმენისას, რუსეთის ხელისუფლების ორგანოების არგუმენტები ობიექტურად იყო დასაბუთებული, რომ რუსეთში არსებობდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, რომლებიც რუსეთის ტერიტორიიდან ადმინისტრაციულ გაძევებას დაქვემდებარებულ მოწმეებს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს, ვისაც სჯეროდათ რომ მათი უფლებები დაირღვა რუსეთის მხრიდან, უნდა ამოეწურათ სანამ ისინი გაასაჩივრებდნენ წინამდებარე სასამართლოში. შესაბამისად, 2009 წლის 30 ივნისის საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (1) სახელმწიფოთაშორისი სარჩელის დასაშვებობასთან დაკავშირებით გადამწყვეტილების გათვალისწინებით, რომელმაც საქმის არსებით გარემოებებს მიუერთა საჩივრების ექვსთვიანი ვადის წესი და შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვა, რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს სჯერათ, რომ ეს სარჩელი არ უნდა იქნეს არსებითად განხილული (იხ. სასამართლოს განჩინება *Markin v. Russia*, საჩივრის no:59502/00, 2009 წლის 30 მარტი)“.

სამართალი

I. ფაქტების დადგენა და მტკიცებულებების შეფასების პრინციპები

82. საქმის არსებით განხილვამდე და მტკიცებულებების თითოეული საჩივრის საფუძველზე შეფასებამდე, სასამართლო დაადგენს ყველა წერილობით და ზეპირ მტკიცებულებას, რომელიც გასათვალისწინებელია და იმ პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც მათ შეაფასებს.

A. ფაქტების დადგენა

83. იმისათვის, რომ ფაქტები დაედგინა, სასამართლო დაეყრდნო მხარეთა მასალებს და იმ ბევრ დოკუმენტს, რომლებიც მათ წარადგინეს, ასევე სტრასბურგის სასამართლოში მოსმენილ მოწმეთა ჩვენებებს.

84. მან ასევე გაითვალისწინა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანაგარიშები, როგორცაა PACE-ს მონიტორინგის კომიტეტი, HRW-ი, FIDH-ი და რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისრის (რუსული ომბუდსმენი) 2006 წლის ყოველწლიური ანგარიში. მომჩივანი მთავრობის მიერ წარდგენილი ზოგიერთი დოკუმენტი ასევე გვხვდება ამ ანგარიშებში.

1. შემდგომი წერილობითი მტკიცებულება

85. ამას გარდა, 2010 წლის 28 ივნისის და 2011 წლის 8 მარტის წერილებში და მოწმეთა მოსმენისას, სასამართლომ მოსთხოვა მოპასუხე მთავრობას, მიეწოდებინა მისთვის შემდგომი დამატებითი დოკუმენტაცია:

- i. ყოველთვიური სტატისტიკა, საქართველოს მოქალაქეების გაძევებასთან დაკავშირებით 2006 და 2007 წლის განმავლობაში, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დეპორტაციების შედარებას 2006 წლის ოქტომბრამდე და შემდგომ, რომლის განმავლობაშიც საქართველოს მოქალაქეების სავარაუდო მასიური დაკავებები და დეპორტაცია დაიწყო; მოპასუხე მთავრობამ უპასუხა, რომ ისინი ინახავდნენ მხოლოდ ყოველწლიურ და ნახევარი წლის სტატისტიკებს, რომლებიც მათ წარუდგინეს სასამართლოს;
- ii. 2006 წლის სექტემბრის ბოლოს ორი ცირკულარი №№0215 და 849, რომელიც გამოსცა სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ და შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და რომლებზეც მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია მიუთითებს; მოპასუხე მთავრობამ იდავა დოკუმენტების ავთენტურობაზე და განაცხადა, რომ მათ არ შეეძლოთ განსახილველი ცირკულარების წარდგენა, რადგან ისინი განეკუთვნებოდნენ „სახელმწიფო საიდუმლოებას“ (იხ. ზემოთ 32-ე პარაგრაფი);
- iii. იმ რუსი ოფიციალური პირების წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური პროცესის ფაილები, რომლებმაც რუსულ სკოლებში ქართველი მოსწავლეების სიების მოთხოვნები გააგზავნეს; მოპასუხე მთავრობამ წარადგინა უამრავი დოკუმენტის ასლი, რომლებიც მიუთითებდა, რომ დისციპლინური სასჯელები დაკისრებოდათ განსახილველ ოფიციალურ პირებს;
- iv. იმ გადაწყვეტილებების სტატისტიკა, რომლებიც რუსეთის სასამართლოებმა გამოიტანეს სააპელაციო სარჩელებზე, განსახილველი პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეების გაძევებასთან დაკავშირებით (2006 წლის ოქტომ-

ბრიდან 2007 წლის იანვრამდე); 2011 წლის 15 აპრილის საპასუხო წერილში მოპასუხე ხელისუფლებამ ისევ განაცხადა, რომ მათ არ მოეპოვებოდათ ყოველთვიური სტატისტიკა საქართველოს მოქალაქეების გადასახლების დაკავშირებით (ადმინისტრაციულ დამრღვევ პირთა ეროვნება არ ჩანდა სასამართლოების სტატისტიკებში და ელექტრონული ბაზა მთლიანად რუსეთის ფედერაციისთვის არსებობდა მხოლოდ 2010 წლიდან), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც შეეძლოთ ინფორმაციის მიწოდება განსახილველ პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც ყოველწლიურად მიიღებოდა რუსეთის ფედერაციის 18 რეგიონის სასამართლოებიდან, ასევე, 86 სააპელაციო გადაწყვეტილების ასლი. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებებიდან მხოლოდ 42 ეხება განსახილველ პერიოდის განმავლობაში გადასახლებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაგან 21-მა გაითვალისწინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. ამას გარდა, სასამართლოს წინაშე წარდგენილი 86 სააპელაციო გადაწყვეტილებიდან მხოლოდ 8 ეხებოდა ქალაქ მოსკოვს და 17 სანკტ-პეტერბურგს, მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ორ ქალაქში განხორციელდა. მოსკოვთან დაკავშირებით 8-დან ერთი სააპელაციო გადაწყვეტილება, ხოლო სანკტ-პეტერბურგთან დაკავშირებით 17-დან 12 ეხებოდა საქმის ადმინისტრაციული ორგანოებისთვის გადაცემას, იმ საფუძველზე, რომ პოლიციის თანამშრომლებმა საქართველოს მოქალაქეები პირდაპირ სასამართლოს წარუდგინეს, პირველ რიგში მათი ფედერალური საიმიგრაციო მომსახურების ორგანოს წინაშე წარდგენის გარეშე, როგორც ეს კანონით არის დადგენილი.

2. მოწმეთა მოსმენა

86. 2011 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლამდე კვირის განმავლობაში, დიდი პალატის მოსამართლეთა დელეგაციამ მოუსმინა მთლიანობაში 21 მოწმეს, რომელთაგან ცხრა წარადგინა მომჩივანმა მთავრობამ, ათი – მოპასუხე ხელისუფლებამ და ორი – დელეგაციამ აარჩია.
87. მომჩივანი მთავრობის მიერ წარდგენილი ცხრა მოწმე (გარდა №8 მოწმისა, ბ-ნი ტოგონიძეს მეუღლე და მოვლენათა „არაპირდაპირი“ მოწმე, და ბ-ნი პატარიძე, განსახილველ პერიოდის განმავლობაში საქართველოს კონსული რუსეთის ფედერაციაში) არის საქართველოს მოქალაქე, რომლებიც დააკავეს, დააპატიმრეს და გადასახლდნენ 2006 წლის შემოდგომაზე.
88. მოპასუხე მთავრობის მიერ წარდგენილი ათი მოწმე არის რუსეთის ფედერაციის საჯარო პირი, რომელთა მტკიცებულება კონკრეტულად ეხებოდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების, პატიმრობის და გადასახლების პირობებს, სტატისტიკურ მონაცემებს და სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ გამოცემული ინსტრუქციების ავთენტურობას და იმ ცირკულარებს, რომელთაც ისინი ეხებოდა.
89. სასამართლოს მიერ არჩეული ორი მოწმე არის ბ-ნი ეორში, PACE-ს მონიტორინგის კომიტეტის რეპორტიორი განსახილველ პერიოდის განმავლობაში და ბ-ნი ტუღუში, იმ დროისთვის საქართველოში OSCE-ს მისიის ადამიანის უფლებათა მოხელე.
90. დელეგაციამ ასევე დაგეგმა სხვა მოწმეების დაკითხვა, მათ შორის ბ-ნი პიოტროვსკის, სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს მოქმედი ხელმძღვანელი იმ დროისთვის, და 2006 წლის 2 ოქტომ-

ბრის ინსტრუქციის სავარაუდო ხელისმომწერი, რომელიც მიზნად ისახავდა „2006 წლის 30 სექტემბრის №0215 ცირკულარის შესრულების ეფექტურობის გაზრდას“ (იხ. ზემოთ 31-ე პარაგრაფი). ამ მოსმენამდე ერთი დღით ადრე, მოპასუხე ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბ-ნი პიოტროვსკი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, რომლის დამადასტურებელი შესაბამისი სამედიცინო ცნობა წარედგინა სასამართლოს.

91. დელეგაციას ასევე სურდა ბ-ნი ლუკინის მოსმენა, რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისარი იმ დროისთვის, მაგრამ იგი არ გამოხმაურებია სასამართლოს უწყებებს.
92. და ბოლოს, დელეგაციას ასევე სურდა ქ-ნი პამფილოვას მოსმენა, იმ დროისთვის რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან დაკავშირებით პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი, თუმცა შეუძლებელი იყო მისი, როგორც მოწმის მოსმენა, რადგან 2010 წლის 15 ოქტომბრის წერილის თანახმად, მოპასუხე მთავრობამ სასამართლოს აუწყა, რომ ქ-ნი პამფილოვა აღარ იყო საჯარო მოხელე, არამედ კერძო პირი და შესაბამისად, მათ არ შეეძლოთ მისი მისამართის მიწოდება სასამართლოსთვის. აქ კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ხელშემკვრელ მხარეებს აქვთ ვალდებულება მიაწოდონ ყველანაირი სახის ინფორმაცია მათ ტერიტორიაზე მყოფ მოწმეთა შესახებ (იხ. სასამართლოს შინაგანაწესის დანართის მუხლი A5 §4, პირველი ინსტანცია).

B. მტკიცებულებათა შეფასების პრინციპები

93. მტკიცებულებათა შეფასებაზე სასამართლომ გამოიყენა მტკიცების სტანდარტი „გონივრულ ეჭვს მიღმა“ რომელიც მან ორ სახელმწიფოთაშორის საქმეში დაადგინა (იხ. *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, §161, სერია A no.25, და *Cyprus v. Turkey* [GC], no. 25781/94, § 113, ECHR 2001 IV) და რომელიც ამის შემდგომ გახდა მისი პრეცედენტული სამართლის ნაწილი (იხ. *inter alia*, *Ilascu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, § 26, ECHR 2004-VII, და *Davydov and Others v. Ukraine*, nos. 17674/02 and 39081/02, § 158, 1 July 2010).
94. თუმცა, მის მიზანს არასდროს წარმოადგენდა ეროვნული სამართლებრივი სისტემების მიღწევების მიკუთვნება, რომლებიც იყენებენ ამ სტანდარტს სისხლის-სამართლებრივ საქმეებში. სასამართლოს როლია დაადგინოს არა სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა ან სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ ხელშემკვრელი სახელმწიფოების კონვენციიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა. კონვენციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული მისი დავალების სპეციფიკურობა – უზრუნველყოს მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ კონვენციით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულება – განაპირობებს მის მიღწევებს მტკიცებულებების საკითხთან მიმართებით.

სასამართლოს წინაშე საქმისწარმოებისას, არ არსებობს პროცედურული დაბრკოლებები მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით ან მათი შეფასების წინასწარგანსაზღვრული ფორმულა. იგი იღებს გადანყვეტილებებს, რომლებიც მისი აზრით, მხარდაჭერილია ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასებით, იმ დასკვნების ჩათვლით, რომლებიც გამომდინარეობენ ფაქტებიდან და მხარეთა წარდგინებებიდან. მისი დადგენილი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, სამხილი შესაძლოა, გამომდინარეობდეს არსებითად ძლიერი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნების თანაარსებობიდან, ან ფაქტებზე მსგავსი უდაო ვარაუდებიდან. ამას გარდა, დამაჯერებლობის დონე, რაც აუცილებელია

გარკვეული გადაწყვეტილების მისაღებად და, ამასთან დაკავშირებით, მტკიცებულების ტვირთის განაწილება შინაგანად დაკავშირებულია ფაქტების სპეციფიურობასთან, ბრალდების ბუნებასთან და კონვენციის განსახილველ უფლებასთან. სასამართლო ასევე ყურადღებიანია იმ მნიშვნელობისადმი, რომელიც თან ახლავს გადაწყვეტილებას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფომ დაარღვია ფუნდამენტური უფლებები (იხ. *inter alia*, *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98; 43579/98, § 147, ECHR 2005-VII, და *Mathew v. the Netherlands*, no. 24919/03, § 156, ECHR 2005-IX).

95. ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის დადგენისას, სასამართლო არ დაეყრდნობა იმ ცნებას, რომ მტკიცებულების ტვირთს ატარებს ორი, განსახილველი ხელისუფლებიდან ერთი ან მეორე, არამედ გამოიკვლევს მის წინაშე წარდგენილ ყველა მასალას, იმის მიუხედავად, თუ რომელი წყაროდან მომდინარეობს იგი (იხ. ზემოთ ციტირებული *v. the United Kingdom da Cyprus v. Turkey*). დამატებით, მხარეთა ქმედება, სასამართლოს მცდელობებთან დაკავშირებით, მოეპოვებინა მტკიცებულებები, შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ გასათვალისწინებელ ფაქტორს. (იხ. ზემოთ ციტირებული *Ireland v. the United Kingdom*; *Ilascu and Others* და *Davydov and Others*).

II. კონვენციის 38-ე მუხლის სავარაუდო დარღვევა

96. მოპასუხე სახელმწიფოს დაჟინებულ უართან მიმართებით, სასამართლოსათვის მიეწოდებინა სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს და შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრის (იხ. §30 ზემოთ) მიერ გაცემული 2006 წლის სექტემბრის მიწურულის თაობაზე №0215 და 819, ორი ცირკულარის ასლი, სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს მოცემულ საქმეში მისი განხილვის დაწყებას, იმის ანალიზით, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მათზე დაკისრებული პროცედურული ვალდებულება, რომელიც ფორმულირებულია შემდეგნაირად:

„სასამართლო საქმეს განიხილავს მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით“.

ა. მხარეთა არგუმენტები

1. მომჩივანი მთავრობა

97. მომჩივანმა მთავრობამ განაცხადა, რომ მოპასუხე მთავრობას არ წარმოუდგენია საკმარისი ახსნა-განმარტება სასამართლოსათვის no:0215 და 849 ცირკულარების მიწოდების უარყოფასთან დაკავშირებით. სასამართლოს რელევანტურ პრეცედენტულ სამართალზე მითითებით, მათ სასამართლოს თხოვეს შესაფერი პარალელი გაეწყო მათი ბრალდების დასაბუთებულობასთან და დაედგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას.

2. მოპასუხე მთავრობა

98. მოპასუხე მთავრობამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ მათ არ შეეძლოთ ცირკულარების სასამართლოსათვის მიწოდება, რადგან ისინი კლასიფიცირებულ „სახელმწიფო საიდუმლოებას“ წარმოადგენდნენ და არ შეიძლებოდა მათი გამჟღავ-

ნება. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანახმად, ცირკულარები არ შეიცავდნენ რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული ერთეულების მიმართ ბრძანებას მოთხოვნის შესახებ, რათა მიეღოთ ღონისძიებები ქართველი მოქალაქეების უფლებების განზრახ დარღვევის თაობაზე. მონმეთა დაკითხვისას ბ-ნმა ნიკიშინმა, მოსკოვში შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, განხილვის დროს დაადასტურა, რომ 2006 წლის 2 ოქტომბრის ინსტრუქცია, სავარაუდოდ, სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული იყო ყალბად და რომ nos:015 და 849 (ეს უკანასკნელი ტელეგრამა იყო) ორი ცირკულარი კლასიფიცირებულ „სახელმწიფო საიდუმლოებას“ წარმოადგენდა და შეიცავდა ცნობებს სხვადასხვა მოქალაქეების კრიმინალურ ჯგუფებზე, მაგრამ არა შერჩეულ მითითებას ქართველი მოქალაქეებისადმი. რუსული კანონმდებლობის მიხედვით, მათი გამჟღავნება აკრძალული იყო. (იხ. დანართი, § 21)

ბ. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

99. სასამართლო იმეორებს შემდგომ ზოგად პრინციპებს, რომელიც მან განავითარა ინდივიდუალური განცხადებების მიმართ და რომელიც, აგრეთვე, უნდა გამოიყენებოდეს შიდასახელმწიფოებრივ განცხადებებზე:

„...კონვენციის 34-ე მუხლში მოცემული ინდივიდუალური პეტიციის სისტემის ეფექტური მუშაობისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ ყველა აუცილებელი საშუალება, რათა შესაძლებელი გახდეს განცხადებების სათანადო და ეფექტური განხილვა. ეს ვალდებულება ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, სასამართლოს მიაწოდონ ყველა აუცილებელი საშუალება, ფაქტის დამდგენი გამოძიების ჩატარება იქნება ეს თუ განცხადებების განხილვისადმი მისი ზოგადი მოვალეობის შესრულება. მთავრობის მხრიდან ასეთი ინფორმაციის დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტების გარეშე არწარმოდგენამ, რომელიც მათ ხელთაა, შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ პარალელის გავლება მომჩივნის ბრალდების კარგად დასაბუთებულობასთან, არამედ ასევე, უაყოფითად აისახოს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მათი ვალდებულების შესრულების დონეზე. (იხ. *Tahsin Acar v. Turkey* [GC], no. 26307/95, §§ 253-54, ECHR 2004 III; *Timurtas v. Turkey*, no. 23531/94, §§ 66 და 70, ECHR 2000 VI; და *Tanrikulu v. Turkey* [GC], no. 23763/94, § 70, ECHR 1999 IV).“

(იხ. *Janowiec and Others v. Russia* [GC], №55508/07 და 29520/09, § 202, ECHR 2013).

2. განცხადება ამ პრინციპებზე

100. მოცემულ საქმეში სასამართლო აცხადებს, რომ 2010 წლის 28 ივნისის წერილით მან თხოვა მოპასუხე სახელმწიფოს, მიეწოდებინა nos:0215 და 849 ცირკულარების ასლი – რომელთა შესახებ მითითებულია სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულ 2006 წლის no:122721/08 ინსტრუქციაში, სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 2 ოქტომბრის (no:12272/11) ბრძანებაში და ფედერალური მიგრაციის სერვისის (იხ. ზემოთ §§30 და 31) მიერ გაცემულ 2006 წლის 18 ოქტომრის საინფორმაციო ბარათში – და რომელსაც იგი მიიჩნევს არსებით დოკუმენტებად მოცე-

მულ საქმეზე ფაქტების დასადგენად.

101. მოწმეთა დაკითხვისას მოსამართლეთა დელეგაციამ მოპასუხე მთავრობის წარმომადგენელს ზეპირსიტყვიერად გაუმეორა სასამართლოს მოთხოვნა ორი ცირკულარის ასლის გადაცემის თაობაზე, სასამართლოს რეგლამენტიდან 44 A-C ნორმაზე (სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება) და 33-ე ნორმაზე (დოკუმენტების საჯარო ხასიათი) ყურადღების გამახვილებით.
102. 2011 წლის 8 მარტის მეორე წერილით სასამართლომ წერილობით გაიმეორა მისი მოთხოვნა და ასევე მიუთითა ორ ზემოთ ხსენებულ ნორმაზე, 44C ნორმის ფორმულირების შესაბამისად, გარკვევით განაცხადა რა, რომ „როდესაც მხარე ვერ წარადგენს მტკიცებულებას ან სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებას ან მისი საკუთარი შუამდგომლობის რელევანტური ინფორმაციის გავრცელებას ან სხვაგვარად ვერ შეძლებს მიიღოს ეფექტური მონაწილეობა განხილვებში, სასამართლომ შეიძლება განავითაროს მოსაზრებები, რომელსაც სათანადოდ მიიჩნევს“.
103. მოპასუხე მთავრობამ, თავის მხრივ, სადაოდ არ გახადა ცირკულარის არსებობა, მაგრამ განაცხადა, რომ მათი შინაარსი არ პასუხობდა მომჩივანი მთავრობის ბრალდებებს, ამ დროს ისინი უარს აცხადებდნენ სასამართლოსათვის მათი ასლების მიწოდებაზე იმ საფუძველით, რომ ისინი კლასიფიცირებულ „სახელმწიფო საიდუმლოებას“ წარმოადგენდნენ და მათი გამჟღავნება რუსული კანონმდებლობით იყო აკრძალული.
104. სასამართლო იმეორებს, რომ „ისეთ საქმეებში, სადაც მოვლენათა წინააღმდეგობრივ ანგარიშს აქვს ადგილი, სასამართლოს გარდაუვლად ეშლება ხელი ფაქტების დადგენაში იმავე სიძნელეებით, რომლის წინაშეც დგანან პირველი ინსტანციის სასამართლოები. როგორც წინამდებარე საქმეში, როდესაც მოპასუხე მთავრობას აქვს ექსკლუზიური წვდომა მომჩივანი მთავრობის ბრალდებების დამადასტურებელი ან უარყოფელი ინფორმაციისადმი, მთავრობის მხრიდან დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტების წარმოდგენის გარეშე თანამშრომლობის ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს მომჩივანი მთავრობის ბრალდებების კარგად დასაბუთებულობასთან პარალელის გავლება (იხ. *Imakayeva v. Russia*, no:7615/02, § 111, ECHR 2006 XIII (ამონარიდები)).
105. გარდა ამისა, როგორც უკვე გამოიკვეთა კლასიფიცირებულ „სახელმწიფო საიდუმლოებასთან“ დაკავშირებულ საქმეებზე, მოპასუხე მთავრობა, სასამართლოს მოთხოვნის დამორჩილებაზე უარს, რათა წარმოედგინათ მტკიცებულება, ვერ გაამართლებს შიდა სამართლის ნორმაზე დაყრდნობით. (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Davydov and Others*, ზემოთ მოცემული, § 170; *Nolan and K. v. Russia*, no. 2512/04, § 56, 2009 წლის 12 თებერვალი; და *Janowiec and Others*, ზემოთ მოცემული, § 206).
106. საბოლოოდ, სასამართლო წინამდებარე საქმეში ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ შეძლო სადავო ცირკულარების საიდუმლოებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ახსნა-განმარტების წარმოდგენა. მას ასევე აქვს სერიოზული ეჭვები ამ კლასიფიკაციისადმი, რადგან, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი შიდა დოკუმენტები იქნებოდა, იმისათვის რომ ცირკულარების შესრულება მომხდარიყო, სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეზე დიდი რაოდენობის საჯარო ოფიციალური პირების ყურადღების ცენტრში უნდა მოხვედრილიყო.
107. სასამართლო იმეორებს, რომ ერთ-ერთი მის მიერ მიღებული კრიტერიუმი დოკუმენტის საიდუმლოების შეფასებისას არის ის, იცოდა თუ არა ვინმემ საიდუმ-

ლო სამსახურების და უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების გარეთ ამის თაობაზე (იხილეთ, *mutatis mutandis, Nolan and K., ზემოთ მოცემული, §56, და Janowiec and Others, ზემოთ ხსენებული, §206*).

108. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მოპასუხე მხარის მთავრობას ჰქონდა უსაფრთხოებიდან გამომდინარე ლეგიტიმური ინტერესი, არ გაეხმაურებინა სადავოდ გამხდარი ცირკულარი, ხაზი უნდა გაესვას, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქცია შესაძლებლობებს, რომელიც გათვალისწინებულია, სასამართლოს რეგლამენტის 33 § 2 პარაგრაფში, საჯარო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის თაობაზე (იხილეთ, *mutatis mutandis, Shamayev and Others v. Georgia and Russia, no:36378/02, §§ 15-17, 246 და 362, ECHR 2005 III* სადაც პალატის თავმჯდომარემ, რუსეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილ გარკვეულ დოკუმენტებზე კონფიდენციალურობის გარანტია გასცა).
109. გათვალისწინა რა ყველა ეს გარემოება, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მთავრობამ დაარღვია თავისი ვალდებულება, სასამართლოსათვის მიენოდეზინა ყველა აუცილებელი საშუალება მისი მისიის, საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოებების დადგენისთვის, რომელიც მოთხოვნილია კონვენციის 38-ე მუხლის მიხედვით. სასამართლო განავითარებს მოსაზრებებს, რომელსაც სათანადოდ მიიჩნევს საქმის გარემოებებზე მოსარჩელე მთავრობის ბრალდებების კარგად დასაბუთებულობასთან მიმართებით.
110. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი.

III. ადმინისტრაციული პრაქტიკის, შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის და ექვსთვიანი წესის სავარაუდო არსებობა

111. სასამართლო იმეორებს, რომ პალატამ დასაშვებობის თაობაზე მის მიერ მიღებულ განაჩენში განაცხადა ადმინისტრაციულ პრაქტიკაში „მტკიცებულების პრეზუმფციის“ არსებობაზე, მაგრამ შეუერთდა საქმის გარემოებებს, როგორცაა, „ყველა სხვა საკითხის გამოკვლევა ასეთი ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის და მის ფარგლებთან დაკავშირებით, ისევე როგორც, მისი კონვენციის დათქმებთან შეთავსებადობა“ და განცხადების ექვსთვიანი წესის საკითხზე. ის, აგრეთვე, შეუერთდა ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საქმის გარემოებებს, „საკითხი საჩივრის მიერ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვის თაობაზე და მოცემული საქმის გარემოებებთან მისი შესაბამისობა“. (იხილეთ, *Georgia v. Russia(I)* (განჩინება), no.13255/07, §§ 44, 46 და 50, 2009 წლის 30 ივნისი).

ა. ადმინისტრაციული პრაქტიკა და შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამონურვა

1. მხარეთა არგუმენტები

ა. ადმინისტრაციული პრაქტიკა

i. მომჩივანი მთავრობის არგუმენტები

112. მომჩივანი მთავრობა მათ ძირითად არგუმენტაციაში დავობდა, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკის ორი შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, ქმედების განმეო-

რებადობა და ოფიციალური ტოლერანტობა, ამ საქმეში სახეზე იყო.

113. ქმედების განმეორებადობასთან დაკავშირებით, მომჩივანი მთავრობის მიერ გამოძახებულმა მოწმეებმა დაუდასტურეს დიდი პალატის მოსამართლეთა დელეგაციას, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ 2006 წლის შემოდგომაზე ქართველი მოქალაქეების დაკავებას, დაპატიმრებას და გაძევებას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. გარდა ამისა, მაშინ, როცა მათ არასდროს შექმნიათ რაიმე სიძნელე, მანამდე, უცბად, მათი საბუთები აღარ აღმოჩნდა წესრიგში. ეს იყო დამატებითი მტკიცებულება იმისა, რომ რუსული ხელისუფლების ქმედებები იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტიპის დარღვევებს, იმ შინაარსის გამოორიცხვით, რომ ეს იყო განსაკუთრებული და ცალკეული შემთხვევები. ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა განსაკუთრებით აშკარა გახდებოდა, თუ ყურადღება მიექცეოდა წინა ან მომდევნო თვეებსა და წლებთან შედარებით 2006 წლის შემოდგომაზე საქართველოს მოქალაქეების გაძევების გაზრდილ რაოდენობას. ეს ასევე დადასტურებული იყო იმ ფაქტით, რომ მოპასუხე მთავრობამ სადავოდ არ გახადა, რომ მათ საქართველოსთან შეწყვიტეს საფოსტო მომსახურება და რომ 2006 წლის 5 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის ფედერალურმა ასამბლეამ (ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლება) გაამკაცრა საიმიგრაციო კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ გასატარებელი ზომები. საბოლოოდ, მომჩივანმა მთავრობამ რამდენიმე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის, კერძოდ, HRW) დასკვნებზე მიუთითა და პრესაზე, რომელიც რუსეთის ფედერაციაში ზოგადად რასიზმის და ქსენოფობიის პრობლემის არსებობის თაობაზე წერდა, ისევე როგორც, ანტიქართულ პოლიტიკაზე, რომელმაც 2006 წლის შემოდგომაზე იჩინა თავი.
114. სახელმწიფოს ტოლერანტობასთან მიმართებით, მომჩივანმა მთავრობამ განსაკუთრებით მიუთითა HRW-ის დასკვნაზე, რომელიც ცხადყოფდა, რომ რუსეთის მთავრობა, ორივე, მაღალ და დაბალ დონეზე, ერთად მუშაობდნენ, რათა განეხორციელებინათ ქართველების მასობრივი გაძევება. დასკვნა მიუთითებდა პოლიციის მიერ ეთნიკური ქართველების შემონმების ფართოდ გავრცელებულ დოკუმენტზე და ყველაზე მეტად, სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს პოლიციისადმი მიმართულ ინსტრუქციაზე, რომ ფედერალური მიგრაციის სერვისს და სასამართლოებს უნდა გაეტარებინათ აუცილებელი ქმედებები, რათა მოეხდინათ ეროვნებით ქართველთა იდენტიფიცირება და გაძევება. გარდა ამისა, მსხვერპლთა განცხადებები და საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები და მედია ამტკიცებდა ორივეს, ინსტრუქციის არსებობას nos: 0915 და 849 ცირკულარზე დაყრდნობით და ამ ცირკულარების შინაარსს. მომჩივანმა მთავრობამ განსაკუთრებული მითითება გააკეთა რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისიის 2006 წლის ყოველწლიურ ანგარიშზე. საბოლოოდ, რუსეთის ფედერაციაში რუსი თანამდებობის პირების მიერ რამდენიმე სკოლას გაეგზავნა მოთხოვნა ქართველი მოსწავლეების რაოდენობის მიწოდების თაობაზე, მათი მშობლების იდენტიფიცირების მიზნით. ის ფაქტი, რომ არ მომხდარა იმ პირების სათანადოდ დასჯა, რომლებსაც ჰქონდათ მსგავსი, ცალსახად არაკანონიერი მოთხოვნები, 2006 წლის შემოდგომაზე ეროვნებით ქართველების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების დამატებითი მტკიცებულება გახლდათ.

ii. მოპასუხე მთავრობის არგუმენტები

115. მოპასუხე მთავრობამ უარყო ეს ბრალდებები. მათი მოსაზრებით, დიდი პალა-

ტის მოსამართლეთა დელეგაციის მიერ ჩატარებულმა მონმეთა დაკითხვამ ვერ მოაწოდა ქართველი თანამდებობის პირების მტკიცების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ რუსეთის ფედერაციაში, ჯაშუშობაში ბრალდებული რუსი ოფიცრების დაკავების საპასუხოდ, ორგანიზება გაუკეთა და უფლება მისცა ეროვნებით ქართველების შევიწროვებას, მათ მასობრივ, უკანონო დაპატიმრებას და კოლექტიურ გაძევებას.

116. მოპასუხე მთავრობამ განაცხადა, რომ ეროვნებით ქართველების წინააღმდეგ მათი ქმედებები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში მათ პასუხისმგებლობასთან მიმართებით და რუსული ტერიტორიიდან მათი გაძევების ზომები, შესაბამისობაში იყო კანონთან და ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა და არასდროს იყო დაკავშირებული ან მოტივირებული ქართველების ეთნიკური ეროვნებით ან ნაციონალობით. რუს თანამდებობის პირებს არასდროს გამოუყენებიათ რაიმე ადმინისტრაციული პრაქტიკა ეროვნებით ქართველების მიმართ, ან კოლექტიური გაძევება კონვენციის ფარგლებს მიღმა.
117. კერძოდ, ისინი მიიჩნევენ, რომ მომჩივან მთავრობას არ წარმოუდგენია სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ინსტრუქციების ავთენტურობის რაიმე დამადასტურებელი საბუთი – მათ შორის, ერთი 2006 წლის 2 ოქტომბრის, ხელმოწერილი ბ-ნი პეტროვსკის მიერ, რომლის „დადასტურებული“ ასლი არსებობდა, სხვებს შორის, PACE-ს ანგარიშის დანართი, HRW-ის დასკვნა და რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნა – რომელიც მიუთითებს გაძევების პოლიტიკის კოორდინაციას ადმინისტრაციულ და სასამართლო ავტორიტეტებს შორის, განსაკუთრებით ქართველი ეროვნების მქონე პირთა სამიზნეზე. ხსენებული მსგავსი კოორდინაცია იყო პრაქტიკულად აბსურდი, რადგან რუსული სასამართლო იყო დამოუკიდებელი აღმასრულებელი. გარდა ამისა, მონმეთა დაკითხვის დროს რუსმა თანამდებობის პირებმა დაადასტურეს, რომ მსგავსი ინსტრუქციები არასდროს არ გაცემულა. ასევე იყო 2006 წლის 2 ოქტომბრის სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაცემულ ბრძანებაზეც და ფედერალური მიგრაციის სერვისების 2006 წლის 18 ოქტომბრის საინფორმაციო ბარათზეც. ერთადერთი ინსტრუქციები, რომლებზეც რუსმა თანამდებობის პირებმა მიუთითეს, იყო მთავარი პროკურორის მოადგილის მიერ გაცემული, რომელიც თხოვდა ყველა პროკურორს, გაეძლიერებინათ მათი მეთვალყურეობა იმისათვის, რომ CIS-ის ეროვნების კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების პატივისცემის გარანტია მოეხდინათ (იხილეთ §38 ზემოთ). nos:0215 და 849 ცირკულარებთან დაკავშირებით, რომლებზეც სავარაუდოდ ეს ინსტრუქციები, ბრძანება და საინფორმაციო ბარათი იყო დაფუძნებული, მოპასუხე მთავრობა დავობდა მომჩივანი მთავრობის მიერ წაყენებული ბრალეულობის შინაარსზე.
118. უფრო მეტიც, რუსი ოფიციალური თანამდებობის პირები, რომლებმაც მოითხოვეს რუსეთის ფედერაციაში ქართველი მოსწავლეების რაოდენობის მინოდება, ცალკეული შემთხვევები იყო (ორი ადმინისტრაციული ერთეულის მიმართ იყო სულ ოთხი მოთხოვნა) და სათანადოდ იქნა დასჯილი, რაც დადასტურდა მონმეთა დაკითხვისას.
119. მოპასუხე მთავრობამ, ასევე, სადაო განაცხადა მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მტკიცებულება, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი თანამდებობის პირები უთითებდნენ ეროვნებით ქართველების უპრეცედენტო მასიურ გაძევებაზე განხილვის პერიოდის განმავლობაში, იმისათვის რომ დამტკიცებულიყო, რომ მასიური „ანტიქართული კამპანიის“ ბრალდე-

ბა არ იყო მხარდაჭერილი რაიმე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემით. ისინი ზოგადად კამათობდნენ, გარკვეული დასკვნებით მოცემული ინფორმაციის რელევანტურობაზე, მათ შორის, კერძოდ, HRW-ის დასკვნაზე და PACE-ის მონიტორინგის კომიტეტის ანგარიშზე, იმის ბრალდებით, რომ ეს იყო ქართველთა ავტორიტეტების ან ეროვნებით ქართველების განცხადებებზე დაფუძნებული ფართო საზღვრები და არ დასტურდებოდა დოკუმენტებით ან სხვა დასაშვები მტკიცებულებით. შესაბამისად, ეს დასკვნები არ შეიძლება ყოფილიყო სარწმუნო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მოპასუხე მთავრობის მხრიდან ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს.

b. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამონაწერა

i. მომჩივანი მთავრობის არგუმენტები

120. ალტერნატივაში, და იმ შემთხვევაში, თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამონაწერის წესი გამოყენებული იქნებოდა მოცემულ საქმეში, მომჩივანი მთავრობა წარადგენდა, რომ მოპასუხე მთავრობის მიერ მითითებული სამართლებრივი საშუალება იყო არაეფექტური და დაუშვებელი საქმის სპეციფიკურ კონტექსტში. გარდა ამისა, რუსული ავტორიტეტების მიერ ჩატარებულმა ანტიქართული კამპანიის ზოგადმა კონტექსტმა და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევაში გამოხატულებამ, ეროვნებით ქართველები გაათავისუფლა ამ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებისგან.

კერძოდ, სანამ ეროვნებით ქართველები კვლავ რუსეთის ფედერაციაში იყვნენ მათ არ გაუსაჩივრებიათ გაძევების ორდერები, რადგან ისინი არ იყვნენ ინფორმირებულები ამის შესაძლებლობის თაობაზე და ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულიც კი იყვნენ რუსი ოფიციალური თანამდებობის პირების მიერ, რომ ხელი მოეწერათ მათი გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმაზე. მას შემდეგ, რაც ისინი გააძვეეს, მათ არ შეეძლოთ შეეტანათ საჩივარი, რადგან ორ სახელმწიფოს შორის კომუნიკაციის ყველა საშუალება შეწყვეტილი იყო და აღარ იყო შესაძლებელი ქართული საკონსულოს სერვისების გამოყენება რუსეთის ფედერაციაში ან რუსეთის საკონსულოს გამოყენება საქართველოში. უფრო მეტიც, გაძევების ბრძანება იყო სუბიექტური და არღვევდა რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებს, რომელთა თანახმად ასეთი გადაწყვეტილებები არ შეიძლებოდა აღსრულებულიყო, სანამ არ ამოინურებოდა შვიდდღიანი გასაჩივრების მაქსიმალური პერიოდი (იხილეთ 77-ე პარაგრაფი ზემოთ.) საბოლოოდ, მოპასუხე მთავრობის მიერ 2011 წლის 15 აპრილის წერილით წარდგენილი გადაწყვეტილებების ნაკლოვანებამ დაადასტურა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება არსებული დროისთვის არაეფექტური იყო.

ii. მოპასუხე მთავრობის არგუმენტები

121. მოპასუხე მთავრობის არგუმენტით, მოწმეთა დაკითხვიდან ნათელი იყო, რომ მომჩივანი მთავრობის მიერ გამოძახებული ყველა ეროვნებით ქართველი უკანონოდ ცხოვრობდა რუსეთის ფედერაციაში და მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ ხელმისაწვდომი და ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლითაც შეეძინა აღმდგებოდნენ გაძევების ბრძანებებს. მათ, რეალურ გაძევებამდე, შეეძლოთ საჩივარი შეეტანათ ან გამოეყენებინათ სასამართლოს მიერ ბრძანების გადახედვა ან კანონის კუთხით გაესაჩივრებინათ მათ წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება. 2011 წლის 15 აპრილის სასამართლო მოთხოვნის საპასუხოდ გაგზავნილ წერილში, რუსმა ავტო-

რიტეტივებმა დეტალურად აღწერეს რუსულ კანონმდებლობაში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მსგავსი დარღვევების შემთხვევაში სამართლებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა და ასევე, ეროვნებით ქართველების მიერ შეტანილ საჩივრებზე რუსული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რამდენიმე მაგალითი. ეს ინფორმაცია სრულად შეთავსებადი იყო ეროვნებით ქართველების რუსეთიდან გაძევების თაობაზე არსებულ სტატისტიკურ მონაცემთან და რუსი ავტორიტეტების განცხადებებთან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ არასდროს უწარმოებიათ „ანტიქართული“ კამპანია განსახილველი დროისათვის და არც ეროვნებით ქართველები გაუძევებიათ კოლექტიურად. ეროვნებით ქართველებს ასევე შეეძლოთ მიემართათ სახალხო ბრალმდებლის დანესებულებისთვის, რომელსაც რუსული კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდა იმის ძალაუფლება, რომ საჩივარი შეეტანა კანონთან მიმართებით, ან მოეთხოვა გადაწყვეტილების გადახედვა.

3. სამართლის შეფასება

ა. ზოგადი პრინციპები

122. სასამართლო იმეორებს, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკა მოიცავს ორ ელემენტს: „ქმედების განმეორებადობას“ და „ოფიციალურ ტოლერანტობას“ (იხილეთ *France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey*, no:9940 9944/82, 1983 წლის 6 დეკემბრის კომისიის გადაწყვეტილება, §19, DR 35, და *Cyprus v. Turkey*, ზემოთ ხსენებული, §99).
123. რაც შეეხება „ქმედების განმეორებადობას“, სასამართლო აღწერს მას, როგორც „იდენტიური ან ანალოგიური დარღვევების აკუმულირებას, რომელიც არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული, არ შეიცავს მხოლოდ იზოლირებულ ინციდენტებს ან გამონაკლისებს, არამედ ნიმუშს ან სისტემას“. (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ ციტირებული, §159, და *Cyprus v. Turkey*, ზემოთ ხსენებული, § 115).
124. „ოფიციალური ტოლერანტობის“ ქვეშ იგულისხმება, რომ „არაკანონიერი ქმედებები არის შეწყნარებული იმით, რომ პასუხისმგებელი პირები, ასეთი ქმედებების ცნობის მიუხედავად, დაუყოვნებლივ არ ატარებენ ღონისძიებებს, რათა დასაჯონ ისინი ან მოახდინონ პრევენცია მათი გამეორების შემთხვევაში; ან უფრო მაღალი ავტორიტეტები, არაერთი ბრალდების წინაშე, ავლენენ გულგრილობას, დაადგინონ სიმართლე ან ტყუილი რაიმე ადეკვატური გამოძიების ჩატარებაზე უარის თქმით, ან იმით, რომ სასამართლო პროცესებზე ასეთი საჩივრების სამართლიანი განხილვა უარყოფილია“. ამ უკანასკნელ ელემენტს კომისია უმატებს, რომ „უფრო მაღალი ავტორიტეტის მიერ გატარებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა იყოს იმ მასშტაბის, რომელიც საკმარისია ამ ქმედებების გამეორების დასასრულებლად ან ნიმუშის ან სისტემის შესაწყვეტად“. (იხილეთ *France, Norway, Denmark, Sweden and the Netherlands v. Turkey*, ზემოთ ხსენებული, *ibid.*). ამასთან დაკავშირებით სასამართლომ გამოიკვლია, რომ „დაუფერებელია, სახელმწიფოს მაღალი ავტორიტეტები ინფორმირებულნი არ იყვნენ, ან სულ მცირე, ვალდებულნი არიან, რომ იყვნენ, ასეთი პრაქტიკის თაობაზე. გარდა ამისა, კონვენციის თანახმად, ეს ავტორიტეტები მკაცრად პასუხისმგებელნი არიან მათი სუბორდინაციის ქვეშ მყოფი პირების ქმედებებზე; მათ ევალებათ, რომ თავიანთ ხელქვეითებს დააკისრონ ვალდებულებები და არ ამოეფარონ მათ უუნარობას“ (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ მოცემული, §159).

125. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალების ამონურვის წესთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ შიდასახელმწიფოებრივ საქმეებზე მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, პრინციპში, ეს წესი არ გამოიყენება იქ, სადაც მომჩივანი მთავრობა „ჩივის პრაქტიკაზე, როგორც ასეთზე, მისი განგრძობადობის ან რეციდივის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ არ თხოვს... სასამართლოს, მიიღოს გადაწყვეტილება თითოეულ საქმეზე, რათა წინ წამოწიოს როგორც მტკიცებულება, ასეთი პრაქტიკის საილუსტრაციოდ“ (იხილეთ, *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ ხსენებული, §159). ნებისმიერ შემთხვევაში, ის არ გამოიყენება „სადაც ადმინისტრაციული პრაქტიკა, კერძოდ, კონვენციასთან შეუთავსებელი ქმედების განმეორებადობის და სახელმწიფოს მხრიდან ოფიციალური ტოლერანტობის არსებობა გამომჟღავნდა და ისეთი ხასიათისაა, რომ განხილვებს უსარგებლოს და არაეფექტურს ხდის“ (იხილეთ, *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ ხსენებული, *ibid*; *Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბერი, §67, გადაწყვეტილებების და განჩინებების ანგარიშები 1996 IV; და *Cyprus v. Turkey*, ზემოთ ხსენებული, §99).

126. ამრიგად, საკითხი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობაზე, შეიძლება ჩაითვალოს როგორც დამატებითი მტკიცებულება იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა მსგავსი პრაქტიკა (იხილეთ, კერძოდ, *Cyprus v. Turkey*, ზემოთ ხსენებული, § 87)

127. სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საკითხის გამოკვლევა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის საკითხთან ერთობლიობაში არის განსაკუთრებით შესაბამისი წინამდებარე საქმეში.

b. განაცხადი ამ პრინციპებზე

i. ადმინისტრაციული პრაქტიკა

128. მოცემულ საქმეში სასამართლოს არ თხოვენ, მიიღოს გადაწყვეტილება კონვენციით გარანტირებული უფლებების ინდივიდუალურ დარღვევაზე. ამრიგად, ინდივიდუალური საქმეები, რომლებზეც მისი ყურადღება იყო გამახვილებული შეიძლება განხილული იყოს შესაძლო პრაქტიკის მტკიცებულებად. (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ ხსენებული, §157 in fine).

129. იმის დასადგენად, იყო თუ არა ადმინისტრაციული პრაქტიკა, სასამართლო შეაფასებს ხელმისაწვდომ მტკიცებულებას იმ ზემოთ განმარტებული კრიტერიუმის ხელმძღვანელობით (ზემოთ იხილეთ §93-95)

130. ამასთან დაკავშირებით სასამართლო უპირველეს ყოვლისა აცხადებს, რომ მხარეების მიერ წარდგენილი სტატისტიკური მონაცემებით, განსხვავდება სადაო პერიოდში (2007 წლის სექტემბრის მინურულიდან 2007 წლის იანვრის დასასრულამდე) (იხ, ზემოთ §27-28) დაკავებული, დაპატიმრებული და გაძევებული ეროვნებით ქართველების რაოდენობა.

131. მართლაც, მომჩივანი მთავრობა ამტკიცებდა, რომ იმ პერიოდის განმავლობაში ქართველების წინააღმდეგ გაიცა 4,634 გაძევების ბრძანება, რომლიდან 2,380 დაკავებული და იძულებით გაძევებული იყო და დარჩენილმა 2,254-მა ადამიანმა თავიანთი ძალებით დატოვეს ქვეყანა, ჩანაწერებით წინა წლებთან შედარებით 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან ძალიან გაზრდილია გაძევებულთა რაოდენობა.

132. თავის მხრივ, მოპასუხე მთავრობა, რომელიც მხარს უჭერდა მხოლოდ წლიურ ან ნახევარი წლის სტატისტიკას, აცხადებდა, რომ 2006 წელს, ქართველების წინააღმდეგ გაიცა 4,022 ადმინისტრაციული გადაწყვეტის ბრძანება და დაამატა, რომ 2006 წლის 1 ოქტომბრის და 2007 წლის 1 აპრილს შორის, 2,862 ქართველი გახდა გადაწყვეტის ბრძანების სუბიექტი.
133. სასამართლო ადგენს, რომ მოპასუხე მთავრობამ წამოადგინა სტატისტიკა 2006 წლის 1 ოქტომბრიდან 2007 წლის 1 აპრილის პერიოდის სპექტრის შერჩევით, რაც არ ასახავს ნახევარ კალენდარულ წელს და სთავაზობს, რომ ყოველთვიური სტატისტიკა შეაგროვოს.
134. 2006 და 2007 წლების ყოველთვიური სტატისტიკის წარმოდგენის ვერუზრუნველყოფასთან მიმართებით, სასამართლო არ არის ისეთ პოზიციაში, მისაღებად ჩათვალოს, რომ ის რაოდენობა, რომელიც აღნიშნულია მოპასუხე მთავრობის მიერ, სადაო პერიოდში ქართველების გადაწყვეტის ზუსტ რაოდენობას ასახავს.
135. შესაბამისად, ის მიიჩნევს, რომ არ არსებობს ის, რაც მას საშუალებას მისცემს დაადგინოს, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები, სადაო პერიოდში გადაწყვეტილი ქართველების რაოდენობის და 2006 წლის წინამდებარე პერიოდთან შედარებით გადაწყვეტის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, არ არის სარწმუნო. მაშასადამე, წინამდებარე საქმის გამოკვლევისას, მათ მიიჩნევს, რომ სადაო პერიოდში ეროვნებით ქართველების წინააღმდეგ 4,600-ზე მეტი გადაწყვეტის ბრძანება გაიცა, რომლიდანაც დაახლოებით 2,380 ადამიანი დააკავეს და იძულებით გადაიყვანეს.
136. მათ მფლობელობაში მყოფი მასალების გათვალისწინებით, სასამართლომ შეისწავლა, რომ სადაო მოვლენები მოხდა იმავე დროს, კერძოდ, 2006 წლის სექტემბრის მიწურულს და ოქტომბრის დასაწყისში: ცირკულარების და ინსტრუქციების გაცემა, ქართველების მასობრივი დაპატიმრებები და გადაწყვეტა, მოსკოვიდან თბილისისკენ ფრენები და რუსი თანამდებობის პირების მიერ სკოლებში წერილების გაგზავნა. ამასთან დაკავშირებით, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სადავოდ გამხდარი მოვლენების აღწერის შესაბამისობა (იხ. ზემოთ §§63-დან 74-მდე).
137. მოპასუხე სახელმწიფო დავობდა ამ ორგანიზაციების ანგარიშში არსებული ინფორმაციების დამამტკიცებელ ფასეულობაზე.
138. ამრიგად, სასამართლოს სურს გაიმეოროს, რომ იგი განმკარგავია „მისი საკუთარი პროცედურების და წესების, მას აქვს სრული თავისუფლება არამხოლოდ მტკიცებულების დასაშვებობის და რელევანტურობის შეფასებისას, არამედ ასევე, მის წინაშე არსებული თითოეული მტკიცებულების დამამტკიცებელი ძალის შეფასებისას (იხილეთ *Ireland v. the United Kingdom*, ზემოთ ხსენებული, §210 ინი ფინე). მას ხშირად მიუნიჭებია მნიშვნელობა დამოუკიდებელი საერთაშორისო უფლებათა დამცველი ასოციაციების ან სამთავრობო წყაროების ბოლოდროინდელ ანგარიშებში არსებული ინფორმაციებისთვის. (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Saadi v. Italy* [GC], no:37201/06, §131, ECHR 2008; *NA. v. the United Kingdom*, no: 25904/07, §119, 2008 წლის 17 ივლისი; *M.S.S. v. Belgium and Greece* [GC], no: 30696/09, §§227 და 255, ECHR 2011; *HirsiJamaa and Others v. Italy* [GC], no: 27765/09, §118, ECHR 2012). იმისათვის, რომ შეაფასონ ამ ანგარიშების სანდოობა, რელევანტური კრიტერიუმი არის მათი ავტორების ავტორიტეტი და რეპუტაცია, იმ გამოძიების სერიოზულობა, რომლის მეშვეობითაც შეადგინეს ისინი, მათი დასკვნების თან-

მიმდევრულობა და არიან თუ არა დადასტურებული ისინი სხვა წყაროების მიერ (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Saadi*, ზემოთ ხსენებული, §143; NA., ზემოთ ხსენებული, §120; *Sufi and Elmi v. the United Kingdom*, no.8319/07 და 11449/07, §230, 2011 წლის 28 ივნისი).

139. წინამდებარე საქმეზე, იმ გამოძიების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობითაც მოხდა ამ ანგარიშების შედგენა და ის ფაქტი, რომ საკითხთან არსებულ კითხვებთან მიმართებაში მათი დასკვნები შესაფერისი იყო და ადასტურებდა ქართველი მოწმეების განცხადებებს, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რათა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ამ ანგარიშების უტყუარობა.
140. უფრო მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის 38-ე მუხლის დადგენის მიდევნებით, არსებობს ძლიერი პრეზუმფცია, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები ცირკულარების შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავდა სპეციალურად ეროვნებით ქართველების გაძევების ბრძანებას, სანდოა.
141. იგივე გამოიყენება მომჩივანი მთავრობის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ავთენტურობაზე და ამ ცირკულარების მითითებაზე, რაც კერძოდ, შეიცავს სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ გაცემულ 2006 წლის 2 ოქტომბრის no:122721/08 ბრძანებას (იხილეთ ზემოთ §31).
142. ეს ინსტრუქცია, რომელშიც იმპლემენტირებულია სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ 2006 წლის 30 სექტემბერს გაცემული no:0215 ცირკულარი, გარკვევით ახსენებს „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების“ რუსეთის ფედერაციაში უკანონოდ მაცხოვრებლების გაძევებას. ის უბრძანებს „მხოლოდ“ ამ მოქალაქეების გაძევებას მათი ახლად მიღებული პატიმრებისთვის განკუთვნილ ცენტრში დაკავებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს დაკავების ცენტრში მოთავსებით. თავდაპირველად, ეს ცხადყოფს, რომ „გადაწყვეტილებების მიღება არის შეთანხმებული სანკტ-პეტერბურგის ქალაქის სასამართლოსა და ლენინგრადის რეგიონალურ სასამართლოსთან“.
143. სასამართლო ასევე მიუთითებს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშში ამ ინსტრუქციების მითითებაზე (იხ. PACE და HRW ანგარიშები, რომელიც შემოერთებულია და FIDH ანგარიში, გვ. 26b, *in fine* — იხილეთ პარაგრაფები 39-40 ზემოთ), და რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისიის წევრის დადგენილებაზე, რომელიც მის 2006 წლის ანგარიშში ახსენებს, რომ სახალხო ბრალმდებლის მოადგილის მიმართ ამ ინსტრუქციის ავთენტურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე პასუხი იყო არადაამაკმაყოფილებელი (იხ. ზემოთ §35). ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სახალხო ბრალმდებლის მოადგილეს 2006 წლის 8 დეკემბრის პასუხში არ უთქვამს, რომ სადავოდ გამხდარი ინსტრუქციები არ იყო ავთენტური (იხილეთ ზემოთ §34).
144. ეს ინსტრუქცია, რომელშიც იმპლემენტირებულია სანკტ-პეტერბურგის და ლენინგრადის რეგიონის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მიერ 2006 წლის 30 სექტემბერს გაცემული no:0215 ცირკულარი, გარკვევით ახსენებს „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების“ რუსეთის ფედერაციაში უკანონოდ მაცხოვრებლების გაძევებას. ის უბრძანებს „მხოლოდ“ ამ მოქალაქეების გაძევებას მათი ახლად მიღებული პატიმრებისთვის განკუთვნილ ცენტრში დაკავებით და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს დაკავების. სა-

ბოლოოდ, სადავოდ არ გამხდარა, რომ 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში მოსკოვის სხვადასხვა ოლქის და სამარას რეგიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამდებობის პირების მიერ წერილები გაეგზავნა სკოლის დირექტორებს სხვადასხვა მიზეზით (ისეთი როგორცაა საჯარო წესრიგის შენარჩუნება, ტერორიზმის აქტის პრევენცია და მოსკოვში მცხოვრებ და ქართველ ბავშვებს შორის დაძაბულობის თავიდან არიდება, არალეგალი ემიგრანტების მიერ სკოლაში კორუფციის ფაქტების დადგენა, არაჯანსაღ პირობებში მცხოვრები ბავშვების შემთხვევების იდენტიფიცირება) ქართველ მოსწავლეთა სიის მიწოდების მოთხოვნით (იხილე ზემოთ 36-დან 37-ს ჩათვლით პარაგრაფები).

145. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის დასაწყისამდე ასეთი მოთხოვნა გაგზავნილი არ ყოფილა. თუნდაც რომ ბევრი მათგანი არ გაგზავნილიყო და არ გამოირიცხულიყო იმის შესაძლებლობა, რომ ისინი გაგზავნილი იყო გულისხმიერი თანამდებობის პირების მიერ, რომლებიც საკუთარი ინიციატივით მოქმედებდნენ, გასაოცარი ფაქტია, რომ ეს წერილები გაიგზავნა იმავე დროს, რომლითაც დათარიღებულია ცირკულარები და ინსტრუქციები. უფრო მეტიც, მოწმეთა დაკითხვისას რუსმა თანამდებობის პირებმა დაადასტურეს, რომ მსგავსი ქმედებები სასტიკად იყო აკრძალული კანონით და ასე რომ, საკვირველია, რამდენიმე თანამდებობის პირმა ძალაში მყოფი კანონი ერთდროულად და საკუთარი ინიციატივით რომ დაარღვიეს. საბოლოოდ, სასამართლო ადგენს, რომ თანამდებობის პირებზე დაკისრებული სასჯელი შეიცავდა საყვედურს, დაქვეითებას და დისციპლინარულ ღონისძიებებს (იხილე §37 ზემოთ).
146. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ წარდგენილი მტკიცებულება – კერძოდ, მთავარი ბრალმდებლის მოადგილის 2006 წლის დეკემბრის ორი წერილი და რუსი თანამდებობის პირების გამოძიების დასკვნები სხვადასხვა სკოლისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის შემდგომ – არ გამოდგება „ხელისუფლების ტოლერანტობის“ ბრალდების უარყოფად რუსი თანამდებობის პირების მიერ მსგავს უკანონო ქმედებებზე.

ii. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება

147. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობასთან მიმართებით, სასამართლო უპირველეს ყოვლისა აცხადებს, რომ ქართველი მოწმეების განცხადებები მათი დაკავების პირობებთან დაკავშირებით ემთხვევა ერთმანეთს და აჯამებს რუსეთის ფედერაციაში სასამართლოს წინაშე არსებულ პროცედურას. (იხილე ზემოთ §§45 – 46 და §§48-49).
148. იგივე ეხება საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ მოვლენების აღწერას, რომელიც, კერძოდ, მიუთითებს ადმინისტრაციული და სასამართლო ავტორიტეტების შეთანხმებულობაზე (იხილე ზემოთ §§39 – 40 და §§68 – 71).
149. სასამართლო აცხადებს, რომ ეროვნებით ქართველები დაკავებულები, დაპატიმრებულები და გაძევებულები იყვნენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის 18.8, 18.10 და 18.11 მუხლების სავარაუდო დარღვევისთვის (მაგალითად, მუშაობის სწორი ნებართვის, ვიზის ან სარეგისტრაციო სერტიფიკატიც არ ქონისათვის) და რომ ბრძანებები გაცემული იყო ჩვეულებრივი სასამართლოს მიერ.
150. სადავო არ გამხდარა, რომ რუსეთის ფედერაციაში უფრო მაღალი სასამართლოს წინაშე არსებობს დაკავების, დაპატიმრების და გაძევების წინააღმდეგ

სამართლებრივი დაცვის საშუალება, როგორც განაცხადა მოპასუხე მთავრობამ მათ მიერ სხვადასხვა დაკვირვებების დროს და როგორც რუსმა თანამდებობის პირებმა აღწერეს მოწმეთა დაკითხვისას (იხილეთ აგრეთვე *Niyazov v. Russia*, no:27843/11, §87 et seq., 2012 წლის 18 ოქტომბერი).

151. ამრიგად, სასამართლომ რეალურად უნდა გაითვალისწინოს არამარტო „ერთიერთობის მქონე ხელშემკვრელი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ფორმალური სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობა, არამედ, აგრეთვე ზოგადი და პოლიტიკური კონტექსტი, სადაც ისინი მოქმედებენ, ისევე როგორც, მომჩივნის პერსონალური გარემოებები“ (იხილეთ, *mutatis mutandis*, *Akdivar and Others*, ზემოთ ხსენებული, § 69).
152. მათ მფლობელობაში არსებულ მასალასთან მიმართებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავოდ არსებული პერიოდის განმავლობაში, ეროვნებით ქართველებისათვის არსებობდა რეალური დაბრკოლებები ამ საშუალების გამოყენებისათვის, ორივე, რუსეთის ფედერაციაში რუსული სასამართლოს წინაშე განხილვების დროს და მას შემდეგ, რაც საქართველოში გააძევეს.
153. ის მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციაში ეს დაბრკოლებები, როგორც ქართველმა მოწმეებმა აღწერეს, წარმოიქმნა რუსული სასამართლოს წინაშე გატარებული პროცედურების შედეგად, კერძოდ, რომ ისინი ჯგუფებად მიიყვანეს სასამართლოს წინაშე. სანამ ზოგიერთი უთითებდა, რომ მოსამართლესთან გამოკითხვა საშუალოდ ხუთი წუთი გრძელდებოდა და საქმის ფაქტების სათანადო გამოძიება არ ხდებოდა, სხვები ამბობდნენ, რომ ისინი არ დაუშვეს სასამართლო დარბაზში და ელოდებოდნენ კორიდორებში, ან უფრო მეტიც, სხვა ქართველებთან ერთად ავტობუსებში, რომლებმაც ისინი სასამართლოში მიიყვანა მათ თქვეს, რომ შემდგომში მათ უბრძანეს სასამართლო გადაწყვეტილებაზე ხელი მოეწერათ, მათი შინაარსის გაცნობის ან გადაწყვეტილების ასლის მოპოვების გარეშე. მათ ასევე არ ჰყავდათ არც თარჯიმანი და არც ადვოკატი. როგორც ზოგადი წესი, ორივემ, მოსამართლემ და პოლიციის ოფიცრებმა გადააფიქრებინეს მათ გასაჩივრება, იმის თქმით, რომ ბრძანება არსებობდა ქართველების გაძევების თაობაზე.
154. გარდა ამისა, სისწრაფის და დაშინების ფონი, რა პირობებშიც ეს ზომები იყო გატარებული, ასევე ხსნის ქართველების მიერ ამ საშუალებების გამოყენების უხალისობას.
155. ამასთან დაკავშირებით სასამართლო ეთანხმება ქართველი მოწმეების აღწერის სანდოობას, რომელიც ემთხვევა საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვიდრე რუსი თანამდებობის პირებს, რომელიც საექვო ჩანს, სადავოდ გამხდარი დროის პერიოდში ქართველების გაძევების რაოდენობის გათვალისწინებით.
156. საქართველოში, ფსიქოლოგიურ ფაქტორზე წინ, მიიჩნევა, რომ არსებობდა პრაქტიკული დაბრკოლებები სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებისათვის ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო საშუალებების დახურვის გამო. გარდა ამისა, ძალიან ძნელი იყო საქართველოში რუსეთის ფედერაციის საკონსულოსთან დაკავშირება, რომელიც იყო ძალიან მცირერიცხოვანი, მხოლოდ სამი დიპლომატიტ არსებული დროისათვის.
157. შემდგომში, სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსული სასამართლოს მიერ გაცემული ქართველების გაძევების ბრძანებების თვითონ რაოდენობის სტატისტიკის

წარმოუდგენლობა და მოპასუხე მთავრობის მიერ 2011 წლის 15 აპრილის წერილით წარდგენილი დოკუმენტები (იხილე §85 *in fine* ზემოთ) არ წარმოადგენს ადეკვატურ დადასტურებას, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალება იყო ეფექტური და ხელმისაწვდომი იმ დროისათვის და ჰქონდა წარმატებულობის გონივრული პერსპექტივა.

158. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილებების წარდგენილი რიცხვი (42) გამოიყურება, როგორც მინიმალური, რუსეთის ფედერაციაში არსებული ტერიტორიული ერთეულების გათვალისწინებით და იმ პერიოდში ქართველების წინააღმდეგ გაცემული გადაწყვეტის ბრძანებების რიცხვის გათვალისწინებით. (იხილე ზემოთ §135) წარდგენილი საჩივრების რაოდენობა მოსკოვის (8) და სანკტ-პეტერბურგისათვის (17) სასაცილოა, იმის გათვალისწინებით, რომ სადავოდ გამხდარი პერიოდის განმავლობაში ეროვნებით ქართველების გადაწყვეტის უმეტესი შემთხვევა ამ ქალაქებში განხორციელდა, სადაც მათი უმრავლესობა ასევე ცხოვრობდა.

iii. დასკვნა

159. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციაში ადგილი ჰქონდა ეროვნებით ქართველების დაკავების, დაპატიმრების და გადაწყვეტის პოლიტიკის კოორდინაციას, რაც შეიცავდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მოპასუხე მთავრობის მიერ წამოყენებულ პროტესტს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოუწურველობის თაობაზე უარი უნდა ეთქვას.

B. ექვსთვიანი ვადა

160. სასამართლო იმეორებს, „რომ, სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობის პირობებში, აღნიშნული ვადა უნდა აითვალოს იმ ქმედების განხორციელებისა თუ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან, რომელზეც კეთდება მითითება, რომ კონვენციასთან შეუსაბამოა (იხ., *inter alia*, *Georgia v. Russia (I)*, ზემოთ ციტირებული, § 47).
161. მიუხედავად იმისა, რომ პალატამ გადადო საკითხის გადაწყვეტა საქმის არსებით მხარესთან ერთად მის განსახილველად, არც ერთ მთავრობას აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა არ წარმოუდგენია. მომჩივანმა სახელმწიფომ მხოლოდ მოსთხოვა სასამართლოს, რათა დადგენილიყო, რომ საჩივარი კონვენციით დაწესებულ ექვსთვიან ვადაში იქნა შეტანილი.
162. წინამდებარე საქმეში საჩივარი სასამართლოში შევიდა 2007 წლის 26 მარტს, მაშინ, როდესაც მომჩივანი მთავრობის მიერ გასაჩივრებული ბრძანებები ქართველ მოქალაქეთა გამოძევების თაობაზე გამოიცა 2006 წლის 27 სექტემბრის შემდგომ.
163. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციით დაწესებული ექვსთვიანი ვადის ლიმიტი დაკმაყოფილებულია.

IV. მე-4 ოქმის მე-4 მუხლის სავარაუდო დარღვევა

164. მომჩივანი მთავრობა ეყრდნობოდა მე-4 ოქმის მე-4 მუხლს, რომელიც მიუთითებს: „უცხოელთა კოლექტიური გადაყვება აკრძალულია“.

A. მხარეთა მემორანდუმები

1. მომჩივანი მთავრობა

165. მომჩივანი მთავრობა უთითებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ კოლექტიურად გამოაძევა ქართველები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან და მათ არ მისცა თავიანთი საქმეების სასამართლო წესით განხილვის უფლება. მთავრობის აზრით, სერიოზული შეშფოთების საგანი გახლდათ ის ფაქტი, რომ სამართალწარმოების მიმდინარეობისას საერთოდ არ ყოფილა არსებითად განხილული იმ პირთა საქმეები, რომელთა მიმართაც გაძევების ბრძანება გამოიცა. როგორც მონმეთა დაკითხვიდან და საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიშებიდან ირკვეოდა, სასამართლოებს არ სურდათ მოესმინათ ახსნა-განმარტებები საქართველოს მოქალაქეთაგან, ამ უკანასკნელებს არ მიეცათ საშუალება წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები მათი გაძევების საწინააღმდეგოდ. მოსამართლეები ერთსა და იმავე სტანდარტულ ფორმებს იყენებდნენ გაძევების ბრძანებებისათვის და მხოლოდ შესაბამისი სახელები და თარიღები შეჰყავდათ, თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების განუხილველად. ზოგიერთ დაზარალებულს იმის შესაძლებლობაც კი არ ჰქონია, რომ სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო.

2. მოპასუხე სახელმწიფო

166. მოპასუხე მთავრობა სადავოდ ხდიდა ხსენებულ ბრალდებებს და უთითებდა, რომ წინამდებარე საქმე დიდად განსხვავდებოდა საქმისაგან *Conka v. Belgium* (no. 51564/99, ECHR 2002-I), ვინაიდან რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ ორგანოებს არასოდეს განუცხადებიათ, რომ მათ კოლექტიურად გამოაძევეს საქართველოს მოქალაქეები და მათ არც ასეთი ინსტრუქციები მიუციათ შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის. გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეები არ ყოფილან გამოძახებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებში და ბევრ მათგანს ჰქონდა შესაძლებლობა საკუთარი სახსრებით დაეტოვებინა რუსეთის ფედერაცია. და ბოლოს, თითოეული იმ ქართველის საქმე, რომლის წინააღმდეგაც აღიძრა წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე და რომლის მიმართაც გამოიცა ადმინისტრაციული გაძევების ბრძანება, ინდივიდუალურად იქნა განხილული რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად. მოპასუხე მთავრობა სადავოდ ხდიდა ქართველ მონმეთა მიერ მიცემული ჩვენებების სანდოობას და აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებდა რუსი თანამდებობის პირების ჩვენებებზე. მოპასუხე მთავრობის განცხადებით, წინამდებარე საქმე უფრო ემსგავსებოდა საქმეს *Sultani v. France* (no. 45223/05, ECHR 2007 IV (extracts)) ვინაიდან, ხსენებული საქმის მსგავსად, მოპასუხე მთავრობამ 2006 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოსთან შეთანხმების საფუძველზე ორგანიზება გაუკეთა მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირ გადაფრენას საქართველოს მოქალაქეთა ტრანსპორტირებისათვის, რადგანაც საჭიერო მიმოსვლა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის შეჩერებული გახლდათ. გაძევება იმ უკანონო ემიგრანტებისა და პერსონებისა, რომელთაც დარღვეული ჰქონდათ რუსეთის ტერიტორიაზე ბინადრობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები, წარმოადგენდა რუსეთის სახელმწიფოს სუვერენულ უფლებასა და ვალდებულებას ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

167. სასამართლო კვლავაც მოიხმობს თავის პრეცედენტულ სამართალს, რომლის მიხედვითაც „მე-4 ოქმის მე-4 მუხლის გაგებით, კოლექტიური გაძევება გულისხმობს ნებისმიერ ღონისძიებას, რომლის საშუალებითაც უცხოელებს, როგორც ჯგუფს, აიძულებენ დატოვონ ქვეყანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ღონისძიება ტარდება ინდივიდუალურად, ჯგუფის წარმომადგენელ თითოეულ უცხოელთან დაკავშირებული კონკრეტული საქმის სამართლიანი და ობიექტური განხილვის შედეგად და საფუძველზე“ (იხ. *Conka*, ზემოთ ციტირებული, §59). როგორც შემდგომში სასამართლომ დააკონკრეტა, „თავისთავად ის ფაქტი, რომ გარკვეული რაოდენობის უცხოელთა მიმართ ერთგვაროვანი გადაწყვეტილებები მიიღება, არ მიაწინებს კოლექტიური გაძევების არსებობის თაობაზე, თუკი თითოეულ დაინტერესებულ პირს მიეცა შესაძლებლობა წარედგინა ინდივიდუალურად თავისი გაძევების საწინააღმდეგო არგუმენტები კომპეტენტური ორგანოების წინაშე“ (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Sultani*, ციტირებული ზემოთ, § 81, და *Hirsi Jamaa and Others*, ციტირებული ზემოთ, § 184). თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს, რომ როდესაც თითოეული ინდივიდის კონკრეტული საქმე სამართლიანად და ობიექტურად იქნა განხილული, „ის ფონი, რა ვითარებაშიც ხდება გაძევების ბრძანებათა აღსრულება, არ ითამაშებს დამატებით როლს იმის განსასაზღვრელად, ჰქონდა თუ არა ადგილი მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას“. (იხ. *Conka*, ზემოთ ციტირებული, *ibid.*).
168. რაც შეეხება მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მოქმედების ფარგლებს, სასამართლო შენიშნავს, რომ ხსენებული ნორმის ფორმულირება არ მიუთითებს კონკრეტულ პირთა იურიდიულ მდგომარეობაზე, მე-7 ოქმის 1-ლი მუხლისგან განსხვავებით, რომელსაც სასამართლო ქვემოთ განიხილავს (იხ. §§228-231 ქვემოთ). გარდა ამისა, როგორც მე-4 ოქმის პროექტის კომენტარებიდან ირკვევა, საექსპერტო კომიტეტის თანახმად, უცხოელებში, რომლებზეც უთითებს მე-4 მუხლი, არ მოიაზრებიან მხოლოდ ისინი, ვინც კანონიერად იმყოფება ტერიტორიაზე, არამედ „ყველა ის პირი, რომელთაც რეალურად არ გააჩნიათ მოქალაქეობის უფლება სახელმწიფოში, იქნებიან ისინი მარტოოდენ ქვეყნის ტერიტორიის გადამკვეთი პირები, მისი მაცხოვრებლები თუ მუდმივი ბინადარნი, იქნებიან ისინი ლტოლვილები თუ ქვეყანაში საკუთარი ინიციატივით შესულები, მოქალაქეობის არმქონენი თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეები“ (მუხლი მე-4 კომიტეტის საბოლოო პროექტისა, p. 505, § 34).
169. აღნიშნული ინტერპრეტაციის შესაბამისად, თავის მიერ განსახილველ საქმეებში სასამართლო მე-4 ოქმის მე-4 მუხლს იყენებს იმ პირებთან მიმართებით, რომელნიც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, იმყოფებოდნენ კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან დაკავებულნი იყვნენ ღია ზღვაში მოპასუხე სახელმწიფოს აღმით მცურავ გემებზე და დაბრუნებული იქნენ თავიანთ სახელმწიფოში (იხ., *inter alia*, *Conka*; *Sultani*; and *Hirsi Jamaa and Others*, cited above).
- ### 2. აღნიშნული პრინციპების გამოყენება
170. მაშასადამე, წინამდებარე საქმეში მე-4 ოქმის მე-4 მუხლი გამოყენებადია, იმისგან დამოუკიდებლად, კანონიერად იმყოფებოდნენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

171. არსებითი განხილვისას, სასამართლოს მოუწევს შეაფასოს, რამდენად სამართლიანად და ობიექტურად იქნა გამოკვლეული საქართველოს თითოეული მოქალაქის მდგომარეობა, რის შედეგადაც და რომლის საფუძველზეც ჩატარდა გაძევების ღონისძიებები, ამავდროულად იგი ყურადღებას გაამახვილებს მოვლენათა განვითარების დროს არსებულ ზოგად კონტექსტზეც.
172. ამგვარად, PACE Monitoring Committee-მა განაცხადა, რომ „რუტინული გაძევებები“ მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვნად ხორციელდებოდა: „ქართველებს ქუჩაში დოკუმენტების შემოწმების საბაზით აჩერებდნენ, რის შემდეგაც, იმის მიუხედავად, ჰქონდათ თუ არა წესრიგში დოკუმენტები, მათ აკავებდნენ და მილიციის განყოფილებებში გადაჰყავდათ. განყოფილებებში მათ მრავალრიცხოვან ჯგუფებად აგროვებდნენ და სასამართლოში აგზავნიდნენ, სადაც ადმინისტრაციული სახდელის სახით ტერიტორიიდან გაძევების თაობაზე გადაწყვეტილებები მიიღებოდა სასამართლოებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ადვოკატთა მონაწილეობისა და კონკრეტული საქმის გარემოებების კვლევის გარეშე, ისე რომ მთლიანი პროცედურა გრძელდებოდა ორიდან ათ წუთამდე. ადამიანებს, რომელთა მიმართაც ხსენებული ზომები ტარდებოდა, ხშირად სასამართლო დარბაზში არც კი უშვებდნენ და დაკავებულებს დერეფნებში ან, მეტიც, იმ მანქანებში ამყოფებდნენ, რომლებითაც იქ მიჰყავდათ“ (PACE report, § 59).
173. მაშასადამე, წინამდებარე საქმეში მე-4 ოქმის მე-4 მუხლი გამოყენებადია, იმისგან დამოუკიდებლად, კანონიერად იმყოფებოდნენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.
- არსებითი განხილვისას, სასამართლოს მოუწევს შეაფასოს, რამდენად სამართლიანად და ობიექტურად იქნა გამოკვლეული საქართველოს თითოეული მოქალაქის მდგომარეობა, რის შედეგადაც და რომლის საფუძველზეც ჩატარდა გაძევების ღონისძიებები, ამავდროულად იგი ყურადღებას გაამახვილებს მოვლენათა განვითარებაზე. გარდა ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ ქართველ მოქალაქეთა მასობრივი დაკავება და გამოძევება დაწყებული იყო 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისში; ასევე, ისინი მიუთითებდნენ ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს შორის არსებულ კოორდინაციაზე (იხ. §§39-40 და §§68-71 ზემოთ).
174. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმე უფრო მეტად ემსგავსება ზემოთ ხსენებულ *Conka*-ს საქმეს (რომელშიც მან გამოძევების ბრძანებათა აღსრულებასთან დაკავშირებული გარემოებების შეფასების საფუძველზე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კოლექტიურ გაძევებას), ვიდრე *Sultani*-ისას, სადაც მან მიიჩინა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მხედველობაში მიიღეს მომჩივნის – თავშესაფრის მაძიებელი ავღანელი მოქალაქის – პირადი მდგომარეობა და სამშობლოში მის დაბრუნებასთან დაკავშირებული რისკები.
175. წინამდებარე საქმის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ განსახილველ პერიოდში რუსეთის სასამართლოებმა ათასობით საქართველოს მოქალაქის გამოძევების შესახებ ბრძანება მიიღეს (იხ. §135 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად, საქართველოს თითოეულ მოქალაქესთან მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილება მიიღებოდა, სასამართლოს აზრით, ის წესი, თუ როგორ ხორციელდებოდა გაძევების პროცედურები იმ პერიოდში, როდესაც უკვე გამოცემული იყო ცირკულარები და ინსტრუქციები, ასევე, გამოძევებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა – 2006 წლის ოქტომბრიდან მო-

ყოლებული – შეუძლებელს ხდიდა თითოეულ ინდივიდთან დაკავშირებული კონკრეტული საქმის სამართლიანსა და ობიექტურ გამოკვლევას.

176. გარდა ამისა, სასამართლოს დასკვნა რუსეთის ფედერაციაში 2006 წლის ოქტომბრიდან საქართველოს მოქალაქეთა დაკავების, დაპატიმრებისა და გამოძევების კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელების თაობაზე (იხ. §159 ზემოთ) ასევე მიუთითებს, რომ გაძევებები თავისი ბუნებით კოლექტიურ ხასიათს ატარებდა.
177. აღნიშნული დასკვნა არ აყენებს ეჭვქვეშ სახელმწიფოთა უფლებას, ჩამოაყალიბონ საკუთარი სამიგრაციო პოლიტიკა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამიგრაციო ნაკადის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები ვერ გაამართლებს სახელმწიფოს ისეთ პრაქტიკას, რომელიც შეუთავსებელია კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებთან (იხ. *mutatis mutandis*, *Hirsi Jamaa and Others*, ციტირებული ზემოთ, §179).
178. ყველა ზემოხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს მოქალაქეთა გაძევება განსახილველ პერიოდში არ ტარდებოდა თითოეული ინდივიდის კონკრეტული საქმის სამართლიანი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად და საფუძველზე, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევით.

V. მე-5 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების სავარაუდო დარღვევა

179. მომჩივანი მთავრობა ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებს, რომელთა მიხედვითაც:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

...

(f) პირის კანონიერ დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

...

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა“.

A. მხარეთა განცხადებები

1. მომჩივანი მთავრობა

180. მომჩივანი მთავრობის განცხადებით, მოწმეთა ჩვენებების ყველა ჩანაწერიდან აშკარად იკვეთებოდა, თუ როგორ თვითნებურად აკავებდნენ და აპატიმრებდნენ საქართველოს მოქალაქეებს, რაც უკანონოს ხდიდა მათ დაკავებასა და დაპატიმრებას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის. გარ-

და ამისა, საქართველოს მოქალაქეთათვის იმის შესაძლებლობის მიუცემლობა, რომ სადავოდ გაეხადათ თავიანთი დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერება, არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს. გაძევების მიზნით საქართველოს მოქალაქეთა დაკავება იღებდა მასობრივი ოპერაციის ფორმას, რაც მოიცავდა მათ ძებნას ეკლესიების გარეთ, მაღაზიებში, ქუჩებსა თუ სკოლებში, ასევე, მათ სახლებში და სამუშაო ადგილებზე.

2. მოპასუხე მთავრობა

181. მოპასუხე მთავრობა არ დაეთანხმა მომჩივანი მთავრობის ბრალდებებს და ამტკიცებდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა დაკავება მათ გასაძევებლად ჩატარდა რუსული კანონმდებლობის შესაბამისად, არალეგალური ემიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. აღნიშნულთან მიმართებით მან წამოაყენა იგივე არგუმენტები, რაც მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან დაკავშირებით (იხ. პარაგრაფი 166 ზემოთ).

B. სასამართლოს შეფასება

182. დასაწყისშივე სასამართლო შენიშნავს, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ, რომ დაკავებათა მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ტერიტორიიდან საქართველოს მოქალაქეთა გაძევება, შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტი წინამდებარე საქმეში გამოყენებადია. „როდესაც დაპატიმრების „კანონიერებასა“ და, მათ შორის, „კანონით დადგენილი პროცედურის“ დაკმაყოფილებას ეხება საქმე, კონვენცია პირველ რიგში უთითებს ეროვნული კანონმდებლობის მატერიალური და პროცესუალური ნორმების დაცვის ვალდებულებაზე, მაგრამ დამატებით, ის ასევე მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა უნდა შეესაბამებოდეს მე-5 მუხლის მიზანს – კონკრეტულად, ინდივიდის თვითნებობისგან დაცვას“. (იხ. სხვა ავტორიტეტულ წყაროთა შორის, *Conka*, ციტირებული ზემოთ, § 39, და *Shamayev and Others*, ციტირებული ზემოთ, § 397).

183. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის საშუალებით, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს ეძლევა უფლება, პროცესუალურ და მატერიალურ წინაპირობებზე დაყრდნობით, რომელთა არსებობაც აუცილებელია „კანონიერებისათვის“ კონვენციის გაგებით, განხილულ იქნეს მისი თავისუფლების აღკვეთის საკითხი. „კანონიერების“ ცნება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით იმავე დატვირთვის მატარებელია, რა მნიშვნელობაც მას ენიჭება 1-ლ პუნქტში. ამდენად, დაპატიმრებულ პირს აქვს უფლება, მისი პატიმრობის „კანონიერება“ განხილულ იქნეს არა მარტო შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების, არამედ კონვენციის ტექსტის, მასში ხორცშესხმული ზოგადი პრინციპებისა და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტით დაშვებული შეზღუდვების მიზნების გათვალისწინებითაც (იხ. *Chahal v. the United Kingdom*, 15/11/1996, §127, *Reports of Judgments and Decisions* 1996-V; *mutatis mutandis*, *Stanev v. Bulgaria* [GC], no. 36760/06, §168, ECHR 2012; ?? *Idalov v. Russia* [GC], no.5826/03, §160, 22/05/2012).

184. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეში კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებზე დაყრდნობით წამოჭრილი საჩივრები მჭიდროდაა დაკავშირებული მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მიხედვით დაყენებულ საჩივრებთან.

185. საქართველოს მოქალაქეთა გაძევებას წინ უსწრებდა მასობრივი დაკავებები - ქუჩაში, სამუშაო ადგილას თუ მათ სახლებში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო უთითებს ქართველი მოწმეებისა და საერთაშორისო სამთავრობო

და არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ ერთმანეთის მსგავსად აღწერილ დაკავების გარემოებებზე (იხ. წგ45-46 და წგ68-71 ზემოთ). გარდა ამისა, სასამართლომ დაასკვნა, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან რუსეთის ფედერაციაში ხორციელდებოდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრებისა და გაძევების კოორდინირებული პოლიტიკა (იხ. წ159 ზემოთ).

186. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ ხსენებული გამოძევებები სასამართლომ დაახასიათა, როგორც კოლექტიური, მიუთითებს იმაზე, რომ დაკავებები, რომლებიც მათ წინ უსწრებდა, თვითნებური ხასიათისა იყო.
187. ზემოხსენებული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ პერიოდში საქართველოს მოქალაქეების დაკავება და დაპატიმრება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევით.
188. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ გააჩნდათ ეფექტური და ხელმისაწვდომი დაცვის საშუალებები განსახილველ პერიოდში მათი დაკავების, დაპატიმრებისა და გაძევების წინააღმდეგ (იხ. წგ151-158 ზემოთ), სასამართლოს აზრით, ასევე დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

VI. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

189. მომჩივანი მთავრობა ეყრდნობოდა კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.

A. მხარეთა განცხადებები

1. მომჩივანი მთავრობა

190. როგორც მომჩივანი მთავრობა აცხადებდა, საკანთა სერიოზული გადატვირთულობა, დასაძინებელი მოწყობილობის სიმცირე, ჰიგიენის თუ პირადი მოხმარების ნივთების ნაკლებობა, ის ფაქტი, რომ პატიმრებს საცხოვრებლად, დასაძინებლად და ტუალეტით სარგებლობისათვის უწევდათ ერთი და იმავე ოთახის გამოყენება, პატიმართა შორის გარდაცვალებისა და სერიოზული ავადმყოფობის მაგალითები და ზემოთ აღწერილი ყველა სხვა გარემოება ცხადად მიუთითებდა, რომ რუსეთის ფედერაციამ ვერ შეასრულა კონვენციით მასზე დაკისრებული ვალდებულება. მთავრობამ ასევე დასძინა, რომ ტრანსპორტირების პირობები, კონკრეტულად ავტობუსებში და სატვირთო თვითმფრინავში, იყო განსაკუთრებულად დამამცირებელი, რასთან დაკავშირებითაც იგი უთითებდა ქართველი მოწმეების მიერ მიცემულ ჩვენებებზე. შესაბამისად, მომჩივანი მთავრობა ითხოვდა სასამართლოსგან, რომ დადგენილიყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

2. მოპასუხე მთავრობა

191. მოპასუხე მთავრობა სადავოდ ხდიდა ხსენებულ ბრალდებებს და აცხადებდა, რომ ქართველმა მოწმეებმა წინააღმდეგობრივი ჩვენებები მისცეს კონკრეტულად უცხოელთათვის განკუთვნილი დროებითი დაკავების ცენტრებში არსებული პატიმრობის პირობების აღწერისას, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა რუ-

სული ორგანოების მიერ მოწვეულ დოკუმენტებსა, თუ სხვა მონმეთა ჩვენებებს. შესაბამისად, აღნიშნული ჩვენებები ვერ აკმაყოფილებდა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს. როგორც მთავრობამ დასძინა, გამოკითხულთაგან არც ერთმა, ვინც კი იყო დაპატიმრებული ამ ცენტრებში, არ განუცხადა სასამართლოს, რომ მათი პატიმრობის პირობები რაიმე მხრივ განსხვავდებოდა სხვა ქვეყნის იმ მოქალაქეთათვის შექმნილი პირობებისგან, რომლებსაც უცხოელთათვის განკუთვნილ იმავე დაკავების ცენტრებში უწევდათ ყოფნა, ან რომლებიც მათი თანამოსაკნეები იყვნენ. რუსი ოფიციალური პირების განცხადებებზე მითითებით, მან, საბოლოოდ, დასძინა, რომ საჰაერო ტრანსპორტირება ნორმალურ პირობებში განხორციელდა და იგივე თვითმფრინავები გამოიყენეს სხვა უცხოელი მოქალაქეების გასაძევებლადაც.

B. სასამართლოს შეფასება

1. ზოგადი პრინციპები

192. სასამართლო კვლავაც მოიხმობს თავის ბოლოდროინდელ პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით, რომელიც მან შეაჯამა პილოტურ გადანყვეტლებაში *Ananyev and Others v. Russia* და გაიმეორა გადანყვეტილებაში *Idalov v. Russia*:

„ ... მე-3 მუხლი ასახავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას. კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობასა თუ დასჯას, მსხვერპლის საქციელის მიუხედავად (იხ., მაგალითად *Labita v. Italy* [GC], no. 26772/95, § 119, ECHR 2000 IV). აუცილებელია, რომ არასათანადო მოპყრობამ მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ დონეს, რათა მე-3 მუხლის ფარგლებში მოექცეს. შეფასება ამ მინიმუმისა ფარდობითია: იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და მენტალური შედეგები და, ზოგიერთ შემთხვევებში, სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ., სხვა ავტორიტეტულ წყაროთა შორის, *Ireland v. the United Kingdom*, 18 იანვარი 1978, §162, Series A no. 25).

არასათანადო მოპყრობა, რომელიც სისასტიკის ასეთ დონემდე აღწევს, როგორც წესი, გულისხმობს რეალურად მიყენებულ სხეულის დაზიანებას ან ინტენსიურ ფიზიკურ თუ მენტალურ ტანჯვას. თუმცა, აღნიშნულის არარსებობის პირობებშიც, როდესაც მოპყრობა შეურაცხყოფს ან ამცირებს ინდივიდს, რითაც გამოხატავს უპატივცემულობას მისი ადამიანური ღირსების მიმართ ან აუფასურებს მას, ან იწვევს შიშის, ტანჯვისა თუ არასრულფასოვნების შეგრძნებას, რასაც შეუძლია გატეხოს ინდივიდის მორალური და ფიზიკური სიმტკიცე, იგი შეიძლება შეფასდეს როგორც დამამცირებელი და ასევე, მოექცეს მესამე მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში (იხ., სხვა ავტორიტეტულ წყაროთა შორის, *Vasyukov v. Russia*, no. 2974/05, § 59, 5 აპრილი 2011).

თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ იმისათვის, რათა მოექცეს მე-3 მუხლის ფარგლებში, კონკრეტული ტანჯვა და დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გასცდეს იმ ტანჯვისა და დამცირების აუცილებელ ზღვარს, რომელიც დაკავშირებულია პატიმრობასთან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ადამიანის დაპატიმრების პირობები შეესაბამებოდეს მისი ღირსების პატივისცემას; რომ ასეთი ღონისძიების აღსრულების მანერა და მეთოდი არ განაცდევინებდეს მას მწუხარებასა და სტრესს იმ ინტენსივობით, რაც აჭარბებს პატიმრობისათვის დამახასიათებელი და გარ-

დაუვალი ტანჯვის ზღვარს; და რომ, თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული პრაქტიკული საჭიროებების გათვალისწინებით, მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ადეკვატურად იყოს დაცული (იხ. *Kudla v. Poland* [GC], no. 30210/96, §§ 92-94, ECHR 2000 XI, და *Popov v. Russia*, no. 26853/04, § 208, 13 ივლისი 2006).

პატიმრობის პირობების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ამ პირობათა კუმულაციური ზემოქმედების ეფექტს, ისე მომჩინის მიერ წამოყენებულ კონკრეტულ ბრალდებებს (იხ. *Dougoz v. Greece*, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II). დროის ხანგრძლივობა, თუ რა დროის მანძილზე უხდება პირს კონკრეტულ პირობებში პატიმრად ყოფნა, ასევე უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში (იხ. სხვა ავტორიტეტულ წყაროთა შორის, *Alver v. Estonia*, no. 64812/01, § 50, 8 ნოემბერი 2005)“.

(იხ. *Ananyev and Others v. Russia*, nos. 42525/07 და 60800/08, § 139 42, 10 იანვარი 2012, და *Idalov*, ზემოთ ციტირებული, §§ 91 94; ტრანსპორტირების პირობებთან დაკავშირებით, იხ. ასევე, *mutatis mutandis*, *Khudoyorov v. Russia*, no. 6847/02, §§ 116 et seq., ECHR 2005 X (ამონარიდები)).

2. აღნიშნულ პრინციპთა გამოყენება

193. სასამართლო შენიშნავს, რომ თავდაპირველად საქართველოს მოქალაქეები დაკავებული ჰყავდათ პოლიციის განყოფილებებში (მონმეთა განცხადებების მიხედვით, დაკავების პერიოდები მერყეობდა რამდენიმე საათიდან ერთ ან ორ დღემდე), ხოლო შემდეგ უცხოელთათვის განკუთვნილ მოთავსების ცენტრებში (მონმეთა განცხადებების მიხედვით, დაკავების პერიოდები მერყეობდა ორიდან თოთხმეტ დღემდე), რის შემდეგაც ისინი ავტობუსით მიჰყავდათ მოსკოვის სხვადასხვა აეროპორტში და საქართველოში აძევებდნენ თვითმფრინავით (იხ. §45 ზემოთ). საქართველოს ზოგიერთმა მოქალაქემ, რომლის მიმართაც გამოცემული იყო გაძევების ბრძანება, რუსეთის ფედერაცია საკუთარი სახსრებით დატოვა.
194. მხარეები ვერ შეთანხმდნენ საქართველოს მოქალაქეთათვის შექმნილ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ უმრავლეს საკითხებზე. თუმცა, როდესაც დავა ეხება პატიმრობის პირობებს, სასამართლო არ დგას იმ საჭიროების წინაშე, რათა დაადგინოს თითოეული სადავოდ გამხდარი გარემოების სისწორე. მას შეუძლია დაასკვნას, რომ დაირღვა მე-3 მუხლი, თუკი სახეზეა სერიოზული ბრალდება და იგი მოპასუხე მთავრობას სადავოდ არ გაუხდია. (იხ., *mutatis mutandis*, *Idalov*, ციტირებული ზემოთ, § 96).
195. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო განიხილავს მის წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს.
196. უპირველესად, იგი აღნიშნავს, რომ თუმცა მონმეთა დაკითხვისას ზოგიერთმა ქართველმა მონმემ წინააღმდეგობრივი განცხადებები გააკეთა ცალკეულ საკითხებთან მიმართებით (განსაკუთრებით ეს ეხება საკანთა მოცულობას), პოლიციის განყოფილებებსა და უცხოელთა მოთავსების ცენტრებში არსებული, მათ მიერ აღწერილი პატიმრობის პირობები და ასევე საქართველოში გამოძევებასთან დაკავშირებული გარემოებები ძირითადად ურთიერთთანხვედრია და შეესაბამება საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაცემებს (იხ. §§52-55 და §§72-74 ზემოთ). ამ ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ რეალურად საქართველოს ბევრი მოქალაქე დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას მათი პატიმრობისა და გამოძევების თან-

მსლები სავალალო პირობების გამო (მაგალითად, გადატვირთული საკნები, საკვებისა და წყლის ნაკლებობა, ჰიგიენის ცუდი პირობები და ასზე მეტი საქართველოს მოქალაქის სატვირთო თვითმფრინავით ტრანსპორტირება).

197. გარდა ამისა, ბ-ნმა პატარიძემ, განსახილველ დროს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულმა, განაცხადა, რომ მან და მასთან თანმხლებმა პირებმა მრავალი მოთავსების ცენტრი მოინახულეს რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. მან დადასტურა, რომ ყველა ამ ცენტრში უმთავრესად სწორედ საქართველოს მოქალაქეები იმყოფებოდნენ, რომ საკნები იყო გადატვირთული, პატიმრობის პირობები – მეტად მძიმე, ჰიგიენა – საშინელი, და რომ ძალზე ცოტა იყო საწოლები და მატრასები.
198. სასამართლოს არ უჩნდება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ პატიმრობის პირობები იყო უკიდურესად მძიმე, იმის გათვალისწინებით, რომ ასე მოკლე ხანში საქართველოს მრავალი მოქალაქე დააპატიმრეს გაძევების მიზნით. ამასთან მიმართებით იგი ასკვნის, რომ მოწმეთა ჩვენებების მოსმენისას ქართველი მოწმეების მიერ გაკეთებული განცხადებები უფრო სარწმუნო და სანდოა, ვიდრე რუსი თანამდებობის პირებისა, რომლებიც პატიმრობის ძალიან კარგ პირობებს აღწერდნენ.
199. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ყველა მასალის მხედველობაში მიღებით, უპირველეს ყოვლისა უდავოდ დგინდება, რომ საქართველოს მოქალაქეები დაკავებულნი იყვნენ პოლიციის განყოფილებათა საკნებში ან უკიდურესად გადატვირთულ უცხოელთა მოთავსების ცენტრებში. ნებისმიერ შემთხვევაში, მათთვის ხელმისაწვდომი პირადი სივრცე არ აკმაყოფილებდა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს (იხ., სხვა ავტორიტეტულ წყაროთა შორის, *Idalov*, ციტირებული ზემოთ, §101). გარდა ამისა, საქართველოს მოქალაქეებს რიგრიგობით უწევდათ ძილი ინდივიდუალური დასაწოლი ადგილების სიმციროს გამო.
200. ციხის საკანში უკიდურესად შეზღუდული სივრცის არსებობა მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მხედველობაში მიიღება იმის დასადგენად, იყო თუ არა სადავოდ ქცეული პატიმრობის პირობები „დამამცირებელი“ კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის (იხ. *Ananyev and Others*, ციტირებული ზემოთ, §143).
201. ზოგადად, სასამართლომ რამდენჯერმე მიუთითა, რომ რუსეთის ციხეებში არსებული გადატვირთულობა სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენდა. ბევრ საქმეში იგი მუდმივად ადგენდა მომჩივანთა უფლებების დარღვევას იმის გამო, რომ პატიმრობისას მათ არ გააჩნდათ საკმარისი პირადი სივრცე (იხ., *inter alia*, *Idalov*, ციტირებული ზემოთ, § 97, და *Solovyevy v. Russia*, no.918/02, § 123, 24 აპრილი 2012). ამჟამინდელი საქმე, რომელიც შეეხება უცხოელთა მოთავსების ცენტრებს, არ წარმოადგენს გამონაკლისს აღნიშნულთან მიმართებით.
202. სასამართლო ასევე უთითებს „ნამების პრევენციის ევროპული კომიტეტის“ (CPT) 2001 წლის დეკემბრის ანგარიშზე რუსეთის ფედერაციის შესახებ, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ ძალზე შეშფოთებული იყო ამ ცენტრებში უცხოელ მოქალაქეთათვის შექმნილი პატიმრობის პირობების გამო და ხაზს უსვამდა საკნების გადატვირთულობას (ანგარიში რუსეთის მთავრობას 2001 წლის 2-დან 7 დეკემბრის ჩათვლით რუსეთის ფედერაციაში ვიზიტთან დაკავშირებით, § 32, CPT/Inf (2003) 30).
203. გარდა ამისა, სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ, როგორც წინამდებ-

ბარე საქმეში მისთვის წარდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, არ არსებობდა სანიტარული და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა შესაბამისი საბაზისო პირობები და რომ დაკავებულები ნუსხდებოდნენ პრივატულობის ნაკლებობით, რადგანაც ტუალეტები განცალკევებული არ იყო დანარჩენი საკნებისაგან.

204. ამასთან მიმართებით სასამართლო იმეორებს, რომ პატიმრობის პირობების არაადეკვატურობა მუდმივ სტრუქტურულ პრობლემას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციაში, რაც შედეგია რუსული სასჯელალსრულების სისტემის ფუნქციონირების მოშლისა და რამაც ბევრ საქმეში აიძულა სასამართლო დაესკვნა, რომ დაირღვა მე-3 მუხლი, 2002 წელს საქმეზე *Kalashnikov v. Russia* (no. 47095/99, ECHR 2002 VI) დარღვევის პირველად დადგენის შემდგომ, და მიეღო პილოტური გადაწყვეტილება ზემოთ ციტირებულ საქმეზე *Ananyev and Others*. მაშასადამე, სასამართლო ვერ ხედავს საიმისო საფუძველს, რომ გადაუხვიოს ამ დასკვნას წინამდებარე საქმეში.
205. ყველა ზემოხსენებული ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ პატიმრობის პირობებმა აშკარად მიაყენა ტანჯვა საქართველოს მოქალაქეებს და ის უნდა შეფასდეს როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.
206. შესაბამისად, სასამართლო აღარ მიიჩნევს საჭიროდ, განიხილოს მხარეთა დანარჩენი შუამდგომლობები განსახილველ პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა გაძევების პირობებთან დაკავშირებით.

VII. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან და მე-3 მუხლთან ერთობლობაში

207. მომჩივანი მთავრობა დავობდა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-13 მუხლი კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან და მე-3 მუხლთან ერთობლობაში. მე-13 მუხლის თანახმად:

„ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

A. მხარეთა განცხადებები

208. როგორც თავის წინა შუამდგომლობებში აცხადებდა, მომჩივანი მთავრობა უთითებდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს განსახილველ პერიოდში არ გააჩნდათ ქმედითი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები დაკავებათა და გაძევების ბრძანებების საწინააღმდეგოდ (იხ. §120 ზემოთ).
209. მოპასუხე მთავრობა შეედავა აღნიშნულ ბრალდებებს (იხ. §121 ზემოთ).

B. სასამართლოს შეფასება

210. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, უნდა არსებობდეს „შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, რათა განხილულ იქნეს კონვენ-

ციასთან მიმართებით წარდგენილი „სადავოდ გამხდარი საჩივრის“ შინაარსი და განისაზღვროს შესაბამისი დაკმაყოფილება“ (იხ., *inter alia*, *Conka*, ზემოთ ციტირებული, § 75).

211. იმის გათვალისწინებით, რომ დადგინდა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტებისა და მე-3 მუხლის დარღვევები, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანი მთავრობის საჩივრები არის „სადავო“ მე-13 მუხლის მიზნებისათვის.
212. თუმცა, კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლისა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევათა დადგენა თავის თავში გულისხმობს, რომ არ არსებობდა ქმედითი და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები. შესაბამისად, არ არსებობს მე-13 მუხლის ფარგლებში მომჩივანი მთავრობის საჩივრის ცალკე განხილვის საჭიროება მითითებულ ნორმებთან ერთობლიობაში.
213. გარდა ამისა, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ განსახილველ პერიოდში საქართველოს მოქალაქეებს არ ჰქონდათ ეფექტური და ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები დაკავებების, დაპატიმრებისა და გაძევების ბრძანებების საწინააღმდეგოდ (იხ. §§151-158 ზემოთ).
214. შესაბამისად, იგი ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში.
215. რაც შეეხება კონვენციის მე-13 მუხლის ფარგლებში წარდგენილ საჩივარს მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, სასამართლო შენიშნავს, რომ, როგორც მან თავის ზემოთ ციტირებული პილოტური გადაწყვეტილებით *Ananyev and Others* დაადგინა, მოცემულ დროს რუსულ სამართლებრივ სისტემაში არ არსებობდა ქმედითი საშუალება, რათა წერტილი დასმოდა არაადამიანური და დამამცირებელი საპატიმრო პირობების არსებობას ან მიღებული ყოფილიყო ადეკვატური და სამართლიანი ანაზღაურება არაადეკვატურ საპატიმრო პირობებზე წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით (იხ. *Ananyev and Others*, ციტირებული ზემოთ, § 119).
216. შესაბამისად, იგი მიიჩნევს, რომ ეს საქმე არ არის განსხვავებული და ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

VIII. კონვენციის მე-14 მუხლის სავარაუდო დარღვევა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან და მე-3 მუხლთან ერთობლიობაში

217. მომჩივანი მთავრობა დავობდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევის გამო კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან და მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. მე-14 მუხლის თანახმად:

„ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადაც კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად“.

A. მხარეთა განცხადებები

218. მომჩივანი მთავრობა ამტკიცებდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა დაკავება,

დაპატიმრება და გაძევება ეფუძნებოდა მათ ეროვნულსა და ეთნიკურ წარმომავლობას და არა მათ მდგომარეობას, რუსეთის ფედერაციაში არსებული საემიგრაციო წესებიდან გამომდინარე. მისი განცხადებით, დაკავებები წარმოადგენდა რეპრესიულ ზომას საქართველოს წინააღმდეგ და არ ეყრდნობოდა დაზარალებულთა ინდივიდუალურ ქმედებებს. გარდა ამისა, აღნიშნული ბრალდება გამყარებული იყო HRW-ის ანგარიშით, რომლის თანახმადაც გაძევებულებს შორის იყვნენ რუსეთის ფედერაციაში კანონიერად მცხოვრები ქართველებიც, როგორებიც იყვნენ წარმოშობით ქართველი პირები რუსეთის მოქალაქეობით; ბინადრობისა და მუშაობის ნებართვის მქონენი, რომელთაც ჰქონდათ სრულყოფილად მონესრიგებული ვიზები და რომელთა ბინადრობაც დარეგისტრირებული იყო; ეთნიკური ქართველები, რომელთაგან ზოგი თავისი პასპორტისა თუ ვიზის განახლებას ელოდებოდა, ან სტუდენტები, რომლებიც რუსულ უნივერსიტეტებში იყვნენ დარეგისტრირებული.

219. თავის მხრივ, მოპასუხე მთავრობა უარყოფდა ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით საქართველოს მოქალაქეთა დაკავება-გამოძევებასთან დაკავშირებულ ყველა ბრალდებას. იგი იმეორებდა მის მიერ მანამდე გაკეთებულ განცხადებებს, კერძოდ, იმას, რომ საქართველოს მოქალაქეთა დაკავება, დაპატიმრება და გამოძევება იყო საერთო პოლიტიკის ნაწილი უკანონო ემიგრაციასთან ბრძოლაში, რადგანაც ისინი იყვნენ რუსეთის ფედერაციის უკანონო მაცხოვრებლები (არანაირი ვარგისი ვიზა, ბინადრობის ან მუშაობის ნებართვა ან რეგისტრაციის დამადასტურებელი სერთიფიკატი – იხ. §25 და §§115-116 ზემოთ). აღნიშნულთან დაკავშირებით მონმეთა დაკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებით გამოყენებული პროცედურები ზუსტად იგივე იყო, რაც ხორციელდებოდა სხვა უცხოელ მოქალაქეებთან მიმართებით, რომელთაც ანალოგიური ტიპის დარღვევები ჰქონდათ ჩადენილი. დამატებით, იგი უთითებდა, რომ მომჩივანი მთავრობის ბრალდებები იმავე პერიოდში ქართული წარმომავლობის მქონე რუსეთის მოქალაქეთა გამოძევებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი იყო.

B. სასამართლოს შეფასება

220. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მომჩივანი მთავრობის მიერ კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში წარდგენილი საჩივრები კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან და მე-5 მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან ერთობლიობაში ანალოგიურია იმ საჩივრებისა – თუმცა სხვა კუთხიდან წარმოდგენილი – რაც მან უკვე განიხილა უკანასკნელი ორი მუხლის ფარგლებში და რომლებთან მიმართებითაც მან დაადგინა დარღვევა. შესაბამისად, იგი აღარ მიიჩნევს საჭიროდ იმის გადაწყვეტას, დაირღვა თუ არა წინამდებარე საქმეში მე-14 მუხლი აღნიშნულ ნორმებთან ერთობლიობაში საქართველოს მოქალაქეების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის გამო.
221. ასევე, იგი არ მიიჩნევს საჭიროდ, განსაზღვროს, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-14 მუხლი მე-3 მუხლთან ერთობლიობით, იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის პირობების არაადეკვატურობა რუსულ ციხეებში შეეხებოდა ყველა პატიმარს, მათი ეროვნული წარმოშობის მიუხედავად.

IX. კონვენციის მე-18 მუხლის სავარაუდო დარღვევა მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, ასევე მე-5 მუხლის §§1 და 4 და მე-3 მუხლთან ერთად

222. მომჩივანი მთავრობა დაეყრდნო კომენციის მე-18 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გათვალისწინებული მიზნებისთვის.“

223. სასამართლო იმეორებს, რომ მე-18 მუხლს არ აქვს ავტონომიური როლი. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ კონვენციის სხვა მუხლებთან ერთად. (იხ. *inter alia*, *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, § 73, ECHR 2004-IV; *Mudayevy v. Russia*, no. 33105/05, § 127, 8 April 2010; *Lutsenko v. Ukraine*, no. 6492/11, § 105, 3 July 2012; and *Tymoshenko v. Ukraine*, no. 49872/11, § 294, 30 April 2013).

224. სასამართლომ უკვე დაადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის და კონვენციის მე-5 მუხლის §1-ის და მე-3 მუხლის დარღვევით და ასევე, რომ მე-5 მუხლის §4 არ დარღვეულა. შესაბამისად, იგი საჭიროდ არ მიიჩნევს იმავე საკითხების კონვენციის მე-18 მუხლის ფარგლებში შემონიშნებას.

X. მე-7 ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

225. მომჩივანი სახელმწიფო დაეყრდნო მე-7 ოქმის პირველ მუხლს, რომელიც ადგენს, რომ:

„1. დაუშვებელია სახელმწიფოს ტერიტორიაზე, კანონიერად მცხოვრები უცხოელის გაძევება ამ სახელმწიფოდან სხვაგვარად, თუ არა კანონის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ისე, რომ მას შეეძლოს:

(a) წარადგინოს მისი გაძევების სანინაალმდეგო არგუმენტები;

(b) გადაასინჯვინოს მისი საქმე და

(c) ამ უფლებათა განსახორციელებლად, წარმოდგენილ იქნეს ხელისუფლების სათანადო უფლებამოსილი ორგანოს ან ამ ორგანოს მიერ დანიშნული ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.

2. უცხოელი შეიძლება გაძევებულ იქნეს მის მიერ ამ მუხლის 1-ლი პარაგრაფის (ა), (ბ) და (ც) პუნქტებით გათავალისწინებული უფლებების განხორციელებამდე, თუ ასეთი გაძევება აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის ან განპირობებულია ეროვნული უშიშროების მოსაზრებით“.

A. მხარეთა არგუმენტები

226. მომჩივანი სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ საქართველოს გამოძევებულ მოქალაქეთაგან ბევრი, რუსეთის ფედერაციაში კანონიერად მცხოვრები პირი იყო და ამასთან დაკავშირებით მიუთითა HRW-ის ანგარიშზე.

227. მოპასუხე მთავრობის თანახმად, გარდა ძალიან მცირე გამონაკლისისა, საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც გამოძევებულ იქნა სასამართლო წარმოების შემდეგ მიღებული ადმინისტრაციული ბრძანების საფუძველზე, იყო რუსეთის ტერიტორიაზე უკანონოდ მცხოვრებელი პირი, რადგან მათი საბუთები არ იყო წესრიგში. შესაბამისად, მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ პირებს ეხებოდა, წინამდებარე საქმესთან მიმართებით არ გამოიყენებოდა.

B. სასამართლოს შეფასება

228. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი, პირდაპირ მოიხსენიებს „სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მცხოვრებ“ უცხოელებს.
229. მისთვის წარდგენილი მასალების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს: არ დადგენილა, რომ აღნიშნულ პერიოდში, ასევე დააკავეს და გამოაძევეს საქართველოს ის მოქალაქეებიც, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრობდნენ.
230. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი სახელმწიფოს მიერ, ამ მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი არ არის მტკიცებულებებით საკმარისად გამყარებული და რომ წარდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი დარღვევის დასადგენად.
231. ამგვარად, ადგილი არ ჰქონია მე-7 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

XI. კონვენციის მე-8 მუხლის და 1-ლი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების სავარაუდო დარღვევა

232. მომჩივანი სახელმწიფო, ასევე, დაეყრდნო კონვენციის მე-8 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ:

- „1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

233. ისინი, ასევე, დაეყრდნენ, 1-ლი ოქმის პირველ და მე-2 მუხლებს, რომელიც ადგენს, რომ:

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახდებისა თუ მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

„არავის შეიძლება ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. ნებისმიერი ფუნქციის განხორციელებისას, რომელსაც სახელმწიფო კისრულობს განათლებასა და სწავლებასთან დაკავშირებით, ის პატივს სცემს მშობელთა უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება“.

A. მხარეთა არგუმენტები

234. მომჩივანმა სახელმწიფომ, კონვენციის მე-8 მუხლის და 1-ლი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით მიუთითა, პალატისთვის წარდგენილ წინა კომენტარებზე.

კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ პირთა გაძევების ბრძანებები, ანგარიშს არ უწევდა აღნიშნული პირების ოჯახურ მდგომარეობას და მათ (ბრძანებების) შედეგად მოხდა ოჯახის წევრების დაშორება (ზოგიერთ შემთხვევაში ძალიან პატარა ბავშვები ბედის ანაბარა დარჩნენ) კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ. გარდა ამისა, სკოლებისა და უნივერსიტეტების მიერ, ინფორმაციის გამჟღავნება ქართველი მოსწავლეების წარმოშობის, ოჯახური მდგომარეობის და მისამართის შესახებ არ იყო კანონით გათვალისწინებული და ამით, ასევე, დაირღვა აღნიშნული მუხლი.

გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეების დაკავებისა და დაპატიმრების მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ მათ თავიანთი საკუთრების მიტოვება მოუწიათ. მათი რუსეთიდან გამოდევნის ღონისძიებებმა და რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის კომუნიკაციის შეწყვეტამ ხელი შეუშალა მათ თავიანთი ქონების დასაცავად, შემდგომი საჭირო ნაბიჯების გადადგმაში და შედეგად დაირღვა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი.

ბოლოს, საქართველოში რუსული სკოლების დახურვით ქართველი მოსწავლეებისთვის რუსეთში განათლების მიღება აღარ იყო ხელმისაწვდომი და აღნიშნულით დაირღვა 1-ელი ოქმის მე-2 მუხლს.

235. მოპასუხე მთავრობამ ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა იმას, რომ მომჩივან მთავრობას ამ ბრალდებების განსამტკიცებლად არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით, ერთის მხრივ განაცხადეს, რომ რუსეთის სასამართლოებისთვის ძალიან რთული იყო საქართველოს მოქალაქეების ოჯახური მდგომარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და გაიმეორეს, რომ რეალურად ამ შემთხვევაში არ არსებობდა ოჯახის ხელახლა გაერთიანების უფლება. მეორეს მხრივ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ინფორმაციის გამოთხოვისთვის რუსეთის სახელისუფლებო ორგანოების თანამდებობის პირები, შემდგომში სათანადოდ დაისჯებოდნენ.

1-ლი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით, საქართველოს მოქალაქეებს საკუთრების უფლება არ ჩამოერთმევიათ და შეეძლოთ შეეტანათ ნებისმიერი სარჩელი მათი საკუთრების ფლობასა და სარგებლობასთან დაკავშირებით.

ბოლოს, 1-ელი ოქმის მე-2 მუხლთან დაკავშირებით, საქართველოში რუსული სკოლები რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაქვემდებარებაში შედიოდა და დაიხურა რუსი სამხედროების, საქართველოდან, წასვლის შემდეგ.

B. სასამართლოს შეფასება

236. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანი მთავრობის მიერ, ამ მუხლების საფუძველზე წარდგენილი საჩივრები არ არის მტკიცებულებებით საკმარისად გამყარებული და რომ წარდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი დარღვევის დასადგენად.

237. ამგვარად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლისა და 1-ელი ოქმის პირველ და მე-2 მუხლების დარღვევას.

XII. კონვენციის 41-ე მუხლი

238. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

239. მომჩივანმა სახელმწიფომ თხოვნით მიმართა სასამართლოს რომ „მიანიჭოს მისთვის კონვენციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი დაკმაყოფილება, კერძოდ, კომპენსაციის, რეპარაციის, რესტიტუციო ინ ინტეგრუმ, ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურებით და დამატებითი და სხვა ზუსტად განსაზღვრული ანაზღაურებით, მატერიალური თუ არა მატერიალური ზიანისთვის, რომელიც განიცადა და მიადგათ დაზარალებულ მხარეს ამ პროცესებიდან გამომდინარე და მის შდეგად“ (იხილეთ, ზემოთ, §79-ე).

240. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი განხილვისთვის მზად არ არის.

ზემოთ ხსენებულის საფუძველზე სასამართლო:

1. **ადგენს**, რომ ადგილი ჰქონდა 38-ე მუხლის დარღვევას (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
2. **ადგენს**, რომ 2006 წლის შემოდგომით, რუსეთის ფედერაციაში, განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრების და გამოძევების კოორდინებული პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას, კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიზნებისათვის (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
3. **უარყოფს**, მოპასუხე მთავრობის პირველად პრეტენზიას, შიდა სახელმწიფო საშუალებების არ ამონჭურვასთან დაკავშირებით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
4. **ადგენს**, რომ მომჩივანი მთავრობის განაცხადი შეტანილ იქნა, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ელი პარაგრაფით გათვალისწინებული ექვსი თვის ვადაში (ერთხმად);
5. **ადგენს**, რომ საქართველოს მოქალაქეების გაძევება, აღნიშნულ პერიოდში, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
6. **ადგენს**, რომ საქართველოს მოქალაქეების დაკავება და დაპატიმრება აღნიშნულ პერიოდში წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი პარაგრაფის დარღვევით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
7. **ადგენს**, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებ-

რივი დაცვის საშუალების არარსებობა, რათა გაესაჩივრებინათ მათი დაკავება, დაპატიმრება და გაძევება წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დარღვევას (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);

8. **ადგენს**, რომ საქართველოს მოქალაქეების პატიმრობის პირობები, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
9. **ადგენს**, რომ მე-3 მუხლის ფარგლებში საჭირო აღარ არის მხარეთა კომენტარების დარჩენილი ნაწილის განხილვა, საქართველოს მოქალაქეების, აღნიშნულ პერიოდში, გაძევების პირობებთან დაკავშირებით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
10. **ადგენს**, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პარაგრაფთან მიმართებით (ცამეტი ოთხის წინააღმდეგ);
11. **ადგენს**, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
12. **ადგენს**, რომ საჭირო არ არის, მომჩვანი სახელმწიფოს მიერ, მე-13 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან და კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფთან მიმართებით დარღვევასთან დაკავშირებით (ერთხმად);
13. **ადგენს**, რომ საჭირო არ არის, მომჩვანი სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, კონვენციის მე-5 მუხლის პირველ და მე-4 პარაგრაფთან და კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით დარღვევასთან დაკავშირებით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
14. **ადგენს**, რომ საჭირო არ არის, მომჩვანი სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან, კონვენციის მე-5 მუხლის პირველ და მე-4 პარაგრაფთან და კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით დარღვევასთან დაკავშირებით (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
15. **ადგენს**, რომ ადგილი არ ჰქონია მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას, (თექვსმეტი ერთის წინააღმდეგ);
16. **ადგენს**, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის და 1-ლი ოქმის 1-ლი და მე-2 მუხლების დარღვევას (ერთხმად);
17. **ადგენს**, რომ კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების საკითხი არ არის მზად გადწყვეტილების მისაღებად;

შესაბამისად,

ა) მთლიან საკითხს მომავლისთვის დებს;

- ბ) იწვევს მომჩივან და მოპასუხე მთავრობებს, რათა ამ განჩინების გაცნობიდან თორმეტი თვის განმავლობაში, წერილობით წარმოადგინონ მათი კომენტარები ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, შეატყობინონ სასამართლოს ნების-

მიერი მიღწეული შეთანხმების შესახებ;

- (ვ) გადადებს დამატებით პროცედურებს და თავჯდომარეს გადასცემს უფლებამოსილებას, საჭიროების შემთხვევაში, დანიშნოს იგივე პროცედურები.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და 2014 წლის 3 ივლისს, გამომცხადებულ იქნა საჯარო სხდომაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში.

მაიკლ ო'ბოილ

ჯოზეფ კასადევალი

რეგისტრატორის მოადგილე

თავჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პარაგრაფისა და სასამართლოს რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის თანახმად, განჩინებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული აზრი:

- (a) მოსამართლე ლოპეზ გუერას, რომელსაც უერთდებიან მოსამართლეები ბრატ-ზა და კალაიჯიევა, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (b) მოსამართლე ნონორიას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი;
- (c) მოსამართლე დედოვის განსხვავებული აზრი.

J.C.M.
M.O'B.

მოსამართლე ლოპეზ გუერას, რომელსაც უერთდებიან მოსამართლეები ბრატზა და კალიაჯიევა, ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება

ჩემი ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება შეეხება დიდი პალატის დასკვნას, მე-13 მუხლის მე-5 მუხლის პირველ პარაგრაფთან მიმართებით დარღვევასთან დაკავშირებით (განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-10 პუნქტი), ასევე, შეეხება ამ დასკვნის გამამყარებელ მის დასაბუთების ნაწილს (იხილეთ §§210-14).

თავად კონვენციის დებულებებიდან, ისევე, როგორც სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან აშკარაა, რომ როგორც კი დადგინდება კონვენციის მე-5 მუხლის 1 პარაგრაფის დარღვევა, საჭირო აღარაა მე-13 მუხლის მე-5 მუხლის პირველ პარაგრაფთან მიმართებით დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრის დამატებითი განხილვა, გამომდინარე იქიდან, რომ წინა დასკვნა მოიცავს საჩივარს.

მე-13 მუხლი მოითხოვს, რომ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება უზრუნველყოფილი იყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით. როდესაც, საქმე ეხება მე-5 მუხლის პირველ პარაგრაფს, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი ადგენს უფრო მკაცრ პროცედურულ მოთხოვნებს სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით, რამდენადაც იგი მოითხოვს, რომ უნდა იყოს გარკვეული სასამართლო სამართალწარმოების ფორმა, რომლის გამოყენების უფლება ექნება დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს და რომლის მეშვეობითაც სასამართლოს შეეძლება განიხილოს დაკავების ან დაპატიმრების მართლზომიერება (ჰაბეას კორპუს-ის კონვენციის ეკვივალენტი). ამ შემთხვევაში, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი წარმოადგენს *lex specialis* დაკავებასა და დაპატიმრებასთან მიმართებით და ადგენს სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებას, რომელსაც მოითხოვს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის შემთხვევები. ამგვარად, *lex specialis*-ზე დაყრდნობით კონვენციის დარღვევის დადგენის შემდეგ, დიდი პალატის მიერ, იგივე საკითხის, ხელახლა განხილვა მე-13 მუხლის *lex generalis* საფუძველზე, არ არის საჭირო. ეს მიდგომა მყარად დადგენილია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით (მაგალითისთვის იხილეთ, *De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, 18 June 1971, § 95, Series A no. 12, and *Khadisov and Tsechoyev v. Russia*, no. 21519/02, § 162, 5 February 2009).

მოსამართლე ნონორიას ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია გავიზიარო უმრავლესობის მიერ მიღებული, ზოგიერთი დასკვნა. პირველ რიგში, განსაკუთრებით არ ვეთანხმები სასამართლოს დასკვნას, რომ საჭირო არ იყო, მომჩვანი სახელმწიფოს მიერ, კონვენციის მე-18 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევასთან მიმართებით, კონვენციის მე-14 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრის განხილვა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან და მე-5 მუხლის პირველ და მე-4 პარაგრაფების დარღვევასთან მიმართებით ან საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრების და გამოძევების დისკრიმინაციული ხასიათის განხილვა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე და მეორეც, რომ ადგილი არ ჰქონია მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ვადასტურებ, პატიმრობის პირობების საფუძველზე მიღებულ დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ პარტიკას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, არ შემიძლია დავეთანხმო უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რომ საჭირო არ იყო გაძევების პირობების, მე-3 მუხლთან მიმართებით დამატებით განხილვა და შემდგომ, იმავე საჩივართან დაკავშირებით, მე-13 მუხლის დარღვევის არ დადგენა.

მსურს, ჩამოვაცალიბო ჩემი შეხედულებები ქვემოთ, რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, რათა განმეარტო, თუ რა საფუძველი აქვს ჩემს განსხვავებულ აზრს. განხილვას დავიწყებთ კონვენციის მე-18 მუხლიდან, რადგან ეს დებულება ეხება, წინამდებარე საქმეში, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხს – *détournement de pouvoir* აკრძალვას.

I. კონვენციის მე-18 მუხლის მე-5 მუხლთან მიმართებით დარღვევა

ეს სახელმწიფოთაშორისი საქმე, ალბათ ყველაზე ნათელი მაგალითია კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენებისა, არა კონვენციით გათვალისწინებული, არამედ სხვა მიზნებისთვის.

მე-18 მუხლთან მიმართებით არსებული პრეცედენტული სამართლის თანახმად ნათელია, რომ კონვენციის მთლიანი სტრუქტურა ეყრდნობა ზოგად პრეზუმფციას, რომ საჯარო ხელისუფლება მოქმედებს კეთილსინდისიერად. თუმცა, ნებისმიერ საჯარო პოლიტიკას შესაძლოა, ჰქონდეს „ფარული გეგმა“, ამგვარად კეთილსინდისიერების პრეზუმფცია გაბათილებადია (იხილეთ, სხვა საქმეებს შორის, *Khodorkovsky v. Russia*, no. 5829/04, § 255, 31 May 2011, and *Lutsenko v. Ukraine*, no. 6492/11, § 106, 3 July 2012). ინდივიდუალურ განაცხადებში სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელმა, რომელიც ამტკიცებს, რომ შეიზღუდა მისი უფლებები და თავისუფლებები შეუსაბამო მიზნებისთვის, დამაჯერებლად უნდა წარმოაჩინოს, რომ სახელისუფლებო ორგანოების რეალური მიზანი განსხვავდებოდა გაცხადებული მიზნისგან (ან კონტექსტიდან გონივრულად უნდა შეიძლებოდეს ასეთი დასკვნის გამოტანა) (იხილეთ, *Lutsenko*, cited above, § 106). ამგვარად, როდესაც ბრალდება ეყრდნობა მე-18 მუხლს, სასამართლო იყენებს ძალიან მაღალ მტკიცებულებათა სტანდარტს (იხილეთ, *Tymoshenko v. Ukraine*, no. 49872/11, § 295, 30 April 2013).

სასამართლო, მე-18 მუხლის დარღვევას ადგენს, როდესაც ის ასკვნის, რომ სახელმწიფოს მთლიანი სამართლებრივი სისტემა არის უსამართლო *ab initio*, რაც იმის მიმართით ებღიბა, რომ სახელისუფლებო ორგანოები თავიდან ბოლომდე არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, კონვენციის ამკარა უგულვებელყოფით (იხილეთ, *Khodorkovskiy*, ზემოთ აღნიშნული, § 260). საქმეთა უმეტესობაში „მიზანი“ არ არის დადასტურებული (შეადარეთ *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, §§ 75-78, 19 May 2004). როგორც სწორად იქნა აღნიშნული, შემდეგი მოსამართლეების: იანგვიერტის, ნიურბერგერის, პოტოკის ერთობლივ, თანმხვედრ მოსაზრებაში ტიმოშენკოს ზემოთ აღნიშნულ საქმეზე, „ფარული გეგმის“ შესახებ ცოდნა სახელისუფლებო ორგანოების სფეროშია და ამგვარად, მომჩივანს ხელი ვერ მიუწვდება მასზე, მაშასადამე, სასამართლოს უნდა მიეღო მტკიცებულებად სახელისუფლებო ორგანოების ცუდი მიზნები, რომელიც ეფუძნება დასკვნას, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს, კონკრეტული გარემოებებიდან და საქმის შინაარსიდან. სხვაგვარად, მე-18 მუხლით გარანტირებული დაცვა პრაქტიკაში არაფექტიანი იქნება.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, შეზღუდოს პირის თავისუფლება ყველას თავისუფლების ინტერესის გათვალისწინებით. უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც სახელმწიფო თავისი უფლებებით სარგებლობისას, სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელ ზიანს აყენებს სხვა სახელმწიფოს, სხვა სიტყვებით, რომ ვთაქვათ, ეს არის შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები, თუნდაც ფაქტობრივად „სამართლებრივი“, არის არაკეთილსინდისიერი.

წინამდებარე საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ ქართველების დაკავება და დაპატიმრება, მე-5(1-f) მუხლის თანახმად, იყო თვითნებური, გამოძევების კოლექტიური

ხასიათის გათვალისწინებით (იხილეთ §186). გარდა ამისა, ქართველებისთვის ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობამ გამოიწვია მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დარღვევა (იხილეთ §188). მიუხედავად თვითნებობისა, მაინც ისმის კითხვა, იყო თუ არა დაკავებისა ან დაპატიმრების ბრძანება კეთილსინდისიერად გაცემული, ან სახელისუფლებო ორგანოების ნამდვილი მიზანი განსხვავდებოდა თუ არა გაცხადებული მიზნისგან და იყო თუ არა მოტივირებული ფარული მიზნით, რომელიც შეიძლება დამტკიცდეს კონვენციით დადგენილი სტანდარტების თანახმად (იხილეთ მოსამართლეების: ჯანგვიერტის, ნიურბერგერის და პოტოკის ერთობლივი, თანმხვედრი მოსაზრება ტიმოშენკოს ზემოთ აღნიშნულ საქმეზე).

მოპასუხე სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოების ფარული მოტივები და ფარული გეგმა ამ შემთხვევაში არის თვალს ოდნავ მოფარებული. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა, კონვენციის მე-5 (1) მუხლის დარღვევით დაკავებებისა და დაპატიმრებების (იხილეთ §187) ადმინისტრაციული პრაქტიკა – რაც გულისხმობს, კონვენციის სანინაალმდეგო ქმედებების მრავალჯერადობას და ამ ქმედებების მიმართ საჯარო მოხელეთა ტოლერანტულ დამოკიდებულებას. საჯარო მოხელეთა ტოლერანტული დამოკიდებულება ასეთი ქმედებების მიმართ თავისთავად გულისხმობს „ცუდი მიზნების“ არსებობას. სასამართლოს მიერ ქართველთა კოლექტიური გაძევების ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენა, არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რადგან ეს უკანასკნელი თვითნებური დაკავებებისა და დაპატიმრებების წინაპირობის განუყოფელი ნაწილია. მოპასუხე სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოებს ქართველები პატიმრობაში ჰყავდათ იმ მიზნით, რათა მათთვის მიეყენებინათ ტანჯვა და ტკივილი და არ მიეცათ მათთვის ნებაყოფლობით დაბრუნების უფლება, სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის დარღვევით, რომლის თანახმადაც კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე დაკავება და დაპატიმრება უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად. ყველა ზემოთ ხსენებულ ფაქტორს, მიყვარვართ იმ დასკვნამდე, რომ მასობრივი გაძევება აშკარად განხორციელებული იქნა ფარული მიზნებისათვის და ამგვარად, *per se*, წარმოადგენს *abus de droit*. ეს დასკვნა ნაკითხულ უნდა იქნას სასამართლოს განაცხადის მსგავსად, რომ მიგრაციული ნაკადის მართვა, ვერ იქნება გამამართლებელი სახელმწიფოს მხრიდან, მიმართოს ისეთ ხრიკებს, რაც წინააღმდეგობაში მოდის, სახელმწიფოს მიერ, კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან (იხილეთ §177).

სასამართლოს, მხედველობიდან არ გამორჩენია საქმის პოლიტიკური კონტექსტი. როგორც, განჩინებაში აღინიშნა, ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, თბილისში, 2006 წლის 27 სექტემბერს, ოთხი რუსი ოფიცრის დაკავებისას (იხილეთ §22). შემდგომ, იგივე თარიღი იქნა გამოყენებული ექვსთვიანი ვადის ასათვლელად (იხილეთ §162). რუსეთის სახელმწიფოს დუმას არ დაუფარავს მის 2006 წლის 4 ოქტომბრის რეზოლუციაში, რომელიც შეეხებოდა საქართველოს მთავრობის ანტი-რუსულ და არადემოკრატიული პოლიტიკას, რომ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სწრაფი გაუარესება, საქართველოს მიერ რუსი სამხედრო ოფიცრების დაკავების შედეგი იყო.

რუსეთის პასუხმა, მისი ოფიცრების დაკავების გამო, გამოიწვია ქართველების უპრეცედენტო და მასობრივი შევიწროვება რუსეთის ფედერაციაში, რაც კერძოდ, გამოიხატა კონვენციით გარანტირებულ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფით. ეს პოლიტიკა გამიზნული იყო – და ფაქტობრივად განხორციელდა კიდევ – როგორც საფუძველი უკანონო, თვითნებური და არაპროპორციული რეპრესიული ზომებისა. მისი განხორციელება მოხდა, მთელი რიგი, ერთმანეთს დაკავშირებული ღონისძიებების საშუალებით, რომლებიც ხორციელდებოდა ერთდროულად და რომლებიც მოიცავდა, თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა, ცირკულარების (ბრძანებე-

ბის) და ინსტრუქციების მიღებას და იმპლემენტაციას, რომელთა მიზანი იყო, რუსეთის, სხვადასხვა ტერიტორიაზე მყოფი ქართველების იდენტიფიკაცია, მასობრივი დაკავებები, დაპატიმრებები და გაძევებები, ორ სახელმწიფოს შორის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების შეწყვეტას, რომელიც პირდაპირ მოჰყვა 2006 წლის სექტემბრის ბოლოს პოლიტიკურ დაძაბულობას და საქართველოზე ცალმხრივი პოლიტიკური ემბარგოს დაკისრებას, რომელიც მოიცავდა ყველა სახის საფოსტო კომუნიკაციის შეწყვეტას (იხილეთ §§22 და 136).

მესმის, რომ სასამართლო ითხოვს კონკრეტულ მტკიცებულებას კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევის დასადაგენად და რომ მტკიცებულებათა სტანდარტი მაღალია, თუმცა წინამდებარე საქმეში სასამართლო, რომელიც პირველი ინსტანციის როლს ასრულებდა „იყო მისი საკუთარი პროცედურების და წესების კარგი მცოდნე“ და ჰქონდა „სრული თავისუფლება, არა მხოლოდ დასაშვებობის და მის წინაშე წარდგენილი მტკიცებულებების თითოეული ნაწილის რელევანტურობის, არამედ ამ მტკიცებულებების დამამტკიცებელი ძალის შეფასების“ (იხილეთ §§104 და 138). სასამართლოს ჰქონდა მტკიცებულება, რომელიც გამომდინარეობდა, საკმარისად მყარი, აშკარა და ერთმანეთის შესაბამისი დასაკვნების ანდა ერთმანეთის მსგავსი, სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული გაუბათილებელი სავარაუდო ფაქტების ერთობლიობიდან. შედეგად, მიუხედავად მოვლენების ურთიერთსაწინააღმდეგო აღწერისა და იმისა, რომ მოპასუხე სახელმწიფო არ თანამშრომლობდა, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს ჰქონდა ესკლუზიური წვდომა ინფორმაციაზე, სასამართლომ დაადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა (იხილეთ §§129 და 159).

უკანონო ანტი-ქართული პოლიტიკა უნდა განხილული იყოს პოლიტიკური განცხადებების გათვალისწინებით და მივიჩნიოთ პირდაპირ შედეგად იმ პოლიტიკური განცხადებებისა, რომლებსაც აკეთებდნენ რუსეთის მთავრობის წამყვანი წევრები, მათ შორის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ფედერაციის მიგრაციის სამსახურის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო დუმის თავჯდომარე და თავდაცვის მინისტრი.² სამართალდამცველი ორგანოები მთლიან ქართულ დიასპორას, ხშირად დებდნენ ბრალს დანაშაულებებში.³ გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფო დუმის ზემოთ ხსენებული რეზოლუცია მოუწოდებდა და უფლებამოსილებას აძლევდა რუსეთის მთავრობას, მიეღო ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, ფინანსური და ეკონომიკური სანქციები, საქართველოს წინააღმდეგ და დამუქრებოდა, მომავალში, უფრო მკაცრი ზომების მიღებით. ეს ოფიციალური განცხადებები, რომელსაც ემატებოდა ფართო მედია კამპანია, პირდაპირ მიჩნეულ იქნა, როგორც მითითება „საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ორგანიზებული დევნის წარმართვისა“.⁴ „Human Rights Watch“-ის თანახმად, „ეს იყო მთავრობის მაღალი ემელონებიდან მართული კოორდინირებული კამპანია, რომლის სამიზნესაც, იმ კონკრეტულ პერიოდში ქართველები წარმოადგენდნენ... ეს ნიშნავს, რომ რუსეთი ჩაერევა ადამინათა ცხოვრებაში, რათა განახორციელოს მისი საგარეო პოლიტიკური ინტერესები“.⁵

მთლიანი ანტი-ქართული კამპანია იყო სამაგიეროს გადახდა, რომელიც გამოყენე-

² Ibid, Annex pp. 8-11 and 117-22; The Report by Human Rights Watch (HRW) “Singled Out. Russia’s detention and expulsion of Georgians”, Volume 19 No.5 (D), October 2007, pp. 2, 22, 30-33.

³ Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee) of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, “Current Tensions between Russia and Georgia,” AS/Mon(2006)40 rev, 22 January 2007, § 63; HRW, “Singled Out”, cited above, p. 32.

⁴ See Svetlana Gannushkina, Human Rights in Russia: Year 2006, European Parliament, Directorate General External Policies of the Union, p.4, available at: [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2006/348611/EXPO-DROI_NT\(2006\)348611_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2006/348611/EXPO-DROI_NT(2006)348611_EN.pdf), p. 4, accessed on 10.03.2014.

⁵ Russia Targets Georgians for Expulsion, Human Rights Watch, 1 October 2007, available at: <http://www.hrw.org/news/2007/09/30/russia-targets-georgians-expulsion>, accessed on 05.06.2012.

ბულ იქნა ფარული მიზნებისათვის საერთაშორისო სამართლის წესების საწინააღმდეგოდ⁶ და არალეგიტიმური საიმიგრაციო კონტროლისათვის გატარებული ღონისძიებები, როგორც ამას მოპასუხე სახელმწიფო აცხადებდა. ასევე, რთულია მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტის მიღება, რომ მიღებული ზომების მიზანი, ინტერ ალია, იყო დანაშაულებრივი ქმედებებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა, რამდენადაც, იმ დროისათვის, არ ყოფილა, რაიმე მითითება, რომელიმე ქართველი დამნაშავის, კრიმინალური ავტორიტეტის, ან სხვა პირის დაჭერასთან დაკავშირებით. როგორც აღინიშნა, რუსეთის სახელისუფლებო ორგანოების მიერ ამ კამპანიის განხორციელებისას სამიზნე პირებს წარმოადგენდნენ ყველაზე მოწყვლადი პირები. ქართველმა მოწმეებმა სასამართლოში დაკითხვისას გაიხსენეს, რომ მათ სისტემატურად ესაუბრებოდნენ დაკავების, დაპატიმრებისა და გადაქცევის პოლიტიკურ მოტივებზე (იხილეთ §48-49). ევროპული საბჭოს მონიტორინგის კომიტეტი, თავისი ანგარიშის (ამის შემდგომ „PACE-ს ანგარიში“) 52-ე პარაგრაფში, ასკვნის, რომ „საქართველოს მოქალაქეების და ეთნიკურად ქართველების წინააღმდეგ, სექტემბრის ბოლოდან, დაწყებული მასობრივი კამპანია... იყო პოლიტიკური კამპანია“.⁷

სამწუხაროდ, წინამდებარე საქმე, მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან, პოლიტიკური მიზნებისათვის, მიგრაციის კონტროლის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა არ არის. ტაჯიკეთის სახელისუფლებო ორგანოების მიერ ორი პილოტის (ერთერთი მათგანი რუსეთის მოქალაქე იყო) გასამართლების შემდეგ, 2011 წელს, ადგილი ჰქონდა ტაჯიკი მიგრანტების მასობრივ დეპორტაციას, რომელიც საოცრად ჰგავს წინამდებარე საქმეს, ისევე როგორც, მოლდოვის მოქალაქეების გაძევება, 2013 წელს, ერთი კვირით ადრე აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე, სადაც მოლდოვასა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება უნდა მომხდარიყო, ეს შემთხვევები კი სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო.

მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან მიგრაციის სისტემის, ძირითადი უფლებების დარღვევით, ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, მისი საგარეო პოლიტიკის გეგმების გათვალისწინებით წარმოადგენს *detournement de pouvoir*-ის მძიმე შემთხვევას და ამგვარად, არ უნდა დარჩენილიყო შესაბამისი შეფასების გარეშე. სასამართლოს უნდა გამოეხატა მტკიცე პოზიცია, რომ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევა, არასოდეს არ შეიძლება იყოს, პოლიტიკური მიზნების მიღწევის ან პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საშუალება. ამის არ გაკეთება კონვენციის სისტემის ძალიან არამართლზომიერ გამოყენებას უდრის, განსაკუთრებით სახელმწიფოთაშორის განაცხადის კონტექსტში და ადმინისტრაციული პრაქტიკის დადგენის შემთხვევაში. როგორც მართებულად აღინიშნა, მოსამართლეების – იანგვიერტის, ნიურბერგერის და პოტოკის ერთობლივ, თანმხვედრ მოსაზრებაში ტიმოშენკოს ზემოთ აღნიშნულ საქმეზე „კონვენციის მე-18 მუხლის განმარტებისას ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიას შორის არსებული პირდაპირი კავშირი უნდა იქნას მიღებული მხედველობაში“. აღნიშნული კი მართალია, გამომდინარე იქიდან, რომ კონვენცია შედგენილ იქნა დემოკრატიული საზოგადოების იდეალებისა და ღირებულებების შესანარჩუნებლად და განსავითარებლად (იხილეთ *Refah Partisi (The Welfare Party) and Others v. Turkey*, nos. 41340/98, 41342/98, 41343/98 and 41344/98, § 86, 13 February, 2003). გარდა ამისა, აშკარაა, რომ „როდესაც მთავრობა საკუთარ პრობლემებს აგვარებს უმწეო ხალხის საზღვრის მიღმა გადგებით, ისინი მოქმედებენ საღი აზრისა და კეთილსინდისიერების გარეშე. როდესაც დიალოგი და თანამშრომლობა ქრება, საფრთხე ექმნება სა-

⁶ See James Crawford, “The International Law Commission’s Articles on State Responsibility”, Introduction, Text and Commentaries, Cambridge University Press, 2007, pp. 281-305; James Crawford, Alain Pellet, and Simon Olleso, “The Law of International Responsibility”, Oxford University Press 2010, pp. 470-73; Jean Marie Henckaerts, “Mass Expulsion in Modern International law and Practice”, cited above, p. 46.

⁷ ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის მიზეზებისათვის იხილეთ PACE-ის ანგარიში.

ერთაშორისო სამართლის შესრულებას“. როგორც აღინიშნა, ქართველების თვითნებური დაკავება და დაპატიმრება არსებითად უკავშირდებოდა მათ კოლექტიურ გაძევებას, რომელიც თავისთავად „არის საფრთხე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისთვის“, საფრთხეს უქმნის დემოკრატიას და შესაძლოა „ომის წინაპირობაც“ კი გახდეს, რაც ბოლო კონკრეტულმა მაგალითმა დაამტკიცა კიდევაც.

როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლოს უნდა განეხილა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლთან მიმართებით და უნდა მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მთლიანი სამართლებრივი სისტემა იყო უფლაბამოსილების ბოროტად გამოყენება და, რომ რუსეთის სახელისუფლებო ორგანოები თავიდან ბოლომდე მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად და კონვენციის აშკარა უგულებლოყოფით, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ პრაქტიკას ზემოთ ხსენებული დებულებების დარღვევებით.

II. კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის და მე-5 მუხლის §31 და 4-თან ერთად

სასამართლომ დაასკვნა, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის იანვრის ბოლომდე რუსეთის ფედერაციაში განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრების და გაძევების კოორდინირებული პოლიტიკა, რომელმაც შეადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკა (იხ. §159). ნათელია, რომ ქართველები, როგორც განსაზღვრული ჯგუფი, მოპასუხე მთავრობის პოლიტიკის შედეგად დაექვემდებარენ დისკრიმინაციას მათი ეთნიკური და ეროვნული წარმომავლობის გამო. მაშინ, როდესაც მე სრულად ვეთანხმები დისკრიმინაციული კონტექსტის არსებობას წინამდებარე სახელმწიფოთშორის სარჩელში, რაც განჩინებაში სათანადოდ ხაზგასმულია (იხ. მაგალითად, §140-41, 152, 175-76, 185) ვნანობ, რომ უმრავლესობამ მე-14 მუხლის დარღვევის საკითხი არ განიხილა მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან ერთად და მე-5 მუხლის §31 და 4 დამოუკიდებლად (საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში დისკრიმინაციაზე მომდევნო ნაწილში იქნება განხილული).

წინამდებარე პროცესებში ეთნიკური და ეროვნული ასპექტები იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული, რომ მათი განხილვა ერთობლივად უნდა მოხდეს. ამ თვალსაზრისით, ტერმინი „ქართველი“ ფარავს, როგორც ეთნიკურობას, ისე მოქალაქეობას. „ეთნიკურად ქართველები“, „საქართველოს მოქალაქეები“ და „ქართველები“ გამოიყენება ურთიერთჩანაცვლებით მომჩივანი მთავრობის მიერ. მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ გაძევების კონტექსტში გამოყენებული ტერმინი „ქართველები“, როგორცაა, მაგალითად, „ყველა ქართველი უნდა ნავიდეს“, „თქვენ ქართველებმა უნდა დატოვოთ რუსეთი“ გულისხმობდა უფრო მეტად ეთნიკურობას, ვიდრე მოქალაქეობას. ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მოპასუხე სახელმწიფომ გამოსცა ანტიქართული კამპანიის დროს, აღნიშნავდა ეთნიკურობას (მაგალითად, სხვადასხვა სკოლებისადმი გაგზავნილი მოთხოვნები, რომლებიც იყენებდნენ „ეროვნულობას“, იხ. განჩინების §36) და მოქალაქეობას (მაგალითად, ინსტრუქციები და ბრძანებები, რომლებიც იყენებდნენ „მოქალაქეობას“, იხ. განჩინების §31).⁸

⁸ Nationality is defined in formal terms of State membership in the West, but increasingly in terms of ethnicity and culture as one moves East. In the Russian Federation the terms “nation” and “nationality” (нация) denote an ethnic concept rather than State membership – citizenship in Russian (гражданство); hence the divergence in the terms. See Eric Lohr, “Russian Citizenship from Empire to Soviet Union”, Harvard University Press, 2012, p. 3, Azar Gat with Alexander Yakobson, “Nations: The Long History and Deep Roots of Political Ethnicity and Nationalism”, Cambridge University Press, 2013, pp. 359-60; Cener Aktürk, “Regimes of Ethnicity and Nationhood in Germany, Russia and Turkey”, Cambridge University Press 2012.

ანალოგიურად, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებდნენ, რომ კამპანია ეფუძნებოდა ეთნიკურ და ეროვნულ წარმომავლობას (იხ. განჩინების წგ63-67).

არადისკრიმინაციულ საფუძველზე ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და დაცვის პრინციპი აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი.⁹ დისკრიმინაციის აკრძალვა ჩამოყალიბდა როგორც *jus cogens* ნორმა. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად დადგენილია, რომ ეთნიკურობა და რასა ერთმანეთთან დაკავშირებული და ნაწილობრივ თანმხვედრი კონცეფციებია (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Sejdinac and Finci v. Bosnia and Herzegovina* [GC], N 27996/06 და 34836/06, § 43, 22 დეკემბერი 2009, და *Timishev v. Russia*, N55762/00 და 5597/00, § 55, 13 მარტი 2006); პირის დისკრიმინაცია, მის ნამდვილ ან აღქმულ ეთნიკურობასთან დაკავშირებით, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა, მოითხოვს ფრთხილ და მტკიცე რეაქციას ხელი-სუფლებისგან (იხ. *Timishev*, ციტირებულია ზემოთ, წგ 55- 56).

უფრო მეტიც, სასამართლომ განავითარა შემდეგი მიდგომა: „სადაც კონვენციის ან ოქმების მატერიალური მუხლი, ეყრდნობა ორივეს, თავად ამ მუხლსა და კავშირს მე-14 მუხლთან, და დგინდება მატერიალური მუხლის დარღვევა, სასამართლოსთვის ზოგადად აუცილებელი აღარ არის, განიხილოს საქმე მე-14 მუხლის ფარგლებშიც; თუმცა, მიდგომა იცვლება, თუ უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით აშკარად უთანასწორო მოპყრობა, განსახილველი საქმის ფუნდამენტური ასპექტია“ (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Timishev v. Russia*, ციტირებულია ზემოთ, § 53; *Chassagnou and Others v. France* [GC], N25088/94, 28331/95 და 28443/95, § 89, 29 აპრილი 1999; *Dudgeon v. the United Kingdom*, N7525/76, § 67, 22 ოქტომბერი; იხ. ასევე მოსამართლე კელერის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი საქმეში *Sukran Aydin and Others v. Turkey*, N49197/06, 23196/07, 50242/08, 60912/08 და 14871/09, 22 იანვარი 2013).

ქართველთა უფლებების დარღვევას ეროვნებისა და ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე ღრმა დისკრიმინაციული საფუძვლები აქვს, რომელიც მოცემული საქმის ფუნდამენტური ასპექტია. შესაბამისად, მე-14 მუხლის არ განხილვა ხელოვნურად ზღუდავს კონვენციის არადისკრიმინაციის დებულების ფარგლებს და მხედველობაში არ იღებს სახელმწიფოთაშორისი საჩივრის ძირითად მახასიათებელს. განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ სასამართლოს პრაქტიკას მე-14 მუხლთან დაკავშირებით ეს საკითხი კრიტიკის საგანი გახდა.¹⁰

არადისკრიმინაციის პრინციპი სახელმწიფოს თავისუფლებას უცხოელებთან¹¹ მოპყრობისას აშკარა შეზღუდვებს უწესებს და იგი წაკითხული უნდა იყოს, გაძევების დროს პროცედურული უფლებების გარანტიებთან ერთად.¹² საერთო სტანდარტი

⁹ იხ. მოსამართლე ტანაკას განსხვავებული აზრი სამხრეთ აფრიკელი აზიელების საქმეში, ICJ, 18 ივლისი, 1966 გადაწყვეტილება, გვ. 284-317, ჯეიმს კროუფორდი, „ბრაუნის საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები“, მე-8 გამოცემა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2012, გვ. 644-46.

¹⁰ ჰარისი, ობოილი და ვაბრიკი, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი“, მე-2 გამოცემა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2009, გვ.578; სამანტა ნაითსი, „რელიგიის თავისუფლება უმცირესობები და სამართალი“, ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, 2007, გვ.56-57, ჯანეკ ჯერარდი, „დისკრიმინაციის საფუძველები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად“, ადამიანის უფლებათა სამართლის მიმოხილვა, გამოცემა 13 №1, 2013, გვ. 99-124; ივანა რადასიკი, „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გენდერული თანასწორობის იურისპრუდენცია“, საერთაშორისო სამართლის ევროპული ჟურნალი, გამოცემა 19 №4, 2008, გვ. 841-57; მოსამართლე ბონელოს განსხვავებული აზრი საქმეში *Anguelova v. Bulgaria*, N 38361/97, ECHR 2002 IV.

¹¹ გაი ს. გუდვინჯილი, „გაძევების უფლებამოსილების შეზღუდვები საერთაშორისო საჯარო სამართალში“, ციტირებულია ზემოთ, გვ.75.

¹² „მიგრაცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“, სამოქმედო წესები პრაქტიკოსი იურისტებისთვის №6; იურისტთა საერთაშორისო კომისია, 2011, გვ. 128 სხვა წყაროებით; იხ. ჰენკარტსი, „მასობრივი გაძევება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და პრაქტიკა“, ციტირებულია ზემოთ, გვ. 21-28.

არის ის, რომ გაძევება არ უნდა იყოს დისკრიმინაციული თავისი მიზნით ან ზეგავლენით, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა აზრის, ეროვნების ან სოციალური წარმომავლობის, საკუთრების, დაბადების ან სხვა სტატუსის საფუძველზე. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოელთა ჯგუფური გაძევებისას, რადგან ისინი დისკრიმინაციის რისკის ქვეშ იმყოფებიან და ხშირად ჩართულები არიან გაძევებაში კონკრეტული ჯგუფის წევრობის გამო.¹³

სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილება ასევე შეზღუდულია იმ ვალდებულებით, რომ მხედველობაში მიიღოს ის სამართლებრივი კონტექსტი, რომელშიც ეს უფლებამოსილება ხორციელდება.¹⁴ მოცემულ საქმეში, ეთნიკურობა და ეროვნული წარმომავლობა იყო რუსეთის ხელისუფლების ქმედებების განმაპირობებელი ფაქტორები მათ მიერ ქართველების დაკავების, მათდამი მოპყრობისა და კოლექტიური გაძევებისას.

რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და არატოლერანტულობის ზოგადი პრობლემის არსებობა რუსეთის ფედერაციაში კარგად დადასტურებულია დოკუმენტებით.¹⁵ ცნობილია, რომ მოწყვლადი ჯგუფები (კავკასიელი ხალხის ჩათვლით) განიცდიან მძიმე დისკრიმინაციას და ექვემდებარებიან რასობრივი/ეთნიკური პროფილის განსაზღვრას, რასობრივად მიმზანმიმართულ ინსპექტირებასა და უკანონო პრაქტიკას სამართალდამსულებელი ორგანოების მხრიდან.¹⁶ ინსტიტუციური დისკრიმინაციის არსებობა, მიგრაციის სფეროში განსაკუთრებით მძიმედ განიხილება.¹⁷ როგორც დადასტურა რუსულმა არასამთავრობო ორგანიზაცია – მემორიალმა, რუსეთის ფედერაციაში „რეპრესიული მექანიზმი“ უცხოელების მიმართ შეიქმნა დიდი ხნით ადრე, რათა ანტიქართული კამპანია გამოეყენებულყო პოლიტიკური მიზნებისთვის.¹⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშში, 54-ე პარაგრაფში ასევე მითითებულია, რუსული კანონმდებლობის მიერ შექმნილ „[პირდაპირ] უცხოელების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიული მექანიზმის“ არსებობაზე. რუსეთის ფედერაციის ფედერალური მიგრაციის სამსახურის დირექტორის მოადგილის განცხადება, რომ „საქართველოს მოქალაქეებისათვის [ეს] კვოტები არ იქნება უზრუნველ-

¹³ იქვე, ჰენკარტი, „მასობრივი გაძევება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და პრაქტიკა“, გვ. 21.

¹⁴ გაი ს. გუდვინჯილი, „გაძევების უფლებამოსილების შეზღუდვები საერთაშორისო საჯარო სამართალში“, ციტირებულია ზემოთ, გვ. 154.

¹⁵ იხ. სხვა წყაროებს შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი მსჯელობა: რუსეთის ფედერაცია, UN Doc. CCPR/C/79/Add.54, 26 ივლისი 1995; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი მსჯელობა: რუსეთის ფედერაცია, UN Doc. CCPR/CP/79/RUS 6 ნოემბერი 2003; რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის შემაჯამებელი მსჯელობა: რუსეთის ფედერაცია, 21 მარტი 2003. CERD/C/62/CO/7; ევროპული კომისია რასიზმისა და არატოლერანტულობის წინააღმდეგ (ECRI), მე-3 ანგარიში რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით მიღებულია 2005 წლის 16 დეკემბერს, ECRI-ის მე-4 ანგარიში რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, ციტირებულია ზემოთ; რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა კომისიის ანგარიშები რუსულ ენაზე ხელმისაწვდომია: <http://ombudsmanrf.org/doklady>; Amnesty International, Dokumenty! დისკრიმინაციის საფუძვლები რუსეთის ფედერაციაში, მე-11 (AI Index EUR 46/001/2003), ხელმისაწვდომია: <http://www.amnesty.org/fr/library/asset/EUR46/001/2003/en/70300437-d760-11dd-b024-21932cd2170d/eur460012003en.pdf>, ვიზიტის თარიღი 20.05.2012.

¹⁶ გაეროს გენერალური ასამბლეის 2006 წლის 15 მარტის N60/251 რეზოლუციის იმპლემენტაცია უფლებამოსილებას ანიჭებს „ადამიანის უფლებათა საბჭოს“, რასიზმის თანამედროვე ფორმების, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული არატოლერანტულობის სპეციალურ მომხსენებლის ანგარიშს, დოღუ დიენე ადენდუმის მისია რუსეთის ფედერაციაში, A/HRC/4/19/Add.3, 30 მაისი 2007 §76; ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივა, „მოსკოვის მეტროპოლიტენის ეთნიკური პროფილის განსაზღვრა“, ღია საზოგადოების სამართლებრივი ინიციატივის ინსტიტუტი, 2006, ხელმისაწვდომია http://www.opensocietyfoundations.org/sites/default/files/metro_20060613.pdf, გვ. 15 17, ვიზიტის თარიღი 19.05.2012.

¹⁷ იქვე, რასიზმის თანამედროვე ფორმების, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული არატოლერანტულობის სპეციალური მომხსენებელი, ადენდუმის მისია რუსეთის ფედერაციაში, §76.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ცენტრის მემორიალი, რუსეთის ტერიტორიაზე გამოცხადებული ანტიქართული კამპანიის სამოქალაქო დახმარების კომიტეტი, გვ. 3, ხელმისაწვდომია: http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dv/memorial_/memorial_en.pdf, ვიზიტის თარიღი 24.02.2014.

ყოფილი – არც საცხოვრებლად და არც სამუშაოსთვის“, წარმოადგენს დამატებით მტკიცებულებას იმისა, რომ მოცემული დროისათვის ხელისუფლების წარმომადგენლები არსებულ დისკრიმინაციულ მექანიზმს იყენებდნენ ქართველების წინააღმდეგ.¹⁹

სასამართლო, როდესაც ადგენს მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის თანახმად კოლექტიური გადაცემის დროს ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობას, კვლავ იმეორებს, რომ მნიშვნელოვანია გადაცემის წინაპირობები (იხ. §167); მხედველობაში იღებს შერჩევის, ორგანიზებულობისა და რუსეთის ხელისუფლების საერთაშორისო დევნის კამპანიის ზოგად კონტექსტს ქართველების წინააღმდეგ (იხ. მაგალითისთვის §§63-71 და §§171-76). ასევე, აღნიშნულია, რომ მოპასუხე სახელმწიფოში, თვითნებური დაპატიმრების, დაკავებისა და გადაცემის წინააღმდეგ არსებული შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები იყო არაეფექტიანი და ხელმიუწვდომელი ქართველებისათვის (იხ. პარაგრაფები 150-58 და 188).

ქართველმა მოწმეებმა, რომელსაც სასამართლომ მოუსმინა, დაადასტურეს, რომ მათი უფლების დარღვევის მიზეზი, განსხვავებით სხვა ქვეყნის მოქალაქეებისგან, მოცემულ დროს, იყო მათი ეთნიკურობა. მოწმეებმა გაიხსენეს, რომ მათ მიაყენეს შეურაცხყოფა, დაემუქრნენ და უთხრეს: „შენ უნდა დატოვო რუსეთი, აქ შენთვის ადგილი არ არის“ და „შენ იქნები დეპორტირებული იმიტომ, რომ ქართველი ხარ“, „ბედნიერი იყავი, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ“ (იხ. §46, და დანართი, § 6). არსებობდა გადაჭარბებული საზოგადოებრივი აღქმა იმისა, რომ გადაცემის კამპანია მიმართული იყო პირდაპირ ეთნიკურად ქართველებისკენ. საქმეში ჯ.ვ., რომელიც მოპასუხე სახელმწიფომ ეროვნულ დონეზე გასაჩივრების წარმატებულ მაგალითად მოიყვანა, მომჩივანი დავობდა, რომ იგი არ უნდა გადაეცემა იყო, რადგან, სხვა მიზეზების გარდა, იგი არ იყო ეთნიკურად ქართველი მიუხედავად მისი საქართველოს მოქალაქეობისა.

დისკრიმინაციის პოლიტიკა დასტურდება ასევე სხვადასხვა მითითებით და ინსტრუქციით (მაგალითად გადაცემის ბრძანება სპეციალურად საქართველოს მოქალაქეებისთვის, სკოლებში გაგზავნილი წერილები, რომლებიც ითხოვდნენ ინფორმაციას ქართველი ბავშვებისა და მათი მშობლების შესახებ (იხ. §§31, 36, §§140-44), რომლებიც გამოცემული იყო ხელისუფლების ორგანოების მიერ, დროის მოკლე პერიოდში რესპოდენტი სახელმწიფოს სხვადასხვა რეგიონში. გადაცემული პირები ექვემდებარებოდნენ ეთნიკური პროფილის განსაზღვრას, ისინი გაჩხრიკეს, გააჩერეს და დააკავეს ქუჩებში, სამსახურებში, სახლებში, სკოლებსა და ეკლესიის გარეთ; უპირველეს ყოვლისა, მათი გარეგნობის/აღქმის, როგორც გარკვეული ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილების, შესაბამისი დოკუმენტების შემოწმების გარეშე, რომელსაც თან სდევდა მათი ქართული ეროვნების ფორმალური მტკიცება. (იხ. შედარებისთვის, *Timishev*, ციტირებულია ზემოთ, სადაც ჩეჩენი წარმოშობის მომჩივანს მისი ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება მაშინ, როდესაც საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში არსებული ჩანაწერი არანაირ პრობლემას არ ქმნიდა).

რთული იქნებოდა, ქართველების წინააღმდეგ მიმართული ყველა დისკრიმინაციული ასპექტის აღწერა, რითაც მთელი გადაწყვეტილება გაჟღერებულია, მისი გავრცელების ფარგლებისა და მამტაბის გამო. უფრო მეტად აშკარაა, რომ ქართველების დაპატიმრება, დაკავება და კოლექტიური გადაცემა რუსეთის ფედერაციიდან განხორციელდა მათი ეთნიკური და ეროვნული წარმომავლობის გამო. თუმცა, განსხვავებუ-

¹⁹ რუსეთი ქართველებისთვის სამუშაო კვოტებს აუქმებს, სამოქალაქო საქართველო, 5 ოქტომბერი, 2006, ხელმისაწვდომია: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=13783>, ვიზიტის თარიღი 24.02.2014.

ლი მოპყრობის აკრძალვა, რომელიც ექსკლუზიურად ეფუძნება, ან გადამწყვეტი ხარისხი აქვს პირის ეთნიკურ წარმომავლობას, შეუძლებელია გამართლებული იყოს არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტითაც კი (იხ. *mutatis mutandis, Timishev*, ციტირებულია ზემოთ, §58, და *D.H. and others v. the Czech Republic* [GC] N57325/00, § 176, 13 ნოემბერი 2007).

2006 წლის ოქტომბერსა და 2007 წლის იანვარში ქართველების დაპატიმრების, დაკავებისა და გაძევების კოორდინირებულ პოლიტიკასთან დაკავშირებული გარემოებები სასამართლოს ადგენინებს, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკით დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან კავშირში და მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პარაგრაფები; რადგანაც ქართველები, როგორც სამიზნე ჯგუფი განზრახ ამოიღეს რუსეთის სამართლებრივი დაცვის სიტემიდან და ისინი რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ განსხვავებით სხვა ქვეყნის მოქალაქეებისგან, რომლებიც იმ დროისათვის იგივე სიტუაციაში იმყოფებოდნენ.

III. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, განიხილება ცალკე ქართველების მიერ განცდილი დისკრიმინაციული მოპყრობის სერიოზულობის გამო

მოცემულ საქმეში, სასამართლოს ასევე უნდა განეხილა მომჩივანი სახელმწიფოს ბრალდებები ქართველთა დაპატიმრების, დაკავებისა და გაძევების დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად; რადგანაც, დისკრიმინაციის ზოგიერთი გარემოება შეიძლება ისეთი სერიოზული იყოს, რომ წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას მე-3 მუხლის მნიშვნელობით. აღმოსავლეთ აფრიკელი აზიელების საქმეში კომისიამ გამოთქვა აზრი, რომ „განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რასობრივი ნიშნით დისკრიმინაციას და ადამიანთა ჯგუფის საჯაროდ გამოყოფა, რასობრივი ნიშნით მათდამი არასათანადო მოპყრობისთვის შესაძლებელია გარკვეულ გარემოებებში წარმოადგენდეს ადამიანის ღირსების შეურაცხყოფის სპეციალურ ფორმას; მიუხედავად ამისა, ადამიანთა ჯგუფის მიმართ რასობრივი ნიშნით განსხვავებული მოპყრობა შესაძლოა ზოგიერთ გარემოებაში წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას მაშინ, როდესაც განსხვავებული მოპყრობა სხვა ნებისმიერი ჯგუფის მიმართ, როგორც არის ენობრივი ჯგუფი, არ წარმოშობს ასეთ საკითხს“ (იხ. *East African Asians v. the United Kingdom*, N4403/70-4419/70, 4422/70, 4423/70, 4434/70, 4443/70, 4476/70-4478/70, 4486/70, 4501/70 და 4526/70-4530/70 (გაერთიანებული), 1970 წლის 14 დეკემბრის კომისიის განჩინება, განჩინებები და ანგარიშები (DR), პ. 62).

სასამართლომ/კომისიამ თავის პრაქტიკაში ეთნიკური/რასობრივი ფაქტორი განიხილა მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მე-3 მუხლის არსიდან გამომდინარე „სახელმწიფოს დისკრეცია იმიგრაციულ საკითხებთან დაკავშირებით არ არის თავისუფალი ხასიათის; სახელმწიფოებმა არ უნდა დანერგონ წმინდა რასისტული ხასიათის პოლიტიკა, როგორც არის გარკვეული კანის ფერის მქონე ნებისმიერი პირის შესვლა სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ (იხ. *Abdulaziz, Cabales, and Balkandali v. the United Kingdom*, N9214/80, 9473/81 და 9474/81, §84, 28 მაისი 1985). უფრო მეტიც, სახელმწიფოს მოპყრობა გარკვეული ჯგუფის მიმართ იმ მიზეზით, რომ ისინი მიეკუთვნებიან კონკრეტულ საზოგადოებას, დადგენილია, რომ წარმოადგენს ეთნიკური წარმოშობის, რასობრივი ან რელიგიური მოტივით დისკრიმინაციას (იხ. *Cyprus v. Turkey* [GC], N 25781/94, §309, ECHR 2001-IV). არასათანადო მოპყრობით გამოწვეული ხანგრძლივი სავალალო ცხოვრების პირობები მიიჩნევა ფსიქიკური ტანჯვის გამომწვევად, ამცირებს ადამიანის ღირსებას და წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას (იხ. *Moldovan and Others v. Romania* (2), N41138/98 da 64320/01, §§ 110-11, 30

ნოემბერი 2005). უფრო მეტიც, საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბოშა ბავშვების სეგრეგაცია მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო სასამართლოს აზრით, დისკრიმინაციის უარყოფილი პრეზუმფციის ისეთი ტიპია, რომელიც თავად წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას (იხ. *Horvath and Vadósi v. Hungary* (dec.), N2351/06, 9 ნოემბერი 2010). სტანდარტი გამოყენებული იყო აღმოსავლეთ აფრიკელი აზიელების საქმეში და ახლახან დადასტურდა საქმეში – *Abdu v. Bulgaria*, N 26827/08, § 38, 11 მარტი 2014.

მოცემულ საქმეში სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭებინა რესპოდენტ სახელმწიფოში ქართველების წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული პრაქტიკისათვის, დისკრიმინაციის მე-3 მუხლის თვალთახედვით. სასამართლომ სხვა ფაქტორებს შორის დაადგინა, დაშინების კლიმატის არსებობა იმ დროისათვის (იხ. §154) და ფსიქოლოგიური ფაქტორები (იხ. §156), როგორც გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენდა ქართველების შესაძლებლობაზე, ამოწურა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები რესპოდენტ სახელმწიფოში. აღსანიშნავია, რომ დაპატიმრებული ქართველები ისეთ ზენოლას განიცდიდნენ, რომ კიდევ დიდი ხნით მოუწევდათ პატიმრობა და ისე ძლიერად სურდათ საქართველოში დაბრუნება, რომ „აბსოლუტურად ყველაფერზე“ მოაწერდნენ ხელს (იხ. §48).

სასამართლოს ყურადღებით უნდა განეხილა ის მტკიცებულება, რომ ქართველების დაპატიმრება, მათი მოთავსება დაკავების ცენტრებში, ნებაყოფლობითი დაბრუნების უარყოფა და მათი შემდგომი გაძევება, შევიწროება და დამცირება ტრანსპორტირების დროს რესპოდენტი სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკა იყო. ბევრი ქართველი იძულებული იყო გაეგლო ეს მთლიანი ციკლი. მონმეთა მტკიცებულებები და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ დაპატიმრებული პირები სავალალო პირობებში იმყოფებოდნენ, რომელიც აღემატებოდა რესპოდენტი სახელმწიფოს დაკავების პირობების უკვე ცნობილ სიტუაციას. თავის ჩვენებაში მონმე №1 აღწერდა მოპყრობას დაკავების დაწესებულებაში და აცხადებდა: „როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ გვინდოდა წყალი, ან ჩვენ გვინდოდა დაღვრა, გვეუბნებოდნენ, რომ „წყალი არის საპირფარეშოში, იქედან შეგიძლიათ დალიოთ ... მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა დაემცირებინათ ჩვენი ღირსება“.²⁰

პოლიციელები და მოსამართლეები სიტყმატურად აყენებდნენ შეურაცხყოფას ქართველებს მათი წარმომავლობის გამო. მაგალითად, პირველი მონმე იხსენებდა მისდამი მოპყრობას სასამართლოში: „მიუხედავად იმისა, რომ მე მზად ვიყავი საქართველოში ჩემი ხარჯებით და ჩემი ძალისხმევით დავბრუნებულიყავი, მათ უარი მითხრეს; შენ დაბრუნდები საქართველოში, როგორც პატიმარი, დაკავებული. და თუ ამასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა გაქვს პრეზიდენტ სააკაშვილს მიმართ“;²¹ მე-7 მონმემ განაცხადა: „ჩვენ სულ გვეუბნებოდნენ „არაფერი თქვათ, არაფერი გააკეთოთ, თქვენ ქართველები ხართ“.²² ისინი, ვინც მოსკოვის აეროპორტებში ელოდებოდნენ დეპორტაციას, საჯაროდ დაამცირეს და გაატარეს კორიდორში, რომელიც შედგებოდა სპეციალური განყოფილების პოლიციის ოფიცრებისგან (OMON), რომლებსაც ხელები ზურგსუკან ჰქონდათ (იხ. §57). მესამე მონმემ განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ისინი მივიდნენ დომოდეოვოს აეროპორტში „... კორიდორი ... უკვე გაეკეთებინათ ოფიცრებს. ჩვენ ხელები თავზე უნდა დაგვედო და უნდა გაგვერბინა, ვინც არ დარბოდა, ვინც ნელა დადიოდა, მათ ოფიცრები პირდაპირ ურტყამდნენ და სწრაფად სიარულს აიძულებდნენ“.²³

²⁰ №1 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 20.

²¹ №1 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 22.

²² №7 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 112.

²³ №3 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 57.

სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედებები, ოფიცრებისა და მოსამართლეების მიდგომა წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას მომჩივნის იმ საჩივრების განხილვისას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად დისკრიმინაციას შეეხება (იხ. *Moldovan v. Romania* (2), ციტირებულია ზემოთ, §§110-11). სხვა რა შეიძლება იყოს საჯარო მოხელეთა ზემოთ აღწერილი ქმედებები, თუ არა დისკრიმინაცია, რომელიც წარმოადგენდა დამამძიმებელ მოპრობას კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად.

შესაბამისად, ქართველები მთელი პროცესის განმავლობაში, დაწყებული უკანონოდ ეთნიკური პროფილის განსაზღვრით, დამთავრებული გაძევებით, დაექვემდებარნენ უპატივცემულობას მათი ინდივიდუალურობის გამო; მეთოდებმა, რომელიც გამოიყენეს ქართველების მიმართ, გამოიწვია მათი სერიოზული ფსიქიკური ტანჯვა, დაამცირა მათი ღირსება და წარმოშვა მათში ისეთი გრძნობები, რომელმაც გამოიწვია შეურაცხყოფა და დამცირება (იხ. საპირისპიროდ, *Sejdix and Finci v. Bosnia and Herzegovina*, ციტირებულია ზემოთ, §58). სწორედ ამიტომ, სტრასბურგში მოწმეთა დაკითხვისას, მსხვერპლთა მიერ გაცდილი ტრავმა, კვლავაც, მოვლენებიდან 5 წლის გასვლის შემდეგაც, აშკარაა.

უდავოა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება მე-3 მუხლის თანახმად გულისხმობს არამარტო გარკვეული უკანონო ქმედების აკრძალვას, არამედ – გამოძიებასაც, რასისტულ მიდგომასა და ძალადობრივ ქმედებას შორის სავარაუდო კავშირის არსებობისას, თუ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დასკვნა უარყოფითია (იხ. *Abdu v. Bulgaria*, ციტირებულია ზემოთ, და *B.S. v. Spain*, no:47159/08, §§ 58-60, 24 ივლისი 2012).²⁴ რესპოდენტ სახელმწიფოს არ ჩაუტარებია ეფექტიანი გამოძიება სპეციფიკურ ბრალდებებთან დაკავშირებით. ერთადერთი გამოძიება, რომელიც შესაბამისმა ხელისუფლების ორგანოებმა ჩაატარეს, შეეხებოდა სხვადასხვა სკოლაში გაგზავნილ შეკითხვებს ქართველი მოსწავლეების გამოსავლენად და ეს გამოძიება იყო ილუზიური, სრულიად პირობითი, სასჯელების გამო (იხ. §§37 და 145). ეს, სხვა ფაქტორებს შორის, სასამართლოს უფლებას აძლევს დაასკვნას, რომ „რესპოდენტი მთავრობის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ... რუსეთის ფედერაციის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებების, როგორც „ოფიციალური ტოლერანტობის“ ბრალდებების უარყოფა არ შეუძლია (იხ. §146)“. სიტუაცია მძიმდება იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ეთნიკური, რელიგიური და ეროვნული უმცირესობების წევრების წინააღმდეგ სიძულვილის დანაშაულის დაუსჯელობა განსაკუთრებით მძიმე პრობლემას წარმოადგენს რესპოდენტ სახელმწიფოში.²⁵

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, აშკარაა, რომ იმ დროისათვის ქართველები გახდნენ რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი, ისინი საჯაროდ, გამიზნულად ამოარჩიეს განსხვავებული მოპყრობისთვის, რამაც გამოიწვია მათი შეურაცხყოფა და დამცირება, რაც დამამძიმებელი მოპყრობის ადმინისტრაციულ პრაქტიკას წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის.

²⁴ ჯეიმს ა. გოლდსტონი, „რასობრივი დისკრიმინაცია ევროპაში: პრობლემები და პერსპექტივა“ EHRLR, გამოცემა 5, Sweet & Maxwell LDT, 1999, გვ. 463-83.

²⁵ იხ. ECRI-ის მესამე ანგარიში რუსეთის ფედერაციაზე, §§50 და 54; ECRI-ის მეოთხე ანგარიში რუსეთის ფედერაციაზე §§80-81; ადამიანის უფლებები უპირველესია, ძალადობრივი სიძულვილის დანაშაული რუსეთის ფედერაციაში, გვ. 2. ხელმისაწვდომია: <https://www.humanrightsfirst.org/wp-content/uploads/pdf/080908-FD-individual-upr-russian-fed.pdf>, ვიზიტის თარიღი 24.02.2014; Amnesty International Russian Federation, ძალადობრივი რასიზმი უკონტროლო, EUR 46/022/2006, 3 მაისი 2006, ხელმისაწვდომია: <http://www.amnesty.org/en/library/asset/EUR46/022/2006/en/35a59479-d432-11d3-8743-d305bea2b2c7/eur460222006en.html#0.3.3.2.Citizenship%20issues|outline>, ვიზიტის თარიღი 14.05.2013.

IV. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გაძევების პირობების საფუძველზე

წამება და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა აკრძალულია ნებიმიერ სიტუაციაში. არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც გამიზნულად იწვევს გონებრივ და ფსიქიკურ ტანჯვას. მე-3 მუხლის დარღვევის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული პირობების კუმულაციური ეფექტი და სპეციფიკური ბრალდებები (იხ. *mutatis mutandis*, *Idalov*, [GC], N 5826/03, §94, 22 მაისი 2012).

სასამართლო არ შეხება განაცხადს გაძევების დროს ტრანსპორტის პირობების შესახებ; თუმცა, მან დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა იმ საქმეებში, რომლებშიც ჩვეულებრივი პატიმრებისთვის ცუდი სატრანსპორტო პირობები იყო (იხ. სხვა წყაროებს შორის *Khudoyorov v. Russia*, N6847/02, §§ 116-20, ECHR 2005 X, და *Yakovenko v. Ukraine* (N15825/06, §113, 25 ოქტომბერი 2007). საქმეში *Pantea v. Romania* (N33343/96, §§186-87, 3 სექტემბერი 2003), სასამართლომ დაადგინა, რომ სატრანსპორტო პირობებმა შესაძლოა დამოუკიდებლად შეადგინოს ან დაამძიმოს საკითხი და სხვა ასპექტებთან კომბინირებისას შესაძლოა გამოიწვიოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სასამართლომ უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობა, როგორც ამას იგი აკეთებს, რათა განავითაროს თავისი სასამართლო პრაქტიკა გაძევების პროცედურის დროს სატრანსპორტო პირობებთან დაკავშირებით მე-3 მუხლის მხედველობაში მიღებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ არსებობს დეტალური რეგულაციები საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში, უცხოელთა გაძევების მეთოდებთან დაკავშირებით. ასეთი შემთხვევები რეგულირდება იმ ზოგადი დებულებებით, რომლებიც სახელმწიფო ვალდებულებებისგან გამომდინარეობს.²⁶

წამების წინააღმდეგ ევროპულმა კომიტეტმა (CPT) განავითარა სპეციალური სახელმძღვანელო წესები საჰაერო დეპორტაციის პროცედურასთან დაკავშირებით. პროცესის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას კომიტეტი მონიტორინგს უწევს მთლიან პერიოდს დაკავებიდან დეპორტაციამდე, რადგანაც „დეპორტაციის საჰაერო ოპერაციები არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აშკარა რისკს შეიცავს. ეს რისკი არსებობს ორივე შემთხვევაში დეპორტაციისათვის მომზადებისას და უშუალოდ ფრენის განმავლობაში“.²⁷ ასევე, საპარლამენტო ასამბლეამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება გაძევების დროს უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვასთან დაკავშირებით.²⁸ უფრო მეტიც, მინისტრთა კომიტეტმა თავის სამოქმედო წესებში იძულებით უკან დაბრუნებათან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია უცხოელს „შეეძლოს ფრენა“ განსაკუთრებით საჰაერო გადაყვანის შემთხვევაში.²⁹

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დეპორტაცია დეპორტირებულთა უფლებებისა და ღირსების დარღვევის გარეშე; განსაკუთრებით, მაშინ თუ დეპორტაციისას ისეთი დებულებები როგორცაა სიცოცხლის უფლების პატივისცემა და წამების, არაადამიანური ან და-

²⁶ კატერინ პონგი, „დაბრუნების პროცედურის მინიმალური სტანდარტები და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“, მიგრაციისა და სამართლის ევროპული ჟურნალი 9 (2007), გვ. 120; ვალტერ კალინი, „უცხოელთა გაძევება და დეპორტაცია“, 2013 მაქა პლეკის შედარებითი საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, ჰაიდელბერგი და ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა, მაქა პლეკის ელექტრონული ლექსიკონი, ოქტომბერი 2010, §21.

²⁷ „საჰაერო დეპორტაციის პროცედურა“, ციტატა წამების წინააღმდეგ კომიტეტის საქმიანობის მე-13 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2003) 35, 10 სექტემბერი 2003, §§ 28, 31.

²⁸ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1547 (2002), „გაძევების პროცედურების შესაბამისობა ადამიანის უფლებებთან და ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვით აღსრულება“.

²⁹ ევროპის საბჭო: მინისტრთა კომიტეტი, ოცი სამოქმედო წესი იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით, 4 მაისი 2005, სამოქმედო წესი 16.

მამცირებელი მოპყრობის აკრძალვა არსებითია.³⁰ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს-მა კომისარმა მიუთითა დეპორტაციის დროს უცხოელთა უფლებებისა და ღირსების სათანადოდ მხედველობაში მიღების მოთხოვნის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით; დაბრუნების სავალალო პრაქტიკაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ფიზიკურ უსაფრთხოებას და კვლავ აღნიშნა, რომ „მიუხედავად ადამიანთა სტატუსისა, დაბრუნება უნდა მოხდეს ჰუმანური წესით, ადამიანის უფლებებისა და ღირსების სრული პატივისცემით და გადაჭარბებული ძალის გამოყენების გარეშე“.³¹

მიგრაციის სამართლის ექსპერტებს შორის არსებობს კონსენსუსი, რომ გაძევება უნდა განხორციელდეს უცხოელთა მოპყრობის შესახებ ზოგადი სტანდარტების შესაბამისად, ღირსებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების³² სათანადოდ მხედველობაში მიღებით და გაძევება არ უნდა განხორციელდეს „ყველაფრის ფასად“.³³ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გაძევებისას უზრუნველყოფილი იყოს ჰუმანური პირობები, გაძევება იყოს კარგად მომზადებული და კოორდინირებული, გაძევებულებს არ უნდა მიადგეთ სხეულებრივი ზიანი და საკმარისი დრო უნდა მიეცეთ გამგზავრებისათვის მოსამზადებლად. მიღებული უნდა იყოს ადეკვატური წინასწარი ზომები, რათა გარანტირებული იყოს, რომ გაძევება დამატებით არ გამოიწვევს ზედმეტ სირთულეებს“.³⁴

მოცემული საქმის გარემოებებში, სასამართლოს უნდა გამოეკვლია მთელი პერიოდი დაკავებიდან დეპორტაციამდე მე-3 მუხლის კონტექსტში, როგორც „განგრძობადი სიტუაცია“ (იხ. *mutatis mutandis*, სხვა წყაროებს შორის *Ananyev and Others v. Russia*, N42525/07 და 60800/08, § 75, 10 იანვარი 2012; *Lutokhin v. Russia*, N 12008/03, §§ 40-42, 8 აპრილი 2010; *Seleznev v. Russia*, N 15591/03, § 36, 26 ივნისი 2008; და *Guliyev v. Russia*, N24650/02, §33, 19 ივნისი 2008). მოწმეთა ჩვენებებიდან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებიდან აშკარაა, რომ მე-3 მუხლი დაირღვა დაკავების დანესებულებებში (სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ ეს ეწინააღმდეგებოდა მე-3 მუხლს იხ. §205), ასევე დაკავებულთა ტრანსპორტირებისას დაკავების ცენტრიდან აეროპორტებამდე და საჰაერო გადაყვანის პროცესში (იხ. §§ 57, 72-74, და დანართი, §§ 5-13).

მე ვეთანხმები, რომ დაკავების პირობები სადავოა, მაგრამ არ არის საჭირო დადგინდეს ყველა დავის ან სადავო საკითხის უტყუარობა თუ მე-3 მუხლი დარღვეულია ნებისმიერ სერიოზულ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელთან დაკავშირებითაც რესპოდენტი მთავრობა არ დავობს (იხ. §194). ასეთი მიდგომა ვერ გამოასწორებს იმ არასათანადო მოპყრობას, რაც განიცადეს გაძევებულებმა უშუალოდ დაკავების ადგილის გარეთ. როდესაც მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, *Idalov*, ციტირებულია ზემოთ, §94) არსებობს სპეციფიკური ბრალდებები, რომლებიც სცდება დაკავების პირობების დიდი ხნის ცნობილ პრობლემებს რესპოდენტ სახელმწიფოში; კონვენციის დაცვა უნდა გავრცელდეს და არ შეწყდეს დაკავების დანესებულების გარეთაც.

³⁰ იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, წევრი სახელმწიფოების მიერ პაქტის მე-40 მუხლის საფუძველზე წარდგენილი ანგარიშები, ადამიანის უფლებათა კომიტეტის შემაჯამებელი დასკვნები, შვეიცარია, UN Doc CCPR/CO/73/CH. 12 ნოემბერი 2001, §13, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, წევრი სახელმწიფოების მიერ პაქტის მე-40 მუხლის საფუძველზე წარდგენილი ანგარიშები, შემაჯამებელი დასკვნები ბელგიასთან დაკავშირებით, CCPR/C/79/Add.99, 19 ნოემბერი 1998, §15.

³¹ აღმასრულებელი კომიტეტის დასკვნა საერთაშორისო დაცვაზე, დასკვნა №85 (XLIX), 9 ოქტომბერი 1998.

³² გაი ს. გუდვინჯილი, „გაძევების უფლებამოსილების შეზღუდვები საერთაშორისო საჯარო სამართალში“, ციტირებულია ზემოთ, გვ. 155.

³³ იხ. „ოცი სამოქმედო წესი იძულებით დაბრუნებასთან დაკავშირებით“, ციტირებულია ზემოთ, სამოქმედო წესი 17.

³⁴ ჯეინ-მარი ჰენკერტსი, „მასობრივი გაძევება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და პრაქტიკა“, ციტირებულია ზემოთ, გვ. 40-41.

ქართველთა უმრავლესობა დააპატიმრეს და დააკავეს მოსკოვისა და სანპეტერბურგში – ორი, მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში და გააძევეს მოსკოვის აეროპორტებიდან. ტრანსპორტირებას დაკავების დანესებულებიდან აეროპორტებამდე დასჭირდა გადაჭარბებულად დიდი დრო – ზოგჯერ 9-12 საათი. ეს ფაქტები არ შეიძლება უგულვებელყოფილი იყოს განსაკუთრებით იმ პირობებთან და მოპყრობასთან დაკავშირებით, რასაც გაძევებულები დაექვემდებარნენ პირველ რიგში დაკავების დანესებულებაში და შემდგომში ავტობუსებში/მარშუტკებში. კერძოდ, ცუდი სატრანსპორტო პირობები ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლებისათვის, დეპორტირებულზე გადაჭარბებული შეურაცხყოფის მიყენების იარაღად იქცა. მონმეებმა აღნიშნეს, რომ ავტობუსები, რომლებსაც ისინი გადაჰყავდათ აეროპორტში ძალიან დაბინძურებული იყო; არ იყო სუფთა ჰაერი; დეპორტირებულებს არ ჰქონდათ საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა; ზოგ შემთხვევაში მათ მიმართ გამოიყენებოდა ელექტრო შოკი; პოლიციის ოფიცრები მათ ფულს სძალავდნენ სხვადასხვა საჭიროებისთვის (იხ. დანართი, §§ 7-9, 11). მაგალითად, მე-4 მონმემ მიუთითა, რომ „მარშუტკები მოძრაობდნენ ნელა და ყოველთვის, როდესაც ჩვენ მოწვევა ან საპირფარეშოთი სარგებლობა გვინდოდა უნდა გადაგვეხადა ამისთვის“.³⁵

ბევრმა მონმემ აღნიშნა, რომ აეროპორტამდე ხანგრძლივი მოგზაურობისას არ შეეძლოთ ფანჯრების გაღება. სავარაუდოდ, ეს გახდა საქართველოს მოქალაქის, თენგიზ ტოგონიძის გარდაცვალების მიზეზი, რომელიც მწვავე ასთმით იტანჯებოდა. იგი დააკავეს სანპეტერბურგის უცხოელთა დაკავების ცენტრში და გარდაიცვალა ტრანსპორტირებისას, მას მერე, რაც მოსკოვის აეროპორტამდე ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ავტობუსი დატოვა (იხ. §72). სხვა ორი ქართველი დაიღუპა დაკავების ცენტრებში სამედიცინო დახმარების არ აღმოჩენის გამო.

ასევე, სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭებინა იმ ფაქტისთვის, რომ მონმის ჩვენების თანახმად, 3-5-მდე OMON-ის ოფიცერი იყო ყველა სატრანსპორტო საშუალებაში, ავტობუსსა თუ მარშუტკაში (იხ. დანართი, §§ 5, 7, 8, 11). რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, OMON-ი გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომელიც უსაფრთხოებას შეეხება, მასობრივი არეულობის ჩათვლით. მისი ოფიცრები გადიან სპეციალურ ტრენინგებს და ჩვეულებრივ პოლიციელებთან შედარებით უფრო მძიმედ არიან შეიარაღებულნი. ამ ოფიცრების ყოფნა ავტობუსებში/მარშუტკებში, გაძევებულებისათვის ემოციურ/ფსიქოლოგიური საფრთხის დამატებით ფაქტორს წარმოადგენდა და აშკარად არ გამომდინარეობდა აუცილებელი გარემოებებისგან. მონმეთა ჩვენებები ასევე მიუთითებდა, რომ რუსეთის ხელისუფლება გაძევებულებს როგორც დამნაშავეებს ისე ეპყრობოდა. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება საერთაშორისოდ აღიარებულ გაძევების პროცედურებს, რომლის თანახმად, გამძევებელმა სახელმწიფომ უნდა „უზრუნველყოს ის, რომ გაძევებული პირები არ იყვნენ მიჩნეული დამნაშავეებად“.³⁶

სასამართლოს ასევე უნდა გამოეკვლია საქართველოს მოქალაქეთა პირობები გადაუდებელი სიტუაციების სამინისტროს სატვირთო თვითმფრინავში (IL 76), რომელიც გამოიყენეს 150 მგზავრის დეპორტაციისათვის 2006 წლის 6 ოქტომბერს. მონმეები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთნაირად აღწერდნენ იმ შედეგს, რომ სატვირთო თვითმფრინავის ფრენის პირობები განსაკუთრებით საგანგაშო იყო (იხ. §§57, 72, 74). მე-5 მონმე ფრენის პირობებს შემდეგნაირად აღწერდა: „ჩვენ სარდინივით მოგვეპყრნენ, ვერ წარმოვიდგენდი ამდენი ადამიანი თუ დაეტეოდა ერთ თვითმფრინავში ... არ მჯეროდა სახლში ცოცხალი რომ დავბრუნდი და მე ვფიქრობ,

³⁵ №4 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 65

³⁶ საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1547 (2002), ციტირებულია ზემოთ, §3(ვი); იხ. ასევე ფრანსუა კრეპო, „მიგრანტთა უფლებები ადამიანის უფლებებია“. Interights Bulletin, გამოცემა17, №1, 2012, გვ.4.

რომ ამას ყველა გრძნობდა“.³⁷ სატვირთო თვითმფრინავის აუტანელი პირობები ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ შეაფასა თავისი ანგარიშის 57-ე პარაგრაფში შემდეგი ტერმინებით „[სატვირთო თვითმფრინავით ტრანსპორტირება] განხორციელდა საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის ნორმების დარღვევით, რადგან ტრანსპორტირება, როგორც ასეთი, მგზავრების სიცოცხლისთვის სახიფათოა“. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება გაძევებისთვის აირჩიონ ტრანსპორტის საშუალება, მათ აქვთ ვალდებულება, უზრუნველყონ ადეკვატური პირობები, რათა დეპორტირებულთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება დაცული იყოს.

გამომდინარე მე-3 მუხლის აბსოლუტური ბუნებიდან, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს იცავს მისი მოთხოვნები დაცული უნდა იყოს გაძევების ყველა ფაზაში. ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, წარმოიშობა შეკითხვა, შეეძლო თუ არა სასამართლოს, განეხილა მე-3 მუხლი ექსკლუზიურად დაკავების პირობებთან დაკავშირებით, „განგრძობადი სიტუაციის“ შეფასების გარეშე, სატრანსპორტო პირობებისა და ქართველთა გაძევების ჩათვლით; განსაკუთრებით, იმ მოწყვლადი სიტუაციის მხედველობაში მიღებით, რომლებშიც ეს პირები იმყოფებოდნენ.

მოცემული საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს უნდა დაედგინა, რომ გაძევების პირობები, რომლებსაც ქართველებზე უდავო ზეგავლენა ჰქონდა, განხილული უნდა იყოს, როგორც არასათანადო და დამაცირებელი მოპყრობა, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით. ასევე, დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან კავშირში გაძევების პირობებთან დაკავშირებით.

V. კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლის დარღვევა

მოცემულმა საქმემ აჩვენა, რომ შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, სადაც უცხოელები არ არიან „კანონიერი მობინადრენი“ მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მიზნებისთვის ან კიდევ, საკანონმდებლო, სტრუქტურული და მიმღებ სახელმწიფოში არსებული სხვა პრობლემების გამო. ასეთ გარემოებებში, ეს პირები მიჩნეულ უნდა იქნენ *de facto* კანონიერი მობინადრე უცხოელები და მაშასადამე, სრულად უნდა ისარგებლონ მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის გარანტიებით³⁸ ბოლო წლებში, ევროპაში, მიგრაციის არეალში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული რეგულაციების მიდგომა და ევროპულ და საერთაშორისო სამართალში პროცედურული (მინიმალური) გარანტიების პრინციპის გავრცელება „უკანონო“ უცხოელებზეც.³⁹

მე ვეთანხმები იმას, რომ სახელმწიფოებს აქვთ სუვერენული უფლება, განსაზღვრონ თავიანთი საიმიგრაციო პოლიტიკა (იხ. განჩინების 177-ე პარაგრაფი); სუვერენიტე-

³⁷ №5 მონმის ჩვენება, ზეპირი ჩანაწერი, გვ. 89.

³⁸ მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამართლებრივი ჩარჩოს კრიტიკისათვის და მოქნილობის საჭიროება მისი გამოყენებისას, იხ. ჯეინ-მარი ჰენკერტსი, „მასობრივი გაძევება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და პრაქტიკა“, ციტირებულია ზემოთ, გვ. 37-39.

³⁹ იხ. ოცი სამოქმედო წესი იძულებით უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, ციტირებულია ზემოთ, სამოქმედო წესი 2; საერთაშორისო სამართლის კომისიის 52-ე სესიის სამუშაო ანგარიში, 1 მაისი - 9 ივნისი და 10 ივლისი - 18 აგვისტო 2000, კომისიის ხანგრძლივ სამუშაო პროგრამაში რეკომენდირებული თემების ჩართვის სილაბუსი, 4. უცხოელთა გაძევება (ემანუელ ა. ადლო), გვ. 142-3; შონ დ. მარფი, უცხოელთა გაძევება და სხვა თემები: საერთაშორისო სამართლის კომისიის 64-ე სესია, ჯორჯ ვაშინგტონის სამართლის სკოლის გამოცემებია და სხვა სამუშაოები, 2013, გვ. 4-7 ხელმისაწვდომია: http://scholarship.law.gwu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1910&context=faculty_publications, ვიზიტის თარიღი 22.02.2014; უცხოელთა გაძევების შესახებ მუხლების პროექტი, მუხლი 1(1). საერთაშორისო სამართლის კომისიის 64-ე სესიის სამუშაო ანგარიში, A/CN.4/L.797.

ტი არ წარმოადგენს ნეგატიურ კონცეფციას, რომლითაც სახელმწიფოები ზღუდავენ თავიანთ თავს საერთაშორისო განხილვისა და ჩართულობის წინააღმდეგ; არამედ, იგი პოზიტიურია და გულისხმობს პასუხიმგებლობას ყველას დაცვასა და კეთილდღეობაზე, ვინც მათ იურისდიქციაშია.⁴⁰ მიგრაციის კონტროლის თანამედროვე გამოწვევების და კონვენციით დადგენილი სტანდარტების მიღებით, პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების იმპლემენტაცია, რომელიც თავისი ბუნებით არ არის შეუზღუდავი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მან შეიძლება გამოიწვიოს კონვენციისა და ზოგადი საერთაშორისო სამართლის დარღვევა (იხ. სხვა წყაროებს შორის *Chahal v. the United Kingdom* [GC], N 22414/93, § 73, 15 ნოემბერი 1996, და *Ahmed v. Austria*, N 25964/94, §38, 17 დეკემბერი 1996). ეს უფლებამოსილება ისე უნდა იყოს გამოყენებული, რომ არ დაარღვიოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და ინდივიდი უნდა გააძევონ „კანონის თანახმად მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად“ და იგი უნდა ექვემდებარებოდეს გარკვეულ პროცედურულ გარანტიებს (იხ. *Nolan and K. v. Russia*, N 2512/04, § 114, 12 თებერვალი 2009).

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „გაძევების“ კონცეფცია მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, რომელიც უზრუნველყოფს ხელმოწერ სახელმწიფოში კანონიერი მობინადრეების დაცვას, არის დამოუკიდებელი კონცეფცია. სასამართლომ გამოავლინა მოქნილობა, როდესაც მე-7 დამატებითი ოქმის პირველი მუხლი გამოიყენა მომჩივანის ოფიციალური სამართლებრივი სტატუსის არ არსებობის მიუხედავად (იხ. მაგალისთვის *Nolan and K.*, ციტირებულია ზემოთ, § 111).

მოცემულ საქმეში, უმრავლესობამ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 ოქმის პირველი მუხლი, რადგანაც ყველა ქართველი, რომელიც დაპატიმრებული და გაძევებული იყო რესპოდენტი სახელმწიფოდან უკანონო მობინადრე იყო (იხ. §§229 და 231). მე ვერ დავეთანხმები ამ დასკვნას, რადგან იგი არ დასტურდება ხელმისაწვდომი მტკიცებულებებით და ეწინააღმდეგება თავად სასამართლოს დასკვნას, რომელიც 42-ე პარაგრაფშია და განმარტებული იქნება ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გაძევებული ნამდვილად უკანონოდ იმყოფებდა რესპოდენტ სახელმწიფოში, ამ გარემოებებში სასამართლომ არ უნდა მიმართოს ასეთ აბსოლუტურ მტკიცებას. ამ მსჯელობას საფუძველი აქვს ასევე რესპოდენტი სახელმწიფოს პოზიციაში, რომელიც არ უარყოფს იმას, რომ არსებობდა გამონაკლისები, როდესაც კანონიერად მყოფი საქართველოს მოქალაქეებიც გააძევეს (იხ. §227). რესპოდენტ სახელმწიფოში კანონიერად მყოფი ქართველების გაძევება დადასტურდა საერთაშორისო სამთავრობათშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაც (იხ. §§65 და 172).

უფრო მეტიც, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთაშორისი საჩივრების სპეციფიკურობის გამო, სასამართლოს არც მოეთხოვებოდა და ტექნიკურადაც არ შეეძლო ყოველი და ყველა დეპორტირებულის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა (იხ., §128). სასამართლო სირთულეს წააწყდა იმ შეიდი მოწმის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისასაც, რომლებმაც მოწმეთა მოსმენისას მისცეს ჩვენება და რომელთაც აღნიშნეს, რომ „მათი სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთის ფედერაციაში ხშირ შემთხვევაში დამაბნეველი იყო“. შესაბამისად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს მოქალაქეების „უმრავლესობა“ (თუმცა არა ყველა), რომელთაც მის-

⁴⁰ ფრანსის მედინგ დენგი, „შიდა გადაადგილების გლობალური გამოწვევები“, ჟურნალი სამართალი და პოლიტიკა, გამოცემა 5, 2001, გვ. 144, ციტირებულია სატვინდერ ს. ჯასი, საერთაშორისო მიგრაცია და გლობალური სამართალი (სამართალი და მიგრაცია), Ashgate Publishing Company, 2006, გვ. 48; იხ. ასევე, სატვინდერ ს. ჯასი, „თავისუფალი გადაადგილება და მსოფლიო წესრიგი“, ლტოლვილთა სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, გამოცემა 16, №3. ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა 2004, გვ. 289-335, მე-3 ანგარიში უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებით, მორის კამტო, სპეციალური მომხსენებელი, A/CN.4/581, საერთაშორისო სამართლის კომისია 59-ე სესია, ჟენევა, 7 მაისი – 8 ივნისი და 9 ივლისი – 10 აგვისტო 2007, გვ. 8-10.

ცეს ჩვენება მოწმეთა მოსმენისას, ფორმალურად იყო უკანონო მაცხოვრებელი რუსეთის ფედერაციაში (იხ., §42). ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით და გამოძევებულთა სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებული მთავარი ასპექტებინა და მიზეზების სრულყოფილი ანალიზის გარეშე, ზოგადი დასკვნა მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ქართველთა ყოფნის უკანონობის შესახებ არ იყო ზუსტი.

რუსეთის მიგრაციის კანონმდებლობამ და პრაქტიკამ შეუძლებელი გახადა მიგრანტების უმრავლესობისათვის „დაეკანონებინათ“ მათი ყოფნა მოპასუხე სახელმწიფოში. ხსენებულმა პრობლემამ გავლენა იქონია, ასევე, გაძევებული ქართველების სტატუსზე. სასამართლო აღნიშნავს საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ რუსეთის მიგრაციის კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებას, როგორც „კომპლექსური“ და მიგრანტებისათვის სახიფათო მდგომარეობის შემქმნელი (იხილე, §76). მაშინ, როცა „კომპლექსურობა“ არის საერთო მახასიათებელი ისეთი ვრცელი და რთული სფეროსათვის, როგორც მიგრაციის პოლიტიკაა, მოცემულ საქმეში, კორუფციით, დისკრიმინაციით, ქსენოფობიით, არასწორი მართვითა და თვითნებობით გამოწვეული სტრუქტურული პრობლემები წარმოადგენს ხსენებული „კომპლექსურობის“ მთავარ ბირთვს და ზრდის მიგრანტების მონყვლადობას, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები.

ბინადართა რეგისტრაციის სისტემის რეფორმა, როგორც მიგრაციის ზოგადი პოლიტიკის ნაწილი, იყო რუსეთის ფედერაციის ვალდებულებებს შორის, რომელიც წარმოიშვა ევროპის საბჭოსთან მიერთებით და შემდგომში სახელმწიფო არაერთხელ გაფრთხილდა ხსენებული ვალდებულების შესახებ (იხილე, *Bolat v. Russia*, №14139/03, § 50, 2006 წლის 5 ოქტომბერი)⁴¹. *Propiska*-ს სახელით ცნობილი რეგისტრაციის შიდა სისტემა არის პრობლემების ერთ-ერთი წყარო. დამატებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის (რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის უფლებამონაცვლე) მოქალაქეთა დიდი რაოდენობა მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის მანძილზე პერმანენტულად ცხოვრობდნენ რუსეთში, მიჩნეული იქნენ, როგორც არარეგულარული მიგრანტები, 2002 წელს შემდეგი ფედერალური კანონების ძალაში შესვლის შემდეგ: 1) მოქალაქეობის შესახებ და 2) უცხოელთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ფედერალური კანონები. სისტემური პრობლემები, რომელიც უკავშირდება გადაჭარბებულ ბიუროკრატიას რეგისტრაციისა და სამუშაო ნებართვის მიღებისას, რეგულარული სამუშაო ინსპექციებისას, თვითნებური უარყოფისას ან პოლიციის მიერ დაწესებული დამატებითი უკანონო მოთხოვნებისას და ასევე, რომელიც ეხება ბინადრობის რეგისტრაციის გამოყენებას, როგორც ცალკეული ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ დისკრიმინაციის საშუალებას და გამოძალვის მექანიზმის არსებობას, გაჟღერებული იქნა ბევრი საერთაშორისო ორგანოს მიერ.⁴² PACE-ს ანგარიშის (§54) დასკვნით, ეჭვს მიღ-

⁴¹ საპარლამენტო ასამბლეა, მოსაზრება №193 (1996) ევროპის საბჭოს წევრობაზე რუსეთის მოთხოვნის შესახებ, §7 viii; საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1277 (2002) რუსეთის ფედერაციის მიერ ვალდებულებებისა და მოვალეობების პატივისცემის შესახებ, § 8 xii, მინისტრთა კომიტეტი. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილების მიმართ გამოყენებული წროპისკა-ს სისტემა: შედეგები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები, საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაცია 1544 (2001) (მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 28 თებერვალს მინისტრთა მოადგილეების 829-ე სხდომაზე დამტკიცებული პასუხი), CM/AS(2003)Rec1544 საბოლოო 2003 წლის 28 თებერვალი, რეზოლუცია CM/ResCMN(2007)7 რუსეთის ფედერაციის მიერ ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაცია; სახელმძღვანელო პრინციპები ევროპაში იძულებით გადაადგილებული ჩეჩენი პირების (IDPs), თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილთა მიმართ მოპყრობის შესახებ, ევროპის საბჭო ლტოლვილთა და გაძევებულთა შესახებ, PP1/03/2007/EXT/CR, ხელმისაწვდომია: <http://www.unhcr.org/refworld/pdfid/4603bb602.pdf>.

⁴² სხვებს შორის, იხილეთ, რუსეთის ფედერაციის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის დასკვნითი შენიშვნები, ზემოთ მითითებული, §§ 13-14; იხილე, ასევე, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და დაკავშირებული შეუწყნარებლობის შესახებ, ზემოთ მითითებული §§ 39-40, 74, 76, ECRI, ზემოთ მითითებული მესამე ანგარიში, გვ. 16, 19, 37-40, ECRI-ს მეოთხე ანგარიში, ზემოთ მითითებული, გვ. 10-11, 20-21, 32-33; HRW, გამოყოფილი, ზემოთ მითითებული, გვ. 26.

მაა, რომ განსახილველ დროს დარღვევები რუსეთში მცხოვრები ბევრი ქართველის სამართლებრივ სტატუსში გამოწვეული იყო „რუსეთის იმიგრაციის პოლიტიკის სტრუქტურული პრობლემით“.

იმიგრაციის პროცესის კომპლექსურობა და მიგრაციის ფედერალურ სამსახურთან – ორგანო, რომელსაც ოფიციალურად ევალება რეგისტრაციის საკითხების განხილვა – კომუნიკაციის სირთულე იყო იმგვარი, რომ მიგრანტებს, მათ შორის ქართველებს, მუდმივად შეჰქონდათ განაცხადი დახმარების შესახებ სხვადასხვა კერძო სააგენტოებში, რომლებიც ფართოდ მოქმედებდნენ მოპასუხე სახელმწიფოში, მათგან ზოგიერთი – უკანონოდ (იხილეთ §42) . რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებს არ შეეძლოთ წარმოედგინათ ამგვარი კომპანიების პასუხისმგებლობის დადგენის მაგალითი მათი უკანონო ქმედებების გამო (იხილეთ §44). ამგვარ პირობებში, ნათელია, რომ ქართველებს, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ, ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მათი რეგისტრაცია განხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არასოდეს დაუყენებიათ კითხვის ნიშნის ქვეშ ხსენებული სააგენტოების მიერ მიწოდებული მომსახურების კანონიერება (იხილეთ, *mutatis mutandis, Lelas v. Croatia*, N55555/08, § 74, 2010 წლის მაისი) მაშინ, როცა მათი რეგისტრაციის დოკუმენტები არ ქმინდა რაიმე სახის სერიოზულ პრობლემას წლების მანძილზე (გარკვეული თანხის გადახდა – იხილეთ, §42, რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა ქრთამს, არ იყო დოკუმენტების სიყალბის მაჩვენებელი).

ნაკლოვანებების სხვადასხვა ასპექტი, რომელიც უკავშირდება რუსეთის მიგრაციის კანონმდებლობასა და პრაქტიკას, როგორცაა რეგისტრაციის მინიჭებისა და გახანგრძლივებისათვის ხელოვნური დაბრკოლებების შექმნა (იხილეთ, *Bolat v. Russia*, ზემოთ მითითებული), ყოფილი USSR-ის მოქალაქეთა სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები (იხილეთ, *Tatishvili v. Russia*, N1509/02, 2007 წლის 22 თებერვალი), ვიზების თვითნებური გაუქმების პრაქტიკა (იხილეთ, *Nolan and K. v. Russia*, ზემოთ მითითებული) და შიდა პროცედურების დისკრიმინაციული გამოყენება (იხილეთ, *Timishev*, ზემოთ მითითებული), განიხილა სასამართლომ და კონვენციის საწინააღმდეგოდ მიიჩნია.

საშუალებამ, რომლის გამოყენებითაც განსახილველ დროს განხორციელდა გაძევების პროცედურა ქართველების წინააღმდეგ, შეუძლებელი გახდა ყოველი იმ ინდივიდუალური საქმის გონივრული და ობიექტური შეფასება, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას (იხილეთ, §§175 და 178). ხსენებული ფაქტი, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს, რომ შიდა სასამართლოების მიერ მითითებული საქმეების განხილვა გამორიცხავდა დეპორტირებულთა ინდივიდუალური სტატუსის განსაზღვრას (განსაკუთრებით, რელევანტური მონაცემთა ბაზის არარსებობის პირობებში), მათ შორის იმას, საქმე ეხებოდა USSR-ის ყოფილ მოქალაქეებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს თუ ლტოლვილებს; ასევე, ვიზა ან/და რეგისტრაციის დოკუმენტები ნამდვილად ყალბდებოდა თუ არა, იმდენად ხშირად, როგორც სახელისუფლებო ორგანოები ამტკიცებდნენ დოკუმენტების მხოლოდ ვიზუალური შემოწმების საფუძველზე (ვრცელდებოდა ასევე ინფორმაცია სამართალდამცავების მიერ ვიზისა და სარეგისტრაციო ბარათის შემცველი პასპორტის განადგურების შემთხვევების შესახებ). ფაქტობრივად, საქმის მასალაში მითითებული მსხვერპლებიდან ბევრი არის ლტოლვილი აფხაზეთიდან (საქართველო). საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აფხაზეთის ყოფილ მაცხოვრებლებზე, რომლებიც 1992-93 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად წავიდნენ რუსეთში, დიდწილად გავრცელდა დევნის კამპანია.⁴³ ნათელია მანანა ჯაბელიას საქმე – ქართველი ლტოლვილი, რომელიც გარ-

⁴³ იხილეთ Gannushkina, „ადამიანის უფლებები რუსეთში“, ზემოთ მითითებული, გვ. 4; „რუსეთის ტერიტორიაზე დაწყებული ანტიქართული კამპანიის შესახებ“, ადამიანის უფლებათა ცენტრის მემორიალი, ზემოთ მითითებული, გვ. 1; HRW, ზემოთ მითითებული, იხილეთ გვ. 55-57.

დაიცვალა საპატიმრო დაწესებულებაში. იგი მოათავსეს საპატიმროში მოსკოვის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, რომელმაც გააუქმა გადაცემის ბრძანება.⁴⁴ უფრო მეტიც, მიგრაციის ფედერალური სამსახურის 2006 წლის 18 ოქტომბრით დათარიღებული საინფორმაციო ბროშურა მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომელიც მიიღეს საქართველოს მოქალაქეთა ბინადრობის ზედამხედველობის გასაძლიერებლად, მათ შორის, „საქართველოს მოქალაქეთათვის ცალკეული დოკუმენტების გაცემის შეწყვეტა (რუსეთის მოქალაქეობის, რეგისტრაციის დოკუმენტების, დროებითი და მუდმივი ბინადრობის ნებართვების მიღება)“ (იხილეთ §31). აქედან გამომდინარეობს, რომ წინმსწრებ პერიოდში, სახელისუფლებო ორგანოებმა, სხვა ქმედებებთან ერთად, ქართველები ხელოვნურად გადააქციეს არარეგულარულ მიგრანტებად და ამდენად, შექმნეს მათი გაძევების წინაპირობები.

ქართველებიდან დიდ უმრავლესობას ჰქონდა მოქმედი ხანგრძლივი ვადის ბიზნეს ვიზა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საკონსულო ოფისმა 2004 წელს გასცა 70,000 ბიზნეს ვიზა ქართველებზე, 2005 წელს – 90,000, ხოლო 2006 წლის პირველ ნახევარში – 75,000 (იხილეთ, დანართი, §24) მაშინ, როცა ორ სახელმწიფოს შორის ბიზნეს საქმიანობა და მეცნიერული ინფორმაციის გაცვლა უკვე დიდი ხნის წინ იყო შეჩერებული. ცნობილია, რომ მიგრაციის სისტემა და უცხოელთა დასაქმება არა მხოლოდ ვერ გამორიცხავს არარეგულარულ იმიგრაციას, არამედ, ფაქტობრივად, ახალისებს მას⁴⁵ და სახელისუფლებო ორგანოები იღებენ სარგებელს ბიუროკრატიული პროცედურებისგან.⁴⁶ ფაქტობრივად, რუსეთში ბიზნეს ვიზის კონტექსტური ფლობა ქმნის კანონიერი ბინადრობისა და ინდივიდუალური სამუშაოს ძიების ნებართვის ლეგიტიმურ მოლოდინს. რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებმა იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდნენ, ხსენებული სიტუაციის შესახებ. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, ისეთი სისტემის შექმნისა და გამყარების გამო, რომელიც, ერთი მხრივ, ქართველებს აძლევდა ხანგრძლივადიანი ბიზნეს ვიზის მიღების შესაძლებლობას და მეორე მხრივ, მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა, კანონიერი გაეხადათ საკუთარი ყოფნა და მუშაობა ქვეყანაში.

სახელმწიფო პოლიტიკა და მიგრაციის სტატუსთან და უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული წესების ბუნდოვანება წარმოადგენს დეფექტური სისტემის ერთ ნაწილს, რომელიც ატარებს უმცირესობების წინააღმდეგ გამოყენების რისკს იმ შემთხვევაში, „თუ პოლიტიკური დავა წარმოიშვება რუსეთსა და მიგრანტების სამშობლოს შორის“.⁴⁷ მოცემული საქმე არის ხსენებული რისკის მატერიალიზაციის მაგალითი, რომლის ფარგლებშიც სისტემა მთლიანად მიმართული იყო ქართველების წინააღმდეგ ინტენსიური პოლიტიკური და მედია საშუალებით ნაქეზების ფონზე. ხსენებული ფაქტი განსაკუთრებით შემამოფოთებელია, იმის გათვალისწინებით, რომ ქართველების დიდ უმრავლესობას, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ, ხშირად აჩერებდნენ და ამონებდნენ, თუმცა არასოდეს დაქვემდებარებიან იძულებით გაძევებას (იხილეთ §42).

მოცემულ საქმეში იმის დადგენით, რომ არ დარღვეულა მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი, მოპასუხე სახელმწიფოს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მისი ქმედებების გამო, შესაბამისად, გამორიცხავს რაიმე სახის გარანტიას, რომ რეგისტრაციის სისტემის ბოროტად გამოყენების მსგავსი პრაქტიკა, კონვენციის მე-7 ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დაცვის გარანტიების უგულებელყოფით, არ იქნება ქრონიკული. მე-

⁴⁴ HRW, ზემოთ მითითებული, იხილეთ გვ. 55-57.

⁴⁵ ECRI, მეოთხე ანგარიში, ზემოთ მითითებული, გვ. 32-33.

⁴⁶ რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებათა კომისარის ანგარიში 2007 წლისათვის, რუსულად ხელმისაწვდომია: <http://ombudsmanrf.org/doklady>, გვ. 90-91.

⁴⁷ იხილეთ, HRW, ზემოთ მითითებული, გვ. 2.

7 ოქმის 1-ლი მუხლის შეზღუდული ინტერპრეტაციის რისკი სასამართლომ აღიარა საქმეში – Nolan and K. (ზემოთ მითითებული, § 111). ამ უკანასკნელ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სასაზღვრო პოლიციის მიერ ვიზის გაუქმებას „[არ შეიძლებოდა] მომჩივნისათვის წაერთმია მისი, როგორც „კანონიერი ბინადრის“ სტატუსი იმის გათვალისწინებით, რომ „სხვაგვარად რომ ყოფილიყო, გაძევების შესახებ გადანყვეტილება წაართმევდა მას მე-7 ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დაცვას იმ შედეგით, რომ ხსენებულ მუხლში გათვალისწინებული გარანტიებისთვის საერთოდ აღარ დარჩებოდა მოქმედების სფერო“. უცხოელებისათვის პროცედურული დაცვის წართმევის რისკი დამატებით მძიმდება კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის სპეციალური სფეროთი და მიგრაციასთან დაკავშირებული სარჩელების მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის გამოუყენებლობით (იხილე, მაგალითად, *Maaouia v. France*, N39652/98, §40, 2000 წლის 5 ოქტომბერი), რითაც საბოლოოდ იზღუდება კონვენციის მე-13 მუხლით დადგენილი დაცვის გარანტიები (იხილე, *Kuric and Others v. Slovenia*, ზემოთ მითითებული §§ 369-72 და *Kudla v. Poland* [GC], N30210/96, § 157, ECHR 2000-XI).

მოპასუხე სახელმწიფო მანიპულირებს არსებული მიგრაციის დეფექტური კანონმდებლობითა და პრაქტიკით და არ ამჟღავნებს რაიმე სახის პოლიტიკურ სურვილს, გადაჭრას ხანგრძლივი პრობლემები; ამავე დროს, არასოდეს ყოყმანობს, გამარტივებული პროცედურებით მიანიჭოს მოქალაქეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ბინადრებს, როდესაც ეს პოლიტიკურად მომგებიანია. ხსენებული სიტუაციის ფონზე, სასამართლოს უნდა გაეფართოებინა მე-7 ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დაცვა იმ უცხოელთა მიმართ, რომელთაც არ შეეძლოთ მოპასუხე სახელმწიფოში საკუთარი ყოფნის დარეგულირება მიგრაციის დეფექტური სისტემის გამო. სხვაგვარად დადგენა, იქნება ყველაზე მონყვეალდთათვის კონვენციით გათვალისწინებული ცალკეული მნიშვნელოვანი გარანტიების წართმევის ტოლფასი. დამატებით, ისიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ გაძევებულთა შორის იყვნენ ქართველები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდნენ სავსებით კანონიერად და რომლებიც „უკანანო“ მიგრანტები გახდნენ ხელოვნურად, თავად სახელისუფლებო ორგანოების ქმედებებით.

ზემოსხენებული ფაქტორების გათვალისწინებით და იმის მხედველობაში მიღებით, რომ გაძევების გამამართლებელი არც საჯარო წესრიგის ინტერესები და არც ეროვნული უსაფრთხოების მიზეზები არსებობდა, მივიჩნევ, რომ განსახილველი პერიოდის მანძილზე მოპასუხე სახელმწიფომ დააკავა, დააპატიმრა და გააძევა ქართველები, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და რომ ხსენებულმა ფაქტმა წარმოშვა ადმინისტრაციული პრაქტიკა კონვენციის მე-7 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევით.

მოსამართლე დედოვის განსხვავებული მოსაზრება

ვწახვარ, რომ არ შემოიძლია გავიზიარო უმრავლესობის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც მოცემულ საქმეში დადგინდა კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევა. ჩემი შეხედულებით, სასამართლომ დაიჭირა საკამათო მიდგომა ფაქტების დადგენისას, მტკიცებულების შეფასებისას და საკუთარი პრეცედენტული სამართლის გამოყენებისას, რომელიც რთულად მისაღებია მომჩივანი და მოპასუხე სახელმწიფოების უმაღლეს სახელისუფლებო ორგანოებს შორის ძლიერი პოლიტიკური ოპოზიციის პირობებში. ამგვარ სიტუაციაში, სასამართლომ ყურადღებით უნდა განიხილოს ყველა მასალა და მიიღოს დასაბუთებული დასკვნები, რათა თავიდან აირიდოს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის შემფოთება. ხსენებული დავალება გაცილებით მარტივი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფოთაშორის საქმეში სასამართლო მოსმენა და განხილვა ჩატარდებოდა მხოლოდ მხარეთა შორის პოლიტიკური და ემოციური დაძაბულობის შესუსტებისათვის მშვიდობიანი მოლაპარაკებების განხორციელების შემდეგ. ამგვარი ღონისძიებების გარეშე იმ საქმეთა რაციონალური ანალიზი, როგორც მოცემული საქმეა, არასოდეს იქნება წარმატებული.

ფაქტების დადგენა

ზოგადად, ექსტრადიციის საქმეებში, არასათანადო მოპყრობის რისკის დასადგენად, საერთაშორისო ანგარიშები ძალიან გამოსადეგია. ხსენებული ანგარიშები დღემდე მიჩნეულია ინფორმაციის სანდო წყაროდ, თუ მათ გააჩნიათ ნეიტრალური ან ოფიციალური ხასიათი და შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს ბრალდებებისა და სუბიექტური შეფასებების გარეშე, რამაც შეიძლება შეასუსტოს სასამართლოს მიუკერძოებლობა. მოცემულ საქმეში, სასამართლომ ფაქტები დაადგინა საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა ანგარიშზე დაყრდნობით, ციტირებდა მათგან მთელ გადანწყვეტილებაში, განსაკუთრებით, შემდეგ პარაგრაფებში: 40, 63-71, 114, 148, 172 და 173 მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უკვე გაკეთებული ჰქონდათ საკუთარი შეფასებები და დასკვნები, თუმცა გამოხატეს იგი ბრალდებებისა და სუბიექტური შეფასებების ფორმით: „მასობრივი გაძევება“, „მასობრივი დაკავებები“, „ასე მოჩვენებითად ჩატარებული კამპანია“, „რეპრესიული ბრძანებები, რომელთა სამიზნეები ქართველები იყვნენ“, „დაკავებულებს არ აქვთ ადვოკატის უფლება“, „წარდგენის ხაზი... მაშინ, როცა არ იყვნენ წარმოდგენილნი პირები, რომელთაც გაძევების ბრძანებები ეხებოდა“, „პოლიციასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის შეთქმულება“, „ეთნიკური ნიშნით სელექციური და განზრახვი დევნის კამპანია“, „კანონიერად მოპოვებული ვიზები და რეგისტრაციის საბუთები გაუქმდა, ადამიანები უკანონოდ დააპატიმრეს და გააძევეს“, „საქართველოს მოქალაქეთა ორგანიზებული დევნა“, „ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფის შევიწროება იყო მიუღებელი დისკრიმინაციის სახე“, „მართლმსაჯულების მასობრივი ჩამოშლა“, „პოლიციასა და სასამართლოებს შორის შეთქმულების მტკიცებულება“, „[ქართველები] წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც ჯგუფი სასამართლოს წინაშე“, „დაპატიმრებისა და გაძევების წინასწარგანზრახული პოლიტიკა“, „ადამიანებს უკანონოდ აპატიმრებენ და აძევებენ“, „მართლმსაჯულებაზე აშკარად უარის თქმა და პროცედურებისათვის გვერდის ავლა“, „თვითნებური და უკანონო დაპატიმრება და გაძევება“, „ბევრ ადამიანს რეალურად უარი ეთქვა გასაჩივრების უფლებაზე“, და ა.შ.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა გააკეთეს შემთხვევების საკუთარი ზოგადი სამართლებრივი შეფასება თავიანთ ანგარიშებში რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, რომელიც დაადასტურებდა მათ დასკვნებს, ხოლო სა-

სამართლომ მათი ეს მიდგომა მიიღო რეალური ფაქტების შემონმების გარეშე. ჩანს, რომ სასამართლომ მიიღო მათი სამართლებრივი შეფასების შედეგები და ფაქტები დაადგინა ანგარიშების საფუძველზე (იხილე, გადაწყვეტილების შემდეგი პარაგრაფები: 136-39, 152, 153, 159, 185 და 196).

განსაკუთრებით, PACE-ს მონიტორინგის კომიტეტის შემდეგი განცხადება: „ნებართვების მისაღებად პროცედურების კომპლექსურობა, რამაც მიგრანტები ჩააყენა დაუცველ პოზიციაში“ (იხილე, §76) გაკეთდა რუსეთის კანონის რაიმე სახით ანალიზის გარეშე და არც სასამართლო იყო იმ მდგომარეობაში, რომ გაეკეთებინა ამგვარი ანალიზი. საქართველოს მოქალაქეთა ჩვენებები გამოთქმულია მსგავსი ტერმინებით, როგორცაა „დაჩქარებული წესით დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები“ (იხილე, §45). სასამართლო მიჰყვა ყველა ამ განცხადებას და მოახდინა მათი ასახვა საკუთარ გადაწყვეტილებაში. უფრო მეტიც, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქართველმა მოწმეებმა მისცეს „წინააღმდეგობრივი ჩვენებები“, რომელიც, იმავე დროს, „შეესაბამებოდა და ემთხვეოდა საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს“ (იხილე, §196).

მესმის, რომ ამგვარი ორგანიზაციები, როგორც უფლებადამცველი აქტივისტები, მონოდეზულნი არიან, გააკეთონ ყველაფერი, რათა დაიცვან ადამიანის უფლებები და არ არიან შეზღუდულნი რაიმე საშუალებით საკუთარი მიზნების მიღწევაში. ამდენად, ამგვარი ანგარიშები შეიძლება აზვიადებდეს დარღვევების სიმძიმეს. თუმცა, თუკი სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს და შემოიფარგლოს სამართლიანი სასამართლოს უნივერსალური პრინციპებით, მაშინ მან არ უნდა დაუშვას, რომ საკუთარი მიუკერძოებლობა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ ანგარიშებში მოცემული ემოციური განცხადებების გამო.

ზემოხსენებული პროცედურული ხარვეზები წარმოშობს პრობლემებს ადმინისტრაციულ პრაქტიკასა და კოლექტიურ გადაწყვეტასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ საკუთარი პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით.

ადმინისტრაციული პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა დაადგინა სასამართლომ 159-ე და 178-ე პარაგრაფებში, რთულია იმის გაგება, თუ რატომ წამოიჭრა მოცემულ საქმეში ადმინისტრაციული პრაქტიკის საკითხი მაშინ, როცა კოლექტიური გადაწყვეტა, სავარაუდოდ, განხორციელდა დროის მოკლე მონაკვეთის მანძილზე და გასაჩივრებულ შემთხვევებამდე, ან მას შემდეგ, არც ერთი საჩივარი არ დაფიქსირებულა. ვვარაუდობ, რომ სახელმწიფოთაშორისი სარჩელის სტატუსი, თავისთავად, არ მოიცავს ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის დადგენას.

სასამართლომ ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა დაადგინა სახელმწიფოთაშორის ორ სარჩელში, რომლებიც ძირეულად განსხვავდება მოცემული საქმისაგან. საქმეში – ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, მოვლენები ეხებოდა 1971 და 1975 წლებს შორის პერიოდს, ხოლო საქმეში – საფრანგეთი, ნორვეგია, დანია, შვედეთი, ნიდერლანდები თურქეთის წინააღმდეგ, არსებობდა მე-6 მუხლის რეალური დარღვევა სამი წლის მანძილზე - 1980 წლიდან 1982 წლამდე. მოცემულ საქმეში, განსახილველი ქმედების ორგანიზება მოხდა ერთი ან ორი თვის ფარგლებში და არასოდეს მომხდარა მანამდე ან მას შემდეგ. განსახილველი ღონისძიების გამოყენება მოხდა არა საქართველოს ყველა მოქალაქის, არამედ მათ მიმართ, ვინც უკანონოდ იმყოფებოდა რუსეთში, ხოლო ბევრი თანამდებობის პირი დასაჯეს მათ მიერ დაშვებული შეცდომების გამო.

ადმინისტრაციული პრაქტიკა შედგება ძალადობრივი ქმედებების გამეორებისა და მათი ოფიციალური შემწყნარებლობისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს დარღვევა ერთი ქმედების ან ქმედებების მოკლე სერიის შედეგად, ხოლო შემდეგ – მათი განმეორება და ოფიციალური შემწყნარებლობა. მოცემულ საქმეში, სასამართლომ გადაუხვია ხსენებული მიდგომისაგან ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის დადგენით მაშინ, როცა არ განუსაზღვრავს დარღვევის თუნდაც ერთი კონკრეტული მაგალითი დოკუმენტური მტკიცებულების საფუძველზე. მან ადმინისტრაციული პრაქტიკის კონცეფცია შეცდომით გამოიყენა კოლექტიური გადაწყვეტის მიმართ იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ქმედების კოლექტიური ბუნების არსებობა და არა იზოლირებული ქმედებების გამეორება.

რაც შეეხება ადმინისტრაციული პრაქტიკის შემწყნარებლობას, იგი არ დადასტურებულია სასამართლოს მიერ. სასამართლოს შეხედულებით, „საიდუმლო“ ინსტრუქციები ძალიან პრობლემური იყო. თუმცა უკანონო ბინადრების მოძებნის შესახებ პოლიციის ბრძანებები არ შეიძლება თავისთავად მიჩნეულიყო ძალადობრივ ქმედებად. ამ აშკარა დაბრკოლების გადასალახად, სასამართლომ, ობიექტურობის ფასად, დაადგინა ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობა, რაც მოიცავს არა მხოლოდ პოლიციას, არამედ ყველა სხვა სახელისუფლებო ორგანოს, მათ შორის, ზემდგომ პროკურორებსა და მოსამართლეებს. უფრო მეტიც, სასამართლომ, 159-ე პარაგრაფში, მიიღო, რომ ეს იყო „საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრებისა და გადაცემის კოორდინირებული პოლიტიკა“ და ხსენებული დასკვნა ემყარება სუბიექტურ შეფასებებს, რაიმე სახის ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე.

„საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის იდენტიფიცირების შესახებ“ ინსტრუქციები და ბრძანებები შემსუბუქდა პროკურორების მიერ, რომელთა მიმართაც გაიცა ინსტრუქცია, გაეაქტიურებინათ შინაგან საქმეთა ოფიციალური პირების ქმედებების ზედამხედველობა, რათა გარანტირებული ყოფილიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, მათ შორის, დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება და ოფიციალური პირების დისციპლინური დასჯა (იხილეთ, §§37-38). ამდენად, რუსეთის სახელისუფლებო ორგანოების ამოცანა იყო რუსეთის უკანონო ბინადრებზე კონცენტრირება.

აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის მიღება, რომ გადანყვეტილების 171-ე-176-ე პარაგრაფებში მოცემული სასამართლოს შეფასება არის დასაბუთებული. სასამართლო მიუთითებს „ნარდგენის ხაზზე“, „შეთქმულებაზე პოლიციასა და სასამართლო ხელისუფლებას შორის“, „გაძევების ათასობით ბრძანებაზე“, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს; „კოორდინირებულ პოლიტიკაზე“, რაიმე სახის ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე, გარდა 2006 წლის 2 ოქტომბრის ინსტრუქციის ფორმულირებისა, რომელიც გასცემდა ბრძანებას, რომ „გადანყვეტილებები ნარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში“, რაც, თავის მხრივ, უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სახელისუფლებო ორგანოები ვალდებული არიან, მიმართონ სასამართლოებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არიან უფლებამოსილნი, მიიღონ გადანყვეტილება გადაწყვეტის შესახებ. ამდენად, ადასტურებს, რომ პროცედურა განხორციელდა შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საბოლოოდ, გადანყვეტილების 175-ე და 178-ე პარაგრაფებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა „თითოეული ინდივიდის კერძო შემთხვევის მართლზომიერი და ობიექტური განხილვა“, თუმცა არ არსებობს მაჩვენებელი იმისა, რომ გადანყვეტილებაში რაიმე ინდივიდუალური გარემოება დადგინდა სასამართლოს მიერ. ასევე, არ გაკეთებულა შეფასება იმასთან დაკავშირებით, ხსენებული გარემოებებიდან განიხილეს თუ არა რომელიმე რუსმა მოსამართლეებმა სათანადოდ და პოლიციის

ოფიცრებმა. პირიქით, სასამართლო ფლობს მოპასუხე მთავრობის მიერ მიწოდებულ ქართველი მოწმეების გაძევების მასალებს, თუმცა არ არის მონდომებული, მიიღოს ისინი მხედველობაში.

მჯერა, რომ 2006 წლის 2 ოქტომბრის ინსტრუქცია, რომელიც გასცემს „სასამართლოს წინაშე გადანყვეტილებების წარდგენის“ ბრძანებას, თავის მხრივ, არ ნიშნავს, რომ არსებობდა ორგანიზებული და კოორდინირებული ქმედება ქართველების წინააღმდეგ რუსეთის სასამართლოებისა და პროკურორების მხრიდან და ამდენად, რომ სასამართლოები არ იყვნენ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, როგორც ეს მითითებული იყო ანგარიშებში და რომელიც მარტივად მიიღო სასამართლომ, ფაქტების შემოწმების გარეშე. ხსენებული ინსტრუქცია უბრალოდ ავალდებულებს სახელისუფლებო ორგანოებს, ქმედებები წარადგინონ სასამართლოს წინაშე იმდენად, რამდენადაც მხოლოდ მოსამართლეები არიან უფლებამოსილი უკანონო ბინადრები გააძეონ რუსეთიდან.

კოლექტიური გაძევება

მე-4 ოქმის მე-4 მუხლის მნიშვნელობით, „უცხოელთა კოლექტიური გაძევება“ განმარტებულია სასამართლოს მიერ, როგორც „კომპეტენტური ხელისუფლების რაიმე სახის ღონისძიება, რომელიც უცხოელებს, როგორც ჯგუფს, აიძულებს დატოვონ ქვეყანა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამგვარი ღონისძიება მიიღება უცხოელთა ჯგუფის ყოველი ინდივიდის კერძო შემთხვევების მართლზომიერი და ობიექტური განხილვის საფუძველზე და შემდეგ“ (იხილეთ, *Henning Becker v. Denmark*, *Andric v. Croatia da Andric v. Croatia*). ეს კი, სულ მცირე, ნიშნავს, რომ პირთა ჯგუფის შიდა პროცედურების შედეგად გაძევება ავტომატურად არ იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სახეზე იყო „უცხოელთა კოლექტიური გაძევება“ (იხილეთ, *M.A. v Greece*; *Berisha and Haljiti v. "the former Yugoslav Republic of Macedonia"*; და *Dritsas v. Italy*).

მაგალითად, საქმიდან – *Hirsi Jamaa and Others v. Italy*, ნათელია, რომ უცხოელთა გადაყვანა მესამე სახელმწიფოში განხორციელდა კომპეტენტური (მიგრაციისა და სასამართლო) სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან მათი საქმეების რაიმე სახით განხილვის გარეშე. რაც შეეხება შესაბამისი ინდივიდების კერძო შემთხვევებს, საქმეში – *Ilonka v Belgium*, სახელისუფლებო ორგანოებმა არ მიიღეს მხედველობაში განაცხადები თავშესაფრის შესახებ და კონცენტრირდნენ მხოლოდ სამთვიანი ნებართვის ვადის გასვლაზე (იხილეთ, *Conka*, ზემოთ მითითებული, §§61-63), რომელიც გაცემული იყო ოთხ განმცხადებელზე. მოცემულ საქმეში, მომჩივან მთავრობას არ წარმოუდგენია მტკიცებულება ამგვარი საჩივრებისა და განაცხადების შესახებ. პირიქით, გაძევების შესახებ გადანყვეტილებები არის მტკიცებულება იმისა, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქის საქმე მართლზომიერად და ობიექტურად განიხილეს რუსეთის სასამართლოებმა.

ინდივიდუალური გარემოებების დადგენა მნიშვნელოვანია დასაბუთებული გადანყვეტილებისთვის. ხსენებულ ზოგად მიდგომას ყოველთვის მისდევდა სასამართლო, განსაკუთრებით შემდეგი სახით: „სასამართლო არ მოითხოვს ინდივიდუალური გარემოებების მტკიცებულებას მხოლოდ ყველაზე უკიდურეს შემთხვევებში, როცა დანიშნულების სახელმწიფოში ძალადობის ზოგადი სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ შეიქმნება რისკი იმისა, რომ ხსენებულ სახელმწიფოში გადაყვანის ნებისმიერი შემთხვევა გარდაუვლად დაარღვევს მე-3 მუხლს (იხილეთ, *Savriddin Dzhurayev v. Russia*, N71386/10, § 153, 2013 წლის აპრილი; *N.A. v. the United Kingdom*, N25904/07, §§ 115-16, 2008 წლის 17 ივლისი და *Sufi and Elmi v. the United Kingdom*, N8319/07 და 11449/07, § 217, 2011

წლის 28 ივნისი). წინა საქმეში, სასამართლომ არჩია, დაედგინა ინდივიდუალური გარემოებები, თუმცა ასეთი მიდგომა არ იქნა მხარდაჭერილი მოცემულ საქმეში.

მომჩივანმა მთავრობამ აღნიშნა, რომ ოთხ პირს ჰქონდა მოქმედი ვიზები, რომელთა ვადა 2007 წელს ამოიწურა, თუმცა საკუთარი საჩივრისთვის არ მიუმაგრებია ხსენებული ვიზებისა და გაძევების გადაწყვეტილებების ან რაიმე სხვა დოკუმენტების ასლები. არარეალისტურად ჩანს, რომ რუსეთის სასამართლო დაასკვნინდა, რომ პირი არის უკანონო ბინადარი, თუკი მას ჰქონდა მოქმედი ვიზა, განსაკუთრებით იმდენად, რამდენადაც მოპასუხე სახელმწიფო სავარაუდოდ მოქმედებდა კეთილსინდისიერად (სასამართლოს პრეცედენტური სამართლიდან გამომდინარე) და არსებობს ძალზე ძლიერი პრეზუმფცია, რომ რუსი მოსამართლეები ასრულებდნენ საკუთარ ფიცსა და ვალდებულებებს. საპირისპიროდ, რუსეთის მთავრობის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი ადასტურებს იმას, რომ პოლიციის ოფიცრებმა და მოსამართლეებმა ყურადღებით განიხილეს ყოველი პირის ინდივიდუალური გარემოებები.

მეტიც, რუსეთის იმ სასამართლოების გადაწყვეტილებების მიხედვით, რომელთა განხილვაც სასამართლოს შეუძლია, რუსმა მოსამართლეებმა განიხილეს და შეაფასეს ყოველი პირის კერძო გარემოებები. თუმცა, ჩემი შეხედულებით, სასამართლომ არ განიხილა რელევანტური დოკუმენტაცია და არც შეუფასებია ის მიუკერძოებლად.

არ შემიძლია დავიჯერო, რომ რუსმა მოსამართლეებმა (როდესაც გამოსცემდნენ გაძევების ბრძანებებს) თქვეს, რომ ერთადერთი მიზეზი იყო განსახილველი პირების ქართველობა და რომ მათ ურჩიეს ხსენებულ პირებს, არ გაესაჩივრებინათ. ხსენებული ფაქტი ძირს გამოუთხრიდა რუსეთში ყველა მოსამართლის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და პროფესიულ შესაძლებლობებს. მესმის, რომ მსგავს, პოლიტიკურად მგრძობიარე საქმეში, არ არის ადვილი, დარჩე იმ სამართლებრივი ტერმინოლოგიის ფარგლებში, რომელიც კონვენციაშია გამოყენებული (კოლექტიური გაძევება) და თავიდან აირიდო პოლიტიკურად დატვირთული ტერმინები და სუბიექტური შეფასებები, როგორცაა „მასობრივი გაძევება“, „შეთქმულება“ სახელისუფლებო ორგანოებს შორის, „კოორდინირებული პოლიტიკა“, „რეპრესალია“. თუმცა საერთაშორისო მოხსენებები, რომლებიც შეიცავს მსგავს პოლიტიკურად დატვირთულ სუბიექტურ შეფასებებს, არ უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოში, როგორც მტკიცებულება.

მე ეჭვი არ მეპარება რუსული სასამართლოების კომპეტენციასა და რუსი მოსამართლეების პროფესიულ ეთიკაში. მტკიცებულების ნახვა დამჭირდებოდა იმაზე, რომ რუს მოსამართლეებს შეეძლოთ გაერიცხათ აღსაზრდელი, რომელიც კანონიერად იყო რეგისტრირებული რუსულ უნივერსიტეტში, ან ნებისმიერი სხვა მაღალი რანგის პროფესიონალი, რომელიც მუშაობდა რუს სპეციალისტებთან. არც ანგარიშები, არც მომჩივანი მთავრობა, არც მათი მონმეები, საბოლოო ჯამში, არც თავად გადაწყვეტილება არ იძლევა რაიმე მაგალითს ან კონკრეტულ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს მათ განცხადებებს მართლმსაჯულების ჩამოშლის შესახებ. თუმცა, ნებისმიერს შეუძლია მოიპოვოს იმ ქართველთა ათასობით მაგალითი, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან რუსეთში და აკეთებენ იქ წარმატებულ პროფესიულ კარიერას

იმის გათვალსწინებით, რომ 2006 წელს, ჯამში 58000 ადამიანი გაძევდა, საქართველოს 4500 მოქალაქის გაძევება არ შეიძლება იყოს საფუძველი იმ დასკვნისთვის, რომ პროცედურა არ ითვალისწინებდა საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ განსახილველ პირთაგან თითოეულის პირადი გარემოებები ჭეშმარიტად და ინდივიდუალურად ყოფილიყო მიღებული მხედველობაში (იხილეთ, *Conka*, ზემოთ მითითებული, § 63). იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეიძლებოდა ამგვარი დასკვნის გაკეთება, სასამართლოს,

ასევე, სჭირდება დაასახელოს კონკრეტული მაგალითები და კონკრეტული პირადი გარემოებები ხსენებული დასკვნის გასამყარებლად. სასამართლოების მიერ გამოცემულ ათასობით ბრძანებაზე (30,000-ზე მეტი მოსამართლის უზარმაზარ შესაძლებლობასთან ერთად) ან „კოორდინირებულ პოლიტიკაზე (რაც მოიცავს მოსამართლეების მიუკერძოებულობის ნაკლებობას) მითითება 176-ე პარაგრაფში, არ აკმაყოფილებს სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ კრიტერიუმს.

მტკიცებულების შეფასება

ზემოხსენებულმა ხარვეზებმა გამოიწვია სასამართლოს მიერ მტკიცებულების ცალმხრივი შეფასება. კერძოდ, სასამართლომ მიიღო ბრალდებები და სუბიექტური შეფასებები გამარტივებული სამართალწარმოებისა და მასობრივი გაძევებების შესახებ, რუსული სასამართლოების რაიმე გადანყვეტილების განხილვის გარეშე და სააპელაციო სასამართლოების გადანყვეტილებების იგნორირებით, რომელიც წარმოადგენდა მთელი რიგი წარმატებული საჩივრების მტკიცებულებას. სააპელაციო გადანყვეტილებების შესაბამისად, ყველა მომჩივანი წარმოდგენილი იყო ადვოკატების ან ნათესავების მიერ. გაძევების შესახებ გადანყვეტილებები გაუქმდა ყოველი მომჩივნის ინდივიდუალური გარემოებების საფუძველზე: ნათესავების კანონიერი ბინადრობა, საკუთრებაში უძრავი ქონების არსებობა, ასაკი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა, სამედიცინო მკურნალობა და აფხაზი ლტოლვილის სტატუსი.

სასამართლო ფლობს მასალებს ქართველი მონმეების შესახებ, რომელიც შეიცავს დოკუმენტებს, რომლითაც დასტურდება, რომ ისინი იყვნენ კანონიერი ბინადრები რუსეთის ტერიტორიაზე. სასამართლოში მათი განცხადებები ეწინააღმდეგება გაძევების შესახებ გადანყვეტილებებს, პოლიციის დაკითხვებს, მათ საკუთარ წერილობით ახსნა-განმარტებებს და სხვა დოკუმენტებს. გადანყვეტილებების მიხედვით, მონმეები წარსდგნენ რუსი მოსამართლეების წინაშე, გააკეთეს განცხადებები და მისცეს ახსნა-განმარტებები, რაც გონივრულად შეფასდა ეროვნული სასამართლოების მიერ. ხსენებული ფაქტები უარყოფს ბრალდებებს გამარტივებული პროცედურის შესახებ.

მეტიც, სასამართლო გადანყვეტილების 85-ე (iv) პარაგრაფში აღნიშნავს, რომ მხოლოდ 42 სააპელაციო გადანყვეტილება ეხება განსახილველ პერიოდში გაძევებულ საქართველოს მოქალაქეებს, რაც არ არის სწორი, იმდენად, რამდენადაც ყველა 86 სააპელაციო საჩივარი მიუთითებს გასაჩივრებულ მოვლენებზე, თუკი მხედველობაში მივიღებთ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების თარიღს. ვვარაუდობ, რომ არსებობდა ასობით წარუმატებელი სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ არ ახსენა, რომ რუსეთის მთავრობამ წარადგინა წარმატებული სააპელაციო საჩივრების მაგალითები და დაასახელა მიზეზები, თუ რატომ არ იყო რელევანტული ხსენებული სააპელაციო საჩივრები იმ დასკვნის გამოსატანად, რომ არ იყო კოორდინირებული ქმედება ან მართლმსაჯულების ჩამოშლა. ჩემი შეხედულებით, გადანყვეტილების 158-ე პარაგრაფში, სასამართლომ არასწორად განმარტა მთელი რიგი სააპელაციო გადანყვეტილება იმის გამო, რომ მხედველობაში არ მიიღო ისინი, როგორც წარმატებული სააპელაციო საჩივრების მაგალითები და განმარტა, როგორც ამომწურავი და მინიმალური რაოდენობა. ჩემი შეხედულებით, ხსენებული მიდგომა, რომელიც სასამართლოს აძლევს დოკუმენტური მტკიცებულების იგნორირებისა და ცალმხრივი დასკვნების გამოტანის საშუალებას, შეუსაბამოა სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან.

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ სააპელაციო გადანყვეტილებების მხოლოდ მცირე

რე პროცენტი იქნა გამოტანილი მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში. იქამდე კი დაადგინა, რომ გაძევების ბრძანებები გამოიცა რუსეთის სხვა რეგიონებში და რომ გაძევებული პირების საერთო რაოდენობა, რომელიც ათასებს აღწევდა, ვრცელდებოდა მთელს ქვეყანაზე მაშინ, როცა მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ხსენებული რაოდენობა აღწევდა რამდენიმე ასეულს. ხსენებული ფაქტი ეჭვს იწვევს საკნებში მუდმივ და აუტანელ გადატვირთულობასთან დაკავშირებული ბრალდებების მიმართ.

ძალიან ვნუხვარ მათ გამო, ვინც საპატიმროებში ყოფნისას დაიღუპა. ხსენებული ფაქტი უნდა ყოფილიყო სასამართლოს მხრიდან დანვრილებითი განხილვის საგანი, რათა მომხდარიყო სამართლებრივი შეფასება სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლომ მხოლოდ მიუთითა „საქმეთა დიდ რაოდენობაზე“, სადაც „მან თანმიმდევრულად დაადგინა დარღვევა“ (იხილე, §201). სასამართლომ არ ჩამოაყალიბა პირობების რაიმე სახის დეტალური აღწერა; არც ის განიხილა, არსებობდა თუ არა იმ ინტენსიურობის უბედურება და გასაჭირი, რომელიც რეალურად აღემატება ტანჯვის იმ გარდაუვალ ზღვარს, რომელიც დამახასიათებელია პატიმრობისათვის, როგორც ეს განხორციელდა გადანყვეტილების 192-ე პარაგრაფში მითითებულ ორივე მნიშვნელოვან საქმეში – *Ananyev v. Russia* და *Idalov v. Russia* (იხილე, ასევე, *Shishkov v. Russia*, §§89-94, როგორც ზოგადი მიდგომის მაგალითი). იდალოვის საქმეში, სადაც მხარეები ვერ თანხმდებოდნენ პატიმრობის პირობების ასპექტების უმრავლესობაზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მან უკანასკნელ პერიოდში დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა გადატვირთულობის გამო წინასწარი დაკავების იმავე დანესებულებაში (იხილე, *Skachkov v. Russia* და *Sudarkov v. Russia*) დაახლოებით იმავე დროსთან დაკავშირებით, რომელზეც საქმეში მოცემული ფაქტები მიუთითებდა (იხილე, *Idalov*, § 97). საპირისპიროდ, ექსტრადიციის ყველა საქმეში, რომელიც ეხებოდა იმავე ან გასაჩივრებული მოვლენების შემდეგ პერიოდს, მომჩივნებს არასოდეს გაუსაჩივრებით პატიმრობის ცუდი პირობები (იხილე, *Muminov v. Russia*, N42502/06, 2008 წლის 11 დეკემბერი; *Karimov v. Russia*; *Sidikovy v. Russia*; *Bakoyev v. Russia*; *Zokhidov v. Russia*; და *Azimov v. Russia*).

სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ რაიმე სახის მოთხოვნა გაკეთდა რუსეთის სახალხო დამცველის, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულის, პროკურორების ან სხვა ოფიციალური პირების მხრიდან მათ მიერ პატიმრობის ცენტრების არაერთხელ შემონმების შემდეგ. ყველა ეს ინფორმაცია მიაწოდა რუსეთის მთავრობამ სასამართლოს, თუმცა ამ უკანასკნელმა კვლავ უგულვებელყო. საპირისპიროდ, 184-ე-186-ე პარაგრაფებში, სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა ხსენებული უფლებები წინა განცხადებების საფუძველზე (კოლექტიური გაძევება, ადმინისტრაციული პრაქტიკა და სამართლებრივი დაცვის საშუალებების არასებობა, რომელიც მე ზემოთ გავაკრიტიკე). ამის აღსანიშნავად, საინტერესოა, რომ სასამართლომ პრეცედენტული სამართლის მოთხოვნით, დაკავებული პირი უნდა იქნეს სათანადოდ წარდგენილი მოსამართლის წინაშე, რომელმაც სწრაფად უნდა გადანყვიტოს პატიმრობის კანონიერება. ხსენებული პროცედურა განხორციელდა სათანადოდ და სწრაფად, თუმცა, კვლავ, გადანყვეტილების 204-ე და 205-ე პარაგრაფების მიხედვით, სასამართლომ, მოცემულ საქმეში, ცალსახად უარყო, მიჰყოლოდა მის დამკვიდრებულ მიდგომას და მხედველობაში მიიღო პატიმრობის მოკლე პერიოდი.

რუსეთის მთავრობამ დაადასტურა და დაამტკიცა, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრები და რომ მათ, ვინც ნებაყოფლობით დატოვა ქვეყანა, არ ეშლებოდათ ხელი გასაჩივრებასა და ადვოკატის დაქირავებაში და ჰქონდათ დრო და შესაძლებლობა ამგვარად მოქცეულიყვნენ (იხილე, §85). თუმცა, სასამართლო (როგორც საკუთარი პროცედურის მცოდნე) მივიდა ზუსტად საპირისპირო დასკვნამდე (იხილე, §§152-54).

სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა რუსეთის მთავრობის მიერ ყოველთვიური სტატისტიკების წარუდგენლობა. თუმცა სასამართლომ დაადგინა „მკვეთრი ზრდა გაძევებების რაოდენობაში (იხილე წგ131 და 135) ყოველწლიური სტატისტიკების და იმ ფაქტის მხედველობაში მიღების გარეშე, რომ 2006 წელს გაძევებულ პირთა საერთო რაოდენობა 10-ჯერ უფრო დიდი იყო. მას არ შეუნიშნავს, რომ წარმატებული სააპელაციო საჩივრები იყო პირადი გარემოებების და არა პროცედურული საკითხების საფუძველზე (იხილე წ85 (iv)) და ასევე, დააკნინა სააპელაციო გადაწყვეტილებების მნიშვნელობა ქმედების არეალის მოსკოვამდე და სანკტ-პეტერბურგამდე შემცირებით, თითქოს ყველა გაძევებული პირი ამ ორ ქალაქში ცხოვრობდა.

სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ყოველთვიური სტატისტიკების არარსებობას და დაასკვნა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ მიწოდებული სტატისტიკები არ იყო დამაჯერებელი იმის დასადგენად, იყო თუ არა ადმინისტრაციული პრაქტიკა (იხილე, წ134). ამავე დროს, სასამართლომ არარელევანტურად მიიჩნია ფიგურები სხვა სახელმწიფოებიდან იმიგრანტების გაძევებასთან დაკავშირებით და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ ახსენა რუსეთის უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოებული სტატისტიკები, რაც ამტკიცებდა, რომ 2005 წელს გაძევებულთა საერთო რაოდენობა (დაახლოებით, 79,000) გაცილებით უფრო დიდი იყო 2006 წელთან (დაახლოებით, 58,000), ანუ იმ წელთან შედარებით, როცა გასაჩივრებული მოვლენები მოხდა. მომდევნო წლებში გაძევებულთა რაოდენობა შემცირდა: 2007 წელს – 29000-მდე, ხოლო 2008 წელს – 23000-მდე, თუმცა მაინც ძალიან მაღალი რჩებოდა. გაძევებულთა ამგვარი დიდი რაოდენობა, თავის მხრივ, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს, როგორც კოლექტიური გაძევება, იმდენად, რამდენადაც ასეთი სტატისტიკები არის საკმაოდ ნორმალური რუსეთის სიტუაციისთვის, სადაც მასობრივ უკანონო იმიგრაციას აქვს ძლიერი ისტორიული და ეკონომიკური წარსული და შესაბამისად, გასაჩივრებული მოვლენები არ ჩანს უჩვეულოდ. მეტიც, მიგრაციის ფედერალური სამსახურის ოფიციალური სტატისტიკების მიხედვით, „ახალი რუსეთის“ პერიოდში (1992-2006) საქართველოს 150000 მოქალაქეზე მეტს მიენიჭა რუსეთის მოქალაქეობა და მათგან 73000-ზე მეტი სარგებლობდა ამ უფლებით ხუთი წლის მანძილზე გასაჩივრებულ მოვლენებამდე.

მთელი სიტუაციის გათვალისწინებით, სახელმწიფოთა შორის არსებული დაძაბული მდგომარეობის და ორ სახელმწიფოს შორის ყველა კავშირის შეჩერების გამო, მეგობრული ურთიერთობები სახელისუფლებო ორგანოებს შორის (თუმცა არა ჩვეულებრივ ხალხს შორის) დასრულდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებმა შეწყვიტეს შემწყნარებლობა მრავალი წლის მანძილზე რუსეთის ტერიტორიაზე ბევრი ქართველის უკანონო ბინადრობის მიმართ. გზავნილი იყო იმდენად ნათელი და ცალსახა, რომ უკანონო ბინადრების ნახევარმა ამჯობინა, ნებაყოფლობით დაეტოვებინა რუსეთი. ხსენებული ფაქტი ნახსენებია გადაწყვეტილებაში, თუმცა არ არის სათანადოდ შეფასებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. მაგალითად, საქმეში – *De Bruin v. Netherlands* (№ 9765/09, 2013 წლის 27 ივლისი, განჩინება დაუშვებლობის შესახებ), სასამართლომ დაადასტურა სახელმწიფოს უფლებამოსილება, გააუქმოს წინანდელი ოფიციალური შემწყნარებლობა და აღნიშნა: „თუმცა, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის „უფლება“ წარმოიშობა სანქციების დაუნესებლობიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჯარო ხელისუფლება უარს ამბობს დევნის უფლებაზე. ამგვარი უარის თქმა იმ შემთხვევაშიც, თუ წერილობითი ფორმით გაიცა ცალკეული პირის მიმართ, არ უთანაბრდება კანონის შესაბამისად გაცემულ ლიცენზიას“ (იქვე, წ 58).

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა მე-7 ოქმის 1-ლი მუხლი და გადაწყვეტილების 229-ე პარაგრაფში დაადასტურა, რომ „მის ხელთ არსებული ყვე-

ლა მასალის გათვალისწინებით, ვერ დადგინდა, რომ ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე კანონიერად მაცხოვრებელი საქართველოს მოქალაქეების დაკავებები და გაძევებები“. სასამართლოს მითითებული პოზიცია შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელისუფლებო ორგანოებმა გააძევეს მხოლოდ უკანონოდ მაცხოვრებლები, მათ დაარღვიეს კონვენციური აკრძალვა კოლექტიური გაძევების შესახებ. ეს კი არის ურთიერთგამომრიცხავი. საქართველოს მთავრობას აქვს საკუთარი ლოგიკა, დაარწმუნოს სასამართლო, რომ განხორციელდა კოლექტიური გაძევება და რომ გაძევებულ პირებს ჰქონდათ მოქმედი ნებართვები, ყოფილიყვნენ რუსეთის ტერიტორიაზე. სწორედ ამის გამო, იჩივლა საქართველოს მთავრობამ მე-7 ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე. თუმცა სასამართლომ (როგორც საკუთარი პროცედურის მცოდნემ) არჩია, გაჰყოლოდა სრულიად განსხვავებულ მიდგომას, რაც წარმოშობს ჯანსაღ ეჭვებს დარღვევების დადგენის დასაბუთების მიმართ, კანონის უზენაესობის თვალსაზრისით.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
საქართველოს წინააღმდეგ განხილული საქმეების
სტატისტიკური მაჩვენებლები
(1999-2014)**

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ 1999-2014 წლებში გამოტანილია 57 გადაწყვეტილება. აქედან ევროპულ-მა სასამართლომ არ დაადგინა ევროპული კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა 11 საქმეში. ამას გარდა, 9 საქმე მორიგებით დასრულდა მთავრობასა და განმცხადებელს შორის.

მონაცემები ასე გამოიყურება:

11 საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მუხლების დარღვევა. კერძოდ:

- მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა არ დადგინდა 6 საქმეზე;
- მე-6 მუხლის II ნაწილის დარღვევა არ დადგინდა 1 საქმეზე;
- მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა არ დადგინდა 1 საქმეზე;
- მე-3 მუხლის დარღვევა არ დადგინდა 2 საქმეზე;
- პირველი ოქმის I მუხლის დარღვევა არ დადგინდა 2 საქმეზე;
- მე-7 მუხლის დარღვევა არ დაადგინა 1 საქმეზე;
- მე-7 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა არ დადგინდა 1 საქმეზე.

46 საქმეზე დადგინდა კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევა. კერძოდ:

- მე-2 მუხლი დაირღვა 4 საქმეზე;
- მე-3 მუხლი დაირღვა 17 საქმეზე;
- მე-5 მუხლის I ნაწილი დაირღვა 6 საქმეზე;
- მე-5 მუხლის II ნაწილი დაირღვა 2 საქმეზე;
- მე-5 მუხლის III ნაწილი დაირღვა 4 საქმეზე;
- მე-5 მუხლის IV ნაწილი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-6 მუხლის I ნაწილი დაირღვა 17 საქმეზე;
- მე-6 მუხლის III ნაწილი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-8 მუხლი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-9 მუხლი დაირღვა 2 საქმეზე;
- მე-10 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-11 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- მე-13 მუხლი დაირღვა 5 საქმეზე;
- მე-14 მუხლი დაირღვა 2 საქმეზე;
- 34-ე მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- 38-ე მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- I ოქმის I მუხლი დაირღვა 6 საქმეზე;

– VII ოქმის II მუხლი დაირღვა 1 საქმეზე.

შენიშვნა: დარღვევათა რაოდენობა განსხვავდება საქმეთა რაოდენობისგან, რაც აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე დადგენილი იყო ერთდროულად რამდენიმე მუხლის დარღვევა.

ცხრილი №1

მუხლი	დასახელება	დარღვევათა რაოდენობა
მე-2 მუხლი	სიცოცხლის უფლება	4
მე-3 მუხლი	წამების აკრძალვა	17
მე-5 მუხლის I ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (დაკავების კანონიერება)	6
მე-5 მუხლის II ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (ბრალდების წაყენება)	2
მე-5 მუხლის III ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოს წინაშე წარდგენა)	4
მე-5 მუხლის IV ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოსადმი მიმართვა და უკანონო პატიმრობა)	3
მე-6 მუხლის I ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სამართლიანი სასამართლო; გონივრული ვადა)	17
მე-6 მუხლის III ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (ბრალდებულის უფლებები)	1
მე-8 მუხლი	პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	3
მე-9 მუხლი	აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება	2
მე-10 მუხლი	აზრის გამოხატვის თავისუფლება	1
მე-11 მუხლი	შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება	1
მე-13 მუხლი	ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი	5
მე-14 მუხლი	დისკრიმინაციის აკრძალვა	2
34-ე მუხლი	ინდივიდუალური საჩივარი	1
38-ე მუხლი	საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა	1
I ოქმის I მუხლი	საკუთრების დაცვა	6
VII ოქმის II მუხლი	სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება	1

აქედან 14 საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის გარკვეული მუხლების დარღვევა გამოიწვია ადგილობრივი სასამართლოების მიერ საქმეების ხარვეზებით განხილვამ. კერძოდ:

- მე-5 მუხლის III ნაწილი დაირღვა 3 საქმეზე;
- მე-5 მუხლის IV ნაწილი დაირღვა 2 საქმეზე
- მე-6 მუხლის I ნაწილი დაირღვა 9 საქმეზე;
- მე-8 მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- I ოქმის I მუხლი დაირღვა 1 საქმეზე;
- VII ოქმის II მუხლი დაირღვა 1 საქმეზე.

შენიშვნა: დარღვევათა რაოდენობა განსხვავდება საქმეთა რაოდენობისგან, რაც აიხსნება იმით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე დადგენილი იყო ერთდროულად რამდენიმე მუხლის დარღვევა.

ცხრილი №2

მუხლი	დასახელება	დარღვევათა რაოდენობა
მე-5 მუხლის III ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოს წინაშე წარდგენა)	3
მე-5 მუხლის IV ნაწილი	თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (სასამართლოსადმი მიმართვა და უკანონო პატიმრობა)	2
მე-6 მუხლის I ნაწილი	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება (სამართლიანი სასამართლო; გონივრული ვადა)	9
მე-8 მუხლი	პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	1
I ოქმის I მუხლი	საკუთრების დაცვა	1
VII ოქმის II მუხლი	სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება	1

**საქმეთა დასახელების ჩამონათვალი, რომელთა განხილვისას დადგინდა
ან არ დადგინდა კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევები**

1. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლის I ნაწილი.
2. შამაგვი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-13 მუხლი; მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.
3. შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი; I ოქმის I მუხლი.
4. შპს „ამატ-ჯი“ და მებალიძვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი; I ოქმის I მუხლი.
5. დონაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
6. აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
7. დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
8. დანელია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-13 მუხლი.
9. გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-8 მუხლი.
10. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-9 მუხლი; მე-14 მუხლი.
11. გორელიძვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-10 მუხლი.
12. მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
13. რიყამაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
14. საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
15. ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის III ნაწილი.
16. ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
17. გოგოლაძე საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.
18. ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
19. საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის III მუხლი.
20. გიგოლაძვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი.
21. გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა.
22. ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
23. ალიევი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
24. გიორგი ნიკოლაიძვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-5 მუხლის III ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი; მე-8 მუხლი.

-
25. რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი; მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი.
 26. ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
 27. პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
 28. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
 29. ლავთაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
 30. კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
 31. კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-13 მუხლი.
 32. გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-3 მუხლი.
 33. ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
 34. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის I მუხლი.
 35. სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა I ოქმის I მუხლი; მე-8 მუხლი; მე-5 მუხლის III ნაწილი; მე-5 მუხლის IV ნაწილი.
 36. ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი; I ოქმის I მუხლი.
 37. ხაინდრავა და ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი.
 38. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი.
 39. ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი; 38-ე მუხლი.
 40. გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.
 41. მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-2 მუხლი; 34-ე მუხლი.
 42. ბექაური საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა დარღვევა (ამოირიცხა სიდან)
 43. დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-6 მუხლის I ნაწილი.
 44. ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-6 მუხლის I ნაწილისა და I ოქმის I მუხლის დარღვევა.
 45. კაკაბაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლის I ნაწილი; მე-6 მუხლი III ნაწილი, მე-11 მუხლი, მე-7 ოქმის მე-2 მუხლი.
 46. მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
 47. გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.
 48. ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის III ნაწილი.
 49. მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.

-
50. დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
 51. ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-3 მუხლი.
 52. ბაისუევი და ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა მე-5 მუხლის I ნაწილი და მე-5 მუხლის II ნაწილი.
 53. ჯაში საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.
 54. ილდანი საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.
 55. ნაცვლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის, 34-ე მუხლისა და მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა.
 56. აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ – არ დადგინდა კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა.
 57. ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ – დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, მე-9 და მე-14 მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2934285
www.supremecourt.ge

The Supreme Court of Georgia
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2934285
www.supremecourt.ge